



შოთა რუსთაველის სახელობის
ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი

Shota Rustaveli Institute of Georgian literature

Georgian Folklore

9(XXV)

**Tbilisi
2018**

ქართული ფოლკლორი

9(XXV)

თბილისი
2018

რედაქტორი
რუსულან ჩოლოკაშვილი

Editor
Rusudan Cholokashvili

სარედაქციო კოლეგია
ირმა რატიანი
ნინო ბალანჩივაძე
ქეთევან ელაშვილი
ოთარ ონიანი
ნესტან რატიანი
ეკა ჩხეიძე

Editorial Board
Irma Ratiani
Nino Balanchivadze
Ketevan Elashvili
Otar Oniani
Nestan Ratiani
Eka Chkheidze

სარედაქციო საბჭო
ზაზა აბზიანიძე
ზურაბ კიკნაძე
თეიმურაზ ქურდოვანიძე
როსტომ ჩხეიძე
თემურ ჯაგოდინიშვილი

Editorial Council
ZaZa Abzianidze
Zurab Kiknadze
Teimutaz Kurdovanidze
Rostom Chkheidze
Temur Jagodnishvili

**სარედაქციო კოლეგიის
საპატიო წევრი**
ქევინ თუითი (კანადა)

**Honorary Member of editorial
Boord**
Kevin Tuite (Canada)

პასუხისმგებელი მდივანი
სოსო ტაბუცაძე

Responsible Editor
Soso Tabutsadze

ქართული ფოლკლორი, 2018
მისამართი: 0108, თბილისი,
მერაბ კოსტავას ქ. 5.
ტელეფონი: 99-18-81
ფაქსი: 99-53-00
E-mail: litinst@litinstituti.ge

Georgian Folklor, 2018
Address: 0108, Tbilisi
M. Kostava str. 5
Tel.: 99-18-81
Fax: 99-53-00
E-mail: litinst@litinstituti.ge

ამირანიანი

ოთარ ონიანი

ახალი მასალები ამირანის წარმომავლობაზე

ამირანის წარმომავლობა იდუმალების ბურუსითაა მოსილი. ამ მიმართულებით ჩატარებული კვლევა-ძიება ტენდენციურია, წინასწარ შემუშავებულ თვალსაზრისებს უფრო ემყარება, ვიდრე ზუსტი ტექსტოლოგიური დაკარგებების შედეგად მიღებულ დასკვნებს... ამირანის დედა რომ ქალღმერთი დალია, მხოლოდ სვანური ვარიანტებიდანაა ცნობილი. ძეგლის მითოლოგიურობის თეორიაც აქედან იღებს სათავეს. ასეთი აზრისაა ყველა მკვლევარი, თუმცა მისი სერიოზული შემოწმება არავის უცდია. ამიტომ ჩნდება კითხვები და ეჭვებიც: კერძოდ, კანონზომიერია, თუ მხოლოდ სვანური ვერსიების სპეციფიკურობაა, რომ ნადირთ პატრონი დალი ამირანის დედაა? ხომ არაა დასაშვები, რომ კონკრეტულ შემთხვევაში საქმე გვქონდეს დალის ციკლის მასალის გავლენასთან? რას გვეუბნებიან საქართველოს სხვადასხვა კუთხის ჩანაწერები? მართლაც, უკვალოდ არის გამქრალი მათში ამირანის ჩამომავლობა დედის ხაზით, ხომ არ გვაქვს საქმე სხვა უფრო მნიშვნელოვან მიზეზებთან? კერძოდ კი ტექსტოლოგიური კვლევის უკმარობასთან, ხარვეზთან? პასუხისათვის, პირველ რიგში იმის აღნიშვნაა აუცილებელი, რომ ამირანის ყველა მკვლევარმა რატომდაც დუმილით აუარა გვერდი საქართველოს სხვადასხვა კუთხეში ჩაწერილ და არქივებში დაცული ვარიანტების სრულად წარმოჩენას, ურთიერთშეჯერებასა და ანალიზს. საკითხის კვლევა ძირითადად მიხეილ ჩიქოვანის 1947 წელს გამოცემულ ნაშრომში „მიჯაჭვული ამირანი“ – 1947 წელს წარმოდგენილი ვარიანტების მიხედვით წარიმართა, სულ 69 ტექსტი. საარქივო მასალა კი ნაკლებადაა დამოწმებული. ასე მაგალითად, შრომის ავტორის აზრით, „ვარიანტების დიდი უმრავლესობა მიუთითებს, რომ ცენტრალური გმირის მამა მონადირე იყო, რომ სვანური თქმულებით ჩვენი ბუმბერაზი წადირობის ქალღმერთი დალისა და უცნობი მონადირის

ჰეტერული სიყვარულის ნაყოფია... ფშაური ვერსიით ამირანის დედას დარჯანი ჰქვია, ჯავახური გადმოცემით – მღვიმეში მყოფი დედაკაცი; აფხაზურით – მდიდარი თავადის ქალიშვილი, ამათგან ყველაზე დამაჯერებელია სვანური ვერსია, რომ ამირანის დედა ოქროს ნაწნავიანი დალია“... (ჩიქოვანი 1947: 92). მითითებულია, რომ დალი თეთრი კლდის ბინადარია და არის კეთილი ლვთაება. დასკვნა ასეთია: ამირანის დედის ვინაობა პირვანდელი სახით სვანურ ვერსიას აქვს შემონახული. ჩვენ ქვემოთ ვნახავთ, რომ მკვლევრის განაცხადი თითქოს ვარიანტთა უმრავლესობით ამირანი უცნობი მონადირისა და დალის შვილია, ისევ გადახედვას საჭიროებს (ვარიანტთა უმრავლესობა საერთოდ არაფერს გვეუბნება ცენტრალური გმირის ჩამომავლობაზე).

ელენე ვირსალაძე საგანგებოდ დაინტერესდა ამირანის შობის საიდუმლოებით და იმ დასკვნამდე მივიდა, რომ „ამირანის თქმულების სვანური ვერსიის ყველა ცნობილი ვარიანტით ამირანის დედა ნადირთ პატრონი დალია, რომელსაც უკვე ქალლმერთის ნიშნები აქვს. მკვლევარი სხვა კუთხეთა ვარიანტებსაც მიმოიხილავს და დასძენს, რომ „კიდევ უფრო გამკრთალებულია ნადირთ პატრონი ქალის სახე საქართველოს ცენტრალურ რაიონებში: ქართლში, კახეთში, იმერეთსა და გურიაში, სადაც ქრისტიანულმა სარწმუნოებამ თითქმის მთლიანად განდევნა ძველი, წარმართული წარმოდგენები, სოციალური ცხოვრება კი მთიან რაიონებთან შედარებით სწრაფად ვითარდებოდა და იცვლებოდა. მკვლევრის აზრით, საქართველოს ბარში ჩანერილი ამირანის თქმულების ვარიანტები უმეტესად საერთოდ დუმს ამირანის დაბადებასა და წარმოშობის შესახებ. ქართლში სხვადასხვა დროს ჩანერილი და მიხეილ ჩიქოვანის მიერ გამოქვეყნებული ვარიანტებიდან 9 ვარიანტი არას გვეუბნება ამირანის დაბადების შესახებ. 11 კახური ვარიანტიდან 8 აგრეთვე დუმილით უვლის გვერდს ამირანის დაბადების ამბავს. ანალოგიური მდგომარეობაა სხვა რაიონებშიც“. როგორც ვხედავთ, აქცენტი ძირითადად გადატანილია ამირანის ქართლურ და კახურ ვერსიებზე. არაფერია თქმული დასავლეთ საქართველოს ბარის ვარიანტებზე. ელ. ვირსალაძე საგანგებოდ წარმოგვიდგენს ქართლურის ერთ-ერთ ვარიანტს „ამირანი“. გმირი „მაღინდარა“ მონადირისა და მზეთუნახავის შვილია, რომელიც მივარდნილ კლდეში ცხოვრობდა. ერთ-ერთი კახური ვარიანტით

ტყეში მივარდნილ სახლის ბინადარ ქალთან მონადირე სოლომონს ეყოლა ამირანი, მსგავსი ვარიანტი ჩაწერილია მესხეთში. იგივე ეპიზოდი, მაგრამ მორთული ზღაპრული ელემენტებით ჩაწერილია ქართლში ანეტა კაპანაძის მიერ. მონადირე სულთანი ტყეში პატარა სახლში შეხვდება მზესავით მანათობელ შიშველ ქალს, ქალმა გააფრთხილა, რომ თუ ჩემთან დარჩები ათასი წლის სიცოცხლე რომ გქონდეს, ერთ წელინადზე მეტს ვერ იცოცხლებ. სულთანმა არ ისმინა, მართლაც ქალს ამირანი გაუჩნდება, სულთანი კი კვდება. მკვლევრის საბოლოო დასკვნა ასეთია: „ამრიგად, ჩვენ ვხედავთ, რომ თქმულების უძველესი საფუძველი – კლდეში ან მღვიმეში, ან ტყეში მცხოვრები ნადირთ პატრონი ქალისაგან ამირანის დაბადება შემორჩენილია საქართველოს სხვადასხვა კუთხეში ჩაწერილ ვარიანტთა უმრავლესობით“ (ვირსალაძე 1964: 76-77).

დასახელებულ მკვლევართა ამგვარმა ტექსტოლოგიურმა კვლევა-ძიებამ სრული აღიარება ჰპოვა სამეცნიერო ლიტერატურაში, შედეგები საეჭვოდ არავის გაუხდია. ჩვენი პოზიცია მკვეთრად განსხვავებულია: ალბათ, არაა ძნელი იმის დანახვა, რომ მ. ჩიქვავანისა და ელ. ვირსალაძის მიერ დასავლეთ საქართველოს ბარის კუთხეთა საარქივო მასალა ყურადღების მიღმა დარჩენილი. ეს მაშინ, როცა ისინი ძალიან ბევრ სიახლეს გვთავაზობს ძეგლთან დაკავშირებულ პრობლემურ საკითხებზე. მათში სრულიად გარკვეულადა გაცხადებული, რომ ამირანის დედა ქალღმერთი დალია. ასე მაგალითად, იმერულ ზეპირსიტყვიერებაში აღმოჩნდა საინტერესო ვარიანტი „ამირანი“ (ფ. არქ. XXVბ, 74, გვ. 39-48). ტექსტის შესავალი ნაწილი განსაკუთრებული მნიშვნელობისაა. „მონადირე სულკალმახი ნადირობის დროს ერთი კლდის გამოქვაბულში შევიდა. შიგ ქალი დახვდა ძალიან ავადმყოფი, რომელსაც რქმევია დალი. ქალმა უთხრა: –კა დროს მოხვედი, უკვე ექვსი თვის ორსული ვარ. არ დაგენანოს ჩემი თავი, მუცელზე გამჭერი, ვიცი ბიჭი მეყოლება. გამეიყვანე ის იქიდან და სამი თვე კურო-მოზვერის ფაშვში ამყოფე. მონათვლის დროს ერთი კაცი მოვა... მოანათვლინე“. პირველი სპეციფიკური ნიშანი და უმთავრესი ღირსებაც დამოწმებული ეპიზოდისა ისაა, რომ ამირანის დედა ქალღმერთი დალია, რაც დღემდე არ იყო გამოვლენილი ბარის ვარიანტებიდან. მეორე – ამირანის მამა უცნობია, მონადირე სულკალმახი კი დალის შვილის მხოლოდ გადამრჩენია. დავძენთ, რომ საანალიზოდ წარმოდგენილ ტექსტში

ცენტრალური გმირის გაზვიადებაც ორიგინალურადაა წარმოჩენილი. „ამირანმა გაიგო დიდი ამბრის ქეპა და გადაწყვიტა, მოდი, წავალ, რაც მომივა, მომივიდესო. შუა გზაზე რომ მივიდა, შეეხვენა მეუფესა და ნათლიას – თუ ამბრი ჩემი მომრევი იყოს, მკვდარი დამახვედრეთო. მართლაც, მოკვდა ამბრი. დედამისი ურმით მოასვენებს. შეხვდა ამირანი და ამბრის დედამ სთხოვა, რომ ურმიდან გადმოვარდნილი მკლავი, ისევ ურემზე დაედო. ამირანმა ძვრაც ვერ უყო ამბრის მკვლავს, დედამ კი მკაცრად მიუგო – მგლოვიარე რომ არ ვიყო, მტვრად გაგატარებდიო. ცალკეული ვარიანტისაგან განსხვავებით გმირი საბნელოში კი არ ჩაჯდა, სასონარკვეთილებას კი არ მიეცა, არამედ ისევ განგებას შეეხვენა, სთხოვა – გააცოცხლე ამბრი ისევ და მამრიეო“. სულიერმა ძალებმა ისმინეს ამირანის ვედრება და ამბრი ისევ გააცოცხლეს. ეს კი გამონაკლისი შემთხვევაა ძეგლის კვლევის ისტორიაში. მსგავსი რამ არ დასტურდება ამირანიანის არც ერთ ვარიანტში. დამოწმებული ეპიზოდი საგანგებო დაკვირვებას საჭიროებს. როგორც ვხედავთ, ამირანისა და უმაღლეს სულიერ არსებათა ურთიერთობა სრულიად ახალსა და მაღალ რეგისტრში წარმოგვიდგება. გმირის ვედრება განგებისადმი და აღსრულება ერთდღროულია. უკვე რაიმე კომენტარი აღარაა საჭირო. საქმე გვაქვს არაჩვეულებრივ მოვლენასთან. ფაქტი ისაა, რომ ამირანს პირდაპირი კავშირი აქვს მეუფესა და შემოქმედ ღმერთთან. ცხადია შემოქმედი ღმერთი ქრისტეა, ამასთანავე ნათლიაც. ვინ არის მეუფე? ჩვენი აზრით, მეუფე ზედნოდებაა, იგი მამაღმერთია, როგორიც სვანური ვარიანტების გარდა საქართველოს არც ერთი კუთხის ჩანაწერებში არ დასტურდება ამირანიანის პერსონაჟად და არ მოიხსენიება სახელდებით (სვანურად „ფუსნ ბუსდიში“, მეუფე სამყაროისი, „მაშენა – უზენაესი, ხოშა ღერბეთ – ხოშა უფროსი ღმერთი). სვანურის რამოდენიმე ვარიანტში მამაღმერთი ამირანის ნათლიაა. მიუხედავად ამისა, იმერულ ჩანაწერში მეუფის – მამაღმერთისა და მაცხოვრის ფუნქციები განსაკუთრებული თავისთავადობით წარმოგვიდგება. ტექსტში ისინი ამირანის მუდმივი მეთვალყურე, მზრუნველი და გმირის თითქმის ყოველი ნების, თხოვნის აღმსრულებლები არიან... ნაადრევად მშობიარე დალის სიტყვები ბევრ საფიქრალს გვიჩენს. მან მნიშვნელოვანი საიდუმლო გაუმჯობავნა სულკალმახს ამირანზე, ნათლიაზე. ასე რომ, ცენტრალური გმირის ღრმა კავშირი მაღალ სულიერ ძალებთან მრა-

ვალმხრივაა დამაფიქრებელი. ამდენად, დამოწმებული ეპიზოდი მნიშვნელოვნად გვეხმარება ამირანის რთული ბუნების იდუმა-ლებათა ამოცნობაში. სხვა სიახლეთა ჩვენებისაგან თავს ვიკავებთ, მხოლოდ დავძენთ, რომ ამ ტიპის ვარიანტებისადმი გვერდის ავლა არ იქნებოდა გამართლებული...

საინტერესო აღმოჩნდა შოთა რუსთაველის სახელობის ქარ-თული ლიტერატურის ინსტიტუტის ფოლკლორის განყოფილების მიერ გამოსაცემად გამზადებულ კრებულში ამირანის რაჭული ვარიანტი (№ 148. ამირანი, ხელნაწერი. მთქმელი ტატო ლობჟანიძე, 80 წლის, ჩამნერი ნიკო რეხვიაშვილი, სოფ. ლეპი, 1952 წ.) (ჩიქოვა-ნი 2010). იგი მნიშვნელოვანია იმ აზრით, რომ ამირანი მონადირე სულკალმახისა და კლდის გამოქვაბულში მცხოვრები დარეჯანის (დალის) შვილია, აღმზრდელია იამანი, ნათლია – იესო ქრისტე, ხოლო ვარიანტში „ამირანის ლექსი“ (№ 150, მთქმელი გაბრიელ ბაკურის ძე, სოფ. გლოლა, ჩამნერი ელ. ვირსალაძე, 1953). „ერთი კლდე იყო, კლდეში ქალი იყო, ის ქალი იყო წმინდანიანი და მეც-ნიერი..... კლდის გამოქვაბულში შესვლა შეძლო მჭედელმა სირაძემ, ხშირად დადიოდა, ქალი დაორკეცდა (დაორსულდა“ იბადება კითხვა: ვინ შეიძლება იყოს წმინდანიანი და მეცნიერი, რომელიც კლდეში ბინადრობს? რასაკვირველია, აქ იგულისხმება სულიერი არსება, რომელიც სახელდებითა მოხსენიებული. იგი მშობიარობის დროს წინასწარ აფრთხილებს მჭედელ სირაძეს, რომ, როცა მოვევდები, მუცელი გამისე, ბავშვს შუბლი მზისა აქვს, ტანი ალვისა, შუბლზე ამირანობა აწერიაო. მაგრამ კონკრეტულ შემთხვევაში მაინც გა-სარკვევია გამოთქმა: „ამირანის დედა წმინდანიანი და მეცნიერი იყო. ამჯერად ძნელია ამ საკითხზე ყოველმხრივ დამაჯერებლად დასაბუთებული პასუხის გაცემა. აქ შეიძლება ქრისტიანობის კვა-ლი ვეძებოთ. ამ აზრით, საინტერესოა ჩანახერი „ამირანი“ (ფ. არქ. XX, 104, გვ. 154-157). აქ გმირი ქრისტეს ნათლულია, მარიამის შვი-ლი, მამის ვინაობა უცნობია. ე.ი. ქრისტიანობის გავლენა აშკარაა. ერთ-ერთ სვანურ ვარიანტშიც ლვთისმშობელი მარიამი მდინარის პირას იდგა და წყალს სვამდა პეშვით. ქვემოდან კი წმინდა გიორგის დაუნახავს და ქარი გაუშვა. ლვთისმშობელს კაბა აუფრიალდა და დაორსულდა. ცხრა თვის შემდეგ ამირანი შობა (მთქმელი მერაბ სი-მონის ძე კვიციანი, 25 წლის, საშუალო განათლების, სოფ. დოლი (ბე-ჩის თემი), ჩამნერი შიომვილი, თსუფა № 23445. ე.ი. ცენტრალური

გმირის ღვთიური ჩამომავლობა აშკარად იკვეთება. ასე რომ, ზე-მოთ დამოწმებული ეპიზოდი ამ აზრითაც მნიშვნელოვან სიახლედ წარმოგვიდგება. სიახლეა ისიც, რომ პალოზე დაბმულ ამირანს მონადირე ათავისუფლებს. ეს კი რაჭული ჩანაწერის სპეციფიკუ-რობაა, ხოლო ვარიანტში „სირა მჭედელი“ დალი კოშკში მცხოვრებ მზეთუნასავადაა წარმოდგენილი. სირა მჭედელს მასთან ამირანი ეყოლა. ე.ი. რაჭულ ჩანაწერებში ქალღმერთი დალი სახელდები-თაც არის წარმოდგენილი. ამასთანავე დასტურდება ტრანსფორ-მაციის გზები და საფეხურებიც.

ამირანის წარმომავლობაზე დედის ხაზით განსაკუთრებით საინტერესო აღმოჩნდა გურული ჩანაწერი „კალმახელა“, იგი გამო-ირჩევა რთული სიუჟეტური აღნაგობითა და თემატიკური მრავალ-ფეროვნებით. მასში პირდაპირაა თქმული, რომ ამირანი დალისა და მონადირე კალმახელას შვილია. ნაწარმოებში საინტერესოა მონადირისა და დალის შეხვედრა: „ნადირობით დალლილმა კალ-მახელამ ხრამს აქეთ დაიძინა. სიზმარში უცხო ფრინველი მო-ფრინდა, მხარზე დაჯდა და გააფრთხილა, კალმახელავ, თუ გინ-და, ბედნიერი იყო, ამ ხრამის ძირში მდინარე რუმაა, იმის იქით არ გადახვიდე, თუ არა დიდ გასაჭირში ჩავარდებიო... კალმახელას გაელვიძა და ხრამს იქით, გაღმა კლდეში თვალი მოჰკრა ოქროსფერ სინათლეს... გადაწყვიტა, რაც უნდა მომივიდეს, უნდა ვნახოო, იქი-ნე რა სინათლეაო. კალმახელამ დეილმუვლა მგელივით და ნაგარი-დან თვალებბრიალა მგელი გამოვიდა. კალმახელა შეაჯდა მგელს ზურგზე. მგელი ჩევიდა ხრამში და მდინარეზე გეიყვანა“ (რეზვააშ-ვილი 1964: 216-240). ტექსტს თან ახლავს მთქმელის შენიშვნა, რომ: კალმახელა მგელთან და დათვთან დამეგობრებული იყო. – იგინიც მონადირეებია და მონადირე მონადირეს არ ერჩის... კლდის ძირში კალმახელამ გველი შეამჩნია, ქვას ნამოავლო ხელი და უხსენე-ბელისათვის უნდა ესროლა.... უხსენებელმა უთხრა: არ მომკლა და მიზანს მიგაღწევინებო. კალმახელამ ქვინი ხელი დაუშვა და უბრ-ძანა – თუ ამ კლდის ნათელ გამოქვაბულამდე ასვლაში მომებმა-რები, არ მოგკლამ. უხსენებელმა უპასუხა: იმ გამოქვაბულში ყველა ნადირთა მფლობელი დალი ცხოვრობს. მე მისი მცველთაგანი ვარ... ამ კლდეზე ასვლა კაცისაგან შეუძლებელი საქმეაო. ადი ამ მთაზე, დაუპირისპირდი გამოქვაბულს, ჩამაუშვი ბანარი... დილით მზეი რუმ ამუა, მაშინ გააკეთე აი საქმე. სხვა დროს დალს ღვიძავს და მის

თვალების შემოხედვას ვეღარ გადაურჩებიო. გველმა თავისი სიტყვის სიმტკიცედ თავისი მონაცევალი ტყავი (პერანგი), რომელიც ქვის ქვეშ იყო, გადასცა (პერანგი). კალმახელამ ტყავი წელზე შემოხვია... (რეხვიაშვილი 1964: 216-240). როგორც ვხედავთ, უხსენებელმა ძალზე მნიშვნელოვანი საიდუმლო გაუმჯდავნა კალმახელას. მონადირემ შეძლო დალის საბინადრო გამოქვაბულში ჩასვლა. ხშირად დადიოდა დალთან და ეყოლა ვაჟი (ამირანი). ამირანიანის სვანური ვარიანტებიდან კარგადაა ცნობილი, რომ დალი შვილის ნაადრევად დაბადების შემდეგ, კვდება. გურიაში მოძიებული ჩანაწერით კი პირიქით, ცოცხალი რჩება, მაგრამ ოქროსფერი თმის ნაცვლად მუქი ფერის თმა ამოუკიდა თავზე, სიმსუბუქეც დაკარგა, კლდიდან კლდეზე ვეღარ ხტება... ერთადერთი შემთხვევაა ძეგლის კვლევის ისტორიაში, რომ ნადირთ პატრონი დალის გამოქვაბულს ადამიანთა საუფლოსთან საიდუმლო ხვრელით აქვს კავშირი, რომლის მცველი უხსენებელია. ალბათ გასახსენებელია ამონარიდი-დან უხსენებლის მიერ მონადრე კალმახელასადმი თქმული სიტყვები: მე დალის ერთ-ერთი მცველთაგანი ვარ. ე.ი. ივარაუდება, რომ დალის მცველები სხვა სულიერი ძალებიც არიან, მათი ვინაობა არაა გამულავნებული. ეს კი მრავალმხრივაა დამაფიქრებელი. თვით ნადირთ პატრონი დალიც მრავალნაირი ნიშანთვისებებითაა წარმოდგენილი, მათ შორის ისეთით, როგორიც სვანურ ვარიანტებშიც ალარ დაიძენება. ამ აზრით თვალში საცემია კალმახელა-სადმი უხსენებლის სიტყვების გახსენება: დალის გამოქვაბულში მანამდე უნდა ჩახვიდე „სანამ მზეი ამუა“, სხვა დროსო დალს ღვიძავს და მისი თვალების შემოხედვას ვეღარ გადაურჩებიო“... ზოგადად უნდა შევნიშნოთ, რომ უხსენებლის ამგვარი ნიშან-თვისებებით წარმოდგენა სრული სიახლეა ამირანიანის კვლევის ისტორიაში. იგი საგანგებო დაკვირვებას საჭიროებს. ამონარიდში სხვა სიახლეებიცაა, მათ შორის გველის პერანგთან დაკავშირებული, მაგრამ მათზე ალარ შევჩერდებით.

მკვლევართა აღიარებით, ამირანის ჩამომავლობა ორიგინალური ფორმითა და არქაულობით აფხაზურ ვარიანტშია „აბსკრილი“ შემონახული (ბლაშბა 1960: 75). გადმოცემა გვაუწყებს, რომ აფხაზეთის ერთ-ერთი სახელოვანი ოჯახის ქალიშვილმა აღთქმა მისცა ღმერთს, რომ ქალწულად დარჩენილიყო. რამოდენიმე წლის შემდეგ ეს ქალწული დაორსულდა. მშობლები დარწმუნებულები

იყვნენ, რომ მათი ქალიშვილი ზეგარდმო ძალით იყო ორსულად. ქალს ეყოლა ვაჟი, რომელსაც აბსკრილი უწოდეს. სამეცნიერო ლიტერატურაში ამირანის უბინოდ ჩასახვა სამართლიანადაა მიჩნეული ყველაზე არქაულ მოტივად...

საინტერესო აღმოჩნდა აჭარული ვარიანტები, მათ შორის ერთ-ერთია „დედჯალი“, № 203. მთქმელი დურსუნ ლომინას ძე მამაჭა-ძე, ჩამნერი ნოლაიდელი. მასში ამირანი ქალღმერთი დალისა და მონადირის შვილია. საგანგებოდ უნდა აღინიშნოს, რომ აჭარული ვარიანტები გამოკვლეულია თ. შიომშვილის წერილებში (შიომშვილი 2004: 176-193). ჩვენ მთლიანად ვემყარებით მას. მკვლევრის აზრით, „აჭარაში ამირანის თქმულების მეტ-ნაკლებად სრულყოფილი ვარიანტები დაფიქსირებულია 1959 წელს. ჯემალ ნოლაიდელს ქედის რაიონის სოფ. ცხმორში ჩაუწერია შედარებით სრულყოფილი ვარიანტი, რომელიც იმეორებს ამირანის კლასიკური ვარიანტების ეპიზოდებს. მკვლევარი ასევე სრულყოფილ ვარიანტად მიიჩნევს სოსო ბერიძის მიერ შუა ხევის სოფ. დარჩიძებში მუსტაფა უსეინის ძე ფუტკარაძისაგან ჩანსრილ თქმულებას „დედჯალ ოხრუჯი“, რომელიც აგრეთვე სრულყოფილ ვარიანტად უნდა ჩაითვალოს (5.94-9).

თ. შიომშვილის აზრით, „ცხმორისეული თქმულების ამირანი, ზოგადქართულის მსგავსად, მონადირისა და კლდის მობინადრე ოქროსთმანი ასულის პირმშოა. იგი დროზე ადრე დაიბადა, რადგან მონადირის ცოლმა მის ქმართან მძინარე ქალს თმა შეაჭრა. დედამ მონადირეს ჩააბარა ახალშობილი და დაუბარა, ირმის რძით გაზარდეო. მონადირემ ჩვილი ირმისავე ტყავში გაახვია. მონადირეს ყავს შვილები: ბადრი და იესოფი. ამ მესამე შვილს დაარქვა დედჯალი. სამი ძმები არიან ახლა, დედჯალი ყველაზე უმცროსია, მარა პირველი გადის დევებთან ბრძოლაში“. მკვლევარი სხვა ვარიანტებსაც მიმოიხილავს და ბევრ საინტერესო მოსაზრებებს გვთავაზობს, მაგრამ მათზე არ შევჩერდებით. ასე, რომ დასავლეთ საქართველოს ბარის კუთხეთა ვარიანტების მიხედვით ამირანის დედა ქალღმერთი დალია...

მკვლევართა განსაკუთრებული ყურადღება თავიდანვე მიპყრობილი იყო ამირანის აღმოსავლეთ საქართველოს მთისა და ბარის ვერსიებზე. საინტერესო მოსაზრებებიცაა გამოთქმული, მაგრამ ტექსტოლოგიური კვლევა მნიშვნელოვნად ნაკლებია. ყურადღების

მიღმაა დაოჩენილი ქალღმერთ დალის კულტთან დაკავშირებული ფოლეკლორული და ეთნოგაფიული მასალბი, რიტუალები, ხატის კარზე შესრულებული სამონადირო შინაარსის როკვა-სიმღერები, თვით მეცნიერული კვლევა-ძიების შედეგებიც. მოკლედ, არაა სრულად გათვალისწინებული აღმოსავლეთ საქართველოს კუთხეთა ჩანაწერები, რელიგიური რწმენა-წარმოდგენები, რომლებიც გენეზისურად საერთო-ქართულ საფუძვლებიდან იღებს სათავეს. ამ აზრით საინტერესო აღმოჩნდა ცნობილი ფოლეკლორისტის დავით გოგოჭურის მრავალმხრივ საყურადღებო ნაშრომი, „ქართული სამონადირო პოეზია“ (გოგოჭური 1990: 97-101). მკვლევარი საგანგებოდ მიანიშნებს, რომ: „დალის კულტის ანარეკლი სხვადასხვა გაეცითა და ფორმით დღემდე შემორჩა მთას, მაგრამ ამ საკითხზე მკვლევრებს დღემდე ყურადღება არ გაუმახვილებიათ. ეთნოგრაფიულ ლიტერატურაში დამონმებულია, რომ ლიქოკელი ჯვრის შუბნურის თავდაპირველი სახელი დალი ხაჯი ყოფილა. ანატორის მთავარანგელოზს ქისტები ამჟამადაც ოჩი დალით იხსენიებენ. ბუჩქურთის მწვერვალზე – საჩალეზე ძველად ყოფილა „ნინაკაცთა სალოცავი, რომელსაც სიმურ დალი რქმევია. დალის კულტის სახელი ფიგურირებს არა მარტო მთის რეგიონში, არამედ ბარშიც – ნითელწყაროს რაიონში, ივრის შესართავთან, არის ტოპონიმი დალის გორა. კიდევ მეტ ინტერესს იწვევს ფერხისული სიმღერები, რომლებიც თავდაპირველად საკულტო რიტუალებთან უნდა ყოფილიყო დაკავშირებული. ხატის კარზე შესრულებული ამ როკვა-სიმღერის ტექსტიად სამონადირო ნაწარმოებებს იყენებდნენ. ჯიგვთა ნუ მისდევ“ (ფ. არქ. კ. 14, გვ. 17). მკვლევრის აზრით, „სამონადირო ნაწარმოებთა ხატის კარზე ფერხულით შესრულება საფუძველს გვაძლევს ვივარაუდოთ, რომ ეს რიტუალი ნადირთა ღვთაების დალის პატივსაცემად იყო დაწესებული. ამ ვარაუდს აძლიერებს ის ფაქტიც, რომ ფერხულის შესრულების დროს ტექსტის ყოველი მუხლის დასასრულს ემატება დალის სახელის შემცველი რეფრენი: დალალალო, დალი დალალო“ (ქუთ. მუზ. 1618, 33). მკვლევრის სამართლიანი დაკვირვებით „დალის სახელის ასეთი ხშირი დაკავშირება მთის ტერიტორიაზე არსებულ ხატ-სალოცავებთან და მისი ფართოდ შემორჩენა ზეპირსიტყვიერებაში იმაზე უნდა მიუთითებდეს, რომ ნარსულში ნადირთა ღვთაება დალი

ერთნაირად სწამდათ მთელ საქართველოში. მისი კულტის არე საქართველოს საზღვრებს სცილდება და იგი ვაინახურ ტომებსაც სწამდათ. მიუხედავად ამისა, არც გადმოცემებსა და არც პოეზიაში დალი თავის პირვანდელი ფუნქციით აღმოსავლეთ საქართველოს მთიელთა შორის აღარ ჩანს. ყველა იმ სალოცავს, რომელსაც გადმოცემები ამა თუ იმ ფორმით დალის სახელს უკავშირებენ, ახლა სრულიად სხვა, უმეტესად ქრისტიანული, სახელი ჰქვია. ქალღმერთი დალის ფუნქციათა თანდათანობით დაქვეითებისა და დაცემის პროცესთან მიმართებით დაგოვოჭური საინტერესო მოსაზრებას გვაწვდის: „თემური ცხოვრების გარკვეულ ეტაპზე, როგორც ჩანს, ნადირობის ღვთაებამ თანდათანობით დაკარგა პირვანდელი მნიშვნელობა და მისი ადგილი, როგორც ადამიანთა რწმენაში, ისე ტერიტორიულადაც მესაქონლეობისა და ლაშქრობის მფარველმა ღვთისშვილებმა დაიკავა. დალის ფუნქცია კი თანდათანობით დაქვეითდა და ნადირობის ღვთაების – ოჩი და-ლის ნაცვლად ნადირთა მწყემსად, ოჩიპინტედ იქცა... ამ დროიდან ნადირთა მფარველ დალს წინ მესაქონლეობის მფარველმა კვი-რიამ გაუსწორ.... ქრისტიანობის დამკვიდრების შემდეგ კი ახალმა რელიგიამ წარმართულ კულტებს და მათ შორის დალის კულტ-საც მტკიცედ შეუტია... ამჟამად, ძველი რელიგიური გადმოცე-მების საუკეთესო მცოდნებსაც აღარ ახსოვთ, რომ აღმოსავ-ლეთ საქართველოს ტერიტორიაზე ნადირობის ხატ-სალოცავი ყოფილიყო“. მკვლევრის დასკვნით: „არსებული მასალების მი-ხედვით მიგვაჩინია, რომ ნადირობის ღვთაება დალი უძველეს წარსულში სხვა ქართველ თუ არაქართველ ტომებთან ერთად, აღმოსავლეთ საქართველოს მთიელთა წინაპრებსაც სწამდათ, და, თანაც ადგილობრივ დარგობრივ ღვთაებათა პანთეონში მას ერთ-ერთი მთავარადგილთაგანი უნდა სჭეროდა“. დ. გოგოჭური ვრცლად მიმოიხილავს ხატისათვის ნადირის რქების შენირვის ტრადიციას და ასკვნის, რომ „ხატის ნაგებობათა რქებით მორ-თვა-შემკობა, ჩვენ გვაფიქრებინებს იმას, რომ შესაწირი თავ-დაპირველადვე ნადირობის წარმართულ ღვთაებასთან – დალის-თან იყო დაკავშირებული. იგი დალის სალოცავები დან გადმოვიდა და შემორჩა მის ადგილზე დაარ-სებულ სხვა ღვთაებათა სალოცავებს, ხოლო თვითონ დალი კი, როგორც ღვთაება, დავიწყებას მიეცა და დრო-

თა განმავლობაში ხალხმა მისი როლი მთლიანად ოჩოპინტეს, ანუ ნადირთა მწყემსს მიაკუთვნა, რომელიც ნადირთა უბრალო მწყემსია და არა ღვთაება” (გოგოჭური 1990: 97-100). დამონშებული ციტატებიდან განსაკუთრებით საინტერესოა, რომ ადგილობრივ დარგობრივ ღვთაებათა პანთეონში დალის ერთ-ერთი მთავარი ადგილთაგანი უნდა სჭეროდა. ზუტად ანალოგიური არა, მაგრამ ოდნავ განსხვავებული ფორმით იგი სვანურ რწმენა-ნარმოდენებშიც დასტურდება. სწორედ ამ აზრითაა საინტერესო დალის ხეობაში მოძიებული მასალა. აქ ნადირთა პატრონის კულტი იმდენად ძლიერი იყო და არის კიდეც, რომ იგი მთელი ხეობის მფარველ არსებადაა მიჩნეული, მის სახელზე სალოცავია აშენებული, მსხვერპლსაც სწირავენ და ლოცვა აღესრულება. ეს კი არსებითი ხასიათის სიახლეა ქალღმერთი დალის კვლევის ისტორიაში, ფართო გაგებით კი ქართული კულტურის ისტორიაში. მთქმელის გადმოცემით დალის ხეობაში სამი ეკლესია დგას: ერთი შიყერში, მეორე – აჯარაში, მესამე ჩხალთაში. საინტერესოა, რომ შიყერში ნაეკლესიარზეა აგებული დალის სალოცავი. ადგილობრივი მოსახლეობისათვის ყველა დღესასწაულთა შორის (გიორგობა, ლამარიობა, უფლისობა, ალდგომა, ქალების დღესასწაული დუღლობა), უმთავრესი ქალღმერთი დალისადმი აღლენილი ლოცვა-ვედერება იყო. დამონშებული მასალა და ძალიან რთული გასააზრებელია. მოულოდნელია რას ნიშნავდა, როგორ გავიგოთ, რომ წარმართული ღვთაება ქრისტიან არსებებთან (უმაღლესი იერარქიული საფეხურის ღვთიურ ძალებთან) ერთად იხსენიება? ვფიქრობთ, რომ კომენტარია საჭირო. უპირველეს ყოვლისა, აქ იმის აღნიშვნა აუცილებელია, რომ საქმე გვაქვს რელიგიურ სინკრეტიზმთან; მეორე, დამოუკიდებლად დალის უფლება-მოსილებები გაფართოებულადაა წარმოჩნდი, იგი არ შემოისაზღვრება მონადირესთან მხოლოდ იმგვარი უფრთისებით, როგორიც სამეცნიერო ლიტერატურაშია აღნერილი. თვით მთქმელის სიტყვებიც არ უნდა გავიგოთ ისე, თითქოს ქრისტიანულ ღვთაებათა (არსებათა) უფლება-მოსილებები ნაკლები იყოს ან არ აღემატებოდეს დალისას. დამონშებულ ტექსტში ძნელად ამოსაცნობი, ღრმა აზრია ჩადებული. საგანგებოდ უნდა დავძინოთ, რომ წადირთა პატრონი ლოკალურად შემოსაზღვრული სივრცის, დალის ხეობის მფარველია. მისი

ძალმოსილება ამ ხეობის იქით არ ვრცელდება ისევე, როგორც ეს ფშავ-ხევსურული მითოლოგიის მიხედვით კოპალასა და იახსარის საბრძანისებია შემოსაზღვრული. ამიტომაა მისდამი ლოცვა-ვედ-რება და კულტი განსაკუთრებული ძალისა ამ არეალში. დალის ხეობაში კიდევ დაიძებნება მნიშვნელოვნად საინტერესო მასალა, მაგრამ მათზე ამჯერად აღარ შევჩერდებით...

ტექსტოლოგიურმა კვლევა-ძიებამ დაადასტურა, რომ ქალ-ლმერთი დალი არა მარტო ამირანის დედაა, არამედ ქართული მი-თოლოგიის კულაზე პოპულარული პერსონაჟია. მისი კულტი, ფუნქციები, მრავალნაირი ფორმითა და შინაარსით თანაბარი სიძლიერითაა წარმოჩენილი აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს მთისა და ბარის ფოლკლორულ-ეთნოგრაფიულ მასალასა და რწმენა-წარმოდგენებში.

დამოცვებანი:

აფხაზური ზღაპრები 1956: აფხაზური ზღაპრები (შეადგინა და დაამუშავა ს.ბლაშბამ). 1956.

გოგოჭური 1990: გოგოჭური დ. ეს უძღვერია პაპასა. თბილისი: გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, 1990.

ვირსალაძე 1964: ვირსალაძე ელ. ქართული სამონადირო ეპოსი. თბილისი: გამომცემლობა „მეცნიერება“, 1964.

თსუფა: ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფოლკლორული არქივი.

რეხვიაშვილი 1964: რეხვიაშვილი ნ. ქართული ხალხური მეტალურგია. თბილისი: გამომცემლობა „მეცნიერება“, 1964.

ფ.ქ.: შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის ფოლკლორის განყოფილების არქივი.

შიომშვილი 2004: შიომშვილი თ. ამირანიანი აჭარის ფოლკლორში. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, ბათუმის შოთა რუს-თაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი. შრომები, VI. ბათუმი: 2004.

ჩიქოვანი 1947: ჩიქოვანი მ. მიჯაჭვული ამირანი. თბილისი: საქ. სსრ მეც. აკადემიის გამომცემლობა, 1947.

ჩიქოვანი 2010: ჩიქოვანი მ. (შემდგენელი). „ამირანიანი“. ხალხური პროზის მრავალტომეული. ტ. I (ხელნაწერი, ინახება ქართული ლიტერატურის ფოლკლორის განყოფილებაში). 2010.

Otar Oniani

New Materials on the Origin of Amirani

Summary

The origin of Amirani is wrapped in a mystery. The research conducted in this direction is based on the previously elaborated views rather than on the conclusions obtained as a result of accurate textual observations. In traditional studies, archival material has not been fully taken into account. This is especially true for the local variants of the lowland parts of Western Georgia: Imeretian, Rachian, Gurian, Ajarian and Abkhazian records. These records offer a lot of new data... They clearly state that Amirani was the son of Dali, a Caucasian goddess of the hunt. According to this view, we are dealing with a full regularity in the records of the mountain and valley areas of Western Georgia. As a result of recent research, it has been established that the cult of Dali in folklore-ethnographic materials of the mountain regions of East Georgia. It is known that the original name of the goddess Shubnuri of Lokokeli Jvari was Dali Haji and even today the Kists of Anatori Chief Angle refer to her as Ochi Dali. In the old days in Sachale there was a sacred shrine called Simur Dali. There is a toponym Dali in Tsiteltskaro district near the Iori basin. In the versions recorded by Fida Kvitsinadze in the village of Berusheti of Gori region Amirani's mother is Dali... Thus, traditionally, the cult of Dali was equally spread in the beliefs and folklore-ethnographic materials of Georgia's highland and lowland provinces but in its full form and archaism it was preserved in Svan folklore.

ნინო საბაძე

ბეოვულფისა და ამირანის ჰუბრისი

ჰუბრისი დამღუპველია. დასასრული ყოველთვის ერთია და გარდაუვალი. ყველა გმირი, ვინც მისწვდა მწვერვალს, ვერ ასცდა დაცემას. ეს ყველა მათგანს აერთიანებს. ბეოვულფსა და ამირანს შორისაც იკვეთება მნიშვნელოვანი პარალელები, საერთო პრობლემატიკა, გზის სირთულე და საბედისწერო დასასრული, რომელსაც მრავალი მცდელობის მიუხედავად, ვერც ერთი გმირი ვერ გაექცა.

„ბეოვულფი“ ანგლოსაქსური საგმირო ეპოსია. პოემა მოგვითხრობს გითი უფლისწულის ბეოვულფის გველეშაპებთან ბრძოლების ამბებს დანიისა და მშობლიური გითლენდის დასაცავად. „ბეოვულფი“ არის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ძეგლი ძეველ ინგლისურ პოემებს შორის; ის არ არის ისტორიული მნიშვნელობის დოკუმენტი და არც მთავარი გმირია ისტორიული პირი. პოემის მთავარი თემა ბოროტისა და კეთილის ჭიდილია. თხზულებაში გამოხატული სიბნელისადმი შეიში და გმირული ბუნება. ეპოსი ასევე წარმოაჩენს ანგლო-საქსთა ფართო წარმოსახვას, მკვეთრადაა ნაჩვენები მათი მსოფლმხედველობა (ბეოვულფი 1989: 212).

ბეოვულფი არის მითოლოგიური მოტივებით უაღრესად მდიდარი ინგლისური საგმირო ეპოსი. პოემა შექმნილია ინგლისში, ნორმანთა დაპყრობამდე, ალბათ, ოთხი საუკუნით ადრე, ჩვენი წელთაღრიცხვით დაახლოებით მერვე საუკუნეში. ეპოსში კი დახატულია მეექვსე საუკუნის გითების, დანიელთა და შვედთა სოციალური ყოფა, ძველ ინგლისური პოლიტიკა და კიდევ ბევრი სხვა მნიშვნელოვანი საკითხი. ეპოსი მდიდარია ფოლკლორული მოტივებით. ნაწარმოების უცნობი ავტორი, როგორც ჩანს, ეყრდნობა ზეპირსიტყვიერ ტრადიციას.

„ბეოვულფის“ ავტორი უცნობია. დაწერილია დასავლურ-საქსურ დიალექტზე. ბეოვულფის ხელნაწერი ბრიტანეთის, კერძოდ ლონდონის ბიბლიოთეკაში ინახება. ერთ დროს დიადი პოემა დღესდღეობით დაზიანებული ნაწყვეტების სახითაა შემორჩენილი. არსებული მანუსკრიპტი სულ მცირე ორ სხვადასხვა ხელნაწერზე დაყრდნობით არის შედგენილი (A. Orchard 2003).

ზუსტად არავინ იცის, როდის, ვის მიერ ან რისთვის შეიქმნა „ბე-ოვულფი“. მხოლოდ ერთადერთი მანუსკრიპტი გადარჩა მას მერე, რაც ჰენრი მერვემ მონასტრები დაშალა და ბიბლიოთეკები დაარბია. „ბეოვულფის“ გადამრჩენად შეგვიძლია ჩავთვალოთ ლორენს ნოუელი, მეთექვსმეტე საუკუნის სქოლარი, რადგან ერთ-ერთ ფოლანტს მისი სახელი აწერია. მანუსკრიპტი ორ სხვადასხვა ხელნაწერს წარმოადგენს: ხოლო თუ რამდენი ხელნაწერი არსებობდა, ან რამდენად ახლოა ეს ვარიანტი ორიგინალთან, ალბათ, ვერასდროს გავარკვევთ. უეჭველია, რომ ცუდმა ყდამ, და ამას დამატებულმა საბედისწერო ხანძარმა 1731 წელს, დროთა განმავლობაში, სერიოზულად დააზიანა მანუსკრიპტი (ბეოვულფი 1989: 162).

„ბეოვულფის“ ეპოსის ტიპოლოგიური შესწავლა ქართული ფოლკლორისტიკისთვის მნიშვნელოვანია, რადგან ეს საკითხი დღემდე მეცნიერულად დამუშავებული არ არის. როსტომ და პა-ატა ჩხეიძეებმა შესანიშნავად თარგმნეს ბარტონ რაფელისეული ახალინგლისური პოეტური თარგმანი, თუმცა პროცესში გათვალისწინებული იყო დევიდ რაიტის პროზაული თარგმანიც. ეპოსი ქართულ ენაზე გამოიცა 1989 წელს, წიგნს ბოლოში დართული აქვს ბარტონ რაფელის, რობერტ კრიდისა და დევიდ რაიტის წინასიტყვაობებისა და ბოლოსიტყვაობების თარგმანები. დღესდღეობით ქართულ ენაზე არ მოიძებნება ამ ტექსტის გამოკვლევა ან განხილვა, შესაბამისად არ ვიცით რა მიმართება შეიძლება მოიძებნოს ძველ ინგლისურ საგმირო ეპოსსა და ქართული ფოლკლორისათვის ნაცნობ გმირებს შორის, ამდენად უფრო მნიშვნელოვანია ეპოსის შესწავლა და პარალელების გამოვლენა ქართულ მითოლოგიასთან მიმართებაში. ბეოვულფის საგმირო ეპოსი ნამდვილად ამჟღავნებს სიახლოეს ქართულ ფოლკლორულ ტექსტებთან. მართალია, ბეოვულფი ქრისტიანულ ეპოქაში დაიწერა, მაგრამ ის უძველესი ფოლკლორული ტრადიციით სარგებლობს. მნიშვნელოვანი და საინტერესოა ძველ ინგლისურ ძეგლში ქართული ეპოსისთვის დამახასიათებელი მოტივების მოძებნა, რაც შეიძლება ტიპოლოგიით იყოს განპირობებული და დაგვანახებს იმ მოტივებს, პრობლემებსა და განვითარების გზებს, რომლებიც საერთოა ყველა ხალხისთვის.

საერთო მოტივები იძებნება ბეოვულფის ეპოსსა და ქართულ ამირანიანს შორის: ბეოვულფის გველეშაპებთან ბრძოლა და ამავე დროს ქართულ ფოლკლორში გველეშაპთან მებრძოლი გმირების

მსგავსება მასთან, საერთო და განმასხვავებელი ნიშნების მოძებნა მათ შორის.

ლორდ რაგლანი აღნიშნავს, რომ ტრადიციული გმირების ცხოვრების გზა ეპიზოდებად შეიძლება დაიყოს, მნიშვნელოვანია ის, რომ თქმულებებში, ასე თუ ისე, უმეტესად მაინც, ერთი და იგივე შემთხვევები მეორდება, ხოლო ტიპურად შეიძლება ჩაითვალოს შემთხვევები, რომლებიც თქმულებიდან თქმულებაში მეორდება. რაგლანმა შენიშნა, რომ ყველა ეპიზოდი საერთო მოდელის ნაწილი იყო და უმნიშვნელო ეპიზოდებიც კი ამ ძირითად მოდელს ეკუთვნოდა (რაგლანი 1934: 212). ბეოვულფის ავტორიც ემყარება მითოლოგიურ ტრადიციას და ეპოსში გვხვდება შემდეგი ეპიზოდები: ბეოვულფის დედა სამეფო საგვარეულოს წევრია, არაფერი ვიცით გმირის ბავშვობაზე, ბეოვულფი მიდის გველეშაპებთან და ურჩეულებთან საომრად, მეფედ ეკურთხება და გარკვეული პერიოდი მშვიდად მეფობს და საბოლოოდ დრაკონებთან ბრძოლაში იღუპება.

ბეოვულფზე მკვლევართა ნაწილი თვლის, რომ ის რეალური ისტორიული პირია, მაგრამ მისი ისტორიულობა არ არის არსებითი, რადგან გმირთა თავგადასავალი ეპოსებში ისე უნდა გადმოცემულიყო, რომ ტრადიციული გმირის თავგადასავლის მოდელს მისადაგებოდა.

ბეოვულფი საგმირო-სათავგადასავლო ეპოსია, გამდიდრებული მითოლოგიური მოტივებითა და ელემენტებით. ინგლისურ საგმირო ეპოსსა და ქართულ ფოლკლორულ ტექსტებში ყველაზე მეტად აღსანიშნავია ბეოვულფისა და ამირანის მსგავსი გზა, რასაც მათი ჰუბრისი განაპირობებს; გველეშაპებთან ბრძოლა, რაც კავშირს ავლენს ქართულ მითოლოგიასთან და ჰუბრისი, რაც გადამწყვეტ როლს თამაშობს გმირთა ცხოვრებაში და წარმართავს მათ ბედს.

პოემის მთავარი პერსონაჟია ბეოვულფი. ის გმირია, რაც მრავალ ბრძოლაში დაუმტკიცებია კიდეც. ბეოვულფი გითია (გითები ჩრდილო გერმანიკული ტომის წარმომადგენლები იყვნენ და ცხოვრობდნენ გითლენდში, დღევანდელი შვედეთი), ჰიგლაქის მოყმე, მას მშობლები გარდაცვლილი ჰყავს და თავისი ბიძის, დედის ძმის, ჰიგლაქის კარზე მოღვაწეობს, მაგრამ როგორც კი გაიგებს, რომ დანიელები გასაჭირში არიან და მათ საკუთარი ძალით არ შეუძლიათ გაუმკლავდნენ ურჩეულს, გადაწყვეტს, რომ მათთან

წავიდეს დასახმარებლად. ამ გადაწყვეტილებაში, რა თქმა უნდა, იკვეთება მისი გმირული სული და ჩანს დიდი ჰუმანიზმიც. ის მზა-და დაეხმაროს ყველას, ვინც გასაჭირშია, არ ფიქრობს იმაზე, რომ თავს საფრთხეში იგდებს. მისთვის უმთავრესია, სუსტს დაეხმაროს, სიკეთისა და სამართლიანობის მხარეს დადგეს. ის თოთხმეტ სა-უკეთესო კაცს ამოარჩიეს, რათა მორეულ გზას გაუდგეს. ფაქტობ-რივად, აქედან იწყება კიდეც მისი მოგზაურობა და თავგადასავა-ლი. ბეოვულფი გმირია, რომელიც ურჩხულებთან შერკინებისთვის არის მოწოდებული, ხან საკუთარი ნებით, ხანაც განვების ძალით, მაგრამ ეს ის წრეა, საიდანაც მისი გამოსვლა თითქმის შეუძლებელია.

დანიაში ჩასული ბეოვულფი ნადიმზე თავს გადახდენილ ბრძო-ლებს იხსენებს: მას ხუთი გოლიათი ჰყავდა დაბმული, მისთვის ურ-ჩხულებთან შებმა უცხო არ იყო, თუმცა მისი ოკეანეში ბრძოლების მიზანი გველებაპებისგან ზღვის გათავისუფლება იყო, რათა ადა-მიანებისთვის უსაფრთხო გაეხადა ზღვაში გასვლა. ეს არ ყოფილა მხოლოდ შეჯიბრი ან გმირობის დამტკიცება, რომ ის იყო ძლიერი და სხვა მებრძოლებზე უპირატესი. მისი მიზანი ბოროტების მოს-პობა და აღკვეთა იყო.

ბეოვულფი იოლ გზას არ ეძებს, ის არ ერიდება ხითათს. უში-შარია, საკუთარი თავის და უფლის შემწეობის იმედი აქვს. განვე-ბას მიანდობს ბოროტისა და კეთილის გამორჩევას, თუ ვის უნდა მიანიჭოს გამარჯვება, რომელი მებრძოლია ღირსეული. ბეოვულ-ფის მიზანია, რომ ხალხს სიკეთე მოუტანოს და სახელი განიდი-დოს, ბეოვულფი იმ საზოგადოებას ეკუთვნის, რომელსაც სწამს, რომ ადამიანის უპირველესი მოვალეობა სახელის მოხვეჭა, რომ ადამიანის ამქვეყნიდან გამგზავრების შემდეგ, რჩება სახელი, რო-მელიც მუდამ იცოცხლებს. ბარტონ რაფელი წერს, რომ „ბრძოლა ცხოვრების წესია, აუცილებელი ფუნქცია საზოგადოების უმაღლე-სი წევრისთვის“ (ბეოვულფი 1989: 169). ბეოვულფის მიზანიც ესაა, რომ ხალხს მუდამ ახსოვდეს მისი გმირობა, მაშინაც, როცა ამქვეყ-ნად აღარ იქნება. გმირს სახელი სწყურია და ამისთვის არაფერი დაუშურებია, ხუთი გოლიათი დაუბამს და ცხრა ურჩხული მოუკ-ლავს. როცა დანიელთა გასაჭირის შესახებ გაიგო, არც კი უყოყმა-ნია, ისე გადაწყვიტა წასვლა. მან ურჩხული გრენდელი და მისი დე-დაც დაამარცხა, რათა ხალხს უშიშრად ეცხოვრა, დამით მშვიდად დაეძინა და შეეწყვიტა წყვდიადის შიშით ცხოვრება.

სახელის დატოვება – ეს იყო ადამიანის მთავარი და ძირითადი დანიშნულება იმ საზოგადოებისთვის, რომელსაც ბეოვულფი ეკუთვნოდა. მან ისეთი რამ ჩაიდინა, რითაც თავის სახელს სამარადჟამოდ უკვდავყოფს. ბარტონ რაფელის თქმით, „(სიკვდილი მათი მოღვაწეობის უმაღლესი შედეგია): ისინი სხორ, ჭეშმარიტ ბილიქს მიჰყვებიან; მათ სიტყვებში, მათ ფერებში, მათ ღვაწლში განხორციელებულია ანგლო-საქსური ცხოვრების წესი“ (ბეოვულფი 1989: 169).

ბეოვულფი არც ერთ ბრძოლაში არ რჩება მარტო, ის ყოველთვის უფლის იმედით არის. იცის, რომ უზენაესი შეენევა, არ მიატოვებს, ის განსჯის ბოროტს და მართალს, ლირსეულ გამარჯვებას კი მხოლოდ მას მიანიჭებს, ვინც ამას იმსახურებს. ამ დიდი რწმენით აღვსებული მიდის ურჩხულ გრენდელთან საბრძოლველად და შემდეგ უკვე მის დედასთან შესარკინებლად. როცა ტბის ფსკერზე უნდა ჩავიდეს, იმ ადგილას, რომელსაც ყველა უფრთხის და ვერავინ გაპკარებია, ირემსაც კი არ სურს, რომ წყურვილი მოიკლას, აქ ჩანს ქრისტიანი ავტორის კვალი და ბიბლიური აღუზია, ტბა იმდენად შემაძრნუნებელია, რომ ირემი სიკვდილს უფრო არჩევს, ვიდრე მასთან მიახლოებას, მაგრამ გმირი რწმენითაა აღვსილი და იცის, რომ თუ უფალი მასთან იქნება, ამ მძიმე ბრძოლაშიც კი, ის ყველაფერს შეძლებს. ეს მისი იარაღია, რომელსაც ვერანაირი ბოროტება ვერ დაუპირისპირდება ან დაამარცხებს. ტბაში ბრძოლისას ჩანს, რომ ერთ მომენტში გმირი უძლურია, ურჩხული სცემს და მხოლოდ ჯაჭვის პერანგილა იცავს, მართალია, იბრძვის, მაგრამ იარაღი არაფერს არგებს, რადგან ამ კანს მახვილი ვერ გაპკვეთდა, ამიტომ საკუთარი ძალებისა და რწმენის იმედად დარჩა. თითქოს განწირულია, რომ არა სასწაული, უცბად კი თვალს შეავლებს უძველეს გოლიათთა გამოჭედილ იარაღს, რაც მისი გამარჯვების საშუალება ხდება. პირველ ბრძოლაში კი, გრენდელთან, ბეოვულფი შიშველი ხელებით იბრძოდა და უფლის იმედადღა იყო დარჩენილი, მას სწამდა, რომ უფალი კარნახობს ურჩხულის დამარცხების გზას:

„ღვთის მაღლს მიენდო,
დახმარება ღვთის მაღლს შესთხოვა.
მოპელა ურჩხული, ისე, როგორც ღმერთმა ანიშნა,
ტორი მოპელიჯა და აიძულა

კისრისტებით გაქცეულიყო
სიკვდილის ცივ და მომლოდინე ხელებისაკენ” (ბეოვულფი 1989: 68).

ბეოვულფი რომ უფლის ნებას მინდობილი გმირია, ეს გრენდელ-თან ბრძოლის დროსაც იკვეთება:

„გამამარჯვებდა ძუ სატანა,

თუკი ღმერთი არ შემეწეოდა“ (ბეოვულფი 1989: 86)

ბეოვულფი საბოლოოდ ამარცხებს ორივე ურჩხულს და სიმშვიდეს ამკვიდრებს, მას ახარებს ის ამბავი, რომ ახლა დანიელები და ჰეროთის მკვიდრნი მშვიდად დაიძინებენ და ამის მერე შეეძლებათ შიში არ ჰქონდეთ ღამეული თავდასხმებისა. საფრთხე აღარ ემუქრება არც მოხუცს და არც ახალგაზრდას. ეს, რა თქმა უნდა, დიდი ჰუმანიზმის გამოხატულებაა. აქ ჩანს სიკეთის კეთების, ადამიანთა სიყვარულისა და დახმარების სურვილი. ბეოვულფს ახარებს, რომ ამ ადამიანებს ის დაუბრუნა, რაც ასე აკლდათ, შფოთვა წაშალა, მათი ძილი ძილს დაამსგავსა და ჩაგრული მდგომარეობიდან იხსნა. მან ყველაფერთან ერთად იმედი დააბრუნა ამ ხალხში. რწმენა, რომელიც ნელ-ნელა ურნმუნობით იცვლებოდა. რ. მ. რილკეს ერთ პროზაულ თხზულებაში თავგანწირული მხედარი, რომელმაც ქალაქი ურჩხულებისგან გადაარჩინა, არ ინდომებს თავის გაცხადებას და ყველასაგან უცნობი ტოვებს ქალაქს.

ის გარემოება, რომ ბეოვულფი იყო უცხოელი და უცხო უცხო ქვეყანაში მიდის გველებაპთან საბრძოლველად, უდიდესი ჰუმანიზმის გამომხატველია. ის არ იყო დანიელი, გველებაპთან ბრძოლა არ იყო მისი საზრუნავი, ეს მას სრულიად არ ეხებოდა. ბეოვულფს შეეძლო, რომ მშვიდად ეცხოვრა თავის მინაზე, დაფასებულად და ღირსეულად, მაგრამ როგორც კი მან გაიგო, რომ მის მეზობლებს ასე უჭირდათ, სასწრაფოდ მათ დასახმარებლად გაემურა. ის მხოლოდ თავის თავზე არ ფიქრობს, თავის ხალხზე ან მინაზე. მისთვის სხვათა ტკივილიც ისეთივე მნიშვნელოვანია, როგორც მისი იქნებოდა. ამ ყველაფერს კი ემატება მისი დაუდგრომელი ხასიათი, მას არ შეუძლია, რომ თვალი დახუჭოს ან არ შეიმჩნიოს ის გასაჭირი, მის მეზობლებს სიკვდილით რომ ემუქრება. მან იცის, რომ ის უნდა წავიდეს, თუნდაც მოკვდეს. ზოგჯერ კი თავად ეძებს ხიფათს. ახალგაზრდობაში გოლიათები და ურჩხულები დაამარცხა ღამის წკვარამში, თითქოს, ეს მისი ინიციაციის პერიოდი იყო

და შემდეგ უკვე დადგა ნამდვილი ბრძოლების დროც და როცა ეს გამოწვევა მიიღო, არც დაფიქრებულა, ისე გაეშურა. ბეოვულფს მშვიდად ყოფნა არ შეუძლია, ის თავგადასავლებისთვის და ბობოქარი ცხოვრებისთვის არის გაჩენილი. ამ ისტორიებს ან თავად ეძებს, ან ისინი პოულობენ ხოლმე მას, მაგრამ თითქოს არც უწერია, რომ მშვიდი ცხოვრებით იცხოვროს ოდესმე მაინც. რაგლანის მიხედვით, ტრადიციულ გმირს ყველაზე საოცარი ამბები დაბადებისას და ასევე ვაჟკაცებისას გადახდება, მაგრამ დაბადებასა და დავაუკაცებას შორის შუალედში არაფერი ხდება (რაგლანი 1934: 223). ზ. კიკნაძე კი შენიშვნავს, რომ ამირანის ბავშვობა „დაუოკებელი ფიზიკური ძალის გამოვლენით ხასიათდება. ეს თითქოს ცელქობაა, მაგრამ მისი მეტისმეტი სიცელქე თითქოს სამზადისია მომავალი ბრძოლებისათვის, რომლებიც მან აუცილებლად უნდა გადაიხადოს. ჩვენ გმირის ამ პერიოდს „ბობოქარ ბავშვობას“ ვუწოდებთ“ (კიკნაძე 2008: 124-125). სწორედ ასეთი ბობოქრობით ხასიათდება ბეოვულფის გზის საწყისი პერიოდიც.

გამარჯვებები კი მისი დიდი რწმენიდან მომდინარეობს, თითქოს, ძალაც ხელს უწყობს და როგორც პოემაშია შეფასებული, ბეოვულფია ის, ვინც „ბოროტების ქსელს არ უქსოვს თავის მეგობრებს, სასიკვდილოდ არ გაიმეტებს, არ უმუხთლებს და არ უმზაკვრებს.“ ეს ის თვისებაა, რომელთა გამოც გმირი კიდევ და კიდევ იმსახურებს ღვთის შენევნასა და დიდებულ გამარჯვებას. ის არის „გმირი, ვინც მხოლოდ სახელს ეძიებს: და არც მეგობრებს ხოცავს მთვრალი, განრისხებისას, არც გულმხეცია, მძლე ძალას – მფარველი ღმერთის საბოძვარს – იყენებს მხოლოდ ბრძოლებისას, მამაცურად მოიხმარს ძალას.“

ერთი პერიოდი, თითქოს მშვიდად მიედინება მისი დღეები, მაგრამ როდემდე? ორმოცდათ წელს მართავდა გითლენდს მშვიდად და მის ფიქრებს აღარ ამღვრევდა გარდასული დღეების დარღი, გოლიათები, ურჩხულები, გველეშაპები შორეულ წარსულში მოიტოვა თითქოს და მაშინ, როცა სიბერეში აუღელვებლად უნდა ემართა თავისი სამეფო და სიკეთით დამტკარიყო თავისი ხალხის, სწორედ მაშინ აბობოქრდა ხელმეორედ მისი ცხოვრების მღელვარე ტალღა, მშფოთვარე იყო მისი დღეები და ვერც სიბერე ვერ შეხვდა ტკბილი. ისევ მღვრიე ფიქრები და ისევ დარღი. დაუოკებელი იყო წერა მის ცხოვრებაში, ის, რისიც სწამდა და ამჯერადაც „გე-

დისწერამ თვით გადაწყვიტა“, „ბედისწერამ ასე ინება“. მრავალმა ზამთარმა ჩავლო ისე, რომ აღარც ახსოვდა ან ახსოვდა, როგორც ზღაპარი, მაგრამ ამჯერად რეალობაში შემოიჭრა ცეცხლოვანი დრაკუნი და მისი განძი.

„ბედისწერის საათმა დაჲკრა“ – ერთი რაც მუდამ იყო ბეოს ცხოვრებაში, გმირულად ცხოვრობდა და სახელს ეძიებდა, დიდი სიკეთე ამოძრავებდა, სურვილი ჰქონდა დახმარებოდა ყველა დაჩაგრულს. ასე იყო ნლების წინაც, გარდასულ დროში, როცა გაიგო ჰეროთ სასახლის კარის ამბები, როცა ადამიანთა ტანჯვა-სიკვდილმა ნება არ მისცა დღეებით ტკბობის თავის ქვეყანაში და მათთან გაეშურა, რათა ბოროტი ეძლია მსწრაფლად. ახლაც ასეა, მიუხედავად იმისა, რომ მოხუცდა და ძლიერება გაჰყვა ზამთრებს მშვიდი მეფობის.

სიამაყე ახლაც შემორჩა, უნდა ისევ ისე იბრძოლოს, სახე-ლოვნად და დიდებულად, თუმცა იცის, რომ ეს ბრძოლა იქნება უკანასკნელი. მაინც ამაყად მიდის და არ უშინდება ავბედითი ნერის წინათგ-რძნობას. მოხდეს ის, რაც მოსახდენია, მაგრამ არ დაუთ-მობს არც ერთ განგებას იმას, რომ იხსნას ხალხი, თავისი ხალხი. მოკვდება, მაგრამ ამას არ დათმობს. თანაც ეს ხომ ის საზოგადო-ებაა, სადაც გმირულად სიკვდილი საპატიოა.

სამართალი და უსამართლობა ერთგვარად გადამწყვეტ როლს თამაშობს გმირის ცხოვრებაში. ვერ აიტანა უსამართლობა ჰეროთ სასახლის, ახლაც არ ძალუდს თვალი დახუჭოს დრაკონის უმო-წყალო მძვინვარებაზე. ბეო ის გმირია, ვინც მიჰყვება და იცავს წესებს, სამართლიანობა მისთვის ყველაზე მეტია. მისი მეფის, ჰეროების, სიკვდილის შემდეგ ჰეროების მეუღლეს სურს, რომ ტახტზე ბეოვულფი ავიდეს და არა მისი ვაჟი, რადგან არ ჰქონდა მისი იმედი, თუმცა ბეო უარს აცხადებს, რადგან უსამართლობად მიაჩნია ეს. ის სამართლიანია და უსამართლობასთან მისი დაპი-რისპირება გადამწყვეტია გმირის ცხოვრებაში, შეიძლება ითქვას, საკვანძო მომენტია.

ბეოვულფი მიდის დრაკონთან საბრძოლველად. მისთვის ეს პირველი ბრძოლაა, როცა იღბალმა უღალატა. იცის, რომ მოკვდება, რომ ვერაფრით შეაკავებს დრაკონის ცეცხლს, მაგრამ მაინც იბრძვის გმირულად, მაინც ასწია ხმალი, გაუტყდა, მაგრამ ხომ სცადა. ეს მისი სასიკვდილო ბრძოლაა, მაგრამ ამით იხსნის ხალხს

და ისევე, როგორც პირველ ბრძოლებში, მიზანი ახლაც სახელი და სიკეთეა, რომელიც ადამიანთა გულებში რჩება. ის დიდი ჰუმანიზმი, რომელიც გზის დასაწყისში ჰქონდა, ახლაც მასთანაა და იცის, რომ უნდა დაიღუპოს, რათა იხსნას ათასობით ადამიანი, თავისი ქვეყანა. ენანება სიცოცხლის დაკარგვა არ სურს უცნობ მოგზაურობაში წასვლა, მაგრამ ყველა ბრძოლას ჰყავს გამარჯვებული, ახლა კი ასეთი არ გამოვლინდა.

ბეოვულფისა და ამირანის ჰუბრისი

მსოფლიოს ხალხთა ეპიკურ გმირებს ხშირად ერთნაირი გზა აქვთ გასავლელი. ამგვარი მსგავსება შეინიშნება ბეოვულფსა და ამირანს შორის, მიუხედავად იმისა, რომ ისინი სხვადასხვა კულტურებს ეკუთვნიან.

ტრადიციული საზოგადოების გმირი რამდენიმე საკვანძო ეტაპს გადის ცხოვრების გზაზე. ლორდ რაგლანის აზრით, ყოველი გადახდილი ბრძოლა პროგრესის გზაა, რაც მის ღირსებაზე უსვამს ხაზს (რაგლანი 1934: 224).

ბეოვულფისა და ამირანის ეპოსებშიც გვხვდება საერთო მოტივები, მსგავსი ეპიზოდები. ორივე გმირი გადის გაამპარტავნების გზას და ვერც ერთი მათგანი ვერ აღწევს თავს ამ საცდურს.

ამირანი, ზოგიერთი ვარიანტის მიხედვით, ობოლია, მას ხან მამობილი ზრდის, ხან მონადირე, ხან ნათლია მფარველობს, ხან უბრალოდ მის ობლობაზეა ხაზი გასმული. ბეოვულფიც ობოლია, ის შვიდი წლის იყო, როცა ჰრეთელმა, ჰიგლაქის მამამ, წაიყვანა სა-სახლის კარზე და გაზარდა. შვიდი საკრალური რიცხვია, რაც მის არაჩვეულებრივ ბავშვობასა და ობლობაზე მიუთითებს. ობოლს კი ღმერთი პატრიონობს. მისი სამეფო კარზე მიყვანა გმირის არაჩვეულებრივ წარმოშობაზეც მიგვითითებს, მას ხომ სამეფო სისხლი ჰქონდა, რადგან დედამისი მეფის და იყო. როგორც ლორდ რაგლანი აღნიშნავს, არაფერი ვიცით გმირის ბავშვობაზე (რაგლანი 1934: 223). როგორც წესი, მშობლები უცნობნი უნდა იყვნენ იმ საზოგადოებისათვის, სადაც გმირი მიხედვება და გაიზრდება (კიკნაძე 2008: 122). ეპოსის მიხედვით, ბევრი არაფერი ვიცით ბეოვულფის მამაზე, გარდა იმისა, რომ გმირი იყო, არც ამირანის მამაზე ვიცით ბევრი, ვარიანტთა უმრავლესობაში მას მამობილი ზრდის.

ორივე გმირს ბობოქარი ბავშვობა აქვს. ამირანის ეპოსში ჩანს გმირის მღელვარე ბავშვობა, რომელიც მისი ცხოვრების ბოლოს ისევ მეორდება. ესაა დაუოკებელი ძალა, რომელსაც ის ველარ მართავს, განუსაზღვრელად დიდი შესაძლებლობა, ერთი მხრივ, საჩუქარია, მეორე მხრივ კი სასჯელი. ის ან კარგისკენ წარიმართება, ან საბოლოოდ დაღუპავს გმირს. როგორც ზ. კიქაძე აღნიშნავს „ნათლია ღონეს დაანათლავს თავის ნათლულს და ეს არის მისი საჩუქარი, რომელიც ამირანმა სასიკეთოდ უნდა გამოიყენოს და იყენებს კიდეც გარკვეულ ზღურბლამდე“ (კიქაძე 2008: 124). თუმცა ნათლიის საჩუქარი გარკვეულ შემზღუდავ პირობებსაც უყენებს გმირს: „ყოველი ადამიანი გიყვარდეს, იყავი გულკეთილი, გაძლევ ძალას, მარა თუ უსამართლოდ მოიქცი, დაისჯები“ (ჩიქოვანი 1959: 175). ძალა საჩუქარი იქნება, თუ ხსნას მოუტანს ხალხს, მაგრამ სასჯელად აღიქმება, თუ არ მოიხმარს სიკეთის-თვის ბრძოლაში. ბეოვულფთანაც ჩანს მისი დაუდგრომელი ბუნება, ის მიდის ზღვაში, რათა ურჩხულები და გოლიათები გაანადგუროს. ეს ის ბრძოლაა, რომელსაც შეიძლება შეენიროს კიდეც, მაგრამ გმირობა უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე სიცოცხლე. საფრთხე გააზრებულია, ხასიათი კი – უკონტროლო. ასევე ბეოვულფი უყოყმანოდ წყვეტს ჰეროთში ნასვლას, ამბავი მოსმენილიც კი არა აქვს ბოლომდე, რომ ნასვლის სურვილს გამოთქვამს. ურჩხულთა გა-გონება საკმარისი აღმოჩნდა იმისთვის, რომ ბოროტების დასამარცხებლად წასულიყო უცხო მიწაზე.

ბეოვულფის ჭაბუკობისდროინდელი ბობოქარი ხასიათი შეიძლება მისი დასასრულის მანიშნებელი არ არის, თუმცა ეპოსში ამაზე მინიშნება არაერთგზის გვხვდება. და რადგანაც პოემაში შემთხვევით არაფერია ნათქვამი, ბარტონ რაფელიც აღნიშნავს, რომ აქ არც ერთი ნაწყვეტი არაა უმიზნო და ყველას თავისი დანიშნულება აქვს, ან გვიხსნის რამეს (ბეოვულფი 1989: 171). საგულისხმოა, რომ ჰროთგარი ხედავს და გამოსწორებისაკენ მიუთითებს, რათა საბოლოოდ ამპარტავნებამ არ დაღუპოს გმირი. მეფე ჰროთგარი ბევრჯერ შეაგონებს და ეუბნება, რომ აერიდოს სიამაყესა და პატივმოყვარეობას, რომ არ შეიძლება ოქრო-ვერცხლის ასეთი სიყვარული. „უფრთხილდი ამ სენს, საყვარელო ჩემო, ბეოვულფ, მოყმეთა შორის უკეთესო, და ამჯობინე ბედნიერება მარადიული, სიამაყე ნუ აგიყოლიებს“ (ბეოვულფი 1989: 91). თითქმის ყველა სიმ-

ლერა, მოყოლილი თუ გახსენებული ამბავი ან დასასრულს ეხება, ან გმირის ხასიათში არსებულ დამღუპველ საწყისებზე მიუთითებს, მაგალითად, გრენდელთან ბრძოლის შემდეგ გამართულ ნადიმზე მოხუცი მოყმე მღერის ზიგმუნდზე. ნლების შემდეგ კი ზუსტად იმავე გზის გავლა მოუწევს ბეოვულფსაც, როგორი გზაც ზიგმუნდმა განვლო, როდესაც დრაკონს შეეპრძოლება. აქვე უნდა ითქვას ისიც, რომ პოემაში ზიგმუნდისა და დრაკონის ბრძოლა ანალოგია ვოლსუნგის საგის ბრძოლისა, სადაც სიგურდი კლავს დრაკონ ფაფნირს, ხოლო ბეოვულფში ეს როლები შეცვლილა, ზიგმუნდია ნახსენები და არა სიგურდი (*Synopsis of Beowulf*). ბარტონ რაფელი ფინის ნაწილისა და სხვა ამბავთა ბუნდოვანებაზე ფიქრობს, რომ ეს უფრო ჩვენი ბრალია, ვიდრე ავტორისა: „ძალზე ბევრი საუკუნეები გვყოფს ერთმანეთისაგან და უამრავი ყოვლისმომცველი ილუზია ცარიელ სივრცეებად იქცა, რის ამოვსებასაც მეცნიერება ცდილობს“ (ბეოვულფი 1989: 176). ჰერმოდის მარტო დარჩენა – გარდაუვალი შედეგი სიამაყისა, სწორედ დასასრულზე მიგვანიშნებს, იმაზე, რასაც ვერაფრით ასცდება გმირი. ეს მისი ბედისწერაა, რომელსაც ვერ გადავა. გაფრთხილებები მრავალია, მაგრამ გმირი მაინც ვერ ახერხებს თავი აარიდოს იმას, რაც ყველაზე საფრთხილოა. დევიდ რაიტი წერს, რომ „როცა ბეოვულფი გრენდელს და-ამარცხებს და მის ამ გმირობას ხოტბას შეასხამს ჰროთგარის ერთერთი მგოსანი, უმღერებს და სიმღერაში შეადარებს ზიგმუნდს, რომელმაც დრაკონის მოკვლით მოხვეჭა სახელი. ამგვარად, ბეოვულფის პირველ გმირობაში მისი უკანასკნელი გმირობა გაიხმიანებს“ (ბეოვულფი 1989: 218).

გარდა იმისა, რომ გადახდილი ბრძოლებით გმირები სიკეთეს ამკვიდრებენ, ისინი ასევე სახელსაც იხვეჭენ. დევიდ რაიტის მიხედვით: „სახელის მოხვეჭის იდეა ყველაზე უფრო ძვირფასი რამაა, რაც კი ადამიანს უნდა ჰქონდეს, რადგან მხოლოდ ეს რჩება წარმავალ წუთისოფელში“, მისი აზრით, მთავარია, რომ „დიდება რჩება; და ესაა ნუგები“ (ბეოვულფი 1989: 223-224). ამირანმა დევიდი გაანადგურა და ადამიანებს მშვიდობიანი ცხოვრება დაუბრუნა, ჩავრულ ყოფას აარიდა. ამირანს გზის დასაწყისში, განზრას თუ უნებლიერ, სიკეთე მოაქვს ადამიანებისთვის, ის წმენდს სოფელს დევებისაგან. „ამირანი მოწოდებულია დაამკვიდროს ამ ქვეყანაზე სიკეთე. ნათლიისგან ძალა მას სწორედ ამისთვის აქვს მომადლე-

ბული. ამირანი მამობილის ოჯახს, რომელიც ადამიანურ საზოგადოებას (სოციუმს) განასახიერებს, მოვლინება როგორც მხსნელი. იგი ადამიანებს უბრუნებს დევების მიერ მიტაცებულ ტერიტორიას, ათავისუფლებს მას დევებისაგან“ (კიკნაძე 2008: 126).

ბეოვულფი და ბრექამ ზღვა გაწმინდეს ურჩხულებისაგან, რის შემდეგაც ადამიანებს მშვიდად შეეძლოთ ზღვაში გასვლა, აღდგებოდა მიმოსვლა და მშვიდი მოგზაურობა.

ამირანი და მისი ძმები სანადიროდ მიდიან. ბეოვულფი კი ამაღლვებელ და საგმირო საქმეებს ეძებს. რობერტ კრიდი აღნიშნავს, რომ ბეოვულფი, უეჭველად, თავგადასავლების მაძიებელი, შმაგი ჭაბუკია (ბეოვულფი 1989: 206-207).

სანადიროდ ნასული ძმები ცამცუმის კოშკს გადაეყრებიან, სადაც მიცვალებულს ნახავენ. ამირანი ძმებთან ერთად კრძალავს მას. მართალია, თავდაპირველად აღმოჩენილი განძის ნამოლებას აპირებდა, მაგრამ გადაითიქრებს ძმების გონივრული რჩევით, რადგან ანდერძის ალსრულების გარეშე განძის ნამოლება, მიტაცება იქნებოდა. ამ ფაქტს შენიშნავს რ. ჩხეიძე, რომ თავდაპირველად ამირანმა გადაწყვიტა ცამცუმის მიერ ნაანდერძევი ქონების თან წამოლება, მაგრამ ძმებმა დაუშალეს, გმირნი დაგვძრახავენ, რომ მკვდარი გაუძარცვავთო (ჩხეიძე 1991: 162-163). ძმების რჩევის შედეგ კი ამირანი დაუფიქრებლად შეებრძოლება ბაყბაყდევს და არ მისცემს საშუალებას შეურაცხყოს მიცვალებული. ბეოვულფი როგორც კი გაიგებს ჰეროთ სასახლეში დატრიალებულ ამბებს, არც კი ყოფილობს, არც დაფიქრდება, ისე მიდის მათ დასახმარებლად. ამ შემთხვევაში ორივე გმირში იკვეთება სხვების დახმარების დაუძლეველი სურვილი, ეს განცდა წარმართავს მათი გზის საწყის ეტაპს.

ცამცუმის კოშკსა თუ ჰეროთის ციხე-დარბაზში მოხვედრა გადამწყვეტი ხდება გმირთათვის, საკვანძო ეტაპი მათ ცხოვრებაში, რის შემდეგაც აღარაფერი იქნება ისე, როგორც ადრე იყო, ეს ნაბიჯი ყველაფერს ცვლის. სწორედ ამის შემდეგ ხვდება ამირანი ბაყბაყანს და გველებაპს. ბეოვულფიც ჰეროთ სასახლეში მისვლით ხვდება გრენდელსა და მის დედას.

„ყველა მითოეპიკურ გმირს ცხოვრების გზაზე, რომელიც, ფაქტობრივად, ბრძოლის წინააღმდეგობათა გადალახვის გზა, თავისი გველებაპი (ურჩხული, დრაკონი) ხვდება“ (კიკნაძე 2008: 127).

თუ ამირანს ბაყბაყდევი ხვდება გზაზე, ბეოვულფი გრენდელს აწყდება. ორივე ურჩეულს მოჰყვება უფრო მეტი სისასტიკე. ბაყბაყდევის დამარცხების შემდეგ, ამირანი გზას განაგრძობს და წითელ, თეთრ და შავ გველეშაპს ხვდება, ამათგან ორს ამარცხებს, თუმცა ბრძოლაში მარტო დარჩენილს, უჭირს მესამე გველეშაპის დამარცხება, რომელიც ყლაპავს მას. ამირანი გველეშაპის მუცელში ნამყოფი გმირია (კიკნაძე 2008: 128).

მართალია, ბეოვულფი გველეშაპს არ გადაუყლაპავს, მაგრამ გრენდელის დამარცხების შემდეგ მასაც ევლინება უფრო დიდი ბოროტება, რომლის დამარცხებაც აღარაა ისეთი ადვილი, როგორც ეს საწყის ეტაპზე ჩანდა. მიუხედავად ამისა, ის მათ ჭაობში ურჩეულთა სამყოფელში ჩადის, ფსკერზე. რადგან მათ წიაღში ხვდება, მათ სივრცეში, შეიძლება, ესეც ჩავთვალოთ გმირის გველეშაპთა წიაღში მოხვედრად. ქ. სიხარულიძე წერს. რომ გველეშაპის სამყოფელში ყოფნა ფუნქციურად მის მუცელში ყოფნის ანალოგიურია, გველეშაპი ფიზიკურ ძალასთან ერთად გარკვეულ ცოდნას, სიბრძნეს აზიარებდა თავის გაზრდილს (სიხარულიძე 2006: 198-199), ის ასევე აღნიშნავს, რომ ზოგიერთი პერსონაჟი გამარჯვებას იმის წყალობით აღწევს, რომ გველეშაპის მუცელში ან მის სამყოფელში ხვდება. ორივე გმირი გველეშაპთა წიაღში აღმოჩნდება და ორივე მათგანი ახერხებს გადარჩენას. გრენდელიცა და ბაყბაყდევიც საკვანძო ეტაპად იქცევა გმირთა ცხოვრებაში, რის შემდეგაც მათ უფრო მძიმე გამოცდა ელით წინ.

პირველი შებრძოლებისას ორივე გმირი ხელის მოტეხვით ამარცხებს მოვლენილ ბოროტებას. ამირანი მხარს მოსტებს ბაყბაყანს: „დასცა და მხარი მოსტეხა, დაანყებინა ღრიალი“ (კოტეტიშვილი 1961: 298). ბეოვულფი შიშველი ხელებით მიდის გრენდელთან საბრძოლველად. გამარჯვების ნიშნად კი მხოლოდ გრენდელის ტორი რჩება.

ეპოსში ამირანს ბაყბაყდევი ეუბნება: „მოყვარული ხარ ომისა“ (კოტეტიშვილი 1961: 298). ის თავად ეძებს ამშებს დევებს, ვერ ისვენებს. ბეოვულფიც თავგადასავლების მოყვარულია, მას უნდა, რომ გამოსცადოს საკუთარი ძალა და სწორედ ამიტომაც მიდის ზღვაში.

ამირანს ძმები მუდამ თან ჰყავს ბრძოლაში, ისინი მისი დამხმარენი არიან, რომელთა იმედიც მუდამ აქვს. ზოგჯერ, შეიძლება,

ძალ-ღონით ვერ ეხმარებიან სათანადოდ, მაგრამ გონივრულ რჩევებს აძლევენ.

ბეოვულფი მარტო ბრძოლას არჩევდა. ის მარტო ებრძვის გრენადელს, გველეშაპთა ჭაობშიც მარტო ჩადის, სრულიად მარტო მიდის დრაკონთან საბრძოლველადაც. ჰეროთში მისული ბეოვულფი ნელ-ნელა იცვლება. ნადიმზე ანფერთთან პაექრობისას, არც ბეოვულფი იხევს უკან და მის პასუხებში ნელ-ნელა თავს იჩენს ამპარტავნების საწყისები. მის საუბარში იკვეთება ჩადენილი საქმეებით თავმოწონება და საკუთარი ძალის უპირატესობის ჩვენება. ბეოვულფი ანფერთზე უკეთესად მიიჩნევს თავს.

ამირანი ბეოვულფის მსგავსად, შეიძლება უნებლიერ ამ-ჟღავნებს, რომ თავს ძმებზე უპირატესად მიიჩნევს, რადგან როდესაც ძმები გზად გველეშაპებს შეხვდებიან, ამირანი თავისთვის ყველაზე საშიშს იტოვებს. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ამირანი თავს ყველაზე ძლიერად მიიჩნევს. „ამირანმა უთხრა ძმებს: აბა, ძმებო, მეტი ღონე აღარ არის, უნდა მაგ ვეშაპებს შევებნეთო. თეთრი ბადრს, წითელი უსიპს. შავი ჩემდ გინებებიათ“ (ჩიქოვანი 1947: 316).

დასასრულს, ამირანი ნათლიისაგან სამ შესაძლებლობას იღებს – დროს, რომ ჯერ კიდევ გადაითიქროს, სანამ ძალიან გვიან არ არის. ნათლია აძლევს ნებას, რომ პალო ამოაძროს, თუმცა რადგან ნაჩუქარი ნამებიც არ ეყო დასაფიქრებლად, ბოლოს ძვრასაც კი ვერ უზამს, რადგან ყავარჯენია ფუსვები გაიდგა დედამიწის გულში და იქცა იმ სვეტად, სადაც მიეჯაჭვა მეამბოხე გმირი (კიკნაძე 2008: 139). ეს დრო საჩუქარია გმირისთვის, რომელიც უნდა დააფასოს, თუმცა ამპარტავნებაში მყოფი, ვერც კი ამჩნევს, რომ ეს ნათლიის უკანასკნელი იმედია – რომ გამოსწორდება, გამოფხიზლდება, მაგრამ დაცემამდე არ მოდის სინანული. ვერც ამირანი ხედავს უკანასკნელ სიკეთეს და იქამდე იბრძვის ჯიუტად, სანამ სამუდამო სასჯელი არ მოვლინება, რომელიც მარადისობას მოითხოვს მისგან. ძალის გამოცდის სურვილი ყველასაგან გამორჩეულ გმირს შეიძლება გაუჩნდეს, დაუღალვად ეძებდეს მასზე ძლიერს შესარკინებლად, საკუთარი თავისთვის და სხვებისთვის იმის დამტკიცებას, რომ ის გამორჩეულია, მაგრამ ამირანი ზღვარს მაშინ გადადის, როცა ნათლიასთან შებრძოლებას მოინდომებს, ისე რომ ვერ ხვდება, დაუშვებელს რომ აკეთებს. ოსური ეპოსის გმირი სოსლანიც მიდის შორეულ მოგზაურობაში გმირობის

გამოსავლენად, მაგრამ ის მხოლოდ დევებს ეპრძვის (ნართები 1988: 106-107). ძლიერი მოწინააღმდეგის ან თავგადასავალთა ძიება გმირთათვის შეიძლება დამახასიათებელია, მაგრამ არა საკუთარ ნათლიასთან ბრძოლა და სწორედ ეს ნაბიჯი გამოდგება ამირანისთვის საქედისწერო.

ბერვულფს ნათლია არა, მაგრამ მოხუცი და ბრძენი მრჩეველი ჰყავს, ჰროთგარის სახით, ვინც უყვება ამბებს მაგალითებით, თავის შედეგებით, აფრთხილებს, რომ თავი აარიდოს სიამაყეს, ვერცხლისმოყვარეობას. ჰროთგარი უყვება ადამიანებზე, რომებიც სიხარბემ იმსხვერპლა. „რადგან არ ახსოვს, სიმდიდრე როგორ მოიპოვა, დამღუპველი და ამქვეყნიური, როგორ იხვეჭდა და თუ როგორ არ უძებნია არც ლირსება და არც დიდება. ოქროს ბეჭდების დაგროვებამ დაავიწყა მომავალი თვისი სახელი“ (ბერვულფი 1989: 90). ის აფრთხილებს, რომ აერიდოს დამღუპველ გრძნობებს, თუმცა ბერვულფი, თავისი ბუნებიდან გამომდინარე, ვერ ახერხებს ამ თვისებების აღმოფხვრას და საბოლოოდ სწორედ ისინი იმსხვერპლებს.

შეცდომა ისაა, რასაც გმირები ვერ ითვალისწინებენ. მათ ეძლევათ მინიშნებები, შესაძლებლობები, მაგრამ ვერ ხედავენ, ბოლოს კი უბრალოდ ძალიან გვიანაა.

ამირანმა მკვდარი ამბრი არაბის ხელიც (ფეხი) კი ვერ დაძრა. ამ ფაქტმა საბოლოოდ გამოიწვია გმირის ჯერ სასოწარკვეთა, შემდეგ კი – ჰუბრისი. მას შემდეგ, რაც მარცხი განიცადა, საბნელოს ჩაჯდა და ღმერთს საყვედურობდა, რომ საკმარისი ძალა არ მიანიჭა. რაღა იყო მისი არსებობა თუ ქალიც კი მოერეოდა. ამირანი თავისი ძლიერების მწვერვალზე იყო. ის დარწმუნებული იყო თავის უძლეველობაში, თავის ერთადერთობაში. ზ. კიკნაძის აზრით, მარცხი უფრო სამარცხვინოა, რომ იგი მკვდრისაგან აქვს ნაწენევი. სასოწარკვეთა მით უფრო აუტანელია, რომ იგი ვეღარასოდეს მოახერხებს ამბრი არაბთან შებმას თავისი საამაყო ძალის გამოსაცდელად და რომ იგი ამბრი არაბის არა მთელმა ძალამ დაამარცხა, არამედ მისმა ნაშთმა – მკვდარმა ფეხმა, რომელიც ურმიდან გადმოვარდნილიყო (კიკნაძე 2008: 134-135). ამირანი საყვედურობს ამას და მეტ ძალას სთხოვს ნათლიას.

ბეოვულფს მხოლოდ გრენდელის ტორი შერჩება ხელთ და მეტი არაფერი. გველეშაპი მომაკვდავი გაიქცა ჰეროთის სასახლიდან, თუმცა ეს არ არის დამამტკიცებელი ფაქტი, რომ ურჩხული უკვე მკვდარია. არა ისეთი ძლევა, როგორც ბეოვულფს შეეფერებოდა, როგორც ეს ჩანდა ანფერთთან პაქრობის დროს, როცა გმირს თავადვე ხიბლავდა გარდასული სახელოვანი ნამოქმედარი. „ადამიანს ორნაირი განსაცდელი ემუქრება: ის შეიძლება ჩავარდეს სასონარკვეთილებაში თავისი უძლურობის გამო და შეიძლება გაამპარტავნდეს საუთარ თავზე გადამეტებული წარმოდგენის გამო“ (კიკნაძე 2001: 38). ბეოვულფი კი იმაზე ძლიერად წარმოიდგენდა თავს, ვიდრე იყო.

გრენდელის მხოლოდ ხელთშერჩენილი ტორით დამარცხებით ბეოვულფში უნდა გამქრალიყო გადაჭარბებული წარმოდგენა საკუთარ თავზე და ყველაფრის გაზრდებით დაბლა დაშვებულიყო სიამაყის მწვერვალებიდან. ეს იყო ნიშანი გამოსაფხიზლებლად, რომ პუბრისი იპყრობდა გმირს.

ამირანსაც ხომ ასე დაემართა, როდესაც მკვდარი ამბრი არაბის ფეხიც კი ვერ დაძრა. მისთვისაც გამაფრთხილებელი ნიშანი უნდა ყოფილიყო ეს, მაგრამ პირიქით, ჰუბრისმა მეტად მოიცვა გმირი: „განბილდა და დაღონდა ამირანი, მინა რომ გაპხეთქოდა და ჩავარდნილიყო, ის ერჩივნა...“

საბნელოს ჩაჯდა ამირან, შამაიკრიფა ფეხები
თუ კი ამის მეტ არ ვიყავ, სამზეოს რას ვეხეხები?!
ჩაჯდა საბნელოს. დღე და ღამე იმისთვის ერთი იყო. ... არავის
იკარებდა ახლოს“ (ჩიქოვანი 1947: 324-325).

ამირანმა მიატოვა ყველა და ყველაფერი, მასთან არ არიან მისი ძმები, ბადრი და უსუპი, თითქოს ყველაფერზე ხელი აიღო, აღარ ზრუნავს იმ ადამიანებზე, რომლებიც მუდამ მის გვერდით იყვნენ, აღარც კი ახსოვს თუ არსებობენ. ეს ის მდგომარეობაა, როცა ყველაფერი ერთი ადამიანის გარშემო ტრიალებს, აბსოლუტის შეგრძნება.

ბეოვულფის ქმედება უგუნურება იყო არა მარტო იმ კუთხით, რომ თავად გმირი დაიღუპებოდა, არამედ ქვეყნის თვალსაზრისითაც, მაგრამ ჰუბრისს ისე ჰყავს გმირი აყოლილი, რომ ამას ვერც კი ამჩნევს. ხალხის დახმარების სურვილში კი იმალება მრავალი სხვა მიზანი.

ბეოვულფი ივიწყებს თავის ხალხს. ჰუბრისი ჰგავს მორევს, რომელიც ითრევს გმირს და რომელსაც ის თავს ვერ აღწევს. ამირანს ქვეყანა არ აქვს მიბარებული, მაგრამ საზოგადოებას გაერიდება და სრულიად განმარტოვდება, ეს არის იზოლაცია. არსად აღარ ჩანან მისი ძმები ბადრი და უსუპი, მხოლოდ უკანასკნელ ბრძოლას განჭვრეტს გმირი და ამის იქით არ არსებობს აღარაფერი. ბეოვულფი, თითქოს ხალხისთვის მოქმედებს, მაგრამ ეს მხოლოდ სიტყვებია, რომლებიც თავის გამართლებას და რეალური მიზეზის დაფარვას უფრო ჰგავს, ვიდრე რეალობას, რადგან ბეოს არ ახსოვს ქვეყანა. ის ხალხზე არ ფიქრობს, არადა ეს „კეთილი მეფის“ უპირველესი მოვალეობაა. ბეოვულფი შეპყრობილი ჰყავს ერთადერთ სურვილს, რომ ხელში ჩაიგდოს განძი, რომელსაც დრაკონი იცავს, ამ დროს კი მის სამეფოს უდიდესი განსაცდელი ელოდება. ბეოს სამეფოში გარეშე მტრები ხელსაყრელ დროს ელოდებიან, რომ შემოუტიონ და მხოლოდ მას შეუძლია დაიცვას თავისი ხალხი მომთაბარეთაგან. ბეოვულფს აქვს შესაძლებლობა, რომ გადარჩეს, მაგრამ ის მაინც მარტო მიდის. მან უკვე გადაწყვიტა გადასაწყვეტი, მას ამ შემთხვევაში ქვეყანა არ ახსოვს, არამედ ოქრო-ვერცხლი და თავისი სიამაყე. დევიდ რაიტის აზრით, ბეოვულფის დაღუპვა განსაცდელის წინაშე დააყენებდა მის ქვეყანას. „ბეოვულფის სიკვდილის შემდეგ ცოტა რამ თუ შეუძლით ხელს მტრებს, რომ მინასთან გაასწორონ გითების ქვეყანა“ (ბეოვულფი 1989: 220). მას ასევე მიაჩნია, რომ როცა გმირი „ბნელ, უძველეს, პირველყოფილ არაადამიან მტერს, დრაკონს, შეებბის, უხვდებით, რომ მის სიკვდილს თან მოჰყვება ომები და უგედურებანი, რაც განადგურებას მოუტანს იმ ხალხს, რომლის დაცვასაც ცდილობდა იგი“ (ბეოვულფი 1989: 217). ამავე საკითხზე რობერტ კრიდს მიაჩნია, რომ „პოემის ბოლო მესამედი, არამარტო გლოვაა გმირის გარდაცვალების გამო, არამედ წინასწარმეტყველური ელეგიაცაა, გმირი ხალხის, როგორც ცალკე ერის, არსებობის შეწყვეტის შესახებ. ინგლისელმა მომღერალმა, როგორც ჩანს იცოდა, რომ გითები, ვისი სახელიც შემორჩა სამხრეთ შვეციის ორ დიდ პროვინციას „უესტერგიტლანდს“ და „ოსტერგიტლანდს“, დაამარცხეს და ამონწყვიტეს მეშვიდე საუკუნის ბოლოს, ტრადიციულმა მტრებმა, მელერის ტბის ნაპირზე მცხოვრებმა შვედებმა“ (ბეოვულფი 1989: 196). საბოლოოდ კი, ბეოვულფის სიკვდილთან ერთად ეცემა გითების დიდებაც. თორდვა, რომელიც

დავლათიან-ნაწილიანი და შეუვალჯაჭვისპერანგოსანი გმირია, თავისი საყმოს პატრონი და მფარველი, ბოლოს ხდება მტარვალი და მოძალადე და ის ვარდება გაბუდაყებაში. შეიძლება ვთქვათ, რომ თორლვა თავისი გაბუდაყების გამო ხიფათში აგდებს თავის ხალხს, ისევე როგორც ბეოვულფი, თავისი სიამაყის გამო, აღარ ფიქრობს ქვეყნის მომავალზე.

შეიძლება ითქვას, რომ ორივე შემთხვევაში გმირებს ეძლევათ მინიშნებები, რომ მათი ძალა უსაზღვრო არაა. რაღაც თუ არ შეცვალეს, მოვა განწირულობა. ბოროტების დაძლევა შეიძლება შეუძლებელი არაა, თუმცა საცდურისაგან თავის არიდება უფრო რთულია, ვიდრე გმირობა გველებაპებთან.

ბეოვულფის გზის დასაწყისი კეთილი საქმეებით არის სავსე და ღმერთიც სწყალობს, გამარჯვებები გამარჯვებებზე, ყველა პატივს სცემს. გასაჭირში ჩავარდნილთ მისი იმედი აქვთ. თავად კი მხოლოდ იმიტომ იბრძვის, რომ ხალხს თამამად შეეძლოს ზღვაში გასვლა ურჩეულების შიშის გარეშე. სწორედ ამიტომ, როგორც კი გაიგებს დანიელთა გასაჭირს, სასწრაფოდ მათთან მიდის, არ უშინდება შესაძლო საფრთხეს. გარდა იმისა, რომ ბეოვულფს სიკეთე ამოძრავებს, მას ასევე არ შეუძლია აიტანოს დანიელთა თავზე დატრიალებული უსამართლობა, ბოროტი ძალის ასე თვალნათლივ ზეიმი, ეს გმირისთვის ახალი გამოწვევაა, რომელსაც უნდა შეებრძოლოს. ამირანსაც თავისი ქმედებით სიკეთე მოაქვს ხალხისთვის, შეიძლება ეს მისი ძირითადი მიზანი არ არის, მაგრამ მისი ქმედების ლოგიკურ შედეგს ნამდვილად წარმოადგენს.

ორივე გმირისათვის ბრძოლის მიზანი სიკეთის მოტანა ან დანერგვაა, თუმცა გზადაგზა მიზანი ისე იცვლება და ეგოზე ორიენტირებული ხდება, რომ თავადაც ვერ იგებენ. თავდაპირველად მათ ბრძოლებს სიკეთე მოჰქონდა, ბოროტებას ანადგურებდა, ხალხისთვის მშვიდობას ამკვიდრებდა. სოფლის დახსნა იქნებოდა დევებისაგან თუ ზღვის განმენდა, ორივეს თავისუფლება მოჰქონდა, უშფოთველი ცხოვრება ადამიანებისთვის, მათთვის, ვისაც არ შეეძლო დაეძლია გამეფებული უსამართლობა და შემწეობას იმათგან მოელოდნენ, ვინც ლირსეულნი ან გამორჩეულნი იყვნენ.

შეინარჩუნო წონასწორობა და არ გაგაბრუოს საკუთარმა მიღწევებმა, ცოტა რთულია. ორივე გმირს კარგად ჰქონდა გააზრებული, რომ ისინი სხვებზე ძლიერნი ან მათგან გამორჩეულნი იყვნენ,

შესაბამისად ამ ძალას სიკეთესა და ხალხის მშვიდობას ახმარდნენ, მაგრამ, როგორც კი დიდება მოჰყვა მათ დიად საქმეებს, დაცემა ისე დაიწყეს, რომ ვეღარც გაიგეს, როგორ უნდა შეეჩერებინათ ეს პროცესი, რაც ანადგურებდა ყველაფერს, პირველ რიგში კი მათ, რაც გარდაუვალ სიკვდილს ნიშნავდა.

ამირანბა როდესაც საკუთარი ძალა ამონურა დევებთან ბრძოლაში და არ დატოვა არც ერთი მათგანი, ამის მერე აღარ იცოდა რა უნდა ექნა ან რას უნდა შესჭიდებოდა. მისი სურვილებიცა და ქმედებებიც უკონტროლო გახდა, შედეგი კი მხოლოდ ერთი იყო – დაცემა. თუ მცირე დრო არ აღმოჩნდა საკმარისი დასაფიქრებლად, მაშინ მარადისობა იქნებოდა ის, რაც არის დროზე მეტი.

ბეოვულფი კი სიკეთესა და სახელს შორის ისე დაიკარგა, ბოლოს ვეღარც გაიგო რომელ მხარეს იდგა. გაფრთხილებები არ აღმოჩნდა საკმარისი მაშინ, როცა ეს სურვილები წარმართავდა, მუდმივი კონტროლი კი რთული იყო, გამუდმებული ბრძოლა საკუთარ თავთან. დევიდ რაიტი წერს, რომ „ბეოვულფი თუმცა გმირია და ზეადამიანი, მაინც ადამიანია.“ ეს ადამიანობა კი, როგორც მისთვის, ისე სხვა მრავალთათვის, საკმარისი ტრაგედია (ბეოვულფი 1989: 216).

რ. ბუდა თავის სტატიაში წერს, რომ „თუ დავაკვირდებით ტრაგიკულ გმირს, შესაძლებელი იქნება ბეოვულფის საქციელის ახსნა. ეპიკური გმირისგან განსხვავებით, ტრაგიკული გმირი ტრაგიკული თვისებების მატარებელია. ამ ტიპის გმირს აქვს პიროვნული ნაკლი, რაც მისი დაცემის, განადგურების უშუალო ხელშემწყობა. ბეოვულფის ტრაგიკულ ნაკლად მისი ჰუბრისი ითვლება. ის ყოველგვარი საჭიროების გარეშე ებრძევის დრაკონს სრულიად მარტო, რის შედეგადაც სასიკვდილო ჭრილობას იღებს. მისი გონება ჰუბრისს ასე რომ არ დაებინდა, ის არ დაიღუპებოდა.“ რ. ბუდას მიაჩნია, რომ შეიძლება ზოგიერთმა მკვლევარმა ბეოვულფის ქმედება თავისი ხალხის დაცვით გაამართლოს, რადგან სწორედ ასეთი ქმედება შეჰვერის ეპიკურ გმირს, თუმცა მას მტკიცედ სწამს, რომ ბეოვულფის ქმედებები ტრაგიკული გმირის ქცევას ეხმიანება, რომელიც ჰუბრისის გზით ღუპავს თავის მსხვერპლს. ავტორი ასევე აღნიშნავს, რომ ჰროთგარი ჰეროთის სასახლეში აფრთხილებს ბეოვულფს ჰუბრისის საშიროებაზე, მაგრამ გმირი არ იღებს რჩევას. რჩევის არ მიღებაც ჰუბრისის ნიშანია. უკანასკნელ ბრძოლაში

გმირი არ ითვალისწინებს, რომ, ასაკის გამო, აჩრდილილაა დარჩენილი, იმ ლეგენდარული გმირისა, ურჩხულებს რომ ებრძოდა. რომ არა მისი ჰუბრისი, ის მიიღებდა საუკეთესო გადაწყვეტილებას მისი ხალხისთვის, როგორც ეს ერთხელ ჰროთგარმა ქნა, და არა მისი სიამაყისთვის (ბუდა 2016).

ორივე გმირს ღუპავს ჰუბრისი, იმაზე მეტის წყურვილი, რაც მინიჭებული ჰქონდათ. ამირანისთვის საკუთარი ძლიერება იქცევა სასჯელად. ძალა, რომელიც სიკეთისათვის ბრძოლისათვის მიანიჭა ნათლიამ, ვერ შეძლო, რომ ბოლომდე სამართლიანად წარემართა. ამიტომაც ღუპავს საკუთარ თავში მომწყვდეული უსაგნო ძალა. ბეოვულფი ვერ ითვალისწინებს რჩევებს, სიამაყეც და სიხარბეც ერთად დარევს ხელს, ბოლოს კი მასში არსებული ამპარტავნება იმსხვერპლებს. მისი ქედმაღლობა ბოლო ბრძოლაშიც ზუსტად ის-ეთივეა, როგორც ჰეროთის სასახლეში. და სწორედ იმიტომ კვდება, რომ ვერ გამოსწორდა მთელი ცხოვრების გზაზე. ბეოვულფმა ვერ შეძლო მინიშნებების ამოკითხვა და გამოსწორება, ამიტომაც ბოლო ბრძოლაში დაიღუპა. ესენი არიან გმირები, რომლებმაც მინიშნებები სწორად ვერ ამოკითხეს და ჯიუტად გაუყვნენ არჩეულ გზას. გამორჩეულობამ, განსაკუთრებულმა ფიზიკურმა ძალ-ღონემ, შესაძლებლობებმა, მიღწევებმა და მოპოვებულმა სტატუსმა უბიძგა ორივე გმირს ჰუბრისისკენ. გამორჩეულობა, ეს საშიში ტრაგიკული ფენომენია. ისინი არ გამოფხიზლებულან დაცემამდე.

ჰუბრისმა ორივე გმირი მიიყვანა თავის დასასრულთან, თუმცა ამირანი ხალხმა ვერ გასწირა და იმედი, რომ გმირი ოდესმე გათავი-სუფლდება, დატოვა. მართალია, ვარიანტები აქაც სხვადასხვაობს, ზოგი ვარიანტით ეს ხალხისთვის სიკეთის მომტანი არ იქნება, განსაკუთრებით ქალებისა და მჭედლებისათვის იქნება საზიანო. აქ არ ჩანს გმირის სრული განირულობა. როცა ამირანი მიხვდება თავის შეცდომას, როცა აღარ იფიქრებს მხოლოდ ძალის დახმარებით გათავისუფლებაზე, დათრგუნავს ბრაზს და პალოზე ჩამომჯდარ ჩიტს მუშტს აღარ მოუქნევს, მაშინ, აღბათ, შეძლებს კიდეც, რომ მოიპოვოს ნანატრი თავისუფლება.

როგორც უკვე აღინიშნა, ბეოვულფის გზის დასაწყისი კეთილი საქმეებით ხასიათდება და მიზანიც ეს არის, შემდეგ გმირის გზას ჰუბრისი წარმართავს, თუმცა უკანასკნელ წამებში, როცა კვდება,

ისევ იღვიძებს ჰუმანიზმი, რაც თითქოს მის ჰუბრისა აქარწყლებს კიდევ:

„ააგებინე მამაც გითებს ჩემთვის სამარე,
როცა კოცონზე დამფერფლავენ, და ააგე
აქ, წყლის ნაპირას, მაღლა აღმართე,
მეზღვაურებს რომ შეეძლოთ მისი დანახვა,
აღმართე კოშკი და გახსოვდეს ჩემი სახელი,
ბეოვულფის კოშკი დაარქვი,
ნავებზე მყოფნი, ზღვაში, ნისლსა და სიბნელეში, ამ კოშკს იცნო-
ბენ“ (ბეოვულფი 1989: 143).

ამირანის შემთხვევაში ხალხი ტოვებს იმედს, ხოლო ბეოვულფ-
თან დაცემის შემდეგ ისევ იღვიძებს სიკეთე და ჰუმანიზმი. შედარ-
ების თვალსაზრისით, ამ კუთხით, საინტერესო ეპიზოდი გვხვდება
არსენას ეპოსში, გმირს მოიცავს ჰუბრისი, გზის დასასრულს ის
იღუპება, თუმცა უკანასკნელ წუთებში ისევ სიკეთის გზას უბ-
რუნდება, რაც მის სახეცვლილებად შეიძლება მივიჩნიოთ. ზ. კიკ-
ნაძე შენიშნავს, რომ არსენა თავისი სისხლით გამოისყიდის და-
ნაშაულს, სიკვდილისწინა სიტყვებში ის თავის მკვლელს ეუბნება,
კლდეში დამარხული განძის – შვიდასი მანეთის შესახებ და მას
სურს, რომ ეს თანხა ღარიბებსა და არმქონეთ მოხმარდეს. ისევე
როგორც ბეოვულფს სურს, სიკეთე მოჰქონდეს მეზღვაურთათვის
მარად და მარად, მაშინაც, როცა ცოცხალი ალარ იქნება და მაინც
შეძლებს სამარადისოდ იცოცხელოს. არსენას სიკეთის გამოხატუ-
ლება, თითქოს სასუფევლის მოსაპოვებლად ჩადებული საქმეა. მტრის შენდობით, წითელი პარასკევის გამტებს, გზა გაეხსნა სა-
სუფევლისკენ (კიკნაძე 2008: 193).

ამირანი სიკვდილს თითქოს თავად ეძებს, მან აღარ იცის
რა აკეთოს, რადგან არავინ დარჩა დასამარცხებელი, შინაგა-
ნად გრძნობს კიდეც, ალბათ, რომ არ უნდა შეერკინოს ნათლიას,
რადგან ეს დამღუპველი იქნება მისთვის, მაგრამ სწორედ ამ გზაზე
მიდის, ის ხომ დასასრულს ეძებს. ამირანის ნათლია ქრისტე ღმერ-
თია, ძალაც მისგან აქვს მინიჭებული, ამიტომ მისი დამმარცხებელი
არავინაა ამქვეყნად, რადგან არავის ექნება უფლისგან მონიჭებულ
ძალაზე მეტი, ეს კი ამირანისათვის უკვდავებას უტოლდება, მან
კარგად იცის, რომ ამქვეყნიური ძალა მას ვერ დაამარცხებს, ამი-
ტომაც ერკინება უზენაესს.

ამირანი ნათლიას არ სთხოვს ძალას ან დახმარებას, რადგან მისი ნათლია – ღმერთია და ძალაც მისგან აქვს მინიჭებული. მარცხი წარმოუდგენელიც კია ამირანისთვის, ამიტომაც მას არ სჭირდება დევებთან ბრძოლის დროს დახმარება სთხოვოს ნათლიას. ბეოვულფი კი უფლის იმედადა და ბრძოლაში დახმარებასა და შენევნას მხოლოდ მისგან ელის. ეს ყველაზე კარგად ჩანს სამ გადამწყვეტ ბრძოლაში, თითოეულ მათგანში მიდის უფლის იმედად და რომ არა წყალობა, გმირი ვერ მოიპოვებდა გამაჯვებას. ბარტონ რაფელი წერს, რომ „ღმერთი უძღვის ნინ ბეოვულფს გრენდელის ბოროტ დედაზე გამარჯვების მოსაპოვებლად“ (ბეოვულფი 1989: 171). შეიძლება ითქვას, რომ რწმენა ამარჯვებინებს გმირს, როცა საბრძოლველად მიდის.

ბეოვულფი თითქოს ჩვეულებრივი მოკვდავია, მას ამირანივით არ ჰყოლია ქრისტე ნათლიად, არც ქალღმერთი იყო მისი დედა, მაგრამ მან კარგად იცის, რომ მისი ძალა დასაზღვრულია, ყოველ ბრძოლაში, რომელშიც გმირი მიდის, უფლის იმედადა და დახმარებას უფალს შესთხოვს. ბოლოს კი, რადგან ის ადამიანია, იღვიძებს შიში, მან იცის, რომ ამ ბრძოლაში უნდა დაიღუპოს. გაქრობის შიში კი გმირში ისევ აღვიძებს სიკეთის საწყისს. ბეოვულფსაც დაუდგა დრო, გამოეცადა იმ საზოგადოების მთავარი შეხედულება: ადამიანი მიდის, მაგრამ სახელი რჩება. გმირი შეაშინა გაქრობის შიშმა. ახლა ის უნდა ნავიდეს მოგზაურობაში, როცა არ იცის, ვინ გამოიწვდის ხელს მისი ხომალდის ჩასახუტებლად. მან ყველაზე კარგად იცის, რომ ნებისმიერი გმირობის მიღმა იმაღლება ამ გზის სირთულე. რომ არა გადამწყვეტი მომენტი ან ღვთის შენევნა, ყველაფერი განწირული იქნებოდა.

ქართულ და ანგლოსაქსურ ეპოსებში გამოვლინდა ორივე გმირის ობლობა, შემდეგ მათი ბობოქარი ბავშვობა, ბოროტ ძალებთან ბრძოლა და ბოლოს მათი ჰუბრისის გზით დაღუპვა. განმასხვავებელი მათ შორის ის იყო, რომ ბეოვულფი მიზანმიმართულად აკეთებს სიკეთეს, ამირანისთვის კი ეს უბრალოდ მისი ქმედებების შედეგია და არა განზრახვა. ასევე ბეოვულფს ქვეყანა აბარია, ამირანი კი მარტოა და სხვაზე საზრუნავი არ ანევს.

დასკვნა

ბეოვულფისა და ამირანის საგმირო-სათავგადასავლო ეპოსები, მართალია, სხვადასხვა კულტურებს ეკუთვნიან, მაგრამ ორივე მათგანმა საბოლოო ფორმირება ქრისტიანულ ეპოქაში განიცადა და მათში ბევრი საერთო მოტივი და ელემენტი იძებნება. ორივე გმირის გზა სიკეთის კეთებით იწყება. ისინი ეხმარებიან ხალხს, ათავისუფლებენ მძიმე ყოფისაგან, ან დემონური არსებების ძალ-მომრეობისგან. თუმცა მათი ძალა რაღაც ეტაპზე გმირებისთვის დამტკიცებულ სახეს იძენს. ამირანის შემთხვევაში ღონე უსაგნო ხდება. მას აღარავინ დარჩა ამქვეყნად დასამარცხებელი და როგორც ბავშვობაში, მისი ბობოქარი ბუნება იღვიძებს და მისი სურვილი შეებრძოლოს ნათლიას, სამუდამოდ კლდეზე აჯაჭვებს გმირს. ბეოვულფის მიზანი სხვების დახმარებაა, მაგრამ როცა ანფერთ-თან პაექრობისას ნამოქმედარით ტრაპას დაიწყებს, მაშინ იწყება გმირის დაცემაც, მიუხედავად იმისა, რომ ბეოვულფს წინ აქვს მთელი რიგი გამარჯვებები, რომლებიც მას აუცილებლად მიიყვანს გარდაუვალ მარცხამდე.

ორივე გმირს აქვს გამოსწორების შესაძლებლობა, თუმცა ვერც ერთი ვერ აღნევს თავს ქედმაღლობასა და ამპარტავნებას. ცხოვრების გზაზე მათ ხვდებათ მინიშნებები, რომლებმაც წესით უნდა გამოაფხიზონ ისინი, მაგრამ სიამაყე იმდენად მძლავრად არის ამ პერსონაჟებში გამჯდარი, რომ არც ერთი არ უხვევს განწირული გზიდან. ამირანს ნათლია სამჯერ აძლევს დაფიქრების საშუალებას. ბეოვულფს კი პროთოგარი ჯერ კიდევ პეროთის ციხე-დარბაზში შეაგონებს, რომ თავი აარიდოს ამ გზას, რომელიც, შეიძლება დიდებით ან სიმდიდრით იყოს სავსე, მაგრამ ფატალურად დასრულდეს. როგორც ამირანს, ისე ბეოვულფს აქვს შესაძლებლობა, რომ სხვა არჩევანი გააკეთოს, თუმცა ერთ-ერთ მათგანს უსაზღვრო ძლიერება სურს, მეორეს კი თვალს სჭრის ოქრო-ვერცხლი, საიდუმლო განძი. ეს სურვილები რომელიც საბოლოოდ იმსხვერ-პლებს კიდეც ორივეს.

ამირანი მესიანისტური გმირია, ის მოვლენილია როგორც სასწაულებრივად შობილი და ამიტომ აქვს იესო ქრისტესგან მიმადლებული ძალა, რომ კაცობრიობას სიკეთე, ბედნიერება და სენა მოუტანოს. ის ასეც იქცევა თავისი ყოფიერების გარკვეულ

ზღვრამდე, მაგრამ მას სძლია ჰუბრისმა, საიდანაც იწყება მისი დაცემა, ისევე როგორც ბეოვულფისთვის, გამარჯვებებისა და ძლიერების მწვერვალიდან იწყება დაცემა.

ჰუბრისის გზაზე მდგომ გმირებს, ხშირად მოევლინებათ მფარველი, ვინც სიტყვით, საქმით ან დამოკიდებულებით აგრძნობინებს, მიანიშნებს, ეუბნება ან აფრთხილებს, მაგრამ გმირები არ ან ვერ ითვალისწინებენ. თითქოს ორი განსხვავებული სამყარო ეჯახება ერთმანეთს. ერთი სიფხოზლეს წარმოადგენს, რომელიც ხედავს და განჭვრეტს გზას მთელი თავისი შედეგებით, ეს შეიძლება, რომ სიმართლესაც შევადაროთ და მეორე, რომელიც აყოლილია უხილავ ძალას, უჭირს მისგან თავის დაღწევა და უხილავად, ყოველი ნაბიჯით უახლოვდება ბოლოს, თითქოს ნელ-ნელა იძირება სიბნელეში და უჭირს სინათლის მიღება, რომელსაც სთავაზობენ. მფარველის არსებობა ქართულ მასალაში ნათლისა არსებობით არის წარმოჩენილი, ხოლო „ბეოვულფის“ ეპოსში მრჩევლის სახით, თუმცა ისინი მაინც ვერ ახერხებენ, რომ გარდატეხა მოახდინონ გმირებში და გამოსტაცონ ჰუბრისის ყოვლისმომცველ ძალას, რომელიც თავის გზაზე ყველასა და ყველაფერს ანადგურებს.

ბეოვულფსა და ამირანს მსგავსი მისია აქვთ, ისინი მხსნელად ევლინებიან საზოგადოებას და სიკეთეს ამკვიდრებენ, რაც მათ გამორჩეულობას განაპირობებს. ორივე ღვთისგან ბოძებული განსაკუთრებული თვისებების შენარჩუნებას გარკვეულ ზღურბლამდე ახერხებენ თავიანთი სიკეთის ქმნადობის გზაზე, თუმცა დასასრულს ჰუბრისი იპყრობთ და ტრაგიკულად ასრულებენ მოღვაწეობას.

დამოვლებანი:

ბეოვულფი 1989: ბეოვულფი (ინგლისურიდან თარგმნეს პაატა და როსტომ ჩეიიდებმა). თბილისი: გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, 1989.

ბეოვულფის სინოფსისი: *Synopsis of Beowulf*

http://penelope.uchicago.edu/~grout/encyclopaedia_romana/britannia/anglo-saxon/beowulf/reading.html

ბუდა 2016: Buda R. *Beowulf Analysis: Hubris Makes Beowulf a Tragic Hero* [Article on-line], 2016; accessed 18 October 2016; available from <https://owlcation.com/humanities/Beowulf-Analysis-Hubris-Makes-Beowulf-a-Tragic-Hero>

კიკნაძე 2001: კიკნაძე ზ. ქართული ხალხური ეპოსი. თბილისი: გამომცემლობა „ლოგოს-პრესი“, 2001.

კიკნაძე 2008: კიკნაძე ზ. ქართული ფოლკლორი. თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2008.

კოტეტიშვილი 1961: კოტეტიშვილი ვ. ხალხური პოეზია. თბილისი: გამომცემლობა „საბჭოთა მწერალი“, 1961.

ნართები 1988: ნართები (ოსურიდან თარგმნა მერი ცხოვრებოვამ). ცხინვალი: გამომცემლობა „ირისთონი“, 1988.

ორჩერდ 2003: Orchard A. *Critical Companion to Beowulf* [Book on-line], (Great Britain, St Edmundsbury Press Ltd, 2003); available from

<http://www.politicalavenue.com/languageschool/ENGLISH-LANGUAGE-BOOKS/16%20A%20Critical%20Companion%20to%20Beowulf.pdf>

რაგლანი 1934: Raglan L. *The hero of tradition* [Journal Article on-line]. (Folklore Enterprises, Ltd. 1934); available from <https://wrightela.wikispaces.com/file/view/the+hero+of+tradition+a+detailed+explanation+of+the+hero+journey.pdf>

სიხარულიდე 2006: სიხარულიდე ქ. კავკასიური მითოლოგია. თბილისი: გამომცემლობა „კავკასიური სახლი“, 2006.

ჩიქოვანი 1947: ჩიქოვანი მ. მიჯაჭვული ამირანი. თბილისი: თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1947.

ჩიქოვანი 1959: ჩიქოვანი მ. „მიჯაჭვული ამირანი“. ქართული ეპოსი. წიგნი პირველი. თბილისი: საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, 1959.

ჩხეიძე 1991: ჩხეიძე რ. ამირანის თქმულება. თბილისი: გამომცემლობა „ნაკადული“, 1991.

Hubris of Beowulf and Amiran

Summary

Heroic adventures of Beowulf and Amiran belong to different cultures, but both of them are finally formed in the Christian epoch and have many motives and elements in common.

The path of heroes begins with doing a good deed. They help people and free them from hard life by protecting them from demonic creatures. However, at some point their strength becomes fatal for heroes. Step by step Amiran's strength began to lose its meaning. There was no living soul that could defeat him. Just as in his childhood, his tempestuous nature woke up and his desire to fight his godfather chained him to the rock forever.

Beowulf's goal of his life is to help others. It seems that his only purpose on earth is to live for the sake of others, but when he starts boasting to Unferth about his heroic actions, the fall of the hero begins, even though Beowulf has a lot of victories that will surely bring him to an inevitable defeat. Both heroes have the opportunity to change themselves, but none of them takes this chance, they can't avoid arrogance, pride and haughtiness. Life gives them hints and lessons that should be the reason of their awakening, but the pride has so much impact on these characters, none of them turns out of the way.

The godfather gives three opportunities to Amiran to think about and come to his sense. In the castle Hrathgar reminds Beowulf to avoid the path that is full of glory or wealth and it might end up fatally.

Amiran and Beowulf have the opportunity to make a different choice, but one of them wants the infinite power and another is passionate about secret treasure, which finally sacrifices him.

Their ways are the same, because the hubris always leads to the end.

მითოსური სამყარო

ნესტან რატიანი

ერთი პოპულარული მეტაფორის ორი ასპექტისთვის

მწყემსი საკმაოდ პოპულარული პერსონაჟია ფოლკლორში. ის პოეზიაშიც გვხვდება და პროზაშიც, განსაკუთრებით საინტერესოა მისი ადგილი ზღაპრებში, ნოველისტური იქნება, ჯადოსნური თუ ცხოველთა.* მწყემსს ქართული ფოლკლორი მეცხვარის სახელითაც იცნობს. ხშირია შემთხვევა, როდესაც მეცხვარე არის დევი და მას უპირისიპირდება პროტაგონისტი. აღსანიშნავია, რომ პომეროსის „ოდისეაში“ კიკლოპი მეცხვარეა და ის ცხვარს მწყემსავს. როგორც ტექსტიდან ჩანს, კიკლოპი საკმაოდ კარგად ასრულებს თავის ფუნქციას. ვერ ვიტყვით, რომ ზღაპრებში მწყემსი ყოველთვის კეთილია, განსხვავებით ბიბლიისგან, რომელშიც მწყემსი თითქმის ყოველთვის კეთილია. ბიბლიაში მწყემსი არა მარტო პერსონაჟია, არამედ ის მეტაფორის, შედარების სახითაც გვხვდება. ბიბლიაში ასევე არაერთი იგავი ეძღვნება ამ პერსონაჟს. ბიბლიიდან ეს სახე მხატვრულ ლიტერატურაშიც გადავიდა და, შუასაუკუნეებიდან მოყოლებული დღემდე, „მწყემსი კეთილი“ ყველაზე უფრო პოპულარული მეტაფორაა და მას ხშირად მიმართავენ სულიერი ლიდერის თუ ღმერთის მისამართით. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ეს მეტაფორა არ იყო ყველასთვის საყვარელი მხატვრულ-გამომსახველობითი საშუალება.

პლატონის „სახელმწიფო“ ერთ-ერთი საუკეთესო ნაწარმოებია, რომელიც სამართალზე და სამართლიანობის თემაზე შექმნილა. დიალოგი, რომელიც სოკრატესა და სხვა ცნობილ თუ არაცნობილ პირებს შორის წარიმართა, მრავალ, მანამდე ბუნდოვანებით მო-

* ხშირად არასწორად მიიჩნევენ, რომ ზღაპარში „კომბლე“ პროტაგონისტი მწყემსია. მაგრამ კომბლეს პროფესია ქობბლების კეთებაა და ამიტომაცაა, რომ მას მხოლოდ საში ცხვარი ჰყავს. კომბლების თლა არაა მწყემსის პრეროგატივა, ეს კომბლეს საქმეა. თუკი რომელიმე კომბლე შეთავსებით მწყემსიცაა, მას სამზე მეტი ცხვარი უნდა ჰყავდეს. მოცემულ ზღაპარში კი კომბლეს მხოლოდ თავისი ცხვარი გაჰყავს საძოვარზე, რომელსაც მოგვიანებით კარგავს კიდეც.

ცულ საკითხს ხდის ნათელს. ერთ-ერთი საკითხი მმართველის მწყემსთან შედარებაა. მაგრამ, სანამ ამ შედარებას განვიხილავდეთ, აუცილებლად უნდა გავერკვეთ, ვინ არიან დიალოგის მონაწილენი.

დიალოგი წარიმართა ათენის შემოგარენში, ნავსადგურ პიროვნები მდიდარი მეტიკის კეფალოსის ოჯახში, სადაც დემოკრატიის მომხრე ახალგაზრდებიც ხშირად იკრიბებოდნენ გაგანია პელოპონესის ომის დროს. პელოპონესის ომი ჩვ. წ-მდე 433 წლიდან 404 წლამდე ორ უმსხვილეს პოლისს, ათენსა და სპარტას შორის მიმდინარეობდა. მეტიკი არამოქალაქეა, თუმცა მეტიკს ბიზნესის წარმოებაც შეუძლია, ოჯახის შექმნაც, მაგრამ მოქალაქისგან ის განასხვავებს, რომ იგი ქალაქის საქმეებში, პოლიტიკურ ცხოვრებაში ვერ მიიღებს მონაწილეობას, ე.ი. მას ხმის მიცემის უფლებაც არ გააჩინა. სამაგიეროდ, მისი შვილები ამ უფლებით სარგებლობენ და კეფალოსის დიდი სურვილია, მისი შვილები პოლიტიკაში ჩაერთონ, ამიტომაც არანაირი თანხა არ ენანება მათვის საუკეთესო განათლების მისაცემად. იმ პერიოდში ამ კუთხით ყველაზე შემოსავლიანი ბიზნესი სოფისტებს ჰქონდათ. ისინი ამზადებდნენ მდიდარი ათენელების შვილებს ორატორულ ხელოვნებაში და სხვა საგნებში, რომელთაც დიდი გასავალი ჰქონდა, რადგან სასამართლოებში გამოიყენებოდა. ამ გზით სოფისტები იმდენად გამდიდრდნენ, რომ, სხვა ფილოსოფოსებისგან განსხვავებით, მათ ტაძრებისთვის საუკეთესო გულუხვი ძღვენის შენირვა შეეძლოთ. ისინი მდიდრული ჩაცმულობით და ოქროს სამკაულებითაც ბრწყინავდნენ და ფუფუნებაშიც ცხოვრობდნენ. როგორც ვთქვით, მათი შემოსავლის მთავარი წყარო მდიდარი ოჯახები იყო და მათი კეთილდღეობაც მონაფეთა რაოდენობის პარალელურად იზრდებოდა. სოკრატეს, რომლისთვისაც ფილოსოფია შემოსავლის წყარო არ ყოფილა, არ უყვარდა სოფისტები. წარმოიდგინეთ მისი რეაქცია, როდესაც რამდენიმე ახალგაზრდამ ერთ დღეს ფილოსოფოსს პირეოსიდან ათენში სახლში წასვლის საშუალება არ მისცა და ლამის ძალით წაიყვანა კეფალოსის სახლში. სოკრატე გაოგნებულია, როდესაც შენიშნავს, რომ მისი თანმხლები გლავკონიც, პლატონის ძმა, ამ მოძალადე ახალგაზრდების მხარესაა. ამიტომაც მათ არა იმდენად შიშის, არამედ ინტერესის გამო უფრო მიჰყვება. კეფალოსის სახლში მისულს მას კიდევ რამდენიმე ახალგაზრდა დახვდება და მათთან ერთად ამ

ახალგაზრდების სოფისტი მასწავლებელი თრასიმაქოსი. სოკრატე ხვდება, რომ ახალგაზრდებისთვის ძალადობა უცხო არაა და ამაში წვლილი სწორედ მათ მასწავლებელს მიუძღვის, რადგან ის ასწავლის მონაფეებს, რომ მომავალი პოლიტიკოსებისთვის ნებისმიერი გზა მისაღებია. როგორ პოლიტიკოსებად შედგებიან ეს ახალგაზრდები და რა დღეში ჩააგდებენ ქვეყანას, ეს უკვე მათ მასწავლებელს არ ადარდებს. მისთვის მთავარია, ახლა იშოვოს ფული და, თუკი დიალოგის დროს მისი მონაფეები აჯობებენ სოკრატეს, მისი სახელი კიდევ უფრო შორს გავარდება და მისი, როგორც მასწავლებლის ფასი კიდევ უფრო აიწევს. სოკრატე ხვდება, რომ ძალადობასთან დაპირისპირება ადვილი არაა, ერთადერთი გზაა, დიალოგი ისე წარმართოს, რომ ამ ახალგაზრდებს და მათ მასწავლებელსაც ასწავლოს, რა არის სამართალი. ამისთვის კი შეერთებული ძალით მოძებნონ ეს ცნება. პირველად სამართალს თავად კეფალოსი განმარტავს. მისთვის სამართალი არის ღმერთისთვისაც და ადამიანებისთვისაც ვალის გადახდა, ანუ ყველამ საკუთარი წილი უნდა მიიღოს. სოკრატე ადვილად გააჩუმებს კეფალოსს, როდესაც ასეთ სიტუაციას წარმოადგენს: თუკი მეგობარი ჩაგაბარებს იარაღს და ეს მეგობარი წლების შემდეგ ჭკუიდან შეიშლება, უნდა დავუბრუნოთ თუ არა მას იარაღი?! რამდენად სამართლიანი იქნება ეს საზოგადოების მიმართ, რომელიც შეშლილი მეგობრის სამიზნე გახდება (ეს თემა დღესაც აქტუალურია, თუკი დოლარილარი-კუპონი-რუბლის სესხება-დაბრუნებაზე ვისაუბრებთ). კეფალოსს ამ კითხვაზე პასუხი არა აქვს და ოთახს ტოვებს, ხოლო მისი ქონების მემკვიდრე, მისი ვაჟიშვილი, მამის არგუმენტის მემკვიდრეც ხდება. პოლიმარქოსი უკვე სხვანაირად განმარტავს სამართალს და ამბობს, რომ სამართალია, როდესაც მეგობარს ვარგებთ, მტერს კი ვავნებთ. ეს განმარტება პელოპონესის ომის დროს ასე უნდა გავიგოთ: სამართლიანია, დავაზიანოთ ნებისმიერი სპარტელი, თუნდაც ლირსეული, ათენელს კი, როგორიც არ უნდა იყოს ის, ბოროტი თუ მაოხრებელი, საუკეთესო პირობები შევუქმნათ (დღეს ეს თემაც აქტუალურია საქართველოში, თუკი სპარტელს რუსით ჩავანაცვლებთ და ათენელს – ქართველით). ცხადია, სოკრატე პოლიმარქოსაც გადაარწმუნებს შესაბამისი არგუმენტებით და პოლიმარქოსი ასეთ სიტყვებს იტყვის: მე შენი პარტნიორი გავხდები ნებისმიერ საქმეშიო. თრასიმაქოსი, რომელიც ამ ყველაფერს უს-

მენს, ხედავს, რომ მისი მოწაფეები არათუ ვერ იგებენ დისკუსიას, არამედ ხელიდანაც ეცლებიან და სოკრატეს მხარეს გადადიან, ამიტომ სასწრაფოდ ერთვება საუბარში. ჰოდა, სწორედ ეს თრა-სიმაქოსი, სოფისტი მასწავლებელი, რომელიც სოკრატეს აზრით, რყვნის მოწაფეებს, რადგან არასწორ შეხედულებებს უყალიბებს, სოკრატეს, ერთი შეხედვით, საკმაოდ მიმზიდველ სურათს უხა-ტავს. მისთვის მმართველი მწყემსს წააგავს, რომელიც დღედაღამ ზრუნავს თავის ფარაზე. თუკი მანამდე სოკრატესთვის მმართვე-ლი წააგავდა ექიმს, რომელიც პირადი კეთილდღეობისთვის კი არ ზრუნავდა პაციენტზე და სარგებლის გამო კი არ კურნავდა მას, არამედ მისი მთავარი ინტერესი თავად ავადმყოფის ჯანმრთელო-ბა იყო, თრასიმაქოსისთვის ეს მაგალითი მიუღებელი ხდება და მმართველი ის ექიმია, რომელიც საკუთარ კარიერაზეა ორიენტი-რებული და არა პაციენტის მდგომარეობაზე. ზუსტად ასევე მის-თვის მმართველი მწყემსია, ნებისმიერი მწყემსის მიზანი კი ფარაზე და ცხვარზე ზრუნვაა ცხვრისა და ფარის სიკეთისთვის კი არა, არა-მედ ცხვრის დასუქებაზე და მოფრთხილებაზე ისევ და ისევ ამ ცხვირს საჭმელად გამოყენების მიზნით. სწორედ ეს შედარება მი-აჩნია სოკრატეს არასწორად. მისთვის კარგი მმართველი არავითარ შემთხვევაში არ უნდა შედარდეს კარგ მწყემსს, რადგან, ეჭვსგარე-შეა, მწყემსი, ვეგეტარიანებილიც რომიყოს, იგი მაინც ცხვრებს თავად ცხვრების სასიკვდილოდ კი არა, სხვათა ბეჭნიერი ცხოვრებისთვის ელოლიავება, პატრონობს და იცავს ყველანაირი საფრთხისაგან. ასე რომ მწყემსისა და მმართველის შედარება სოკრატესათვის არათუ არადამაჯერებელი, არამედ მიუღებელიცაა. მწყემსისა და მმართველის შედარება მოსწონს და მისაღებია თრასიმაქოსისთ-ვის, რომელიც სამართალს განსაზღვრავს, როგორც ძლიერის უპი-რატესობას. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ძლიერი ადამიანი, როგორიც არ უნდა იყოს ის, თავის სამართალს დააწესებს, უსამართლო ძლი-ერი ადამიანი უსამართლო სამართალს დააწესებს, ტირანი – ტი-რანიისთვის მომგებიან სამართალს და ა.შ. ამდენად სამართალი შეიძლება არც იყოს ყველასათვის სამართლიანი, ის სამართლიანი იქნება მხოლოდ ძლიერთათვის.

ეს მოსაზრება მიმზიდველი აღმოჩნდა მრავალთათვის, არა მარ-ტო პლატონის ნაწარმოების მკითხველისთვის, არამედ საუკუნეთა მანძილზე უამრავი ადამიანისთვის. სამწუხაროდ, თრასიმაქოსი-

სეული სამართალი, ამ განმარტებით, უფრო ახლობელი და დამაჯერებელი აღმოჩნდა. ასევე მმართველისა და მწყემსის შედარებაც მეტაფორად იქცა და ბევრი არც კი უფიქრდება, თუ რას ნიშნავს სინამდვილეში, როგორ იხსნება პრაქტიკაში თეორიაში დამკვიდრებული ეს მეტაფორა, ამიტომაც ავტომატურად იმეორებს სოკრატესათვის მიუღებელ მეტაფორადეცეულ შედარებას. ამას ხელი შეუწყო ქრისტიანობამაც, რადგანაც წმინდა წიგნებში საკმაოდ ხშირია ამ მეტაფორის გამოყენება. შემდეგ ეს მეტაფორა გადავიდა ლიტერატურაში და ჩვენც, ისე რომ არ ვიხსენებთ ამ ცნების ისტორიას, მექანიკურად ვასწავლით და ტვინში ვუპეჭდავთ მას ჩვენს მოსწავლეებს. აღსანიშნავია, რომ ძეველ აღთქმაში მწყემსის მეტაფორა, რომელიც აღნიშნავს მეფეს/უფალს, 90-ჯერ გვხვდება (გუგლის მონაცემებით), ბიბლიაში 43 მეტაფორაა, როდესაც მწყემსი უფალს აღნიშნავს, ხოლო იესოს 8-ჯერ. თუმცა მწყემსის ფუნქციით უფლის გამოყვანა დაახლოებით 102-ჯერ გვხვდება. საქმე ისაა, რომ როდესაც მწყემსის ბიბლიურ მეტაფორაზე ვსაუბრობთ, ამ დროს გასათვალისწინებელია ახლო აღმოსავლეთის ტრადიცია. როგორც ვიცით, მწყემსი არასოდეს არაა ასაკოვანი, ის ახალგაზრდაა ან სულაც ყმაწვილი. მწყემსის ხელობა/პროფესია არც პრესტიჟულია, რადგან მწყემსი არასოდეს არ უვლის საკუთარ ფარას, რეალურად მისი ცხვარი სხვას ეკუთვნის. სწორედ ეს მომენტია გასათვალისწინებელი, როდესაც მწყემსის მეტაფორის ბიბლიურ გამოყენებაზე ვსაუბრობთ. ფარა ეკუთვნის პატრონს, მას მწყემსი მხოლოდ უვლის, ასევე არიან ადამიანებიც, მეფე მათზე ზრუნავს დროებით, ადამიანები კი ეკუთვნიან სხვას, ამ შემთხვევაში – უფალს.

როგორც ვხედავთ, მიუხედავად იმისა, რომ მეტაფორა არაჩვეულებრივი მხატვრული საშუალებაა, სათქმელი მოხდენილად მივიტანოთ მსმენელამდე, მეტაფორა ხშირად თავგზასაც გვიბნევს, რადგან წებისმიერ მეტაფორას თავისი ისტორიული განვითარების გზა გააჩნია და ამ გზის ცოდნის გარეშე, შესაძლოა, პრობლემებს წავაწყდეთ. მეტაფორის მსგავსად, სხვა მხატვრულ-გამომსახველობითი საშუალებებიც ასეთივე ბედს იზიარებს, ამიტომაც, მათი გამოყენებისას და მათი გახსნისას მეტი პროფესიონალიზია საჭირო.

პიპლიოგრაფია:

ბიბლია 1989: ბიბლია. თბილისი: საქართველოს საპატირიარქოს გამოცემა, 1989.

პლატონი 2003: პლატონი. სახელმწიფო. თბილისი: გამომცემლობა „ნეკერი“, 2003.

ქართული ხალხური პროზის მრავალტომეული 2011-2014: ქართული ხალხური პროზის მრავალტომეული (22 ტომი შედგენილია შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის ფოლკლორის განყოფილების მიერ განხორციელებული პროექტის ფარგლებში). 2011-2014.

ჰომეროსი 2011: ჰომეროსი. ოდისეა. თბილისი: გამომცემლობა „პალიტრა“, 2011.

<https://www.studylight.org/dictionaries/hbd/s/shepherd.html>

<https://www.bibleodyssey.org/en/passages/related-articles/shepherds-in-the-bible-and-in-art>

Nestan Ratiani

Two Interpretations of the Popular Metaphor

Summary

In some of the Georgian folk-tales, the shepherd may be a protagonist or an antagonist. The shepherds play an important role in the development of the storylines of many literary texts. This article will focus on a metaphor of shepherd which is frequently used in literary, religious and philosophical texts. The metaphor of shepherd varies as follows: 1. On the one hand, there is a good shepherd, who cares about his flock; and, a bad shepherd, who does not look after the flock and thus, acts irresponsibly. The first type of shepherd became a metaphor of the king as well as of the Lord and the second type of a shepherd became a metaphor of a bad king; 2. On the other hand, in the dialogue (“The Republic”) of Plato Thrasymachus describes the politicians who, like shepherds, take care of their flocks in order to get a profit. This image of a shepherd became a metaphor of a politician, who cares only about self-interest. As such, positive and negative uses of the same metaphor is the topic of this article.

ეკა ჩხეიძე

მგელთან დაკავშირებული რწმენა-წარმოდგენები

ვახტანგ გორგასლის დახასიათებისას უდიდესი მნიშვნელობა აქვს მის მუზარადს, საიდანაც წარმოდგება ვახტანგის მეტსახელი. მემატიანე ჯუანშერი წერს: „ხოლო ვახტანგ მეფესა შეექმნა ჩაპალახი ოქროსი და გამოესუა წინათ მგელი და უკანათ ლომი; რომელსაც კერძსა იძლეოდნენ ქართველნი, მუნითამცა მიმართის და მოსრას სპარსი წყობად მისა, რამეთუ დაისწავლე, რომელსაც ენერა მგელი და ლომი, და ვითარცა იხილიან ვახტანგ, თქვან: „დურად გორგასალ“, რომელ არს ესე: „მოერიდეთ თავსა მგლისასა“. და მის მიერ სახელედვა ვახტანგ მეფეს გორგასალი“ (ქართლის ცხოვრება 1955: 180). მგელი მსოფლიო მითოლოგიაში ომის ღმერთს განასახიერებს, რაზედაც ქვემოთ შევჩერდებით. ის ქართულ ყოფაშიც საბრძოლო რიტუალთან იყო დაკავშირებული. სვანები მგელს საკრალურ ცხოველად მიიჩნევენ. „სვანური წმინდა დროშა „ლემი“ წარმოადგენდა ხის ტარზე დამაგრებული ქსოვილისგან გამოჭრილი ცხოველის გამოსახულებას, რომელსაც ეთნოგრაფი ვერა ბარდაველიძე ტოტემურ მგლად მიიჩნევდა და ამ მოსაზრებას ასაბუთებდა სხვანეთში მგლისადმი „ნათესაური“ დამოკიდებულების ამსახველი მასალით: მგლის ტყავის ჯუბებით, რომელთაც კუდი ხელუხლებლად ჰქონდათ დატოვებული; მგელთან დაკავშირებული უძველესი ცერემონიალით (მამაკაცთა პროცესია „აშანგელო“, რაც „სამეცნიეროს“ ნიშნავდა) და ა. შ. სვანებს სწამდათ მგლის ზებუნებრივი მფარველი ძალის: მგლის კბილი ავი თვალისგან იცავდა, ძვლების ნახარში სამკურნალო საშუალებად ითვლებოდა. მგლის ბეწვსა და ბრჭყალებს ასევე მაგიური ძალა გააჩნდა. მგლის ბეწვს წვავდნენ და ავადმყოფს უბოლებდნენ ეპილეფისის შეტევისას; მგლის მოვლა ტაბუირებული იყო და თუ შემთხვევით მონადირე ტაბუს დაარღვევდა, ქუდმოხდილი სვანები დაიტირებდნენ და ებოდიშებოდნენ მოკლულს“ (აბზიანიძე, ელაშვილი 2006: 138).

„სვანების ეთნოგრაფიული მასალიდან ჩანს, რომ ისინი მგელს მიაწერდნენ ზებურებრივ ფიზიკურ ძალას და მოხერხებას, ჭკუასა და საზრიანობას, არაჩვეულებრივ მხედველობას, შესაძლებლობას წინასწარ დაინახოს და გაიგოს 12 მთის იქით მომხდარი ამბავი,

რომლის გარბენაც თითქოს ერთ ღამეში შეუძლია“ (ჩოლოყაშვილი 2016: 153).

მგელი ცხოველთა სიმბოლიკაში ორმაგი ბუნებისაა. ზოგჯერ სიკეთეს განასახიერებს: რომის დამფუძნებელი და პირველი მეფე რომელი და მისი ძმა რემი ძუ მგელმა გამოკვება, რის გამოც რომის სიმბოლოა ძუ მგელი, რომელსაც ორი ყრმა ძუძუს წოვს. ცხოველთა სიმბოლიკაში დიდი მნიშვნელობა ენიჭება გამორჩეულ ცხოველთა ძუძუს, რასაც ღმერთები, მეფეები, გმირები წოვენ. ფურ-ირემს წოვენ შუმერული ქალმერთის ურამის ძენი – შვიდი გმირი, ეგვიპტის ფარაონი, ერეკლე მეფე („ბატონიშვილ ერეკლესა, ირმის ძუძუ უნოვია“). ძუ ლომთა ძუძუს წოვდა ეროსი; ფაშატმა აწოვა ძუძუ პოსეიდონს და ა.შ. ტოტემიზმის ამ გამოვლინებაში – ცხოველთა ძუძუს წოვაში ადამიანი იძენდა ზებუნებრივ ძალას. დავუბრუნდეთ მგელს. ეგვიპტელთა ზოგ ღმერთს მგლის ან ტურის სახე აქვს. ჩრდილოურ მითში ერთი მგელი ყლაპავს მზეს, მეორე – მთვარეს, ქვეყნიერებაზე წყვდიადი ჩამოწვება, საზარელი მგელი ფენრისი ჯაჭვიდან აიშვებს თავს და იწყება ღმერთების დაისი. ფენრის-მგელი ყმუილით აღებს პირს და ყლაპავს ღმერთს ოდინს. მგელი ღამის განსახიერებაა, ციურ ღრუბელთა ფარასა ნთქავს, როგორც დედამინაზე გლეჯს მგელი ცხვარს. ავსულთან გაიგივებული მგელი ბოროტი ძალაა, წარმართულ დღეობაზე თხას უკლავენ. მეზღვასურთა წარმოდგენით, მგელი ყლაპავს მზეს და მთვარეს, ე. ი. ღრუბლები ფარავენ მნათობებს. ზოგიერთი ხალხის წარმოდგენით შობიდან ნათლის-ღებამდე საქსოვ-საკერავს ხელს არ კიდებდნენ: ვინც ამ დღეებში ნაქსოვს ჩაიცვამს, იმას მგელი შეჭამსო. სვანები ყველიერის დღეებში მაკრატელს ბანრით კრავდნენ და არ ხმარობდნენ, რითაც მგელს უკრავდნენ პირს. რუსთა რწმენით, მგლებს წმინდა გიორგი გზავნის ყველა მხარეს და ვისი დაგლეჯაც დაევალებათ, იმას ვეღარავინ იხსნის. სვანთა რწმენით, მგლის მოქმედებას ჯგირაგი განაგებს. ბერძენთა მითოლოგიაში არკადიის მეფე ლიკაონი თავისი უკეთურებისათვის ზევსმა მგლად აქცია და ცარგვალზე მოათავსა (გელოვანი 1983: 295).

ძველად ნადირობის შედეგად სალოცავში მსხვერპლის შეწირვა ჩვეულებრივი მოვლენა იყო და ეს მსხვეპლი წმიდად ითვლებოდა. ამ ნადირის ტყავის ჩაცმა კი თვით კაცს ხდიდა გამორჩეულად. შემდეგ კი ტყავის ჩაცმის ნაცვლად ნიღაბს ატარებდნენ. მხეცის ტყავს

ენიჭებოდა არსებითი ღირებულება. კაცი, რომელსაც ეცვა ძალ-ლის, მგლის, ლომის, გველის, ფრინველის და სხვა არსების ტყავი, იგი განიცდიდა მეტამორფოზას, რომელსაც შეთვისებული ჰქონდა ზებუნებრივად ღვთიური ძალლის, მგლის, ლომის და სხვათა თვისებები.

უნინდელ ადამიანს სწამდა, რომ მხეცის დამორჩილება, დაჭერა ან მოკვლა ადვილადაა შესაძლებელი, თუ მასზე დაფარულ ჯადოსნურ ძალას იხმარ. ამ ძალის მიღება შეგიძლია, თუ ამ მხეცის ტყავს ჩაიცვამ. თვით მხეცის ტყავი თავად იძლევა იმ იდუმალ ძალას, რომლითაც მხეცის დამორჩილება ან მოკვლა შეგიძლია. მხეცის ტყავს ჯადოსნური ძალა მიეწერებოდა და რომელიმე ტომის მეფე, ღვთისმსახური, ჯადოსანი თუ მისანი ტყავს ამ განზრახვით ატარებდა.

მგლის დაკავშირება ნადირობასა თუ ომთან ათასწლეულების სილრმიდან მოდის. ეს კავშირი, ბუნებრივია, ამ ცხოველის თვისებებიდან გამომდინარეობს: სისასტიკე, ხროვად ნადირობა, მამაცობა, – ყველა ეს მგლის თვისებებია, რომლებიც მეომარს უნდა გამოდგომოდა. ამისთვის ის მგლად უნდა ქცეულიყო, მეტამორფოზა განეცადა. არქაულ სამხედრო ხელოვნებაში რწმენას მაქციობის შესაძლებლობის, დიდი როლი ენიჭებოდა. ამას სკანდინავიური ფოლკლორული მასალაც ადასტურებს. „ვოლსუნგების საგაში“ ვკითხულობთ:

„სიგმუნდს სინფოტლი შურისგების ძალისხმევისთვის ძალიან ახალგაზრდად მოეჩვენა, და მოინდომა ჯერ სამხედრო საქმეს შეჩვეოდა. და, აი, დადიან ისინი მთელი ზაფხული ტყეში და ნადავლისთვის ადამიანებს ხოცავენ... ერთხელ, როდესაც ნადავლისთვის ტყეში წავიდნენ, იპოვეს სახლი და ორი კაცი, რომელსაც სახლში ეძინა. ისინი მოჯადოებული იყვნენ, თავთ მგლის ტყავი ეკიდათ; ამ ტყავიდან ისინი ყოველ მეათე დღეს გამოდიოდნენ და ესენი უფლისწულები იყვნენ. სიგმუნდი და მისი შვილები შეძვრნენ ტყავებში, მაგრამ გამოძრომა ვეღარ შეძლეს და დარჩა მათში მგლის ბუნება და დაიწყეს მგლურად ლაპარაკი: ორივემ ენა შეიცვალა. და აი, გავიდნენ ტყეს და ორივე თავის გზას დაადგდა. პირობა დადეს, შემხვედრთ მიხდომოდნენ. თუ მათი რიცხვი შვიდზე მეტი არ იქნებოდა, მგლურად დაეყმუვლა იმას, ვინც დამხდურთ პირველი მიუხდებოდა...“

მაქცია-მგლები კვლავ იბრუნებენ თავიანთ სახეს, თუკი ვინმე მოახერხებს მათთვის მგლის ტყავის მოშორებას. ასევე ისინი რომ კვლავ ადამიანებად იქცნენ, ამისთვის საჭიროა: შელოცვა; მგლის გახვევა ადამიანის სამოსში; მგლის ადამიანად ქცევა დაწყევლის მოქმედების ვადის შემდეგ; მაქციის გამოკვება ნაკურთხი საკვებით; მაქციისათვის კვანძებიანი ქამრის გაკეთება, ასევე დედის წყევლით მგლად ქცეულმა მაქციამ უმი ხორცი არ უნდა ჭამოს, თორემ ადამიანის სახეს ვეღარასოდეს მიიღებს და ასე შემდეგ.

როგორ ტარდებოდა მგლად გადაქცევის რიტუალი? როგორც ჩანს, პირველ რიგში მგლის ტყავის გადაცმით. ხშირად მას სპეციალურ „მგლის“ ქამარს უკეთებდნენ. მგლად გადაქცევა, მგლის იმიტირება შეიძლება სხვა ფორმითაც მომხდარიყო: კანიბალიზმის, ჯგუფური ღრეობისა ან ყაჩალობის გზით.

მირჩა ელიადე თავის ნაშრომში, რომელიც მგლის სიმბოლიკის კავშირს სამხედრო საქმესთან ეხება, წერდა: „ამ წარმოდგენათა საფუძვლად მგელთან მისტიური შერწყმის გამოცდილება ძევს. ამგვარი შერწყმის გზები სხვადასხვაგვარი შეიძლება იყოს: ანთროპოფაგია, გმირული ექსტაზი, ცხოველის ტყავით განხორციელებული ინიციაცია, რიტუალური ლოთობა, ასევე ყაჩალობა და სხვა.“

ამ წარმოდგენათა საფუძველი მგელთან მისტიური შერწყმის გამოცდილებაა. ამგვარი გამოცდილების საფუძველი კი პირველად მითშია ჩადებული და მისი რეალიზება რეაქტუალიზაციის გზით არის შესაძლებელი.

ელიადე თვლის, რომ მგლის საკრალური მნიშვნელობა ეჭვს-გარეშეა, უკვე ნეოლითის ხანის გამოქვაბულებში გვხვდება. თანაც არა მხოლოდ მგელძალლთა გამოსახულებების, არამედ პრიმიტიული ფიგურების სახით, რომლებიც გამოხატავენ მგლისნილპი-ან ფიგურებს. ძნელი სათქმელია, რას გამოსახავენ ეს ნახატები: საპრძოლო ინიციაციას თუ იმ ტიპის სეზონურ ცერემონიას, რომელიც მიცვალებულთა პერიოდულ უკუდაბრუნებას უკავშირდება და რომლის დროსაც გამოიყენება ხორნური, მიღმური არ-სებების: ცხენების, კატების, მგლებისა და დათვების – ნიღბები“ (კაციტაძე 2011: 178).

დავუბრუნდეთ მაქციობასთან დაკავშირებულ სხვა რიტუალებსაც. მეომარი სრულყოფილი მონადირეა. მონადირის მსგავსად ის ქცევის მოდელად მტაცებლის ქცევას იღებს. ის არის პირველ-

წინაპარი მგლის შთამომავალი, ან ასეთად იქცევა სათანადო რიტუალის შედეგად. მგლად მხოლოდ ის იქცევა, ვინც თავის თავსა და დროის საზღვრებს გადალახავს და პირველქმნილი მითის თანამედროვედ და თანამონაწილედ იქცევა.

მგელს დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა ისეთ მეომარ მომთაბარეებში, როგორებიც იყვნენ ძველი თურქები და მონღოლები. თურქები მგელს თავიანთ წინაპრად თვლიდნენ. გადმოცემით ისინი ადამიანისა და მგლის შეუღლებიდან წამოიშვნენ. თურქულ ტომებში ხშირია მაგალითები მგლისაბილიანი ამულეტების ტარებისა, რომელთაც მატარებელი ბოროტებისაგან უნდა დაეცვა. მონღოლებსაც მსგავსი წარმოდგენები ჰქონდათ: მაგალითად, ჩინგის-ხანის ერთ-ერთ წინაპრად ციური მგელი მიიჩნეოდა.

ირანული ეპოსის „შაპ-ნამეს“ მიხედვით, სპარსეთის დროშაზე მგელი იყო გამოხატული. თურქესტანში გვხვდება მგლის ან მგლისთავიანი დრაკონის გამოსახულებიანი დროშები. დრაკონისთავიანი მგელი იყო გამოსახული დაკების დროშებზეც.

მგლის კულტის არქაულობა საქართველოში ეჭვს არ უნდა იწვევდეს. საყურადღებოა ისიც, რომ ხევსურეთში სახელგან-თქმულ ქადაგებს „მგელა“, „მგელიკა“ ჰქვიათ, რაც აგრეთვე ადასტურებს მგლის საკრალიზაციას.

შეგვიძლია, გავიხსენოთ მეგრული ზღაპრის პერსონაჟი გერია, რომლის სახელიც პირდაპირ უკავშირდება მგელს და რომელიც მრავალ გმირობას ჩადის.

ქართულ ფოლკლორში მოგვეპოვება მგლად მაქციობის ამსახველი სვანური თქმულება „ფულდე ქალდანის ასული“: „ფულდუ ქალდანი განთქმული ვაჟკაცი იყო. ერთ ღამეს მის სახლს სამი მგელი მოადგა. ძალიან ბნელოდა და წვიმიანი ღამე იყო. მგლები ყმულდნენ. ადგა ფულდუ ქალდანი და ერთი ცხვარი გადაუგდო. ამ ცხვრით იმ ღამეს სული შერჩათ მგლებს. მეორე დღეს იქ რას გაუჩერდებოდნენ – წავიდნენ.“

ერთ დღეს ფულდუ ქალდანი სამეგრელოს მთებში წავიდა საშოვარზე. წინ ერთი ვაჟკაცი შემოეყარა და ჰქითხა:

– ვინ ხარ?

– ფულდუ ქალდანი ვარ.

ამ ვაჟკაცმა თავის ორ ამხანაგს გადასძახა:

– ეს ის ფულდუ ქალდანია, რომელმაც ცხვარი ჩამოგვიგდო, მშივრები გაგვაძლო.

ეს ვაჟკაცები ის მგლები ყოფილან, წვიმიან ღამეს რომ მოადგნენ ფულდუს სახლს. ახლა ჯერ ერთმა დაპატიჟა ქალდანი, მერე – მეორემ, მერე – მესამემ. ბოლოს ჰკითხეს: საჩუქრად ჩვენგან რა გინდაო?“

როგორც ვხედავთ, მგლად მაქციობის შესახებ წარმოდგენა ნათლად და ცალსახადაა გამოხატული. მგლად მაქციობის რწმენის ერთ-ერთი ელემენტი იყო მაქციების მიერ განსაკუთრებული ცოდნის ფლობა.

„საჩუქარი არ იკადრა ფულდუ ქალდანმა და სთხოვა: თქვენ რაც გაგება-ცოდნა გქონდეთ მალული, მეც მასწავლეთო.

ვაჟკაცებმა გაიხმეს განზე და დააფიცეს, რასაც გასწავლით, არავის უთხრაო“ (ხალხური სიბრძნე: 1964: 198-199).

ბუნების საიდუმლოება გაიგო ფულდუ ქალდანმა: ცხოველის, ფრინველის, ქვეწარმავლის ენა შეისწავლა. როგორც ვხედავთ, ფულდუ ქალდანის თქმულებაში მგლები, მგელ-მაქციები საკრალური ცოდნის მატარებლები არიან. (მგელი – როგორც საკრალური ცოდნის, ცხოველთა, ფრინველთა და ქვეწარმავალთა ენის ცოდნის წყარო – მინდიას თქმულებების გველის ანალოგია).

მეგრულ ფოლკლორში შემორჩენილია თქმულებები მგელ-კაცების შესახებ. ერთ მეგრულ თქმულებაში ვკითხულობთ: „ჩემს ბავშვობაში მაქვს გაგონილი, რომ ჩვენს სოფელში ცხოვრობდა თურმე ერთი კაცი, რომელიც ლამ-ლამობით მგელზე ჯდებოდა და დათარეშობდა სხვადასხვა სოფელში. მგელი თურმე ანადგურებდა სოფლის საქონელს. ბოლოს დაუდარაჯდნენ. ეჭვი ამ კაცზე მიუტანიათ და დაუდალავთ. ამის შემდეგ ის მგელზე ველარ ჯდებოდა. ბოლოს ამ მოთარაშე მგლისთვის ვიდაც გულოვან კაცს ფეხის კოჭები მოუჭრია და სახლში წაულია. უფიქრია: ვინმემ მესეფებს არ გააცოცხლებინოს ეს მგელიო. მესეფე – მეგრულ ფოლკლორში ადამიანის მსგავსი არსებები, ზღვის კაცუნები, რომლებიც წელიწადის გარკვეულ დროს ამოდიან ზღვიდან (კიკნაძე 2007: 59).

ნადირთპატრონს შეუძლია ნადირის ძვალს ხორცი შეასხას, მაგრამ ეს ვერ ხერხდება, თუ ძვალი დაზიანებულია ან ადგილზე აღარ არის. ამ დადაღულ კაცს რომ გაუგია, მგელი მოკლესო, ბევრი უტირია. მერე წასულა და მესეფეს შეხვენია: ესა და ეს მგელი რამენაირად გამიცოცხლეო. მოსულა მესეფე მგლის გასაცოცხლებლად, მაგრამ მგლის ოთხივე კოჭი მოჭრილი და დაღებული

დახვედრია. უკოჭებოდ ვერ გავაცოცხლებო- უთქვია მესეფეს. ეს მგელი მესეფეს ბევრჯერ ყოლია გაცოცხლებული. ეხლა კი არ შეეძლო მისი გაცოცხლება (სიტყვიერება 1991: 351).

რაც შეეხება მგლის სახეს ცხოველთა ზღაპრებსა და რწმენა-ნარმოდგენებში, რუსუდან ჩოლოყაშვილის მიხედვით, გაორება იგრძნობა სხვადასხვა ხალხის რწმენებისა და ცხოველთა ზღაპ-რის პერსონაჟთა შორის. ამ შემთხვევაში მგელს არა აქვს არც ხროვად ნადირობის უნარი, არც ნადირობის ხერხების ცოდნა. „ცხოველთა ზღაპარი ადამიანურ პრობლემებზე, მის სურვილებ-ზე და მისწრაფებებზე, ყოფით გამოწვეულ აუცილებლობაზე მოგ-ვითხრობს, რამეთუ ცხოველთა ზღაპრის პერსონაჟები ადამიანთა ცალკეულ ტომთა წინაპრები, მათი ტოტემები არიან. ტოტემის გა-მარჯვება ზღაპარში ნარმატებული ხვალინდელი დღის რწმენას უქმნიდა მის შემქმნელ ხალხს“ (ჩოლოყაშვილი 20016: 154).

რაც შეეხება მგლის სიმბოლოს ტრანსფორმაციას მხატვრულ აზროვნებაში, იგი ტროპული მეტყველების საშუალებად იქცა საგ-მირო პოეზიაში. ამის ნიმუშია ქართულ ხალხურ საგმირო პოეზი-აში მგელთან კაი ყმის შედარება:

კაი ყმა, მგელი, არწივი
არც ერთ არ გაიწურთნება,
მგელი არ მაშლის მგლობასა.
(სიბრძნე 1965: 97)

კაი ყმა, მგელი და არწივი სინონიმებია, ზოგჯერ კი მგელი მეტა-ფორადაც გამოიყენება ხალხური პოეზიის ნიმუშებში:

კიდევაც დაიზრდებიან ალგეთს ლეკვები მგლისანი,
ისე არ ამონყდებიან, ჯავრი შექამონ მტრისანი...
(სიბრძნე 1965: 95)

ან: გაგვიძებ ბერო მინდიავ
მუხლი მაიბი მგლისაო.
(სიბრძნე 1965: 108)

ხალხურ პოეზიაში მგელი სიმამაცის, ვაჟეაცობისა და უშიშ-რობის სიმბოლოა (მგლის მუხლი, მგლის თვალი სასაუბრო მეტყ-ველებაშიც დამკვიდრდა).

ამრიგად, მგლის მხატვრული სახე-სიმბოლოს ანალიზი მეტად საგულისხმო და მრავალფეროვანი მსჯელობის საშუალებას იძლევა.

დამოცვებანი:

აპზიანიძე, ელაშვილი 2006: აპზიანიძე ზ., ელაშვილი ქ. სიმბოლოთა ილუსტრირებული ენციკლოპედია. ტ. I. თბილისი: გამომცემლობა „ბაკმი“, 2006.

გელოვანი 1983: გელოვანი ა. მითოლოგიური ლექსიკონი. თბილისი: გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, 1983.

ელიადე 2009: ელიადე მ. მითის ასპექტები (ფრანგულიდან თარგმნეს მ. ბაქრაძემ და ბ. წვერაძემ). თბილისი: ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, 2009.

კაციტაძე 2011: კაციტაძე კ. ომი ილიტარის: ადამიანი-მეომარი. თბილისი: გამომცემლობა „პოლიგრაფი“, 2011.

კიკნაძე 2007: კიკნაძე ზ. ქართული მითოლოგია. ტ. I. თბილისი: გამომცემლობა „ბაკმი“, 2007.

კიკნაძე 2016: კიკნაძე ზ. „ფარნავაზის სიზმარი“. ქართული მითოლოგია. ტ. II. თბილისი: ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, 2016.

შითები 1987: მუსი Народов Мира. 1. Советская Энциклопедия. Москва: 1987.

ნოზაძე 2005: ნოზაძე ვ. ვეფხისტყაოსნის ვარსკვლავთმეტყველება. ტ. II (გ. შარაძის რედაქციით). თბილისი: 2005.

სიხარულიძე 1961: ქართული ხალხური საისტორიო სიტყვიერება. ტ. I. საქართველოს მეცნიერებათა აკადემია. თბილისი: 1961.

ქართლის ცხოვრება 1955: ქართლის ცხოვრება. ტ. I (ს. ყაუხჩიშვილის რედაქციით), თბილისი: გამომცემლობა „სახელგამი“, 1955.

სიტყვიერება 1991: ქართული ხალხური სიტყვიერება. მეგრული ტექსტები. თბილისი: 1991.

ჩოლოფაშვილი 2005: ჩოლოფაშვილი რ. ცხოველთა ეპოსი. თბილისი. გამომცემლობა „ნეკერი“, 2005.

ჩოლოფაშვილი 2016: ჩოლოფაშვილი რ. „ცხოველთა ზღაპრის არსი და მნიშვნელობა“. წიგნში: მხატვრული აზროვმების ტრანსფორმაციის ფორმები ქართულ ფოლკლორში. თბილისი, გამომცემლობა „სამშობლო“, 2016.

ხალხური სიბრძნე 1964: „ქართული ეპოსი“. ხალხური სიბრძნე ხუთ ტომად. ტ. III. თბილისი: გამომცემლობა „ნაკადული“, 1964.

ხალხური სიბრძნე 1965: ქართული ეპოსი. ხალხური სიბრძნე ხუთ ტომად. ტ. IV. თბილისი: გამომცემლობა „ნაკადული“, 1965.

Beliefs and Views Related to Wolf

Summary

The old man believes that the beast's subjugation, catch or kill is possible if he uses magic power. You can get this power, if you put on the skin of this beast. The skin of the beast itself gives you the mystery of the power of being able to subdue or kill the beast. The skin of the beast would have been attached to have the magic power, and the king of any tribe, godly, magic or jealous, was carrying the skin because of this intention.

The wolf's connection with hunting or war is the oldest perception that takes origin from the beginning of the millennia. This relationship is naturally derived from the characteristics of this animal: cruelty, bruising hunting, bravery, and all the wolf's qualities that the warrior must have ended. For this he was to become a wolf, would experience metamorphosis. The belief in archaic military art was a great possibility. As for the transformation of the wolf symbol in the artistic thinking, it became the source of trope speech in theoretical poetry.

In folk poetry wolf is used for poetic purposes. It is a symbol of bravery, courage and fear (the wolf's clue, the wolf's eye is also used in spoken language).

Thus, the analysis of the face symbol of the wolf gives an opportunity for different discussions.

საკრალური სიმბოლოები და ქართული კულტურის ელემენტები ნართების ეპოსის ინგუშურ და ჩეჩინურ ვერსიებში

ხალხური ეპიკური ტექსტების უმრავლესობა ტიპოლოგიურ სიუჟეტებსა და მითოლოგიურ ალუზიებს ეყრდნობა. რეალურად მომხდარი მოვლენა ფოლკლორულ ნაწარმოებში არცთუ იშვიათად საერთო არქეტიპულ მოდელს ემორჩილება და ტექსტის სიუჟეტიც ხშირად ზოგად მითოლოგიურ სცენარს იმეორებს. მიუხედავად ამისა, თქმულება-გადმოცემებში სხვადასხვა ეპოქისა და რელიგიური ფორმაციის ამსახველი მითოლოგიური სეგმენტები ზოგჯერ გვერდიგვერდ თანაარსებობს. მიმაჩნია, რომ აუცილებელია ხალხური ნაწარმოების ცალკეული ელემენტებისა და მითოსური პლასტების ანალიზი, რადგან ისინი უძველეს მოვლენებს აირეკლავს. მართალია, ეს პლასტები ერთმანეთშია გადაჯაჭვული და მათი ერთმანეთისგან გამიჯვნა ადვილი არ არის, მაგრამ ამ ელემენტების შესწავლა-დაჯვეუფება ტექსტის შიდა შრეებისა და მისი მიკროსტრუქტურის გააზრების საშუალებას იძლევა. ჩვენამდე ზეპირი სახით მოღწეული ტექსტის ამგვარი კვლევა არქეტიპულ ინვარიანტთან მიახლოების საშუალებას იძლევა. ამ კუთხით უაღრესად მნიშვნელოვანია მეზობელი ხალხების თქმულებებში ერთსა და იმავე რელიგიურ მრნამსთან დაკავშირებული მითოლოგიური ნაწარმოდგენების კვლევა. შუა საუკუნეებში საქართველოს მნიშვნელოვანი კულტურულ-ისტორიული მისია დაეკისრა. ის გახდა ქრისტიანობის ფორმოსტი კავკასიაში სამწუხაროდ, თანამედროვე რუსულენოვან სამეცნიერო ლიტერატურაში საქართველოს კულტურულ-ისტორიული როლი სათანადოდ არ არის წარმოჩენილი. ზოგიერთ პუბლიკაციაში, რომელიც ჩრდილოეთ კავკასიის ხალხთა სულიერ კულტურასა და რელიგიურ სიტუაციას ეხება, საქართველო არც არის ნახსენები.

თქმულებები ნართებზე ჩრდილოეთ კავკასიის ხალხთა ფოლკლორში, აგრეთვე აფხაზურ ზეპირსიტყვიერებაში ერთ-ერთ ყველაზე პოპულარულ ეპიკურ ძეგლს წარმოადგენს. სვანეთსა და

რაჭაში დადასტურებული ერთი-ორი ნარატივის გარდა, ქართული ფოლკლორი თითქმის არ იცნობს გადმოცემებს ნართ გმირებზე (ძიძიგური 1971). სამაგიეროდ, ნართების ეპოსის თითქმის ყველა ნაციონალურ (აფხაზურ, ჩერქეზულ, ოსურ) ვერსიაში იგრძნობა ქართული კულტურისა და ტრადიციული ყოფის გავლენა. უფრო მეტიც, ნართულ თქმულებებში დასტურდება ზოგიერთი ისეთი სიუჟეტი და მოტივი, რომელსაც იცნობს ქართული ფოლკლორი.

ქრისტიანული წარმოდგენები და მითოლოგიური სახე-სიმბოლოები ჩრდილოეთ კავკასიის ხალხთა ფოლკლორის ერთ-ერთ ყველაზე არქაულ ფენას განეკუთვნება. ჩეჩენური და ინგუშური თქმულებები ერთგვარ მსგავსებას ამჟღავნებენ აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის ანდრეზებთან. ორივე მათგანი ტრადიციული საზოგადოების ყოველდღიური ყოფის უაღრესად მნიშვნელოვან და დამახასიათებელ ელემენტებს წარმოგვიდგენს. ისინი მოგვითხრობენ სხვადასხვა მოვლენის, ინსტიტუციის, ცალკეული საზოგადოებებისა და გვარების წარმოშობაზე. როგორც ქართულ ანდრეზებში, ისე ჩეჩენურ და ინგუშურ ნართულ თქმულებებში მოქმედება ხდება განსაზღვრულ სივრცეში, სრულიად რეალურ გეოგრაფიულ გარემოში. გადმოცემებში მრავლად გვხვდება კონკრეტული ტოპონიმები.

ქართულ და ჩრდილოკავკასიურ ეპიკურ თქმულებებს შორის არის არსებითი, ფუნდამენტური განსხვავებაც. ნართების ეპოსის სხვა ნაციონალური ვერსიების მსგავსად, ჩეჩენური და ინგუშური თქმულებების ძირითად თემას თარეში წარმოადგენს. სამოცდა-სამი მეომრისგან შემდგარი ნართ-ორხუსთოელების რაზმის მიზანი იყო ნადავლის მოპოვება და ცხენების გამორეკვა. თარეშის თემა* არ არის არსებითი ქართული ეპიკური ტექსტებისთვის.

ნართების ეპოსის ჩეჩენურ და ინგუშურ ვერსიებში ყურადღებას იქცევს ცალკეული საკრალური მოტივებისა და სიუჟეტების პარალელიზმი ქართულ ფოლკლორთან. ის საერთო ნიშანთა და მახასიათებელთა ერთობლიობას ემყარება. ამჯერად მხოლოდ ყველაზე მნიშვნელოვან პარალელებს განვიხილავ.

* თარეშის თემა გვხვდება ფშავ-ხევსურულ ბალადებში, რომლებიც სრულიად რეალურ ვითარებას ასახავს. ამ კუთხით ანდრეზები უფრო მიღმა სამყაროში გამართულ მისტიკურ ბრძოლაზე მოგვითხრობს, რომელშიც ლვთისმვილებთან ერთად ჯვრის მსახურიც მონაწილეობდა.

საგმირო მოტივების საკრალიზაცია: შუაზე გაპობილი ლოდი

ქართულ და ჩეჩინურ-ინგუშურ თქმულებებში გვხვდება მსგავს სიუჟეტებზე აგებული საგმირო ეპიზოდები. თუ ქართულ ანდრე-ზებში საგმირო ეპიზოდებს საკრალური დანიშნულება აქვს და მთლიანად მითოლოგიზებულია, ჩეჩინურ და ინგუშურ თქმულებებში მსგავსი ეპიზოდები დაცლილია საკრალიზმისგან. თუმცა ქართულ ანდრეზებთან მათი შედარება მითოლოგიური სახეებისა და სიმბოლოების ახლებურად გააზრების საშუალებას იძლევა. ჩეჩინური და ინგუშური თქმულებების ზოგიერთი საგმირო ეპიზოდის თავდაპირველი საკრალურ-რელიგიური მნიშვნელობა ეჭვს არ იწვევს.

ლოდის შუაზე გაპობის მოტივი გვხვდება როგორც ჯვარ-ხატ-თა დაარსების ფშავ-ხევსურულ ანდრეზებში, ისე ნართების ეპოსის ჩეჩინურ და ინგუშურ ვერსიებში. ქართულ ანდრეზებში ეს ეპიზოდი მფარველი წმინდანებისა და დევ-კერპების ბრძოლის შესახებ მოგვითხრობს, რომელიც მინა-წყლის მოპოვებასა და კულტის დაარსებას ისახავს მიზნად (კიკაძე 2016: 19-23). გადმოცემის მიხედვით, იახსრის ნასროლი ძლევამოსილი ლახტი მისგან დევნილ უკანასკნელ დევს ასცდა და კლდეს მოხვდა, რომელიც შუაზე გაიპო. შუაზე გაპობილი კლდე, როგორც გადმოცემული ამბის უტყუარი დადასტურება, დღემდე შემორჩა საქართველოს მთიანეთში, სოფელ როშკის მახლობლად. ასეთივე შუაზე გაპობილი ლოდი გვხვდება ჩეჩინეთის მთაზე, რომელსაც ერთ-ერთი ნართული საგმირო თქმულება უკავშირდება. მართალია, ჩეჩინურ ტექტში დემითიზაცი-ის პროცესი ბოლომდე არ არის მისული, მაგრამ მასში ლოდის შუაზე გაპობის მოტივი მოკლებულია ყოველგვარ საკრალიზმს და იგი იმ სიუჟეტს შეერწყა, რომელიც ნართების წინამდლოლის სესქათ სოლსას გმირობის შესახებ მოგვითხრობს. იმ ქვას, რომელიც სი-დიდით კოშკს აღემატება, სესქათ სოლსამ თავისი ხმალი დაარტყა. ჩეჩინურ თქმულებაში ლოდის ორად გაყოფის მიზეზი გახდა სესქათ სოლსას ცნობისმოყვარეობა. მას სურდა თავისი ბასრი ხმლის გამოცდა, თუ რამდენად მჭრელი იქნებოდა მისი მახვილი (დალგათი 1972: 329). ფშავ-ხევსურულ ანდრეზებში კი მსგავსი ეპიზოდი დე-

მონურ ძალებთან ბრძოლას, მიწა-წყლის გამოხსნასა და ტერიტორიების მოპოვებას უკავშირდება (კიენაძე 2016: 24). ჩეჩენური თქმულებისგან განსხვავებით, ლოდისა თუ კლდის შუაზე გაპობა იახსრის მითოლოგიურ ლექსში მთლიანად მისტიფიცირებულია და ეს ეპიზოდი დევთან ბრძოლის კულმინაციას წარმოადგენს. საყმოს მფარველ წმინდას ძალა ღმერთისგან აქვს მინიჭებული. ხალხური საფერხისო სიმღერა დევთისშვილის პირით მოგვითხრობს კლდის ორად გაპობის ამბავს:

ერთ ისეთ გაქცეულიყო, რომელიც ფალავანია,
როშკისგორ შამავეწიე, კლდეს მააფარა ტანია,
საგმირო შამავიმალლე, ღმერთო, შენგან მაქვ ძალია!
კლდე ორად გავატეხიე, დევს გამოვთხარე თვალია.
(ოჩიაური 1991: 46)

უფრო მეტ სიახლოვეს ამჟღავნებს ქართულ ანდრეზებთან ინგუშური თქმულება, რომელიც კლდისა თუ მთის შუაზე გაპობის შესახებ მოგვითხრობს. ამ ეპიზოდს ინგუშურ გადმოცემაში ნამდვილად საკრალური დატვირთვა რომ უნდა ჰქონოდა, შუაზე გაპობილი მთის სახელწოდებაც მიუთითებს. ლილდურ ტექსტში მოქმედება წაი-ლოამის მთაზე ხდება. წაი-ლოამ ქართულ ენაზე სიტყვასიტყვით ითარგმნება როგორც წმინდა მთა, მთაწმინდა. თქმულების მიხედვით, ქალიშვილის მოტაცებით აღშფოთებული სოსქათ სოლსა საშინელმა რისხვამ და შურისძიების გრძნობამ შეიძყრო. სიბრაზისგან გააფთრებულმა მხედარმა თავისი უზარმაზარი ფოლადის მახვილით წაი-ლოამის კლდოვანი მწვერვალი შუაზე გააპო. „იმ დროიდან წაი-ლოამის მთა მეტად მაღალ, ფრიალო და წვეტიან ჭიუხად გადაიქცა. ეს სოსქათ სოლსას ნართული მახვილის ნაკვალევია. კარგ ამინდში იქ ამომავალი და ჩამავალი მზის სხივები წითლად და სისხლისფრად ანათებს“ (დახკილგოვი 2012: 109-112).

კლდისა და ლოდის შუაზე გაპობის მოტივი გავრცელებულია კავკასიის ხალხთა ეპიკურ ტექსტებში. იგი დასტურდება აბრსკილის აფხაზურ თქმულებაში (აფხაზური ფოლკლორი 2003: 42), დავით სასუნელის ეპოსში (დავით სასუნელი 1939). ზოგან ეს ეპიზოდი საკრალური ელემენტებით არის გაძლიერებული, ზოგან კი,

უბრალოდ, პერსონაჟის ფიზიკურ სიძლიერეს წარმოაჩენს. ამგვარი სასწაულების მოხდენა თითქმის მუდამ ხალხის წინამდობლს მიეწერება და მისი არქეტიპი – ზღვისა თუ კლდის კვერთხით გაპობა – მრავლად გვხვდება ძველი ხალხების საკრალურ ისტორიებში. უფალი მიმართავს მოსეს: „კვერთხი აღმართე და ზღვას დაალირე, შუაზე გაიპობა იგი“ (გამოსვ. 14: 16), „ხელში გეჭიროს კვერთხი... დაჰკარი კლდეს და გამოვა წყალი“ (გამოსვ. 17: 5-6).

ჩეჩინეთში, თუმსოი-ლამის მთაზე, ორად გაპობილი ქვის მახლობლად, არის კიდევ ერთი სხვა ლოდი, რომელზეც ცხენის ნალის მსგავსი ღრმული არის აღბეჭდილი. ჩეჩინური გადმოცემა ქვაზე ნალის ტვიფარის გაჩენას სოსქათ სოლსას ცხენს მიაჩერს. ამბობენ, რომ იმ ქვას სოსქათ სოლსას ცხენმა ფლოქვი დაჰკრა, რომელიც ლოდზე სამუდამოდ აღიბეჭდა. ჩეჩინურ თქმულებაშიც დედამინის ზედაპირზე გამოსახულ ამგვარ მითოლოგიურ ნიშნებს თავის დროზე საკრალური დატვირთვა უნდა ჰქონოდა, მაგრამ, როგორც ჩანს, ზეპირმა ტექსტმა ჩვენამდე ხარვეზებით მოაღწია. ამას მაფიქრებინებს თუმსოი-ლამის ქვაზე სესქათ სოლსას ცხენის ფლოქვისგან დატოვებული ტვიფარი. მას რომ ჩეჩინები ოდესლაც სიწმინდედ მიიჩნევდნენ, ადასტურებს საფარველი, რომელიც მათ ტვიფარს დაადეს. გადმოცემის მიხედვით, ხალხმა ფლოქვის ანაბეჭდი მინით დაფარა, რათა მას ადამიანის თვალი არ მოხვედროდა და ფეხი არ შეხებოდა (დალგათი 1972: 329). კავკასიელი მთიელები ასე სათუთად და წმინდად ზებუნებრივ არსებათა ნაკვალევს ინახავენ. აქედან გამომდინარე, უნდა ვიფიქროთ, რომ სოსქათ სოლსას კიდევ უფრო მაღალი საკრალური სტატუსი უნდა ჰქონოდა ჩეჩინურ თქმულებებში.

ჩეჩინების მეზობელი ერთ-ერთი თემის ხევსურები ყველაზე საიდუმლო ადგილზე ინახავენ ქურთემულს, რომელზეც, როგორც ამბობენ, წმინდა გიორგის ცხენის ნალი არის გამოსახული. ხევსურული ანდრეზების მიხედვით, ის ქურთემული გამოტანილი ყოფილა ქაჯეთის სამჭედლოდან, რომელიც ზეცის ბინადრებმა წმინდა გიორგის მეთაურობით გატეხეს და მებრძოლმა ღვთისშვილმა მასზე თავისი ცხენის ნალი დაამჩნია. ანდრეზული ტრადიციის თანახმად, ქურთემულს, როგორც განსაკუთრებულ სიწმინდეს, ადამიანის თვალი რომ არ მოხვედროდა, ხახმატის ჯვრის ერთ-ერთ კვრივში მიუჩინეს ბინა (ანდრეზები 2009: 49).

ანდრეზული დევი ღილლურ თქმულებაში

ჩეჩენური გადმოცემების ერთი ნაწილი ტერიტორიების დაუფარების მიზნით ნართ-ერსთხოველებისა და ადგილობრივი გმირების ისეთივე დაპირისპირების შესახებ მოგვითხრობს, როგორიც ასახული არის აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის ანდრეზებში ღვთისშვილთა და დევ-კერპთა ბრძოლების შესახებ. ერთიც და მეორეც საგმირო მოტივებზეა აგებული. მაგრამ ფშავ-ხევსურულ გადმოცემებს, კერძოდ ღვთისშვილთა და დევ-კერპთა ბრძოლებს, ადგილობრივი მოსახლეობისთვის აქვს საკრალური ღირებულება, როცა ჩეჩენურმა თქმულებებმა მხოლოდ საგმირო-სათავგადასავლო შინაარსი შეინარჩუნეს. ნართების ეპოსის ინგუშურ ვერსიებში უფრო პოპულარულია გადმოცემები ციკლოპის ტიპის გოლიათებზე, ვამპალებსა და ვამპალოუებზე. მასში იძებნება სიუჟეტები პოლიფემის მსგავს ცალთვალა გოლიათებზე^{*}. დევი, აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის მითოლოგიური გადმოცემების ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი და აქტიური პერსონაჟი, ჩეჩენურ და ინგუშურ თქმულებებში თითქმის არ გვხვდება, რადგან მათ ფოლკლორში საგმირო მოტივები და მითოლოგიური სიუჟეტები ძირითადად ნართი გმირების ირგვლივ დაკრისტალდა.

თუმცა მთლად ასე არ არის. დევებისა და გმირების დაპირისპირების თემამ, როგორც ჩანს, აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის ხალხური ეპიკური ტრადიციიდან ღილლურ თქმულებებში მაინც შეაღწია. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებულ ინტერესს იმსახურებს ინგუშური თქმულება „როგორ გაკვალა ბათარმა ასის ხეობა“ (დახვილგოვი 2012: 182-185). ხალხურ ტექსტში ადგილს, სადაც ძირითადი მოქმედება ხდება, ჰქვია „ღალდაი კოაშკე“. ასე იწოდება პატარა ველი მდინარე ასის ზემო წელზე. ი. დახვილგოვის ცნობით, „ღალდაი კოაშკე“ უნდა გავიგოთ, როგორც „ღილლური ეზო“ (დახვილგოვი 2012: 185). ვფიქრობ, სახელწოდება ქართული ენის მონაცემებით პირდაპირი მნიშვნელობით უნდა აიხსნას. „ღალდაი კოაშკე“ არის იგივე – „ღილლური კოშკები“. თქმულებაში მონაწილეობენ დევები, რომლებსაც ინგუშურ ტექ-

* იხ. ინგუშური ტექსტი „თქმულება გოლიათ ვაპოლოუებზე“, 1892 წელს მთიანი ინგუშეთში მთხრობელ განჯასგან ჩაინერა ბ. დალგათმა. პირველად დაიბეჭდა: ეთнографическое обозрение, №1, Москва, 1901, გვ. 43.

სტში ქართული ენის აშკარა გავლენით ჰქვია „დოვი“. „დოვებს“ ღილლური კოშკების მახლობლად უცხოვრიათ და თურმე ღილლველებს გამუდმებით ავიწროვებდნენ. „დოვები“, როგორც წესი, მართალია, ტანად გოლიათები იყვნენ, მაგრამ მათ ჭვუა ნაკლები ჰქონდათ. ასეთივე თვისებებითა და უნარებით წარმოგვიდგენს დევებს ფშაურ-ხევსურული მითოსი. ასის ხეობაში, სოფელ დოშავლეს მახლობლად, მიუთითებენ ციკლოპურ წყობაზე, რომელიც უაღრესად დიდი ქვებისგან არის აგებული. მათ აშენებას ადგილობრივი მოსახლეობა დევებს მიაწერს, რომლებსაც იქ ნართების გამოჩენამდე უცხოვრიათ (დახვილგოვი 2012: 467).

დევებს ინგუშურ თქმულებაში თავისი ვაუკაცობითა და სიმამაცით სახელგანთქმული ნართ-ორსტოხელი ბათარი დაუპირისპირდა. მან არ აპატია „დოვებს“ ქალ-რძალზე ძალადობა, ღილლველ მჭედლებს კოშკისხელა გუთანი გამოაჭედვინა, დევები შიგ შეაბა და წეო-ლოამის მთაზე გადაატარა. დევების გაკვალულ თხრილში ხინანამ მდინარე ასა გაუშვა, რომელიც მანამდე საქართველოში მიედინებოდა (დახვილგოვი 2012: 185). თქმულება მოგვითხრობს როგორ წარმოიშვა მდინარე ასის კალაპოტი. ქართულ გადმოცემებში, რომლებიც მდინარეების ალაზნისა და ივრის წარმოშობის შესახებ მოგვითხრობენ, მონაწილეობს გველეშაპი. კალაპოტი თავისი სხეულით ქართულ გადმოცემაში გველეშაპს გაჰყავს (ხალხური სიპრძნე 1964: 246-247). ინგუშურ თქმულებაში მდინარის კალაპოტს დევები მჭედლების გაკეთებული გუთნით გაკვალავენ. ხალხურ თქმულებაში გველეშაპის დევით ჩანაცვლება არცთუ იშვიათია. თვით „ვეფხისტყაოსანშიც“ გამოქვაბულში გადამალული განძის მცველად გველეშაპის წაცვლად რუსთაველს დევი გამოჰყავს (მამისიმედიშვილი 2017: 24). ხოლო ამირანიანის სვანურ ვერსიაში მთავარი გმირის შთანმთქმელი არის არა გველეშაპი, არამედ – დევი (ჩიქოვანი 1947: 359).

როგორც ქართულ, ისე ღილლურ ტრადიციაში დევები ადამიანების მიმართ მტრულად განწყობილი გოლიათები არიან, რომლებსაც გმირები და ღვთისშვილები ამარცხებენ. ინგუშური თქმულების მიხედვით, ბათარმა დევები ზღვისკენ გარეკა, რომლებიც მის ტალღებში ჩაიკარგნენ. ქართველ მთიელთა ანდრეზის მიხედვით, უკანასკნელი დევი ლალმა იახსარმა ასევე წყალში, კერძოდ აბუდელაურის ტბაში მოკლა. ღილლური გად-

მოცემა „როგორ გაკვალა ბათარმა ასის ხეობა“ სიუჟეტურად სწორედ იმ ტიპის ქართულ ანდრეზებს ენათესავება, რომლებიც ტერიტორიების მოსაპოვებლად დევებისა და ღვთისშვილთა და-პირისპირების შესახებ მოგვითხრობენ.

წმინდა გიორგი, ხერდა და სამოცდასამი მეომარი

როგორც წესი, ინგუშური თქმულებების მიხედვით, ნართორსთხოელების მოთარეშე რაზმი 63 მეომრისგან შედგებოდა. ხევსურულ საგმირო სიმღერებშიც გვხვდება მინიშნება 63 მეომრისაგან შემდგარ სამხედრო რაზმზე. ერთ-ერთ ლექსში ზურაბ ერისთავის ლალატით აღმფოთებული ხევსური მელექსე ირემას მიმართავს:

ირემავ, რად გიხაროდა ხევსურთა თრუსოს ზიანი,
კიდევაც დავრჩით ხევსურეთს სამოცდასამი ხმლიანი.
(სიხარულიძე 1961: 391)

საბრძოლო რაზმის შემადგენლობის რაოდენობა 63 უნდა მომდინარეობდეს ქართულ ტრადიციაში დამკვიდრებული საკრალური რაოდენობის აღმნიშვნელი სიმრავლიდან – 363, რომელიც აღნიშნავს წმინდა გიორგის სახელობის სალოცავების საკრალურ რაოდენობას. ქართველ და სხვა კავკასიელ მთიელებში წმინდა გიორგის მიენერება მამაკაცთა, მგზავრთა და მეომართა მფარველობა. ნართები იყვნენ მეომრები, რომლებიც მუდამ მგზავრობაში იყვნენ და მტრებს ებრძოდნენ.

წმინდა გიორგის, როგორც მფარველ წმინდანს, მთელ ჩრდილოეთ კავკასიაში ადიდებდნენ და ლოცულობდნენ. წმინდა გიორგის კულტთან დაკავშირებით მნიშვნელოვანი ცნობები არის დაცული ჩრდილოეთ კავკასიის ხალხთა ფოლკლორში. ჩერქეზულ თქმულებებში მას ჰქვია აუშვერჯი, ოსურ ტრადიციაში – ვასთირჯი. ა. სულეიმანოვის აზრით, მთიანი ჩეჩენეთისა და ინგუშეთის იმ ტოპონიმებში, რომელთა ფუძეშიც გვხვდება იერდა (Erida) და გერგა (Gerga), წმინდა გიორგის სახელი იკითხება. მკვლევარმა სიტყვათა შეპირისპირებით, ტოპონიმთა შედარებითი ანალიზითა

და მრავალრიცხოვანი მაგალითების მოხმობით დაადგინა, რომ საკუთარ სახელ „გიორგის“ ჩეჩენურ და ინგუშურ ენებზე შეესაბამება ფორმები: ერდა* (ერთიე), უერდიე, გერგა. მკვლევარი აღნიშნავს, რომ ვაინახები ამავე ტერმინებით მოიხსენიებენ ჯვარს, სალოცავს, მფარველ წმინდანს, უარ ფორმასთან ერთად, რომელიც ქართული ჯვარიდან მომდინარეობს. გიორგობას ვაინახურ ენებზე ჰქვია „ოორთოვ“. მაგრამ, როგორც ჩანს, „ოორთოვ“ „ერთინად“ ტრანსფორმირდა. ა. სულეიმანოვის ცნობით, მაისტრელები და მითხოვები, როცა გიორგობის დღესასწაულზე ხევსურეთის სალოცავებში მიდიოდნენ, ამბობდნენ: „ერთინა ღო ვაი“, – „გიორგობაზე წავიდეთ“ (სულეიმანოვი 1997: 276). გიორგიწმინდას (გიორგიწმინდას), რომელიც შატილის მახლობლად მდებარეობს, ვაინახები ერდიებშის უწოდებენ, ისევე როგორც გიორგიწმინდის წყალს – ერდიე ხის (სულეიმანოვი 1997: 648). ეჭვგარებეა, რომ ერდა მიღებულია გიორგისგან. კაბადოკიელი მოწამე იმდენად პოპულარული მფარველი წმინდანი ყოფილა მთიან ჩეჩენეთსა და ინგუშეთში, რომ მისი სახელი „ერდი“ ზოგადად სალოცავის, წმინდანის, ეკლესიისა და წმინდა ადგილის სინონიმად ჩამოყალიბდა.

აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის ანდრეზების მიხედვით, საბრძოლო რაზმს თემის წინამდლოლი და მთავარი კულტმსახური ხელმძღვანელობდა, რომელსაც უნდა ჰქონოდა საკრალური ნიშნები და თვისებები და ამავე დროს ის ჯვრის მეომრებს მტრის წინააღმდეგ მფარველი წმინდანის დროშით უნდა გაძლოლოდა. ფშაურ-ხევსურული ანდრეზები მათ განსაკუთრებულ უნარებს მიაწერენ. ისინი ისტორიულ დროში თითქოს ღვთისშვილთა მიერ ოდესლაც ჩადენილ გმირობებს იმეორებენ. ჯვრის მკადრე ხელმძღვანელობს არა მხოლოდ ჩრდილოეთ კავკასიის თემ-სოფლების მოსარბევად ორგანიზებულ სამხედრო ექსპედიციებს, არამედ მონაწილეობას იღებს მისტიკურ ლაშქრობაში, რომელიც ღვთისშვილებმა მოაწყვეს ქაჯავეთში (ანდრეზები 2009: 41-45). აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის მკადრეებისა და თემის წინამდლოლის მსგავს თვისებებს ავლენს ინგუშური ნართული თქმულებების მთავარი პერსონაჟი სესქათ სოლსა. იგი, როგორც

* ერდი (\leftarrow გიორგი) – როგორც ჩანს, ეს ფორმა გ ბერის პალატარიზაციით გაჩნდა. მსგავსი ფონეტიკური პროცესი გვხვება უნგრულ ენაში, დიორდი \leftarrow გიორგი (Дъерди \leftarrow Györgi) <http://kurufin.ru/html/Translate/georg.html>

სასწაულებრივად შობილი და ნართების წინამდლოლი, ფლობს ზე-ბუნებრივ ძალას და ჩადის არაერთ სასწაულს: მას შეუძლია მიცვა-ლებულის გაცოცხლება და ბუნების სტიქიურ ძალებზე ზემოქმე-დება. სესქათ სოლსას სურვილის მიხედვით, მდინარე თერგში წყალი ხან იკლებს, ხან იმატებს; მის ცხენს შეუძლია მთიდან მთაზე გადახ-ტობა და მინაზე ფლოქვის დაკვრით წყაროს აღმოცენება. სესქათ სოლსა თავისი საკრალური ნიშნებითა და თვისებებით უტოლდება ზებუნებრივ არსებებს. სამოც-დასამი მხედრის წინამდლოლი სეს-ქათ სოლსა სხვა საკრალური ნიშნებითაც იქცევს ყურადღებას. როგორც ცნობილია, აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის ზო-გიერთი მფარველი წმინდანი არ ყოფილა „ნახორცივლარი“, ე. ი. არ ყოფილა მიწიერი, ადამიანური ნარმომავლობის არსება და ციდან ნათლის სვეტის სახით ჩამოსულა, ზეციურ სამყაროს კი უხილავი ოქროს შიბით უკავშირდებოდა. ლაშარის მუხის ლექსში ნათქვამია:

დიდი ვარ ლაშარის ჯვარი, ცას ვები ოქროს შიბითა,
გმელ გორზე მედგა ბერმუხა, ასაჭდომ იყო კიბითა.
(ანთოლოგია 2010: 15)

ერთ-ერთი ინგუშური თქმულების მიხედვით („სესქათ სოლსა და ბეთას ქალიშვილი ლირა“), სესქათ სოლსა, აღმოსავლეთ საქართ-ველოს მთიანეთის ღვთისშვილების მსგავსად, ღვთის პრძანებით ციდან ოქროს შიბით ჩამოსულა (დახკილგოვი 2012: 248-255). აღ-მოსავლეთ საქართველოს მთიანეთის ანდრეზებთან განსაკუთ-რებული სიახლოვით გამოირჩევა ღილღური გადმოცემების ერთი ციკლი, რომელიც სესქათ სოლსასა და მტრედის ურთიერთობას ასახავს. ამ ციკლის თქმულებებს, რომელიც ქრისტიანულ მოტი-ვებზეა აგებული, ქვემოთ კიდევ მიუუბრუნდები. მანამდე კი მინდა აღვნიშნო, რომ ქრისტიანობამ ქართველი მთიელებისა და ჩრდი-ლოეთ კავკასიის ზოგიერთი ხალხის ტრადიციულ ყოფასა და ფოლკლორულ შემოქმედებაში უაღრესად მისტიკური სახე მიიღო. მასში შენარჩუნდა ადრეული ქრისტიანობის ზოგიერთი არქაული ელემენტი, ზოგიც ხალხურმა მითოსურმა ცნობიერებამ თავის სტიქიაში მოაქცია.

მტრედის მითოსური რეცეფცია ინგუშურ ფოლკლორში

როგორც აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის მითოლო-გიურ გადმოცემებში, ისე ნართების ეპოსის ჩეჩინურ და ინგუშურ ვერსიებში, დასტურდება წმინდა ფრინველთან დაკავშირებული მსგავსი სიუჟეტები. ანდრეზების მიხედვით, ღვთისშვილს, სალო-ცავ ჯვარ-ხატს, მადლი, წყალობა, ხვავი და ბარაქა მოაქვს საყ-მოსთვის. ღილლურ თქმულებაში იმავე ფუნქციას დოვლათის ფრინ-ველი ითავსებს. ღილლური თქმულება მოვითხრობს, რომ მთიან ინგუშეთში, მეცხალის შახერში, ერთხელ დოვლათის ფრინველი მოფრინდა, ბუდე გაიკეთა და ამის შემდეგ იქ უხვი მოსავალი მო-დიოდა. მდინარე არმხის ორივე ნაპირზე უფრო ნოყიერი ბალახი იზრდებოდა, სადაც საქონლის ურიცხვი ჯოგები ბალახობდნენ. ერთხელ იმ ადამიანებმა, რომლებიც ბოროტების ჩადენას არ თაკი-ლობდნენ, დოვლათის ფრინველს ბუდე დაუნგრიეს და ღილლოდან განდევნეს (დალგათი 1972: 331).

წმინდა ფრინველთან დაკავშირებულ ღილლურ თქმულებას ქართულ მითოლოგიურ გადმოცემებთან არაერთი მოტივი აახ-ლოვებს. ინგუშურ თქმულებაში დოვლათის ფრინველი თავისი მოქმედებით, ბუდის კეთებით, მიწაზე ფრთის შემოკვრითა და ბარაქის მინიჭებით აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის ან-დრეზების მტრედს გვაგონებს, რომელიც მფარველ წმინდანს გა-ნასახიერებს. მტრედი ასეთივე ქმედებით, მიწაზე „კოჭის მოკიდებ-ით“, ჯვრის მინიერ საპრძანის აფუძნებს. ქართულ ანდრეზებში ურჩი ყმების მიერ მტრედის დევნის მოტივს ინგუშურ თქმულე-ბაში დოვლათის ფრინველის ბუდის დანგრევა ენაცვლება. მტრე-დის დევნა თუ ბუდის დანგრევა ორივე გადმოცემაში ისჯება. გუ-დამაყრულ ანდრეზში მფარველი წმინდანი ანადგურებს თავის ურჩ ყმას მირიანეულსა და მის ოჯახს. ინგუშურ თქმულებაში კი დოვლათის ფრინველი გაურბის ბუდის დამანგრევლებს, „კოჭს სხვა ადგილზე იკიდებს“ და თან მიაქვს მთელი კუთხის ბარაქა. გადმოცემის მიხედვით, დოვლათის ფრინველს მთიანი ინგუშეთი დაუტოვებია და იქიდან ბალთაში გაფრენილა, მიწას თავისი ფრთე-ბით შეხებია და მისთვის განსაკუთრებული ბარაქა დაუმადლებია. ამის შემდეგ დოვლათის ფრინველი ჯერ ლარსში მისულა და ბოლოს ბუდე საქართველოში გაუკეთებია (დალგათი 1972: 331). იმ დრო-

იდან მოყოლებული ინგუშები საქართველოს მდიდარ და ნაყოფიერ მხარედ მიიჩნევენ, რადგან დოვლათის ფრინველმა ბუდე საქართველოში გაიკეთა და მთელი ბარაქა მას დააპერტყა. ოსურ რიტუალურ სიმღერაშიც, რომელიც მიწათმოქმედების ზეციურ წარმომავლობაზე მოგვითხრობს, ხვავისა და ბარაქის მინიჭება დოვლათის ფრინველს მიეწერება (მამისიმედიშვილი 2014: 77).

ალმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის ანდრეზებში მტრედი არის წმინდა ფრინველი და ჯვარ-ხატის ნიშანი, რომელიც ჯვრის მსახურებსა და რჩეულ მკადრებს „ხელზე მოუდიოდათ“. მას კვრივი ადგილისა თუ ჯვრის საიდუმლო საგანძურის სანახავად მკადრე შორეულ მოგზაურობაში მიჰყავდა. ის უჩვენებდა თავის მკადრეს, სად და როგორ უნდა აღმართულიყო მფარველი წმინდანის მინიერი საპრძანისი.

ინგუშური ნართების ეპოსის მიხედვით, მტრედი მხოლოდ ერთადერთ პერსონაჟს – სესქათ სოლსას „მოუდიოდა“ და დაჲყვებოდა. უნდა ვიფიქროთ, რომ ეს გარემოება გმირის რჩეულობაზე მიუთითებს. სესქათ სოლსა, როგორც ნართ-ორსთხოელების წინამდლოლი და ეპოსის მთავარი გმირი, არ არის ჩვეულებრივი ადამიანი. სესქათ სოლსა მტრედს უკან ისე მიჲყვება, როგორც ფშავევსურული ანდრეზების მიხედვით, მტრედის სახით გაფრენილ ჯვარს მისდევდნენ ხუცესები თუ მკადრეები.

მტრედი ინგუშურ თქმულებებში ხშირად წყალთან დაკავშირებულ ეპიზოდებში ჩნდება, რაც შემთხვევით არ უნდა ხდებოდეს, რადგან მტრედი სულინმინდის ფრინველია და ის, როგორც წმინდა ფრინველი, პირველ რიგში, მდინარე იორდანეზე მომხდარ სასწაულს დაუკავშირდა, როდესაც ცა გაიხსნა და მაცხოვარზე სულინმინდა მტრედის სახით გადმოვიდა: „და მეყსეულად აღმოსლვასა მისა მიერ წყლით იხილნა ცანი განხმულნი და სულილმრთისა გარდამომავალი, ვითარცა ტრედი, მის ზედა“ (მარკოზი, 1: 10). ინგუშურ ნართულ თქმულებებში მტრედი თავის რჩეულ გმირს, სესქათ სოლსას ან წყაროს უჩვენებს ან მასთან წყალი მიაქვს ნისკარტით:

„ერთხელაც, – მოგვითხრობს ინგუშური თქმულება, – სესქათ სოლსა და მტრედი უწყლო ადგილზე მიდიოდნენ, მხედარს ძლიერ მოსწყურდა და მტრედს პკითხა:

–არის სადმე ახლოს წყალი?

მტრედმა ღულუნით რამდენიმე წრე გააკეთა, თითქოს სესქათ სოლსას პასუხობდა, – ჩემთან ნამოდიო. მტრედი გაფრინდა და სესქათ სოლსა უკან მიჰყვა. ის ერთი კლდის ძირას მიფრინდა, საიდანაც წყალი გადმოდიოდა (დახკილგოვი 2012: 369-371).

ინგუშური თქმულებების მიხედვით, მტრედი იცავს თავის რჩეულს და ერთ ეპიზოდში მას სიკვდილისგანაც კი იხსნის. მტრედმა დაინახა, რომ კლდის თავზე გველი იწვა და წყალში შხამს ურევდა. გმირი რომ გადაერჩინა, მტრედმა სესქათ სოლსას წყაროსაცენ მიმავალი გზა გადაულობა და თავისი ფრთებით კლდიდან გადმოსული წყალი აქეთ-იქით მიშეფ-მოშეფა.

ქართული და ინგუშური თქმულებები თავისი იდეოლოგიითა და საზრისით იმდენად ახლოს დგანან ერთმანეთთან, რომ ზოგ-ჯერ შინაარსობრივადაც ავსებენ ერთმანეთს. მთიულური გადმო-ცემის მიხედვით, ყოფილა ცხრა ძმა მიდელაური. უმცროსი ძმა ნადირობიდან დაბრუნებულა, ხელცარიელი შინ რომ მისულა, იარაღი ბოძზე სამჯერ დაუკიდია და სამჯერვე ჩამოვარდნილა, მამას უკითხავს:

– იყავ, შვილო, დღეს სად იარეო? სად რა ნახეო და... – რადგან არაფერი მოუტანია.

– ბეგოთ ხატის ტყეში ვიყავი და მტრედს ვესროლე, ფრთაში დავჭერი და წავიდა ისიო.

– გაგინურა ღმერთიო, ბეგოთ საღვთო დაგიჭრიაო... (ანდრეზე-ბი 2009: 247).

დაჭრილი, ფრთამოტეხილი მტრედის მოტივს იცნობს ინგუშური ეპოსიც. ერთხელ სესქათ სოლსა ტყეში რომ დაეხეტებოდა, მტრედი დაუნახავს, რომელსაც ფრთა ჰქონია მოტეხილი. სესქათ სოლსას მტრედი აუყვანია და მთელი თვე უვლიდა, ნაზად ეალერ-სებოდა, აჭმევდა და ასმევდა, სანამ მტრედს ჭრილობა არ მოუშება და ფრთა არ მოურჩინა. ამის შემდეგ მტრედი ისე შესჩვევია, რომ სესქათ სოლსა აღარ მიუტოვებია, მას ხელზე მოუდიოდა და მასთან ერთად მოგზაურობდა (დალგათი 1972: 336-337). მთიულურ ანდრეზში მიდელაური იმდენად გაბუდაყდა, რომ მან ხატის ტყეში ნადირობა გაბედა. ჰუბრისისგან გონებადაბინდულმა მონადირემ მტრედში მფარველი ანგელოზი – ბეგოთ საღვთო ველარ ამოიცნო, ესროლა და ფრთაში დაჭრა. ინგუშური თქმულება თითქოს მთიულური ანდრეზის სიუჟეტს აგრძელებს. სესქათ სოლსამ ფრთაში

დაჭრილი მტრედი ტყეში იპოვა, რომელსაც ინგუშურ დედანში ჰქვია „ჰუნ კვიობ“ (ტყის მტრედი), უნდა ვიფიქროთ, რომ ღილლურ ტექსტშიც მოქმედება ხატის ტყეში ხდება, რომლის სიახლოვესაც სესქათ სოლსა ხორბალს თესავდა და პურის მარცვლებით მტრედებს კვებავდა. თქმულებაში მტრედი, ხორბალი და წყალი საკრალურ დატვირთვას იძენს. ხევსურულ ანდრეზში პერსონაჟთა საკრალური ფუნქციები შეცვლილია. მტრედს კი არ კვებავნენ, არამედ მტრედები კვებავნენ იფქლის მარცვლებით ბეთლემის საიდუმლო გამოქვაბულში ოქროს აკვანში მწოლარე ყმას (ოჩიაური 1967: 191).

მიუხედავად იმისა, რომ სესქათ სოლსას ჰუბრისმა სძლია და დანარჩენ ორსთხოელებთან ერთად გაიწირა, ერთგულმა მტრედმა მომაკვდავი გმირი არ მიატოვა და უკანასკნელი თხოვნა შეუსრულა. მტრედმა სესქათ სოლსას ნისკარტით ერთი წვეთი წყალი მიუტანა და მას ამქვეყნიურ ყოფასთან განშორებაში დაეხმარა. წმინდა ფრინველმა ამ ერთი მაცოცხლებელი წვეთით გმირი სულიერ ხსნასა და სიწმინდესთან აზიარა.

რადგან მტრედი სესქათ სოლსას განუყრელი წმინდა ფრინველია, უნდა ვიფიქროთ, რომ მას ძალა მფარველი წმინდანისგან ჰქონდა მინიჭებული, რომელიც გმირს მტრედის სახით დაჰყებოდა და ხელზე მოუდიოდა.

ნართების ეპოსის ინგუშურ ვერსიაში მტრედი რომ ნამდვილად წმინდა და ღვთაებრივი ფრინველია, ამაზე არაერთი ნიშანი მიუთითებს. სესქათ სოლსას მტრედის ერთ-ერთი ატრიბუტი არის ოქრო. ინგუშურ ეპოსში მტრედი და ოქრო შემთხვევით არ შეხვდნენ ერთმანეთს. გერგეტის კლდეში, ბერების გადმოცემითა და ხალხური ტრადიციით, ოქროს მტრედები დაფრინავდნენ (ბაქრაძე 1875: 111). ოქრო ღვთაებრივი ლითონია, რომელიც მითოსში საგნის ან მოვლენის მეფურ და ღვთაებრივ ბუნებას გამოხატავს. გადმოცემა მოგვითხრობს, რომ სესქათ სოლსამ აღსასრულის წინ მტრედს ოქროსფერი ძაფი შეაბა და ისურვა, მტრედისთვის „სოლსას მტრედი“ დაერქმიათ, ხოლო კისერზე, სადაც მტრედს ოქროსფერი ძაფი შეაბა, ოქროს ბუმბული ამოსვლოდა. თქმულების მიხედვით, სესქათ სოლსას სურვილი ასრულდა: ვაინახური ტრადიციის მიხედვით, ხალხი მტრედს „სოლსას მტრედს“ უწოდებს და მტრედს კისერზე, სადაც სესქათ სოლსამ ოქროსფერი ძაფი შეაბა, ოქროს ბუმბული

ეზრდება. სხვა ვერსიით, აღსასრულის წინ სესქათ სოლსამ თასი-დან გამდნარი ოქრო დალია, შემდეგ თასში თითები ჩააწო, მტრედს კისერზე და მკერდზე ოქრო წაუსვა და თქვა: – დაე, დღეიდან ხალხ-მა „სესქათ სოლსას მტრედი“ დაგიძახოს (დახკილგოვი 2012: 371-373). ინგუშურ თქმულებებში ოქრო მტრედს დაუკავშირდა, რადგან ის ლვთაებრივ ლითონს წარმოადგენს და მას საკრალური თვისება გააჩნია. გადმოცემის თანახმად, მას შემდეგ, რაც სესქათ სოლსა აღესრულა, მტრედი თავისი ღულუნით გმირს გამუდმებით ეძახის: „სოსქ-სოლსა, სოსქათ სოლსა“.

მტრედი უძველესი ქრისტიანული სიმბოლოა. აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის საკულტო თასებზე, ჩეჩნეთისა და ინგუშეთის ტრადიციულ სალოცავებში, ისევე როგორც უძველეს ქრისტიანულ კატაკომბებში, ისინი გამოსახული არიან უმეტესად ერთმანეთისაკენ პირისახით მიმართულნი, ზოგან ვერცხლის ფიგურებით. ი. დახკილგოვი აღნიშნავს, რომ მიათ-წელის ეკლესიის წინ რიტუალის აღვლენის დროს ღილლველი ხევისბრები მტრედის გამოსახულებას* იყენებდნენ (დახკილგოვი 2012: 508).

სესქათ სოლსას ნართების ეპონის ადრინდელ ვერსიებში ისე-თივე მაღალი საკრალური სტატუსი უნდა ჰქონოდა, როგორიც აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის ანდრეზებში აქვთ ხუცეს-მყადრეებს, რომლებსაც მტრედი**, როგორც სულინმინდის ფრინველი და მფარველი ანგელოზი, „ხელზე და მხარზე მოუდიოდათ“. ისინი ჯვრის რჩეულებს ღვთის ნებას გადასცემდნენ. სესქათ სოლ-სა ხუცეს-ხევისბერთა მსგავსად სინმინდესთან იყო დაკავშირებული. ერთ ჩანაწერში ჩ. ახრიევი მიუთითებს, რომ „სოლსა იყო უაღ-რესად ჭკვიანი და წმინდა ადამიანი. ის დაიბადა არა ჩვეულებრივი ქალისგან, არამედ იშვა პირდაპირ ღმერთისგან“ (ახრიევი 1875: 113). ბ. დალგათიც წერდა, რომ ღვთაებრივი თვისებებით დაჯილ-

* ამ ტიპის თასებს, ძველი ქართული (ასომთავრული) წარწერებით, არქეოლოგებმა ჩეჩნეთის მაღალმთიანეთში, კერძოდ მითხოვი (ჩეჩნ. მელხისტი), ნასოფლარ წაი-ფხედაში, 2016 წლის ზაფხულშიც მიაკვლიეს (მამაევი... 2016: 333-336).

** ნართების ეპონის აფხაზურ ვერსაპი მტრედს ესქატოლოგიური დატვირთვა ენიჭება. სასრულყას სისხლით მოთხვრილი ფეხები მტრედებს მანამდე შერჩებათ, სანამ კაცთა მოდგრა შურითა და ბოროტებით იქნება აღვსილი. ხოლო როცა სა-მყარი შეიცვლება, როცა ამქვეყნად სიკეთე, სიყვარული და სათნოება დამყარდება, მტრედებს ფეხები კვლავ თეთრი და უფერული გაუხდებათ.

დოებული სესქათ სოლსა, რომელიც ინგუშებს წმინდანად მიაჩნდათ, გადმოცემის თანახმად, ღმერთისგან წარმოიშვა და ღვთის შვილი იყო (დალგათი 1901).

ი. დახვილგოვმა სესქათ სოლსას „ღვთისშვილობა“ და გმირის ღვთაებრივი წარმომავლობა ქრისტიანულ საიდუმლოს „ძე ღვთისას“ დაუკავშირა, რომელიც ინგუშური თქმულებების მთავარი პერსონაჟის სესქათ სოლსას არქეტიპად მიაჩნია. ი. დახვილგოვი ეძებდა საერთო ძირებს საკუთარ სახელებს – იესოსა და სესქათ სოლსას შორის, აგრეთვე პარალელურ სიუჟეტებს სახარებისეულ ტექსტებსა და ნართულ თქმულებებს შორის (დახვილგოვი 2012: 504-505). მეცნიერს სესქათ სოლსას „ღმერთის შვილობის“ დასამტკაცებლად მოჰყავს ირიბი არგუმენტი ოსური ფოლკლორიდან, რომ ნართების ეპოსის მთავარი გმირი სოსლანი, ზოგიერთი ვარიანტის მიხედვით, იყო ვასთირჯის შვილი. განკაცებულ ძესთან სესქათ სოლსას დასაკავშირებლად, რა თქმა უნდა, ოსური ფოლკლორიდან ეპიზოდის მოხმობა არგუმენტად არ გამოდგება, რადგან ეპოსის გმირები ამა თუ იმ სახით ხშირად დაკავშირებული არიან ზეცის ბინადრებთან. მიმაჩნია, რომ ინგუშური წართული თქმულებების მთავარი პერსონაჟის სესქათ სოლსას ღვთაებრივი ბუნება და საკრალური ნიშნები ქართველი მთიელების ანდრეზული ტექსტებით შეიძლება აიხსნას. თქმულებებში სესქათ სოლსას, როგორც ეპიკურ გმირს, არ აქვს განკაცებული ძის ნიშნები, მისი არქეტიპი არ არის „ძე ღვთისა“. მართალია, XIX საუკუნეების II ნახევარში, ტექსტების ჩაწერის დროს, უკვე დაწყებული იყო ინგუშური თქმულებების დემითიზაციის პროცესი, მაგრამ, მიმაჩნია, რომ სესქათ სოლსას ისეთივე საკრალური სტატუსი უნდა ჰქონოდა ინგუშების რწმენა-წარმოდგენებში, როგორი ფუნქციაც აქვთ ღვთისშვილებს ფშავ-ხევსურულ ანდრეზებში. სესქათ სოლსა აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის ჯვარ-ხატთა და მფარველ წმინდანთა მსგავსად არის ღვთისშვილი, ღვთისნასახი, ღვთისგან მოვლენილი.

როგორც აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის საყმოებს მაღალი მთის მწვერვალებზე ჰქონდათ ღვთისშვილთა და მფარველ წმინდანთა სახელზე აგებული სამლოცველოები, ასევე ინგუშეთის მთიანეთში, ზოგალ-დუყის მთის მწვერვალზე აღმართული

ყოფილა სესქათ სოლსას სახელობის სალოცავი, ე. წ. „იერდა“*, სადაც ღილღელები მის სახელზე დღესასწაულებს მართავდნენ: ლოცულობდნენ, მსხვერპლს სწირავდნენ და საერთო ტრაპეზს მართავდნენ.

შეიძლება ვიფიქროთ, რომ ნართების ეპოსის ინგუშურ ვერსია აზე გავლენა მოახდინეს ფშავებზესურულმა ანდრეზებმა, რადგან ადგილობრივ ეპიკურ თქმულებებში სესქათ სოლსა აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის ღვთისშვილთა მსგავს პერსონაჟად ჩამოყალიბდა.

ესქატოლოგიური პერსპექტივა (თასი და გამოქვაბული)

მტრედთან ერთად ნართების ეპოსის ინგუშურ ვერსიაში ყურადღებას იქცევს, ისეთი საკრალური სიმბოლოები, როგორებიც არის თასი და გამოქვაბული. იმ დროს, როცა ნართულ თქმულებათა სხვა პერსონაჟები ფლობდნენ კოშკებსა და ციხე-დარბაზებს, სესქათ სოლსას ერთადერთ საცხოვრებელს გამოქვაბული წარმოადგენდა. ცნობილია, რომ ქრისტიანი ასკეტები თავიანთ წმინდა საყუდლად ხშირად გამოქვაბულს ირჩევდნენ, რადგან, როგორც მკვლევარები მიუთითებენ, გამოქვაბული იქცა „სულიერი შუაგულისა და საინიციაციო ტაძრების სიმბოლოდ“ (რ. გენონი). ქართველ მთიელთა მითოლოგიურ ტრადიციაში გამოქვაბული მიჩნეულია წმინდა ადგილად. ანდრეზული ტრადიციით, გერგეტის გამოქვაბულში, ღვთისშვილთა და ანგელოზურ არსებათა სამყოფელში, მხოლოდ რჩეულებს შეეძლოთ მოხვედრა.

ინგუშური ნართების ეპოსის ზოგიერთ ფინალურ ვერსიაში მოქმედება გამოქვაბულში ხდება. ღრმა არქაული სიმბოლიკის შემცველია სესქათ სოლსას წინამძღვრლობით სამოცდასამი ორსთხოვლის, ერთი მეომრული საზოგადოების წევრების, უკანასკნელი შეკრება გამოქვაბულში, მათი თათბირი და თასის ჩამოტარება (დახვილ-

* ი. დახვილგოგს თავის წიგნში „ინგუშური ნართული ეპოსი“ წარმოდგენილი აქვს XIX საუკუნის ბოლოს ზოგალ-დუყის მთაზე აღმართული სესქათ სოლსას სალოცავს ფოტო. ი. დახვილგოგის (ცნობით, სესქათ სოლსას „ქერდა“ მიწისძვრას დაუნგრევია (დახვილგოგი 2012: 489).

გოვი 2012: 375). მითოსი იცნობს არაერთ თქმულებას, რომელიც რიტუალური თასის ზეციურ წარმომავლობაზე მოგვითხრობს, რომელთა არქეტიპს ხშირად ის ბარძიმი განასახიერებს, საიდანაც საიდუმლო სერობაზე მაცხოვარმა თავისი მონაფეები რიგორიგობით აზიარა. წართ-ორსთხოელთა შეკრება საიდუმლო რიტუალის ნიშნებს შეიცავს, რადგან გამდნარ სპილენძს ისინი ერთი თასიდან სვამებს* და ამით ისინი თავიანთ ერთიანობას ადასტურებენ.

ეს ეპიზოდი საიდუმლო სერობის სახარებისეული ეპიზოდის ერთგვარ პარადიგმას წარმოადგენს, რომელიც მითოსურმა სტიქიამ ეპიკურ სიუჟეტად გარდაქმნა. მ. ელიადე ამგვარ რელიგიურ ქცევას მითოსურ აზროვნებას უკავშირებს, რადგან, მისი აზრით, ხსნა სამაგალითო დრამითა და მოძღვრებით გაცხადებული უზენაესი მოდელის მიბაძვით მიიღწევა (ელიადე 2009: 147). ჩეჩენური და ინგუშური თქმულებები განსაკუთრებით მდიდარია ესქატოლოგიური მოტივებით, განსაკუთრებით ეს უნდა ითქვას იმ ხალხურ ტექსტებზე, რომლებიც წართ-ორსთხოელთა აღსასრულზე მოგვითხრობენ. სიკვდილის წინ სესქათ სოლსა გამოქვაბულში სამოცდასამ წართს მიმართავს: „დაე, დაიხშოს და დაიქოლოს გამოქვაბული. ხოლო ჩვენ, წართები, იქამდე ვიყოთ გამოქვაბულში, სანამ მგელი ვეშაპად არ გადაიქცევა და ბერვი არ გასცვივდება. როგორც კი ეს მოხდება, დაე, გამოქვაბულის კარი გახსნილიყოს და მკვდრეთით აღვდეგარიყავით!“ მთხოობელი დასძენს, რომ „არავინ იცის ეს გამოქვაბული სად მდებარეობს, მაგრამ ამბობენ: როცა იმ მგელს ბერვი სრულად გასცვივდება, წართები აღდგებიან, გამოქვაბულიდან გამოვლენ და ხალხს დაიცავენ“ (დახკილგოვი 2012: 376). წართების ეპოსის ინგუშურ ვერსიაში ვევდებით სამყაროს განახლების მითორიტუალურ სცენარს. მასში გატარებულია აზრი, რომ კატასტროფას კვლავ სამყაროს აღდგენა მოჰყვება. სახეზეა გამოქვაბულში გამოკეტილი წართ-ორსთხოელების პარალელიზმი კავკასიის ხალხთა სხვა ეპიკურ გმირებთან, რომელთა თავდახსნა

* ჩეჩენურ და ინგუშურ თქმულებებში გამდნარი სპილენძი წართი გმირების ეპიკურ სასმელს წარმოადგენს, რომელსაც ზოგიერთ ვარიანტში განსაკუთრებული თვისებები მიენერება. თუმცა არ ვიცით, ეპოსის თავდაპირველ ვარიანტებში იყო თუ არა წართი გმირების სასმელი ნამდვილად გამდნარი სპილენძი, რომლითაც მათ სიცოცხლე მოისწრაფეს. „საიდან, როგორ დარტომ გაჩნდა სპილენძი ინგუშურ ეპოსში, პასუხი არ არის“ – წერს ი. დახკილგოვი (დახკილგოვი 2012: 512). წართების ეპოსის ზოგიერთ ვარიანტში სპილენძის ნაცვლად ხსენდება „ჩაა“, რომელიც არავინ იცის, როგორი სასმელია. მისი საიდუმლო დიდიხანია დაიკარგა.

და გამოქვაბულიდან სამზეოზე გამოსვლაც ესქატოლოგიურ პერ-სპექტივას, სამყაროს ფერისცვალებას უკავშირდება.

ნართების ეპოსში დასტურდება წარმოდგენები საიქიო ცხოვრებაზე, სადაც ხშირად მოგზაურობენ ნართი გმირები. „იალსამალი“ და „უოუალათი“, ზეციური იერუსალიმისა და ჯოჯოხეთის აღმნიშვნელი სახელწიდებები ჩეჩინურ და ინგუშურ ენებში, როგორც ჩანს, ქრისტიანული რელიგიის გავრცელების შემდეგ ქართული ენის გავლენით დამკვიდრდა.

უაღლესად მდიდარია ინგუშური ნართული თქმულებების საკრალური სამყარო. მასში არაერთგზის ხსენდება წმინდა მთა „წეილოამ“ (სიტვასიტყვა. მთაწმინდა), ხევისქერი (წეისაგ), სამი წმინდა ხარი, რომლებსაც თავისი პარალელები დაეძებნებათ ქართულ მითოლოგიურ სიუჟეტებსა და ქრისტიანულ სიმბოლოებთან. პარალელური სიუჟეტების ანალიზითა და ქართული მითოლოგიური გადმოცემების გათვალისწინებით შეიძლება დავასკვნათ, რომ სესქათ სოლსას წმინდა მხედრის ფუნქციებიც უნდა ჰქონდა შეთვისებული. მით უფრო, რომ ინგუშურ თქმულებებში ნართორსთხოელთა რაოდენობა არის სამოცდასამი, რომლის ანალოგია წმინდა გიორგის ქართულ ეპითეტ სამას სამოცდასამთან ეჭვგარეშეა.

ყველა არგუმენტი არსებობს იმისათვის, რომ ვიფიქროთ, ჩეჩინური და ინგუშური თქმულებები იმ პერიოდში ყალიბდებოდა, როცა ქრისტიანული რელიგია და ქრისტიანული ტრადიცია გავლენას ახდენდა ჩეჩენი და ინგუში ხალხების ყოველდღიურ ცხოვრებაზე. ნართების ეპოსის ნაციონალური ვერსიები ჩეჩინეთისა და ინგუშეთის მთიან ნაწილში ისლამის გავრცელებამდე უნდა შექმნილიყო. ჩეჩინურ და ინგუშურ თქმულებებში თითქმის არ გვხვდება მაჰმადიანური სახელები. თქმულებები თითქმის არ იცნობენ ისლამურ მოტივებსა და სიუჟეტებს. მათი კვალი ვაინაზურ ეპოსში მხოლოდ ზედაპირულ ხასიათს ატარებს. ჩეჩინურ და ინგუშურ ხალხურ ტექსტებში ცალკეული ისლამური ელემენტების არსებობა მხოლოდ და მხოლოდ იმ მიზეზით შეიძლება აიხსნას, რომ თქმულებების ჩანართების პერიოდში ჩეჩენთა და ინგუშთა რწმენაში ისლამი თანადათან გაბატონებულ მდგომარეობას იკავებდა.

ნართების ეპოსის არაერთი მითოლოგიური სიუჟეტი, საკრალური მოტივი და სახე-სიმბოლო ქართული კულტურის მონა-

ცემებით შეიძლება აიხსნას. ქრისტიანული ელემენტები, ლექსიკა, ტერმინოლოგია და მითოლოგიური სიმბოლოები, რომლებიც ტრადიციულ ნიადაგზე გადამუშავდა და ადგილობრივ გარემოს მოერგო, ჩეჩენური და ინგუშური თქმულებების ყველაზე არქაულ ფენას განეკუთვნება.

დამოწმებანი:

ანდრეზები 2009: კიკნაძე ზ. ანდრეზები. აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის რელიგიურ-მითოლოგიურ გადმოცემები. თბილისი: ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2009.

ანთოლოგია 2010: ხალხური პოეზიის ანთოლოგია (შემდგენლები ზ. კიკნაძე და ტ. მახაური). თბილისი: გამომცემლობა „მემკვიდრეობა“, 2010.

აფხაზური ფოლკლორი 2003: აფხაზური ფოლკლორი. თბილისი: გამომცემლობა „კავკასიური სახლი“, 2003.

ახრივი 1875: Ахриев Ч. Э. “Ингушки (их предания, верования и поверия)”. Сборник сведений о кавказских горцах, выпуск 8. Тифлис: 1875.

ბაქრაძე 1875: Бакрадзе Д. Кавказ в древних памятниках христианства. Тифлис: 1875.

დალგათი 1901: Дацგათ Б. К. “Страница из северо-кавказского багатырского эпоса”. Этнографическое обозрение, №1. Москва: 1901.

დალგათი 1972: Дацგათ У. Б. Героический эпос чеченцев и ингушей. Москва: издательство «Наука», 1972.

დახკილგოვი 2012: Даҳкильгов И. А. Ингушский наратский эпос. Нальчик: ООО “Тетраграф”, 2012.

ელიადე 2009: ელიადე მ. მითის ასპექტები. თბილისი: ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2009.

ზუბბა 1988: ზუბბა ს. აფხაზური ზეპირსიტყვიერება. თბილისი: თსუ გამომცემლობა, 1988.

კიკნაძე 2016: კიკნაძე ზ. ქართული მითოლოგია, ჯვარი და საყმო. I. თბილისი: ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2016.

მამაევი ... 2016: Mamaev P. X., Mamaeva P. A., Mamaev X. “О новых находках сосудов с надписями из склепового могильника «Цой-Пхеде» (Малхиста)”. Всероссийская научно-практическая конференция студентов, молодых ученых и аспирантов «Наука и молодёжь». Чеченский государственный университет. 27-28 октября. Грозный: 2016.

მამისიმედიშვილი 2014: Мамисимедишили Х. И. Ритуальное восстановление архетипной модели в осетинской песне «Есть зерно» (ес хуар). *Журнал – Известия СОИГСИ* (учреждение российской академии наук северо-осетинский институт гуманитарных и социальных исследований им. В. И. Абаева ВНЦ РАН и правительства РСА-А), выпуск 11 (50). Владикавказ: 2014. <http://izvestia-soigsi.ru/archive/vipusk-11>

მამისიმედიშვილი 2017: მამისიმედიშვილი ხ. საქრალური ისტორიები. თბილისი: გამომცემლობა „უნივერსალი“, 2017.

ოჩიაური 1967: ოჩიაური თ. მითოლოგიური გადმოცემები აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში. თბილისი: გამომცემლობა „მეცნიერება“, 1967.

ოჩიაური 1991: ოჩიაური ალ. ქართული ხალხური დღესასწაულები აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში (ფშავი). თბილისი: გამომცემლობა „მეცნიერება“, 1991.

სასუნელი 1939: სასუნელი დ. სომხური ეპოსი (ლ. მელიქსეთბეგის რედ.). თბილისი: თსუ გამომცემლობა, 1939.

სიხარულიძე 1961: სიხარულიძე ქს. (შემდგენელი). ქართული ხალხური საისტორიო სიტყვიერება. I. თბილისი: საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, 1961.

სულეიმანოვი 1978: Сулейманов А. С. Топонимия чечено-ингушетии. II част. Горная Ингушетия. Грозный: Чечено-ингушское книжное издательство, 1978.

ჩიქოვანი 1947: ჩიქოვანი მ. მიჯაჭვული ამირანი. თბილისი: თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1947.

ძიძგური 1971: Дзидзигури Ш. В. Грузинские варианты народского эпоса (Иследование, тексты). Тбилиси: издательство «Мерани», 1971.

ხალხური სიბრძე 1964: ხალხური სიბრძე ხუთ ტომად. ტ. II. ქართული ზღაპრები. თბილისი: გამომცემლობა „ნაკადული“, 1964.

**Sacral Symbols and Elements of Georgian Culture in Chechen
and Ingush Versions of the Nart Epos**

Summary

Georgian and Chechen-Ingush legends give the heroic episodes based on similar topics. If heroic episodes have sacral function and are thoroughly mythologized in Georgian andrezes, similar episodes in Chechen or Ingush legends lack sacral elements altogether. However, comparing them to Georgian andrezes allows understanding the mythological figures and symbols in a new way. The original sacral-religious meaning of some heroic episodes in Chechen and Ingush legends is without a doubt.

The Chechen and Ingush legends were formed in the period when Christian religion and Christian tradition influenced the everyday lives of the Chechen and Ingush peoples. The national versions of the Nart epos in the mountainous regions of Chechnya and Ingushetia must have originated before the spread of Islam. The Chechen and Ingush legends hardly give any Moslem names and they are almost totally unfamiliar with Islamic motifs or topics. Rather, their trace in Vainakh epos is somewhat superficial. The presence of individual Islamic elements in the Chechen and Ingush folk texts can be explained only by the fact that at the time of writing the legends down, Islam was gradually becoming dominant in the Chechen and Ingush peoples' belief.

A number of mythological topics, sacral motifs and figures and symbols in the Nart epos can be explained by the features of the Georgian culture. The Christian elements, vocabulary, terms and mythological symbols revised on the traditional background and adapted to the local surroundings, are attributable to almost all archaic layers of the Chechen and Ingush legends.

ბედისწერა და განგება ქართულ ფოლკლორში

ღმერთის მიერ დადგენილი წესრიგით შექმნილ ქვეყანაში ყველასა და ყველაფერს წინასწარ აქვს მიჩენილი ადგილი და ამ ქვეყნის მოკვდავთა გონიერებასაც ის განაპირობებს – რამდენად ემორჩილება ან არ ეგუება წინასწარ განსაზღვრულ ღვთის განგებას. ერთი მხრივ, თუ აღიარებულია ბედის გარდუვალობა: „რაცა ღმერთსა არა სწამდეს, არა საქმე არ იქნების“ (რუსთაველი 1986: 257), მეორე მხრივ, ბედი გონებით არის განჭვრეტილი: „ბედმან შეკრიბოს, ჭკვამ ფანტოს, მექნების რა სარგებელი?“ (გურამიშვილი 1986: 21).

„ბედი“ ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში ზებუნებრივი ძალაა, რომელიც წინასწარ განსაზღვრავს ადამიანის ცხოვრებას (ლექსიკონი, 1986: 44) ძველი ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში ბედი ნიშნავს სვეს (აბულაძე, 1973: 24) მითოლოგიურ ლექსიკონში „ბედი“ ზებუნებრივი ძალაა (ბერძ. „ტექა“, ლათ.- ფორტუნა, ყისმათი). ბერძნები და რომაელები კი ბედს ფატუმას, უბედობას გარდუვალ, უსაშველო ზებუნებრივ ძალად თვლიდნენ და ვერავითარი ადამიანური თუ ჯადოსნური ძალა ვერ ცვლიდა ბედის განჩინებას (ლექსიკონი 1988: 12).

ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული რწმენის მიხედვით, ადამიანის ამქვეყნად მოვლენის უამს ცაზე მისი ვარსკვლავი ჩნდება, ხოლო ბედის მნიშვნელი ადგენენ, დავთარში იწერენ ან სულაც შუბლზე აწერენ ახალშობილს იღბალს, ბედს, ყისმათს – როგორ გაატარებს ცხოვრებას, რით ან როგორ უნდა მოკვდეს: ავადმყოფობით, უბედური შემთხვევითა თუ სხვა ბოროტი ძალების მცდელობითდა ა. შ. როცა კლდეზე გადაჩეხილი ადამიანი გადარჩებოდა, ქართველი ამბობდა: „სიკვდილი არ ეწერაო!“ ან, როცა უძლური იყო და ვერაფერს ცვლიდა: „ღმერთს ესე დაუწესებიაო“. ე.ი. სწამდა, რომ მას თავისი წერა ჰქონდა, რასაც ვერ შეცვლიდა; სწამდა, რომ მას დაბადებისთანავე დაწესებული აქვს ბედი ან უბედობა.

წერა-მწერლის ნათქვამის გარდუვალობა ჩანს ზღაპარში „ირმისა“: „როცა შეიქმნა შუალამე, მოვიდა სამი ქალი, შემოსხდნენ ვაშლის წვეროზე და დაიწყეს ლაპარაკი. ერთმა თქვა:

- რა ბედი მივცეთ ცოლ - ქმარსაო?
 - მეორემ თქვა:
 - ის ბედი მივცეთ, რომ როგორც შევიდეს სიძე ეზოში და ცხენი გამოათამაშოს, ცხენიდან გადმოვარდეს და მოკვდესო!
 - მესამემ თქვა: - თუ ამას გადარჩეს, ხელმწიფის ცოლმა რომ მოართვას ოქროს სარტყელი და ოქროს ფეხსაცმელები, მაშინ სარტყელი გველად გადაიქცეს და ქალი შეჭამოს და თუ ამასაც გადარჩეს, ფეხსაცმელმა ფეხი მოსტეხოსო. პირველმა კიდევ თქვა:
 - თუ ამასაც გადარჩეს, ღამე მოვიდეს გველეშაპი და ორივე ჩანთქასო" (ლლონტი 1974: 51, 52). ეს სამივე ბედისმნერელია და მათი ნათქვამი უცილობლად უნდა ასრულდეს.
- საინტერესოა ახსნა ბედისმნერალთა ქმედებისა. ვინ არიან ბედისმნერლები, რაზეა დამოკიდებული ბედისმნერლის ნათქვამის არსი; რატომ ანესებენ კარგ ან ცუდ ბედისწერას, ზღაპრებსა და ადამიანთა წარმოდგენებში ბედისმნერლებისმიერ განსაზღვრულ ბედს თუ უბედობას ზღაპრის პერსონაჟებიც ემორჩილებიან და ადამიანებიც. „განგებასა ვერვინ შესცვლის, არ-საქმნელი არ იქნების“ (რუსთაველი 1986 : 63) – ამბობს ავთანდილი, რადგან სწამს და სჯერა, რომ ღვთის ნებისა და განგების გარეშე არაფერი ხდება. თუმცა ადამიანის მოდგმა არ ეპურება არსებულ რეალობას, რადგან სწამს, რომ გონება უნდა იხმოს და იბრძოლოს ბედისწერის შესაცვლელად:

სიკედილამდე ვის მოუკლავს თავი კაცსა მეცნიერსა,
 რა მისჭირდეს, მაშინ უნდან გონებანი გონიერსა.
 (რუსთაველი 1986: 371)

რაც შეეხება ღვთისშვილებს, მათი დაბადებაცა და მათი ხვედრიც წინასწარ არის განსაზღვრული ზებუნებრივი ძალით. სიკეთის გამარჯვება და ბოროტების დამარცხება გარდუვალია. მორიგე ღმერთის მიერ ღვთისშვილების ღვთაებრივი ძალმოსილების გამომხატველი ატრიბუტებით აღჭურვა უსაშველო ზებუნებრივ ძალად ითვლება. ატრიბუტის არსებობა მკვეთრად განსაზღვრული ფუნქციითაა წარმოდგენილი, რადგან აქ შემთხვევითობა გამორიცხულია და მხოლოდ გარკვეული აუცილებლობა განაპირობებს მასში ამა თუ იმ სიმბოლოს არსებობას-თეთრი ქუდი იქნება ეს, სხვა ფერის სამოსი, ცხენი, მათრახი, ტახტი და სხვ.

ბედისმწერლის ნათქვამის არსის წვდომას დღესაც ცდილობს ადამიანი და კითხვა „რატომ?“ არ ასვენებს მას. დღეს არსებული წარმოდგენებით, ხალხი თვლის, რომ ანგელოზი თუ კარგ გუნებაზეა, კაცს კარგ ბედს დაუწერს; ხოლო, თუ უგუნებოდაა, დაბადებულს ცუდ ბედს დაუწესებს. მაგ.: ბოროტი დედაბრის სიტყვები – „მეფის ასული თითში თითისტარს იჩხვლეტს და მოკვდებაო“ – ხელმწიფებები განრისხებულის მიერ არის წარმოთქმული და, რომ არა ახალგაზრდა კეთილი ფერის ხმამაღლა ნათქვამი სიტყვები – „პრინცესა თითისტარს მართლაც იჩხვლეტს, მაგრამ არ მოკვდება, დაიძინებს ღრმა ძილით, სანამ მშვენიერი უფლისნული არ გამოაღვიძებსო“ – უცილობლად ასრულდებოდა (შარლ პერო).

ძველად არსებული რწმენის მიხედვით ადამიანის მომავალი ბედისწერის წინასწარ გაგებაც შეიძლებოდა. მაგ.: ფშაველთა წარმოდგენით რომელ სახლშიც მიცვალებული ესვენა, იქ მივიდოდა ვეებერთელა თეთრწვერა კაცი „მწერლის წიგნით“ და ამოიკითხავდა მათ, ვისაც სიკვდილი ელოდებოდა. თეთრწვერა კაცის ნათქვამს მხოლოდ ის გაიგონებდა, ვინც ღამეს უთენებდა მიცვალებულს. ამასთანავე, ძველი თთაობის ხალხს სწამდა, რომ, თუ სიზმრად მიცვალებულს იხილავდა ადამიანი, მისი ნეკა თითისათვის როგორმე კბილები მაგრად უნდა მოეჭირა მანამდე, სანამ მიცვალეული არ გაუმსხელდა მომავალ ბედისწერას. სურვილი მომავალი ბედისწერის გაგებისა არის მცდელობა არასასურველი ბედისწერის შეცვლისა.

ადამიანის გონება მუდამ ძიებაშია: ჩასწვდეს წუთისოფლის ამაოებას, კაცთა მოდგმის დანიშნულებას, ადამიანურ ურთიერთობებსა და ბედისწერა-განგების არსს. ზოგჯერ თუ ეგუებოდა ბედს, ზოგჯერ ცდილობდა წინასწარ გაეგო საკუთარი ხვედრი და შეეცვალა, თუმცა ორივე შემთხვევაში ის „თავის ბედისწერას მაინც ვერ ასცდებოდა“. თუ ზღაპრებში პერსონაჟები არსებული რეალობიდან გაღწევას ცდილობენ და ბედის საძებრად მიდიან,

მტკიცე ნებისყოფითა და ინდივიდუალურობით გამორჩეული ადამიანები ბედს არასდროს ემორჩილებიან:

არც კაცი ვარგა, რომ ცოცხალი მკვდარსა ემსგავსოს,
იყოს სოფელში და სოფლისთვის არა იზრუნვოს!

(ბარათაშვილი 2002: 87)

ბედის წინააღმდეგ მებრძოლმა ნებისმიერმა გმირმა იცის, რომ ბედის შეცვლას სასიკეთოდ მხოლოდ ჭიდილში შეძლებს: „ან ჩემი ბედი ან ჩემი სურვილის ასრულება“ (ბარათაშვილი 2002: 287).

ბედისწერა და განგება ამ შემთხვევაშიც ისევეა გადაჯაჭვული ერთმანეთთან, როგორც ქართულ ფოლკლორში – განგება და ბედი; არა აქვს მნიშვნელობა, ადამიანი ემორჩილება თუ წინააღმდეგობას უწევს არსებულ რეალობას.

დამონიგანი:

აბულაძე 1973: აბულაძე ი. ძევლი ქართული ენის ლექსიკონი. თბილისი: 1973.

ბარათაშვილი 2002: ბარათაშვილი ნ. საქართველოს მაცნე. თბილისი: 2003.

გურამიშვილი 1986: გურამიშვილი დ. დავითიანი. თბილისი: გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, 1986.

ლექსიკონი 1988: მითოლოგიური ლექსიკონი. Tbilisi: 1988.

რუსთაველი 1986: რუსთაველი შოთა. ვეფხისტყაოსანი. თბილისი: 1986.

ღლონტი 1974: ღლონტი. ქართული ხალხური ზღაპრები. თბილისი: 1974.

შარ პერო: http://children.wanex.net/mcerloba/zgaprebi/ucxouri_zgaprebi/mdzinare_mzetun.htm

Nino Balanchivadze

Fate and Destiny in Georgian Folklore

Summary

Everything in the world is created by the order and will of God thus everything has its significance and destination even the wisdom of the mortals is determined by the God's will and character of the mortals how they obey the destiny given by the God. On the one hand, if the fate is admitted as the inevitable phenomena, on the other hand, fate is foresighted by the mind.

According to one of the most widely believed faith, the star appears on the sky at the very period when the human is born, and the fortune prophets determine the life, fate and destiny of the newborn – how will he live or when and how will he die: by illness, accident or by the interfer-

ence of evil souls etc. When a man crashed from the rock survived Georgian said “death was not written in his destiny”, or when a man was not able to change the situation Georgian said: “it is God’s will and order” i.e. he believed that he had his own fate and destiny prescribed from his birth.

Human tries even today to perceive the essence of the word “why” pronounced by the fortune prophets. According to the old belief human was able to foresee his future. e.g. the house where the dead person was placed, was visited by the white bearded man with the “prophets’ book” and read who would die. His words were only heard by the people who overnigheted for the dead. If someone saw the dead in his dream he should bite his little finger until the dead said his future. The will to predict the future is the attempt to change the not wishful destiny.

Sometimes he faced the fate, sometimes trying to find out his own fate and change it, but in both cases he would not “miss his fate.” If the characters in the fairy tales are trying to get out of realism and seek a twist, the strong will and indigenous people will never obey the fate because they know that the will is God’s will, the fate – the necessity!

ზღაპართმცოდნეობა

რუსულან ჩოლოყაშვილი

სიბრძნე – იმქვეყნიური ჯილდო ნოველისტური ზღაპრის გმირისა

გვიანი პერიოდის ნოველისტური ზღაპრის მთავარი გმირი სიბრძნით (ცოდნით, ჭკუით, სიტყვით) ჯილდოვდება; ადრინდელი ქართული ნოველისტური ზღაპრის გმირები კი მოიპოვებენ ოქროს მონეტების დამყრელ ვირს თუ ფილს, ჯადოსნურ გასაღებს ან მატერიალური სიკეთის მომტან სხვა ნივთებს; ასევე ამ ქონების შესანარჩუნებლად აუცილებელ არაჩვეულებრივ ჯოხსა თუ ხმალს, რომელთაც დამოუკიდებლად შეუძლიათ მიბეგვონ ან მოკლან კიდეც პატრონის მტერი; უფრო ადრინდელი – ჯადოსნური ზღაპრების გმირები კი დამსახურებულად მიიღებენ: მფრინავ ხალიჩას, უჩინმაჩინის ქუდს, ჯადოსნურ სუფრას, ნატვრის თვალს... და ბოლოს აღწევენ სანუკვარ მიზანს – ქორწინდებიან ხელმწიფის მზეთუნახავ ასულზე.

სიბრძნე, რომელიც განსახილველი ზღაპრების გმირს ღვთაებრივ სიკეთეს სწევს, იოლი მოსაპოვებელი არ არის. ის სხვა სოფლიდან, უფრო ზუსტად „იმ“ ქვეყნიდან – არამიწიერი სამყაროდან არის წამოღებული და მას იქაურობის მცველი გასცემს დამსახურებისამებრ. ე.ი. იმქვეყნიური, დაფარული სიბრძნის, ჭკუის მასწავლებელი არ არის ჩვეულებრივი მოკვდავი, ის არა-მაქვეყნიური არსებაა, რომელსაც არ უჭირს იმ ერთადერთის ამორჩევა, რომელიც ღირსია ღვთაებრივი სიკეთის მომნიჭებელი ცოდნით დაჯილდოებისა. მაგალითად, სოლომონ ბრძენი ყოფილ მოჯამაგირეს ეუბნება: „თუნდა ის ფული აიღე და წადი, თუნდა ერთ სიტყვას გასწავლი და ეგ ფული მე დამრჩესო“ (ვირსალაძე 1958: 277). მოჯამაგირემ ფულს სწავლა არჩია. ე.ი. მან სწორი გადაწყვეტილება მიიღო, ამით კი გამოცდას გაუძლო და ჯილდოც დაიმსახურა.

ამ ტიპის ნოველისტური ზღაპრები, რომელთა გმირებიც არა-ამქვეყნიური სიპრძნის წყალობით აღწევენ სანუკვარ მიზანს, ზოგადად ზღაპრის სტრუქტურის ძირითად ხაზს მიჰყება. ეს კი იმაში გამოიხატება, რომ ყოველგვარი ცოდნაც, როგორც საერთოდ ყოველგვარი სიკეთე ზღაპრულ ეპოსში, „იქ“ მოიპოვება და აქ „იმ“ ქვეყნიდან არის მოტანილი სამჯერადი მცდელობის შედეგად. ე.ი. ზღაპრის საყოველთაოდ ცნობილი სტრუქტურით არის განპირობებული ის ფაქტიც, რომ „იქიდან“ წამოღებული სიკეთეც სამჯერადი ცდის შედეგად მოიპოვება და ის სამია: ძირითადად სამი ცოდნაა ზოგჯერ კი ცოდნასთან ერთად – რაიმე საგანი (სარკე) ან არსება (კატა).

გარევეული ტიპის ჯადოსნურ ზღაპრებშიც გვხვდება სიუჟეტი, სადაც პირდაპირ არის ნათქვამი, რომ მისი გმირი „იქ“ – „იმ“ ქვეყნას მიდის და უკან დაბრუნებას თუ შეძლებს, ყველა გზაზე შემხვედრის გაჭირების მიზეზს გაიგებს. მაგალითად, ზღაპარში „ბაყაყის ხოკერა“ ბატონმა (ხელმწიფებმ) როცა გადაწყვიტა, ლამაზი ცოლის პატრონისთვის მეუღლე წაერთმია, დაიბარა ის და უბრძანა: „–დედაჩემი რომ ამ სოფლით მიიცვალა, თან ერთი ბეჭედი გაჰყვა, თუ წახვალ საიქიოს და იმ ბეჭედს მომიტან, ხომ რა კარგი, თუ არა და ცოლს წაგართმევო!“ მართლაც, იქ ნამყოფი ბატონის დედის გამოტანებული ყუთით უკან რომ ბრუნდებოდა, გზაში გაიგო, რთული კითხვების პასუხები: ერთი ცოლ-ქმარი კამეჩის ტყავზე რატომ ვერ ეტეოდა მაშინ, როდესაც მეორე წყვილი ცულის ტარზეც კარგად თავსდებოდა თურმე; იმქვეყანას მღვდლის გრძელ წვერს ბალახის მაგივრად იმიტომ სძოვდნენ ხარება, რომ ის სიცოცხლეში თავის ხარებს სხვის საძოვარზე აბალახებდა, სხვებისას კი შიმშილით ხოცავდა (აღნიაშვილი 1979: 22-28). „ბედის მძებნელის ზღაპარშიც“ „იქ“ მიმავალს აქაურებდა შეკითხვები დააბარეს, პასუხი გაგვიგე და მოვიტანეო: მგელმა – ჩემს კბილის ტკივილს რა მოარჩენსო? გლეხმა – დიდი შრომის მიუხედავად ცუდ მოსავალს რატომ ვიღებთო? ან კიდევ – რა არის მიზეზი, დიდი ჯარის პატრონს პატარა ჯარის პატრონი რომ ამარცხებსო? (მეგრული 1994: 210-212).

მითოსური ნარმოდგენით, იმქვეყნიურ სამყაროში იგულისხმება ყველა ის მხარე, რომელიც შენი სოფლის, ქვეყნის გარეთ არის: სხვა სოფელი, სხვა ქალაქი, სხვა სახელმწიფო; ასევე ყველაფერი, რაც ზღურბლს იქით არის: ტყე, წისქვილი, მთა, მდინარე, ზღვა, ხის

კენწერო, ხის ძირი, „იქით“ მიმავალი გზა და სხვა. ე.ი. ყოველივე აქ ჩამოთვლილი იმქვეყნიური სამყაროს ექვივალენტია. მაგალითად, ღარიბი კაცი წავიდა სხვა სახელმწიფოში. იარა, იარა და მიადგა ერთ დიდ სასახლეს (ჩოლოყაშვილი 2010: 255); „იმგზავრა ამ საწყალმა ნამოჯამაგირალმა კაცმა რამდენიმე ხანი, შევიდა ერთ ქალაქში, სადაც ხელმწიფე იყო ადრ“ (ვირსალაძე 1958: 282); ვაჭრები ზღვის ღელვამ სხვა ქვეყანაში გარიყა (ჩოლოყაშვილი 2010: 258); ტაგუმ „ბევრი იარა და ბოლოს ერთ ხელმწიფესთან დადგა“ (მეგრული 1994: 158); ღარიბმა კაცმა მოიფიქრა: „ყურბეთში წავალ, ვიმუშავებ, ცხოვრებას წინ წავნევო“ (ჩოლოყაშვილი 2010: 279); სამუშაოს საშოვნელად წასული საშინლად გაჭირებული ფასო „მიადგა ქალაქს, სადაც სოლომონ ბრძენი მეფობდა, მივიდა მასთან და სამუშაო სთხოვა“ (ვირსალაძე 1958: 277); „წავიდა, შევიდა ქალაქში, სადაც ხელმწიფეს ცოლად ჰყავდა ბაყაყი. ეს ღამით ქალი იყო, დღისით ბაყაყი, სახელად ლალო“. სამ მანეთად სამ სიბრძნეს მოისმენს ადამიანი გზაზე შემხვედრი კაცისგანაც, როცა მოჯამაგირედ სამსახურის შემდეგ სახლში ბრუნდება (ჩოლოყაშვილი 2010: 271); ხელმწიფესთან სიზმრის ასახსნელად მიმავალი გლეხიც ბილიკზე შემხვედრი გველისაგან სამგზის გაიგებს ხელმწიფის სამი სიზმრის ახსნას (აღნიაშვილი 1979:47-49); ხელმწიფის ვაჟი ხუთი წლის სწავლის შემდეგ სახლში ბრუნდებოდა, ტყე ჰქონდა გასავლელი. იქ მწყემსთან გაჩერდა და მისგან გაიგო, რომ ღმერთის გვარი მოთმინებაა (მეგრული 1994: 224-225). ამის ცოდნა კი ცხოვრებაში დიდად გამოადგა; ზღაპრის გმირი, მას შემდეგ რაც მორჩა მოჯამაგირებას, „გადავიდა სხვა სახელმწიფოში, აქ იყიდა სარკე, გადავიდა კიდევ სხვა სახელმწიფოში, იქ იყიდა კატა, გადავიდა კიდევ სხვა სახელმწიფოში... აქ ჭკუას ყიდდნენ: ვინც რა უნდა შეგეკიოხოს, შენ უთხარი, კარგია და ლამაზი-თქო“ (ჩოლოყაშვილი 2010: 255). საბოლოოდ ამ სამივე შენაძენით ბედს ეწია საწყალი კაცი.

აქ მოვიტანთ რამდენიმე სიკეთის მომნიჭებელ „იქ“ გაგონილ ცოდნას: (მაგალითად, ზღაპარში „ღარიბი ცოლ-ქმარი“ სოლომონ ბრძენმა მოჯამაგირეს მისი სურვილით სამი წლის გასამრჯელოს სანაცვლოდ სამი სიბრძნე ასწავლა: რაც შენმა თვალმა მოიწონოს, უბრალო კენჭიც კი, წაიღე და ეზოში შეაგდეო, ნაქურდალად არ ჩაგეთვლებაო; სხვის საქმეში არასოდეს ჩაერიო, თუ არ დაგავალესო; შენი საიდუმლო არც ცოლს, არც ამხანაგს, არავის გაანდოო

(მეგრული 1994: 180-182); შორი გზა უნდა მოიარო, შინ მშვიდობით მიხვალო; საქმე შენ თუ არ გეხება, ნუ იკითხავო; ასჯერ გაზომე და ერთხელ გაჭერიო” (ჩოლოყაშვილი 2010: 279); სანამ საქმეში კარგად არ გაერკვევი, ნურაფერს გადაწყვეტო; რასაც ვერ შესწოდები არ წეპოტინოვ” (ჩოლოყაშვილი 2010: 271-272); „რაც შენი თვალით არ ნახო, სხვის ნათქვამს ნუ დაიჯერებო” (ვირსალაძე 1958: 277). ეს და სხვა „იქ“ შეძენილი ცოდნა ზღაპრის გმირს სასიკვდილო ხიფათისაგან გადაარჩენს, ცოდვის ჩადენისაგან იხსნის, ადამიანს ჯანმრთელობას აღუდებს, სხვათა განკურნების საშუალებასაც ასწავლის, დიდალ ქონებას აშოვნინებს, საოცნებო ბედსა სწევს და ზოგჯერ ხელმწიფის ქალსაც კი შერთავს ცოლად.

ზღაპრული წარმატების მოპოვების უტყუარი პირობაა, აგრეთვე, ნამდვილი ტყუილის ცოდნა, რაც „იქაური“ სიმართლეა; ასევე – რთულ კითხვაზე პასუხის გაცემა, რაც ასევე მხოლოდ იმ ერთადერთმა იცის, რომელიც იმქვეყნიური სამყაროდან არის მობრუნებული.

„იქ“ მხოლოდ დადებითი ხასიათის გარდატეხა არ ხდება გმირის ცხოვრებაში, ავიც იმავე ადგილზე შეემთხვა მთავარი გმირის მეტოქეს: შავგულამ თვალები დათხარა ალალს და ტყეში დაფლა, ასევე იქვე ისჯება ავისმენელიც, ე.ო. ერთსა და იმავე ადგილას ხდება გარდატეხა ზღაპრის როგორც კეთილშობილი, ასევე ადამიანის გამმეტებელი გმირის ცხოვრებაში. ერთის ბედი დადებითად თუ იცვლება და სიკეთეს ეწევა, მეორისა – უარყოფითად – რა სიკეთეც გააჩნდა, იმასაც კარგავს და ზოგჯერ იღუპება კიდეც. რაც მთავარია, ყოველივე ამას დამსახურების მიხედვით იღებენ ზღარის გმირები.

„იქ“ მოპოვებული ცოდნა, ერთი შეხედვით, ზოგჯერ ისეთი ჩვეულებრივი ჩანს – არანაირი სიკეთის მომტანი, რომ ზღაპრის გმირი თავდაპირველად გულდაწყვეტილია, მას ჰგონია, რომ სამი წლის შრომამ ვერაფერი შეჰმატა და, თითქოს, ისევ იმით ბრუნდება სახლში, რითიც წავიდა (სამი ლარით). მოგვიანებით კი ცხოვრებამ აჩვენა, რამდენად სასიკეთო ცოდნა წამოუღია „იმ“ ქვეყნის გამგებლისაგან. მართლაც, კრიტიკულ სიტუაციაში ჩავარდნილმა გონებაში ჩაბეჭდილი სიბრძნის წყალობით შეინარჩუნა სიცოცხლე, როცა სახლში დასაბრუნებლად მოკლე გზას გრძელი არჩია; გადარჩა მაშინაც, როცა არ იკითხა, რაც მას არ ეხებოდა (ჩოლოყაშ-

ვილი 2010: 279-281); მას არც საკუთარი შვილი შემოაკვდა ეჭვი-ანობის ნიადაგზე და არც-პატიოსანი ვაჭარი; ასევე „იქ“ შეძენილი ცოდნით დიდაღი ქონება იშოვა, როცა განძის ადგილსამყოფელი გაიგო; გამდიდრდა მაშინაც, როცა უწყლობით განამებულ სოფელს წყალი გაუჩინა; ზოგჯერ ის ხელმიფის თუ ვაჭრის ქალზეც ქორნინდება, როცა იმქვეყანას შეძენილი ცოდნით განკურნავს მას. საბოლოოდ კი ვიგებთ, რომ „ბოლოს კმაყოფილი დარჩა ამ ჭკუის სწავლისთვის... რა იაფად რა კარგი ჭკუა მასწავლაო“ (ჩოლოვაშვილი 2010: 281), საბრალო ფასოც „ლოცავდა თავის მასწავლებელს“ (ვირსალაძე 1958: 286). „იქ“ მოსმენილ მართალ სიტყვასაც დიდი ძალა ჰქონია, მას სწეულის მორჩენა შეუძლია. მაგალითად, მშობლებმა თავიანთი ბრძა, ყრუ და მუნჯი ასული განკურნების მიზნით სოლომონ ბრძენთან მიიყვანეს. მართლაც, აქ მოსმენილმა სამმა მართალმა სიტყვამ გამოაჯანმრთელა ავადმყოფი. ე.ო. „იქ“ მოსმენილ სიტყვას, მიღებულ ცოდნას ნოველისტურ ზღაპარში ისეთივე ღვთაებრივი სიკეთე მოაქვს ზღაპრის გმირისთვის, როგორსაც ჯადოსნური ზღაპრის გმირი იღებს ზებუნებრივი არსებებისაგან.

დიდი ბედნიერება ნოველისტურ ზღაპრებშიც მხოლოდ სამი ქვეყნის, სამი სამყაროს მოვლის, სამჯერადი დაბრკოლების დაძლევის შემდეგ მოიპოვება. ე.ო როცა ყველა დავალების კეთილ-სინდისიერად შესრულების შემდეგ შინ ბრუნდება გმირი. ამდენად, ამ ტიპის ზღაპრებშიც ის არის ღვთაებრივი სიკეთის ღირსი, ვინც სამი მხარის, სამი ქვეყნის, სამი სამყაროს მოვლის შემდეგ საკუთარ სახლში ბრუნდება – იქ, საიდანაც გავიდა თავის დროზე უქონლობით შეჭირვებული. როგორც წესი, ზღაპრული ეპოსისათვის ნიშანდობლივია, სახლიდან გასული გმირი უკან რომ ბრუნდება სამჯერადი დაბრკოლების დაძლევის შემდეგ გამარჯვებული, მიზანმიღწეული და ბედნიერი. ასეა სიბრძნით დაჯილდოებული გმირების შემთხვევაშიც. ამ ტიპის ზღაპრებშიც მუდამ დაცულია სამმაგობის პრინციპი – მითოსური წარმოდგენით სამყაროს სამი განზომილების (ზესკნელის, შუასკნელის, ქვესკნელის) შესატყვისად. აქ დაბრკოლებაც სამია და ჯილდოც: სამი წელი რჩება გლეხი მოჯამაგირედ სხვა ქვეყანაში, სამჯერ მოისმენს ბრძნულ დარიგებას სამი არსებისაგან: სამი დევისაგან, სამი ჩიტისაგან, სამი ცხოველისაგან (მელია, მგელი, დათვი). იმ შემთხვევაში თუ ცოდნის გამცემი ერთია (თეთრწვერა მოხუცი, სოლომონ ბრძენი,

მწყემსი, გზაზე შემხვედრი კაცი, ჩიტი, გველი), ის სამგზის მოძღვრავს გმირს, ე.ი. ზღაპრის გმირი სამ ცოდნას იძენს, რომელნიც სასურველ ბეჭს სწევს. ასევე ის სამჯერ იცვლის სახეს: გლეხი მოჯამაგირე ხდება, შემდეგ სიბრძნით ძლიერდება, ბოლოს კი მოიპოვებს სიმდიდრესა და ბეჭნიერებას. ე.ი. ამ ტიპის ზღაპრებშიც დაცულია ზღაპრული ეპოსისათვის ნიშანდობლივი სამბა-გობის პრინციპი. ასევე ზღაპრების მთავარი გმირია ის ერთადერთი, ვინც იმსახურებს იმქვეყნიურ სიბრძნესთან ზიარებას, ამას კი მისი კეთილშობილება და სიალაღმართლე განაპირობებს. მასთან დაპირისპირებული ცრუ (შავგულა, არამი თუ ღვთის ძალის ყოვლისშემძლეობის დამვიწყებელი) არამარტო მარცხდება, არამედ ხშირად ილუპება კიდევც. მაგალითად, ალალის მიმბაძველი ბოროტი და ხარბი შავგულა ემსხვერპლა გამდიდრების სურვილს – „დევებმა ის ხის კენწეროდან ჩამოათრიეს, და დაესივნენ“ (ჩოლოყაშვილი 2010: 273). ჯადოსნური ზღაპრის გმირი სახლიდან გადის და სხვა-გან „იმ“ ქვეყანას მიდის საცოლის მოსაპოვებლად, დაკარგული ცოლის დასაბრუნებლად, უშვილობის წამლის, უკვდავების წყლის მოსაძიებლად; ნოველისტური ზღაპრის გმირი კი სხვა ქვეყანაში მიდის სიღარიბის დასაძლევად, ღოვლათის მოსაპოვებლად. ამ მიზანს ის აღწევს „იქ“ შეძენილი ცოდნის, იქიდან მოტანილი სიბ-რძნის წყალობით, ე.ი. ამ ტიპის ზღაპრების გმირიც იმქვეყნიური სიკეთის, ამ შემთხვევებში, სიბრძნის მომტანია, ე.ი. ბეჭნიერების მომნიჭებელ სიბრძნეს სხვა ქვეყნის წარმომადგენლები გასცემენ – სხვა სოფლის გარდა, ზესკრელისა თუ ქვესკრელის ბინადრებიც – ისეთი ღვთაებრივი არსებანი, როგორებიც არიან: ხის კენწეროს შემომჯდარი ჩიტი თუ მდინარეში მოცურავე თევზი, სამყაროს ხის ფესვების, ქვესკრელის არსება გველი თუ მითოსური დევი. მათგან მოისმენს ზღაპრის გმირი მართალ სიტყვასაც და სიკეთის მომნიჭებელ სიბრძნესაც. მაგალითად, ჩიტი ასწავლის თვალებდათხრილ გმირს როგორც თავისი, ასევე სხვა სნეულთა განკურნების საშუალებას, რითიც საწყალი კაცი განიკურნება და დიდალ ქონებასაც შეიძენს (ჩოლოყაშვილი 2010: 306-307). თუ გავიაზრებთ, რომ თვალების დათხრა, მითოსური გააზრებით, გმირის გარდაცვალებას ნიშნავს, გამოდის, რომ ის ამ ფორმით გადადის მიცვალებულთა სამყაროში და სწორედ ამის შემდეგ იძენს იმქვეყნიური ცოდნას. ასევე არამინიერი არსებებისაგან – თევზისაგან გაიგებენ მეფე და

მისი ვაჟი სიმართლეს – ხალხის უარყოფით დამოკიდებულებას მათი მმართველობის მიმართ (მეგრული 1994: 156); გველი კი ხელ-მწიფის სიზმრების მნიშვნელობას აუხსნის საწყალ კაცს (აღნიაშვილი 1979: 47-49); დევებიც ხეზე ასულ თვალებდათხრილ ალალს ასწავლიან მისი თვალების ადგილსამყოფელს და გააგებინებენ, რომელი წყაროს წყალი დაუბრუნებს მხედველობას; რა არის ხელმწიფის ქალის ავადმყოფობის მიზეზი და რა განკურნავს მას; ასევე – როგორ უნდა აპოვნინოს ხელმწიფეს დაკარგული ხაზინა, რომლის ნახევარიც თავად დარჩება. მართლაც, ალალმა ყველა ეს რჩევა გაითვალისწინა და შედეგმაც არ დააყოვნა: დაიბრუნა თვალის ჩინი, ხელმწიფის ქალი განკურნა და ცოლად შეირთო; ნაპოვნი ხელმწიფის განძის ნახევარიც, პირობისამებრ, დაისაკუთრა და ბედნიერი დაბრუნდა სახლში.

სიბრძნის მცოდნე და გამცემი ახალგაზრდა ქალიც არის – დაოჯახებულიც და დასაოჯახებელიც. მის მოსაძიებლადაც სხვა სოფელში, სხვა ქვეყანაშია საჭირო წასვლა. მას ქარაგმულად ნათქვამის მნიშვნელობა ესმით, რაც დიდ ღირსებად ითვლება ზღაპრულ ეპოში. ასეთი უნარის მქონე ქალს უფროსი ასაკის მამაკაცები აღმოაჩენენ ხოლმე და საკადრის პატივსაც მიაგებენ – რძლად წამოიყვანენ.

ამ ტიპის ზღაპრებში გამორჩეულია ვაჭრისა და სოვედაგრის ფუნქცია. „მოჯამაგირედ ნამყოფ კაცს ჰყავდა დიდი ვაჭარი ბიძა, რომელიც შორ ქვეყნებში ვაჭრობდა“ (ჩოლოყაშვილი 2010: 263-267), ხშირად სწორედ მას ატანს სხვა ქვეყანაში დასაქმებული საწყალი კაცი ცოლთან თავისი გარჯით წაშოვნს. ამ პროფესიის ადამიანს ხომ თავისი ხელობის გამო სხვადასხვა ქვეყანაში უნევს მოგზაურობა. მაგალითად, ზღაპარში „კაცის და კატის ამბავი“ (ჩოლოყაშვილი 2010: 258): ვაჭრები, რომლებსაც მოჯამაგირემ თავისი მონაგარი სახლში გაატანა, ზღვით წავიდნენ, ზღვა აღელ-და და ესენი სხვა ქვეყანაში გარიყა და ა.შ. სხვაგან კი ნათქვამია, რომ სახლში წამოსულს გზაში შეხვდა სოვდაგარი, რომელთან ურთიერთობითაც სიკეთეს ეწია; სიბრძნეს ზღაპრის გმირი სხვა ეროვნების წარმომადგენლისაგანაც იღებს, მაგალითად, აღასაგან ან სომეხისაგან.

ზღაპრის გმირისთვის გაცემული სიბრძნე არც წყალობაა და არც ძლვენი, ის დამსახურებული ჯილდოა ერთგულებისათვის,

კეთილშობილებისათვის, სიაღალმართლისათვის, ცხოვრების ღირ-სეული წესისათვის და ადათის ერთგულებისათვის. შესაბამისად, აქვე სასტიკად ისჯება და ხშირად იღუპება კიდეც უღირსი (მატყუარა, ხარბი, სტუმართმოძულე, ორგული, მოღალატე და ურნმუნო გმირი.) „დაესივნენ მშიერი დევები და ერთ ლუკმადაც არ ეყოთ არამი შავგულა“ (ჩოლოყაშვილი 2010: 285). როგორც ვხედავთ, დიდი ბეჭნიერების მომნიჭებელი სიკეთე აქ სიაღალმართლით მოიპოვება. ამ დამსახურებული ჯილდოს თუ სასჯელის გამცემი კი ჩვეულებრივი მოკვდავი არ არის, მისი სახე მითოსური სამყარო-დან მომდინარეობს, იმქვეყნიური არსებაა – გენეტიკურად ამა თუ იმ სახით წარმოდგენილი ღვთაება. ე.ო. რაც არ უნდა რეალისტურად გამოიყურებოდეს ნოველისტური ზღაპრები – მათი ცალკეული მოტივები თუ პერსონაჟები, ისინიც, ზღაპრის სხვა ქვეფანრთა მსგავსად, მითოსური ფესვებიდან იღებს სათავეს.

დამოწმებანი:

აღნიაშვილი 1979: აღნიაშვილი ვლ. (შემკრები). ქართული ხალხური ზღაპრები. თბილისი: გამომცემლობა „ნაკადული“, 1979.

ვირსალაძე 1958: ვირსალაძე ელ. (შემდგენელი). რჩეული ქართული ხალხური ზღაპრები. თბილისი: 1958.

ჩოლოყაშვილი 2010: ჩოლოყაშვილი რ. (შემდგენელი). ნოველისტური ზღაპრების ტომი, ქართული ხალხური პროზის მრავალტომეული (ხელნაწერი). 2010 (დაცულია შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის ფოლკლორის განყოფილებაში).

ცანავა 1994: ცანავა აპ. (შემდგენელი). ქართული ზღაპრების სკიპრი. მეგრული ზღაპრები და მითები. თბილისი: გამომცემლობა „მერანი“, 1994.

Wisdom –Divine Award for Thenovelist Fairy Tale Hero

Summary

The hero of the late novelist fairy tale period is awarded with wisdom (knowledge, intelligence, speech), which is not easily obtained. The award is given by the guardian of that world, more precisely of the divine world. The teacher of the hidden wisdom is the unnatural one, and that is why the knowledge obtained from him is a great blessing.

This type of work is subject to the general structural line of fairy tales and the wisdom of divine kindness is obtained “there” after the three attempts. The three-dimensional principle of the fabulous epicis protected in this case as well, thus the great happiness will be obtained only after traveling three worlds and overcoming three obstacles. All this demonstrates that novelistic fairy tales, like other sub genres of novelist fairy tales, takes origin from mythic roots.

პოეზია

ოთარ ონიანი

მხატვრული სახეები სამონადირეო პოეზიაში

ნადირობა ადამიანთა ორგანიზებული შრომის უძველესი ფორმაა. იგი პალეოლითიდან იღებს სათავეს და განვითარების სხვადასხვა ეტაპები და საფეხურები განვლო. ისტორიკოსების ცნობით, ამ დროის ადამიანები ჯოგებად ცხოვრობდნენ და ეწეოდნენ კოლექტიურ ნადირობას. დავძენთ, რომ შრომის ეს უძველესი ფორმა XX საუკუნის პირველ ნახევრამდე შემორჩა რაჭასა და სვანეთში. ამდენად, თამამად შეგვიძლია ვისაუბროთ სამონადირეო ტრადიციების ჩამოყალიბების რთულ პროცესებზე, მასთან დაკავშირებულ რჩმენა-წარმოდგენებსა და წეს-ჩვეულებებზე; იმაზედაც – თუ როგორი არქაულობით და მაღალმხატვრული ოსტატობითაა იგი წარმოჩენილი აღმოსავლეთ და დასაავლეთ საქართველოს მთის კუთხეთა ფოლკლორულსა და ეთნოგრაფიულ მასალებში. ორივე მხარის პოეზია, მიუხედავად საერთო გენეზისური საფუძვლებისა, მნიშვნელოვანი სპეციფიკურობით წარმოგვიდგება: სვანური პოეზია სინკრეტული ხასიათისაა, რასაც ვერ ვიტყვით აღმოსავლეთ საქართველოს მთის კლასიკურ პოეზიაზე. მიხეილ ჩიქოვანი საგანგებოდ მიუთითებს ამგვარ სხვაობაზე: „ბალადა ბეთქილი და მისი ვარიანტები სინკრეტული ხასიათის კლასიკური საფერხულო სიმღერებია. სინკრეტიზმი შესრულების ფორმაში მუღავნდება: **სიტყვა – სიმღერა – ცეკვა**. საზოგადოდ სვანური ლექსი ქართული ხალხური ლექსის წინა საფეხურს ასახავს. ის, რაც ქართლ-კახეთსა და ფშავებურეთშიც პოეტური თვალსაზრისით საძიელი და თითზე ჩამოსათვლელია, სვანურში ყოველ ნაბიჯზე გვხვდება ნორმის სახით და მასიური გავრცელებით. ესაა სვანური ფოლკლორული პოეტიკის სინკრეტიზმის საფეხური, რასაც ახასიათებს ლირიკული და ბალადური ლექსის ურითმობა, ტაეპის უქონლობა და რთული რეფრენის ბატონობა. სამივე ეს თვისება ბეთქილში მათემატიკური სიზუსტით იჩენს თავს. ბეთქილის ამბავი საბედისწერო სიყვარულს განასახიერებს. მსოფლიოს ფოლკლორულ ნიმუშებში ჩვენ არ გვეგულება

მეორე ისეთი რიტუალური ბალადა, როგორიცაა სვანური საფერ-ხულო ლექს-დატირება ბეთქილზე, ყოველ სალექსო ფრაზას თან ახლავს გულის სიღრმემდე ჩამწვდომი, სამგლოვიარო-სავაჟკაცო ჰიმნი „ბაილო, საბრალო ბეთქილ, საცოდავო ბეთქილო, ბაილ ილბა; ილბა ბაილ“ ... (ჩიქვანი ... 1972: 220). ამონარიდში გასარკვევი არაფერია. აზრი, რომ სვანური პოეზია სინკრეტული ხასიათისაა, ცნობილია. ჩვენი მხრიდან დავძენთ, რომ ძალიან ბევრი სირთულე იჩინს თავს სვანური პოეტური ტექსტების, კონკრეტულ შემთხვევაში ბალადა ბეთქილის, ვარიანტების იდუმალებათა ამოცნობაში. ესაა სვანური ენის რთული ლექსიკა, რომელიც ენათმეცნიერთა აზრით, იმდენად რთულია, რომ მისი მნიშვნელობა განსაკუთრებულია ზოგადი ლინგვისტიკისათვის. ეს სირთულე კიდევ უფრო საგრძნობია ფოლკლორულ-ეთნოგრაფიული მასალის, კერძოდ, რელიგიური შინაარსის ტექსტების სწორად გააზრების მცდელობისას. საქმე ეხება სიტყვათა და გამოთქმათა მრავალმნიშვნელობას. ერთმა სიტყვამ შეიძლება მთელი ტექსტის შინაარსი შეცვალოს. განვმარტავთ: ესა თუ ის სიტყვა ან ფრაზა, გამოთქმა შეიძლება ზუსტად იყოს თარგმნილი, მაგრამ კონტექსტში მისი მნიშვნელობა განსხვავებული აღმოჩნდეს. თანაც თარგმანი ყოველთვის ზუსტი შესატყვისობით ვერ გადმოსცემს დენდისეულ სპეციფიკურობას. მით უმეტეს, ეს ითქმის რელიგიური შინაარსით მასალაზე, კონკრეტულად კი დალის ციკლისაზე. სწორედ ასეთი სირთულეები იჩინს თავს ისეთი ღრმა ტრადიციულ კუთხეთა ფოლკლორულ-ეთნოგრაფიული მასალის კვლევისას, როგორიც ფშავ-ხევსურეთი და რაჭა-სვანეთია. ამიტომ, როცა საუბარია კოლექტიურ ნადირობაზე, უნდა ვივარაუდოთ და ეს ასეცაა, რომ ადამიანთა მოდგმამ დროთა განმაავლობაში განვითარების გარკვეულ მაღალ საფეხურს მიაღწია. სამონადირეო პოეზიაც გენეზისურად აქედან იღებს სათავეს. ჩვენთვის საინტერესო საკითხთან დაკავშირებით, აღბათ, არ იქნება უაღგილო მკვლევართა მოსაზრების გახსენება: „შრომის პოეზიამ განვითარების რამოდენიმე საფეხური განვლო: პირველ-ყოფილი ამოძახილი, შემდეგ მასთან ერთად სიტყვა, ფრაზა, ხოლო სულ ბოლოს ლექსი. ასე გადადიოდა პოეტური შემოქმედება მარტივიდან რთულზე და თანდათანობით სრულ სახეს იღებდა. პირველი ლექსი – სიმღერა კოლექტივმა შექმნა, – ავტორის შენიშვნით, – სხვადასხვა ხალხთა შრომის პოეზია, არა მარტო მოსაქმეობის

პროცესს გამოხატავს, არამედ იმდროინდელი საზოგადოების შე-
 ხედულებებს, მისნრაფებებს გადმოგვცემს. შრომის ლექსი ისტო-
 რიის ძევლთაძველი მოწმეა” (ჩიქოვანი ... 1975: 433). ამ აზრით,
 სამონადირო პოეზიას განსაკუთრებული ადგილი უნდა მიეჩინოს.
 კონკრეტულ შემთხვევაში ბალადა ბეთქილის ვარიანტიებში მთელი
 სისრულითა და მაღალმხატვრული ოსტატობითაა წარმოდგენილი
 მონადირის უფლება-მოვალეობების და ვალდებულებების აღ-
 სრულების აუცილებლობის წმინდათამინდა ტრადიცია. ამიტომ,
 უპირველეს ყოვლისა, საჭიროა მოკლედ გადმოვცეთ ჭეშმარიტი
 მონადირის უმთავრესი ნიშან-თვისებები: თუ რას წარმოადგენს
 იგი სოფლისათვის, ფართო გაგებით – საზოგადოებისათვის, რა
 ევალება მას. პირველ რიგში იმის აღნიშვნაა აუცილებელი, რომ
 პროფესიონალმა მონადირემ ზედმიწევნით კარგად უნდა იცოდეს
 ჯიხვთა საბინადრო არეალი (კლდოვან-ყინულოვანი), თავისი
 გამოქვაბულებითა და შინაგანი სტრუქტურით, ალპური ზონა
 (ზეკარი) თავისი სათიბებით, ასევე ტყის მასივი, თავისი მრა-
 ვალფეროვნებით, რომ მოულოდნები ფათერაკის წინაშე არ აღ-
 მოჩნდეს. ფეხი არ დაუცდეს, არ დაიღუპოს. ასე რომ, სამონადირ-
 ეო მიდამოს თავისი სირთულეები ახლავს. ჭეშმარიტი მონადირე
 სოფლის, თემის, საიმედო გუშაგია – ყოველმხრივ გამორჩეული
 კაი ყმა. მის სიცყვას კანონის ძალა აქვს სოფელში. იგი მოვალეა,
 თვალყური ადევნოს გარემომცველ სინამდვილეს, ფლორას და
 ფაუნას. როცა ჯიხვთა და არჩვთა რაოდენობა შემცირებულია,
 მონადირე 4 წლის განმავლობაში კრძალავს ნადირობას. სწორედ
 4 წლის ასაკშია ფიზიკურად სრული ჯიხვი და არჩვი. რაც შეეხება
 ტყის მასივს, რომელიმე სახეობის გადაშენების საშიშროების, ის
 ნაკრძალად ცხადდება ხანგრძლივი დროის განმავლობაში სწორედ
 ნამდვილ მონადირეს ადამიანები განსაკუთრებული კრძალვითა და
 პატივისცემით ეპყრობიან. ცხადია, ასეთი მონადირე გამოირჩევა
 პიროვნული სიწმინდითაც. სხვაგვარად არც შეიძლება – სოფელი,
 თემი თვალყურს ადევნებს მის ყოველ ნაბიჯს, ქმედებას და სამაგი-
 ეროსაც ლირსეულად მიაგებს. ასე რომ, მონადირის ვალდებულე-
 ბაც დიდია საზოგადოებისა და გარემოს წინაშე. ორივე საუფლოში
 (შინა და გარე), სიწმინდეების მადიდებელი და აღმასრულებელია. ის
 ნადირობა ხომ, ადამიანთა რწმენით, წმინდა საქმეა, უკიდურესად
 საკრძალავია სამონადირეო ადგილებიც და ნადირიც. სანადიროდ

წინა დღეებში მონადირე ვალდებულია, დაიცვას მთელი რიგი აკრძალვები: პირველ რიგში – მარხვა, არ უნდა მიიღოს ცხი-მიანი საკვები; არ უნდა გაეკაროს არა თუ უცხო ქალს, არამედ სა-კუთარ ცოლსაც. რაც მთავარია და ყველაზე რთული, მონადირემ უნდა შეძლოს დუმილში ყოფნა, რაიმე უკეთური აზრი ფიქრადაც არ უნდა გაიკაროს გულში. სულიერადაც უნდა განიწმინდოს იმ დონეზე, რომ მთის წმინდა ადგილებში მისვლის უფლება მოიპოვოს. სახლეულობაც სრული გაგებით უნდა მოეკიდოს მონადირის დუმილში ყოფნას. იკრძალება უხეში სიტყვების თქმა, სახლში და მთელს საკარომიდამოშიც სიწმინდეა დასაცავი. ასე რომ, ოჯახი დიდი გამოცდის წინაშე დგას. სასურველია, რომ სახლიდან გასულ მონადირეს არავინ შეხვდეს, რომ არ გაითვალოს. მნაირად, თვით-დაჯერებული, შინაგარი რწმენით ადგესილი გამთენისას უნდა იყოს მთის წმინდა ადგილებში. გარდა ამისა, კიდევ არის მთელი რიგი ნიშან-თვისებები, სპეციფიკურობები, რომელთა ჩამოთვლისგანაც ამჯერად თავს ვიკავებთ. მხოლოდ გავიხსენებთ მკვლევართა აზრს, რომ სამონადირეო ტრადიციები არქულობითა და მრავალ-ფეროვნებით შემონახულია სვანურ ფოლკლორსა და ეთნოგრაფიულ მასალაში.

ჩვენთვის საინტერესო ბალადა „ბეთქილი“ და მისი ვარიანტები ქართველ ფოლკლორისტთა დიდი და შეუნელებელი ინტერესის საგანია. ამჯერად მხედველობაში გვაქვს ელ. ვირსალაძის ნაშრომი „ქართული სამონადირეო პოეზია“, მასში საინტერესოდაა წარმოჩენილი და გააზრებული სამონადირეო პოეზის მხატვრული სახეები. მთემელთა დამოკიდებულაბა ნადირობისადმი, მონადირისა და სამონადირეო იარაღისადმი. მკვლევარი იხილავს რა დალისა და მონადირის ურთიერთობის რთულ პრობლემას, აქცენტირებულადაა თქმული, რომ აუცილებელია მონადირის მხრიდან ტაბუს დაცვა. შრომის ავტორი საინტერესო მოსაზრებას გვთავაზობს. „მონადირის სიყვარული (მოკვდავი ქალისადმი, რომელსაც ანაცვალა „დიოფალი დალი“; დალთან შეყრა. დალის განრისხება ისე-თი ექსპრესითა და მხატვრული სიძლიერი თაა წარმოდგენილი, რომ მასში იგრძნობა ცხოვრების რეალური სინამდვილის სუნთქვა, ძლიერი ადამიანური ვნებები, რომელთა აღნერა და განსახიერება თავისთავად ტაბუს წინააღმდეგ ერთგვარ პროტესტს წარმოადგენს და ობიექტურად მის დარღვევას, ძველ წარმოდგენათა

მსხვრევას ემსახურება. დალის მიერ განწირული მონადირე, ივანე ქვაციხელი, სიცოცხლის უკანასკნელ წუთებშიც არ ივიწყებს თავის სატრფოს და მისი დანახვა სურს.

მომგვარეთ ჩემი მიჯნური, მაღლიდან გადმოვფრინდები,
გავხედე შორით მიჯნურსა, ერია მრავალ ხალხში და
ყელსა ეყიდა საყურე, უქრიალებდა ქარიო.
ძუძუ-მკერდი დავინახე, უჩნდა თეთრი ბროლივითა.
(ვირსალაძე 1964: 133ბ 140ბ 144)

ამგვარი მხატვრული სიძლიერით არის გადმოცემული კლდეზე მიჯაჭვული მონადირე ბეთქილის განცდებიც, სიყვარული რძალი თამარისადმი:

დაუარეთ სამთის ფერხული,
თამარი, ჩემი რძალი,
თავში დააყენეთ.
მისი ხელსახოცის ტრიალი
თვალს მომტაცებს
და გადმოვხტები კიდეს კლდიდან.
თამარმა ხელსახოცი დაატრიალა,
ბეთქილს თვალი ამან მოსტაცა.
გადმომსტარა კიდეც კლდიდან.
(ჩიქოვანი ... 1972: 224)

დამოწმებულ ჩანაწერში საკამათო არაფერია. ფაქტია, რომ ივანე ქვაციხელმა და ბეთქილმა ქალღმერთი დალის სიყვარულს მოკვდა-ვი ქალის სიყვარული არჩია და მათ სიტყვებში, მართლა, იგრძნობა ცხოვრების რეალური სუნთქვა: ადამიანური ვნებები, ტაბუს წინააღმდეგ პროტესტი, ძეველ ნარმოდგენათა მსხვრევის სურვილი, კვლევა ამის იქით არ მიდის. ავტორი ახსნა-განმარტებებისგან თავს იკავებს. დავძენთ, რომ დამოუკიდებლად ბეთქილისა და ივანე ქვაციხელის რთული, წინააღმდეგობებით აღსავსე ბუნების ამგვარი გააზრება ახალი ელემენტია დალისა და მონადირის ურთიერთობის თეორიული პრობლემის სწორად დასმასა და გადაწყვეტაში. მიუხედავად ამისა, თავს იჩენს მთელი რიგი კითხვები, მათზე პასუხი მეტ სიცხადეს საჭიროებს. ალბათ, ორნაირი აზრი არ შეიძლება არსე-

ბობდეს იმასთან დაკავშირებით, რომ ტრადიციული ოჯახური სიწ-
მინდის დაცვა და განმტკიცება ადამიანთა მოდგმის წმინდათანინ-
და ვალია, მარადიული, მას არ უნერია მოძველება. განსაკუთრებით
აუცილებელია და საკრძალავი სულიერ ძალებთან ურთიერთობა,
დადებული პირობების აღსრულება. საიდუმლოს გათქმისა და გან-
საკუთრებით ქალღმერთ დალისთან ინტიმურ სფეროში ღალატისას
მონადირის დაღუპვა გარდაუვალია. ამდენად, სულიერ საუფლოში
მიმდინარე კოსმიური კანონზომიერპებების მიმართ გრძნობად
ფიზიკურ სამყაროში ადამიანური განსჯები, კომენტარი ან მსხვრე-
ვის სურვილის გამოვლინება-გამოხატვა გაუმართლებელია. იგი ნა-
კლი უფროა, ვიდრე ღირსება, მეტიც, დასახელებული პრინციპების
მიწიერ საუფლოში დამკვიდრება და დაცვა კაცობრიობის საპა-
ტიო ვალია. ხაზგასმულია ისიც, რომ ივანე ქვაციხელი და ბეთქი-
ლი შესანიშნავი მონადირები არიან, მაგრამ ფაქტია, რომ ორივემ
გამოუსწორებელი შეცდომა დაუშვა ქალღმერთ დალისთან ურთი-
ერთობაში. ვერც ერთმა ვერ შეძლო სულიერი ზეალსვლის გზაზე,
საკუთარი თავის გარდაქმნა და დარჩენენ ცოდვილ ადამიანებად.

ამ საიკოსზე საგანგებოდ დასკვნით ნაწილში გვექნება საუ-
ბარი. კონკრეტულ შემთხვევაში ჩვენ ბეთქილი გვაინტერესებს. მან ქალღმერთ დალისთან დადებულ ყველა პირობას უღალატა.
მისი დაღუპვის მიზეზიც ეს არის. იმის აღნიშვნაც აუცილებელია,
რომ ბალადის ვარიანტები მხატვრული თვალსაზრისითაც გან-
საკუთრებული ძლიერებით გამოიჩინა. იგივე ითქმის თემატურ
სირთულსა და მრავალფეროვნებაზე. ამიტომ აუცილებელია ჩვენს
ხელთ არსებული ჩანაწერების ზუსტი ტექსტოლოგიური ანალიზი,
ცალმხრივობის საშიშროების წინაშე რომ არ აღმოვჩნდეთ. საქმე
ისაა, რომ თითოეული ვარიანტი სიახლეებს გვათავაზობს. ამჯერად
მხოლოდ ერთ ფაქტზე შევჩერდებით, რომლის სწორად გააზრებას
გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ბეთქილის, როგორც მონადირის
რთული ბუნების გასარკვევად. ერთ-ერთი ვარიანტით, მულახ-
მუჟალის საზოგადოება იკრიბება და ასრულებენ ლენტეხურ ფერ-
ხულს. ბალადა მოთქმით იწყება:

ბაილ, ბეთქილ საბრალო, ბეთქილ – საცოდაო!

ბაილ ილბა, ილბა ბაილ.

ბაილ, ძულახ-მუჟალი იკრიბება,

შესდგომია ლენტეხურ ფერხულს.

ბაილ ილბა, ილბა ბაილ,
 ბაილ ილბა, ილბა ბაილ,
 გადმოშტარა თეთრი შუნი...
 გაურბენია ბეთქის ლაჯებში...
 ბაილ ილბა, ილბა ბაილ.
 ეს ბეთქის წერა იქნება!
 – ამის გამკიდე ვინ იქნება?
 – ამის გამკიდე ბეთქენი იქნება...
 (შანიძე ... 1939: 280-282)

მუხალ-მუჟალის საზოგადოებამ იგრძნო, რომ თეთრი შუნის მოულოდნელი გამოჩენა ავის მომასწავებელია. ამ გასაჭირის უამს მთელი საზოგადოების იმედი მხოლოდ ბეთქილი აღმოჩნდა. მათი რწმენით, თეთრ შუნს ბეთქის გარდა ვერავინ დაედევნებოდა. ეს იცის მონადირე ბეთქიმ, ისიც იცის, რომ თეთრი შუნი, რომელიც ლაჯებს შუა გაუხტა, მისი ბედისწერა იქნება, მაინც დაედევნა, ე.ი. საქმე გვაქვს გმირის გააზრებულ ქმედებასთან.

მართალია, მთქმელი დუმს, არაფერს გვეუბნება, თავს იკავებს ბეთქის შინაგანი განცდების წარმოსაჩენად, მაგრამ თავად ბეთქიმ, როგორც გამოცდილმა მონადირემ, ცნობიერ დონეზე განსაზღვრა, გაიაზრა თეთრი შუნის მოულოდნელ გამოჩენასთან დაკავშირებული რთული სიტუაცია, როგორც რჩეულმა ვაჟეაცმა, კარგად განჭვრიტა საზოგადოების შეშფოთება, უიმედობა და ისიც, რომ მთელი მულახ-მუჟალი მხოლოდ მას შეჰყურებს იმედის თვალით, თუმცა, ზედმინევნით კარგად იცის, რომ საბედისწერო გზაზეა დამდგარი, იცის, რომ თეთრი შუნი იგივე დალია, რომ მისი გამოჩენა კარგ არაფერს უქადის ბეთქის, მაგრამ ამ გადამწყვეტ უამს მან მისთვის შესაფერი არჩევანი გააკეთა. მონადირისთვის პირადულ-ზე უმთავრესი საზოგადოებრივი ინტერესი აღმოჩნდა და თავადაც რაინდული ნაბიჯი გადადგა ადამიანთა სასიკეთოდ. უყოყმანოდ დაედევნა თეთრ შუნს:

წინ წავალო, გაკვალული იქნება,
 უკან მოხედა მის ნავალს,
 მისი ნავალი აღარ ჩანს,
 ეს ბეთქის წერა იქნება.

შესულა შავ კლდეში,
 დიოფალი დალის სამყოფში,
 – გამარჯვება, კაი დღე, დიოფალ დალს!
 – როგორი კაი დღეც გექნება,
 იმას მე შენ გასწავლი!
 რად ულალატე ჩემ პირობას?!

ჩემი მონაცემი მძივი რა უყავ?
 – ის საწოლის სასთუმალში დამრჩა.
 – როგორი საწოლის სასთუმალშიც დაგრჩა,
 ისე (კარგად) დაგაბრუნებ!
 დიოფალი დალი გამქრალა (დაჰკარგვია),
 ბეთქილი კლდეს შერჩენია.

მარჯვენა ხელის მოსაკიდი შერჩა.
 მარცხენა ფეხის დასადგამი შერჩა...
 ბეთქილი კლდიდან ვარდება,
 ძირს ტოლები აიღებენ.

(შანიძე ... 1939: 280-283)

დამონმებულ ვარიანტში კარგადაა წარმოჩენილი მონადირე ბეთქის ტრაგედიის მიზეზი. როგორც ითქვა, მან ქალღმერთ დალისთან დადებულ ყველა პირობას ულალატა, საიდუმლო გათქვა, იცრუა, რომ მის მიერ ბოძებული მძივი საწოლის სასთუმალში დარჩა, რითაც კიდევ უფრო განარისხა დალი. მისი დაღუპვაც გარდაუვალი აღმოჩნდა. საანალიზოდ წარმოდგენილი ეპიზოდი ბევრ საფიქრალს გვიჩენს. მასში მაღალმხატვრული ოსტატობითაა წარმოჩენილი მონადირე ბეთქილის ბუნება, თავგადასავალი. მკითხველი დიდი შთაბეჭდილებით ივსება გმირის ვაჟკაცური გადაწყვეტილებითა და ქმედებით. სიკვდილ-სიცოცოხლის გზაზე დამდგარმა ბეთქილმა ძალიან კარგად იცის, რომ მისი ტრაგედია გარდაუვალია, რომ თეთრ შუნს დადევნებულს, უკან დაბრუნება აღარ უნერია, მაინც მიზანსწრაფულად მისდია ბოლომდე. ისე, რომ წამიერადაც არ შეფერხებულა. „წინ ნავალიო“, შენიშნავს მთქმელი, გაკვალულია, უკან კი მისი „ნავალი აღარ ჩანს“. არაა ძნელი იმის დანახვა, რომ ბეთქილმა, მოახლოებული ტრაგედიის უამს ვაჟკაცურად გაუსწორა თვალი სიკვდილს და როგორც კაი ყმას შეეფერება, ისე აღესრულა. უნდა დავძინოთ, რომ დამონმებულ ეპიზოდში

დიდია დიალოგის ხვედრითი წონა. მხატვრული თვალსაზრისით ცალკე უნდა გამოყენოთ განრისხებულ დალთან შეხვედრა. ფაქტურად მონადირე ბეთქის სიცოცხლეს აქ დაესვა წერტილი. თუ ღრმად დავაკვირდებით ბალადის ამ ეპიზოდს (დალთან შეხვედრას), რომელიც განსაკუთრებული სიმძაფრით გამოირჩევა, ბეთქილისთვის არაფერია მოულოდნელი, მან, როგორ მულახ-მუჟალში გამორჩეულმა ვაჟკაცმა, მონადირემ, თეთრი შუნის დადევნებიდანვე კარგად გააცნობიერა მოსალოდნელი ტრაგედია. ესაა მისი, როგორც რთული მითოსური გმირის უმთავრესი ლირსებაც, რომ მან გააზრებულად გაიღო საჟუთარი სიცოცხლე მსხვერპლად საზოგადოებისათვის, ადამიანებისათვის. საზოგადოებას სჯერა ბეთქილის. ადამიანური ურთიერთობის ამ ნაწილში მისი ქმედება სანაქებოა, ამიტომაცაა, რომ მთელი მულახ-მუჟალი იმედის თვალით მისჩერებია ბეთქილს. ჩვენ სხვა ვარიანტების განხილვისას ვნახავთ, რომ გასაჭირის ჟამს, კლდეზე გადმოკიდებული ბეთქილის დასახმარებლად, გადასარჩენად, მთელი მულახ-მუჟალი დაიძრება, მაგრამ მონადირე ბეთქილის დაღუპვა გარდაუვალია. ამჯერად არაფერს ვამბობთ მის გაორებულ, წინააღმდეგობით აღსავსე ბუნებაზე.

მეორე ვარიანტი იმ აზრითაა განსხვავებული და ორიგინალურიც, რომ მოქმედება თითქმის ბოლოდან იწყება:

ბეთქენი ჯიხვზე ნადირობისას გადმოვარდნილა,
თოთანიდან შუნი მოდის,
ბეთქენი კალოს ლენავს,
თავმოყრილა მულახის კრებული.
აგერ ზემოთ შუნი მოდის.
(შანიძე ... 1939: 282, 283)

საინტერესო ისაა, რომ ბეთქენი მულახის თავმოყრილ კრებულში კი არ იმყოფება, არამედ შინ არის, კალოს ლენავს. საზოგადოების აზრით, ვინც თეთრ შუნს მოკლავსო (მულაზ-მუჟალი ჯილდოს მისცემს). იქვე პირდაპირაა თქმული, რომ ამას ბეთქენი მოკლავს. „სხვა ვარიანტებიდან ვიცით, რომ ბეთქენი მულახ-მუჟალის ფერხულის მონაწილეა და თეთრი შუნი მას გაუძვრება ლაჯებს შუა. აქ კი სახლიდან გადის და დაედევნება თეთრ შუნს. მან ყური არ უგდოდედის რჩევასა და მუდარას, რომ დღეს არ ნასულიყო სანადიროდ:

– წუხელ ცუდი სიზმარი ვნახეო, სამი კბილი მქონდაო ამოვარდნილო. მონადირე ბეთქენის პასუხი კატეგორიულია:

– მანამ დედა არ მომიკვდეს,
დღეს ნადირობას ვერ დავიშლი.
წინ შუნი, უკან ბეთქენი,
წინ გზები შარად ექნება,
უკან გზები მოეშლება.
გასდგომია გზას.
მისი ცოდვა ნუმც დალევია
თამარს, მის რძალს.
უნმინდური გაგზავნა სანადიროდ.
(შანიძე ... 1939: 282-285)

დამოწმებული ვარიანტი სიახლეებს გვთავაზობს. უკვე ნახენებია რძალი თამარი, რომელმაც ბეთქილი უწმინდური გაგზავნა სანადიროდ, თუმცა შესავლიდან ვიცით, რომ როცა შუნი გამოჩნდება, ბეთქენი სახლშია, კალოს ლენავს. საინტერესოა, რომ ამ ვარიანტებში არ ჩანს, არაა გადმოცემული ქალღმერთ დალისთან შეხვედრა. არც ბეთქილის კლდეებზე გადმოკიდება... ბალადა ასე გრძელდება:

შესულა თოთანში,
თოთანის ჭიუხებში,
წინ შუნი, უკან ბეთქანი,
საბრალო ბეთქანი,
საცოდავო ბეთვექან.
მამაჩემს უამბეთ:
შუნს ტვინს მიღებდეს სულის მოსახსენებლად;
დედაჩემს უამბეთ |
ხაჭაპურ-ჭიშდვარს მიღებდეს სულის სახსენებლად;
ჩემს ცოლს უამბეთ:
წითლად შეიღებოს ლეჩაქი...
(შანიძე ... 1939: 282-285)

ე. ი. თეთრ შუნს დადევნებული ბეთქენი უკვე თოთანის ჭიუხეშია შესული. ვიმეორებთ, მას აქ არც დალი გამოცხადებია და

არც კლდეზეა გადმოკიდებული. მოქმედება დაუმთავრებელია. რა ხდება, ან რა უნდა მოხდეს, არ ვიცით. მკითხველიც რაღაცის მოლოდინშია, კონკრეტულად კი იმის, რომ შუნი ალბათ ქალღმერთ დალად გარდაისახება, როგორც ეს სხვა ვარიანტებშია და ბეთქენს კლდეზე გადმოკიდებს, მაგრამ არა, რატომღაც ეს უმნიშვნელოვანესი ეპიზოდი გამოტოვებულია და მოულოდნელად მოთქმა იწყება, რასაც მოსდევს ანდერძი. თუ როგორ მოიხსენიონ, უკურთხონ სული: დამ, მამამ და ცოლმა და ისევ მოთქმით გრძელდება:

საბრალო ბეთქენ, საცოდავო ბეთქენ!
თქვენი მწევრების წკმუტუნი
ისმის რაჭა-ლეჩუმამდე,
თქვენი მწევრების წკმუტური
ქვემოთ ისმის ეცერ-ლახამულამდე.
(შანიძე ... 1939: 285)

ბალადის შესავლიდან ვიცით, რომ როდესაც შუნი გამოჩნდება, ბეთქენი შინ არის და კალოს ლენავს, თოფ-იანალს აიღებს და დაედევნება თეთრ შუნს. არაა ნახსენები, რომ მწევრები წაეყვანოს. ბალადა ასე გრძელდება:

საცოდავი ბეთქენი მაშინ ვიქნები,
როცა მუჟალელები ბატონებად მეყოლებიან!
ზოგს მოაქვს თოკის ტვირთები,
ზოგს მოაქვს ქეჩის ტვირთები,
ზოგს მოაქცს კიბის ტვირთები,
ქვემოდან კიბეებს მიდგამენ,
ციხე ზევით იწევა:
ზემოდან თოკებს მაწვდიან,
ძირს ქეჩებს მიგებენ.
ციხე ძირს იწევა.
საბრალო ყურშა რა ვქნათ?
თავისი ყურშა დაუკლავს,
მისი ხორცი ვერ შეუჭამია,
გადმომხტარა ციხიდან.
(შანიძე ... 1939: 285)

ბალადის დასასრული იმ აზრითაა საინტერესო, რომ მონადირე ბეთქენი მოახლოებულ ტრაგედიასა და გასაჭირზე თავად საუბრობს. ე.ი. მთქმელის როლში წარმოგვიდგება. მისი სიტყვები ერთგვარი პასუხიცაა იმ ადამიანებისადმი, რომლებიც მასზე მოთქვამენ, რომელთათვისაც იგი გამორჩეული ვაჟკაცია: „საცოდავი მაშინ ვიქებიო, როცა მუჟალელები ბატონებად მეყოლებიან“. ამ ორ სტრიქონში კარგადაა წარმოჩენილი თავისუფალი ადამიანის ბუნება, შინაგანი სიმტკიცე, მისწრაფებები, რომ მისთვის უმთავრესია პიროვნული თავისუფლება, მაგრამ მაინც ჩნდება კითხვა – რატომ იხსენიებიან მუჟალელები ამგვარად? ხომ არა გვაქვს საქმე მთქმელის ინდივიდუალურ ინიციატივასთან, რომ ასეთად წარმოჩნდნენ მუჟალელები? ვარიანტების მიხედვით ვიცის, რომ მულახ-მუჟალი ერთადაა შეკრებილი და ფერხულშია ჩაბმული, ასევე, ერთობლივადაა დაძრული ორივე სოფელი კლდეზე გადმოკიდებული ბეთქილის გადასარჩენად: კიბეებით, თოკებითა და ქეჩებით. დაგძენთ, რომ ჩვენს მიერ გამოვლენილ მეორე ვარიანტს, რომელსაც წამდლვარებული აქვს პროზაული ტექსტი, ბეთქილი თავდაა მუჟალელი, მკითხველიც სასწაულის მოწმე ხდება. ამ საბედისწერო ჟამსაც სიცოცხლის უკანასკნელ წუთებშიც მონადირე ბეთქენი თვითონ გველაპარაკება საკუთარ გასაჭირზე, გამოუვალ მდგომარეობაზე: „ქვემოდან კიბეებს მიდგამენ. ციხეზევით იწევა, ზემოდან თოკებს მანვდიან, ციხე ქვევით იწევა“. ცხადია ციხე-კოშკის ამგვარი მოძრაობა, რეაგირება ავზე და კარგზე, ახალი ელემენტია დალის ციკლის მასალებისათვის, თანაც, მნიშვნელოვნად ორიგინალურიც, შეიძლება ითქვას მოულოდნელიც... აქაც კითხვები ჩნდება, მათ შორის – პასუხებარუცემელი. კერძოდ, გასაჭირის ჟამს, იმედგადანურულმა ბეთქენმა ასე მიმართა თავის ერთგულ ძალლს, ყურშას: „საბრალო ყურშა, რა ვქნათ?“ „ყურშა დაუკლავს..“ რატომ მიიღო მონადირემ ასეთი მძიმე გადაწყვეტილება. რასაკვირველია, იგულისხმება, რომ ყურშა ციხეში დაკლა, შიგნით. ხომ არ შეიძლება ვიფიქროთ, რომ ბეთქენს ციხეშიც არ ედგომება, იმდენად მძიმეა სულიერად მისი მდგომარეობა. დავაკვირდეთ, ეს ხდება ციხეში გასაჭირის ჟამს ადამიანებისათვის საიმედო თავშესაფარში. მისი აზრი, ქვეტექსტი ისაა, რომ მონადირე ბეთქე-

ნი ამ ბოლო თავშესაფრმაც გაწირა ისე, როგორც ამას სხვა ვარიანტებში მოძრავი კლდე აკეთებს, რომ იგი უკვე მთელი გარემოსაგანაც განწირულია დასაღუპავად. ამიტომაცაა ამაო მულახ-მუჟალის ყოველგვარი ცდა გადაარჩინონ ბეთქილი. ასეთია სულიერ ძალთა ნება. როგორც ითქვა, ბალადის თითოეული ვარიანტი დამოუკიდებელი თავისთავადობაა. შეიძლება აქ მონადირე ბეთქილის თავგადასავალი არ იყოს სრულად გადმოცემული, მაგრამ მაინც რაღაც სიახელს გვთავაზობს. ამ აზრით არაა ინტერესს მოკლებული მესამე ვარიანტი. იგი მოთქმით იწყება:

ო საბრალო, მეთქი საცოდავო!
შესდგომია ლენტეხის ფერხულს,
შავ ეშმაკს გაურბებინა ლაჯებში.
ო საბრალო, მეთქი საცოდავო!
ლენტეხის ფერხული დამლილა.

(შანიძე ... 1939: 285)

რასაკვირველია, მოფერხულეთა შორის შავი ეშმაკის გამოჩენა და ლაჯებში გაძრომა უბედურების ნიშანია და ფერხულიც დაიშალა. მომხდარით გაოგნებული ადამიანები ბეთქილმა გაამხნევა. „ამას მეთქი გაეკიდება“ და მისდია მის კვალს:

შავი ეშმაკი შუნად ქცეულა,
თეთრ შუნს მისდევს მეთქი,
ასძღლია საჯიხვეთში,
უნებლიერ ასულა ლაკვრაშის წვერამდე,
თეთრი შუნი ისეთ ეშმაკად იქცა.
(შანიძე ... 1939: 285-287)

ამონარიდი იმ აზრითაა სპეციფიკური, რომ ბეთქის თეთრი შუნის ნაცვლად ლაჯებში შავი ეშმაკი გაუძვრა, რომელიც მაქციური ნიშან-თვისებებითაა წარმოდგენილი, გზაზე შუნად გარდაისახება, ლაკვრაშის წვერზე კი ისევ ეშმაკად გარდაიქმნა. მონადირე ბეთქი კლდის წვერზე შერჩა მარჯვენა ხელით და მარცხენა ფეხით. ბალადა ჩვეულებრივ გრძელდება. გადმოცემულია, რომ დილით, ცისკრის ვარსკვლავის ამოსვლისას, ბეთქიმ თვალი მოჰკრა მონადირეს. კარგი მგზავრობა უსურვა და ასე მიაძახა ლაკვრაშის კლდიდან:

მონადირევ, უამბე ჩემს სახლეულთ,
ბეთქენი ლაკვრაშიდან ვარდება!
(შანიძე ... 1939: 287)

ჩამოთვლილია, ვინ როგორ უნდა მოიხსენიონ და უკურთხონ
სული: მამამ, დედამ, ძმებმა, ცოლმა, საყვარლებმა და სხვებმა:

„ჩემმა ტოლებმა საკაცით წამიღონ, აღმართში კვნესით ამი-
ტანონ, ვაკეზე ზარი მითხრან. „ბეთქი ლაკვრაშიდან ვარდება...“
მართალია, მესამე ვარიანტი ნაკლულია, აკლია უმთავრესი მნიშვ-
ნელობის ეპიზოდები, მაგრამ სიახლეებსაც შეიცავს და ინტერესი-
თაც იკითხება...

ბალადის სხვა ვარიანტები დამოწმებული გვაქვს „ქართული
ხალხური პოეზიის“ პირველი ტომიდან (ტექსტების თარგმანი
ეკუთვნის დ. წერედიანს) (ჩიქოვანი ... 1972), ერთ-ერთი ჩანაწერის
მიხედვით:

შეკრებილია მულა-მუჟალი,
სამთის ფერხული გაუჩალებიათ,
თეთრი არჩევი შემოვარდნილა,
ბეთქენს გაუძვრა ლაჯვებში.
ნინ შუნა უკან ბეთქენი
ეჯიბრებიან ერთმანეთს გზებზე.
(ჩიქოვანი ... 1972: 218-219)

დამოწმებულ ტექსტში სიახლეა ის, რომ მოფერხულეთა შორის
თეთრი არჩევი შემოვარდნილა. საზოგადოების აზრით, მას მხოლოდ
ბეთქილი დაედევნება. იქვე ვკითხულობთ, რომ ბეთქენი თეთრ
შუნს მისდევს – ანუ ჯიხვს, თანაც, რაც განსაკუთრებით საინტერე-
სოა, ისინი ერთმანეთს ეჯიბრებიან გზებზე. ეს კი ერთადერთი შემთხ-
ვევაა ბალადის ვარიანტებში. მისი მნიშვნელობა განსაკუთრებუ-
ლია მხატვრული თვალსაზრისით. საქმე ისაა, რომ ამ ორ სტრიქონ-
ში მთემელმა, მხატვრული საშუალებების გარეშე, კარგად შეძლო
წარმოეჩინა ბეთქი, როგორც ძლიერი, მუხლმაგარი მონადირე,
გაბედული, რომელსაც თავისუფლად შეუძლია ლაკვრაშის კლდის
ძნელად გასავლელი ბოლოკების „არა მარტო დალახვა, არამედ ამ
ბილიკებზე შუნთან გაჯიბრებაც. ეს კი მხატვრული აზროვნების

მაღალი დონეა, რასაკვირველია, ლაკვრაშის კლდე ქალღმერთი დალის საუფლოა და იგი კიდეც გამოეცხადა მონადირე ბეთქის. სხვა ვარიანტებიდან ვიცით, რომ დალი მრისხანე სახით ეჩვენება და მუქარითაც მიმართავს: „ჩემი მონაცემი მძივი რა უყავიო?!.“ ამ ვარიანტში პირიქით, თეთრ შუნს დადევნებული ბეთქილი ჭიუხ-ვებში მოხვდება:

იქ დალი გამოჩენილა,
– ბეთქენ ჩემო, მშვიდობით მომიხვედ,
როგორ ყოფილხარ, რასა იქმ?
ჩემი მოცემული მძივი გქონდა?
მითხარი ერთი – რა უყავი?
– შენი მძივი დამრჩენია,
ჩემ სასთუმალში.
– როგორც ის შენ შეგინახაგს,
წასვლა-დაბრუნებასაც ისეთს გზამ!
ბეთქი კლდეს გადმოკიდებია,
მშველელი არავინ გამოსჩენია,
ქვემოდან მოდის მეფისა მონადირე.
– ნეფისა მონადირევ, აქეც მომხედე,
ქველად მე შენ დამიჭერიხარ,
ახლა (ის) ამბავი გულიდან ამოიღე.
დედაჩემს უთხარი: – რახის ღვინოს მიდგამდეს საკურთხად.
ცოლმა ბავშვები ობლად არ დამიტოვოს
და ტოლებმა არ დამივიწყონ.

(ჩიქოვანი ... 1972: 218)

ცხადია, ბეთქენი იღუპება და იქვეა თქმული, რომ დალს „თავისი შერცხვენისათვის სამაგიერო გადაუხდია“ ... ვარიანტში ნახსენებია რძალი თამარი, რომელმაც უწმინდური გამიშვა სანადიროდ. შინარსიდან არ ჩანს ეს. შესავლიდან ვიცით, რომ ბეთქილი მულახ-მუჟადის ფერხულშია ჩაბმული, მას არჩვი გაუსხლტა ლაჯებში და დაედევნა. მონადირისა და დალის დაილოგზე არ შევჩერდებით. მკითხველის ყურადღება ერთ საინტერესო ფაქტზე გვინდა შევა-ჩენოთ. კლდეზე გადმოკიდებულმა ბეთქიმ გამთენისას მონადირე მეფისას ჰკვიდა თვალი (დავძენთ, რომ ჭეშმარიტი მონადირე სწორედ გამთენისას უნდა იყოს სამონადირო მიდამოში) და შეეხ-

მიანა: „მეფის მონადირე, აქეთ მომხედე, ძველად მე შენ დამიჩერიხ-არ და ახლა ის ამბავი გულიდან ამოიღე“ და უბარებს თუ როგორ უკურთხონ სული. დავძენთ, რომ სვანური სამართლის მიხედვით, არამც თუ ჭრილობის მიყენება, ცემაც მიუტევებელია. დაზარალებულმა, როგორც წესი, შური უნდა იძიოს. თუ თვითონ ვერ შეძლო, მაშინ ოჯახის რომელიმე წევრმა უნდა გადაუხადოს სამაგიერო ან საძმოს წევრმა ან მედიატორთა ჩარევით უნდა მოხდეს შერიგება. ჩანს, რაღაც შემთხვევის გამო ბეთქენმა დაჭრა მონადირე მეფისა. კლდეზე გადმოკიდებულმა კი პირდაპირ მიმართა, რომ ეს ამბავი გულიდან ამოეღო. ტექსტში არ ჩანს მონადირე მეფისას პასუხი, მაგრამ იგრძნობა, რომ მან, როგორ კარგმა ყმამ, ჭეშმარიტმა მონადირემ, რაინდულად გაითავისა, უფრო ზუსტად, ამაღლდა ტრადიციული შურისძიების ადათზე და ყოველგვარი დაპირების გარეშე, უსიტყვოდ, დუმილით დათანხმდა ისე, როგორც ეს ღვთით ხელდებულ ვაჟეკაცს შეეფერება. ეს კი ქართული რაინდული სულის ლამაზი გამოვლინებაა. ამასთანავე, მეფისა მონადირის ქმედება ღრმა სულიერ დაკვირვებას საჭიროებს. პირველ რიგში იმის, რომ ნადირობა, სამონადირეო არეალი, კონკრეტულად – კლდოვანი, ანუ საჯიხვეთი და თავად ჭეშმარიტი მონადირე, სულიერ არსებათა მუდმივი საზრუნავი და სამეთვალყუროა. ამიტომ იწოდებიან ჯიხ-ვები ღვთიურებად. ისინი საკუთარ წიაღში ღვთიურ ნაწილს, სვანურად „ლედ“-სატარებენ. აქ მოსული მონადირე თავის თავშივე უნდა იყოს განნმენდილი იმ დონეზე, რომ ფიქრადაც არ შეეძლოს რაიმე უკეთური აზრის გაკარება, ვინაიდან თავად კლდოვანი არეალია კოსმიური სინმინდე. გრძნობად-ფიზიკური სამყაროსგან სრულიად განსხვავებული, ახალი სინამდვილე, სულიერი საუფლო, ღვთაებათა საბრძანისი. მონადირე მეფისას სასახელოდ უნდა ითქვას, რომ იგი ამაღლებული აღმოჩნდა ამ საუფლოსთვის შესაფერისი ქმედებისთვის. ბეთქილის სიტყვებისადმი თანადგომა მან სულიერებით გამსჭვალული დუმილით გამოხატა. ამდენად, იგი თავადაც ახალ ინდივიდუალობად მოგვევლინა, ჭეშმარიტად თავისუფალ, მომავლის ადამიანად.

მომდენო ვარიანტში ზოგადადაა მითითებული, რომ (გროვდებიან წმინდა იოანეს მოედანრზე – უაბშიანთ (ზემოური) ახალგაზრდები, აქაც თეთრი შუნის „შემოხტომაზეა საუბარი“. ამას ბეთქენი გაედევნება:

გაასწრო თავის ტოლებს,
 ნინ შუნი, უკან ბეთქენი,
 შეუძლვა ჭიუხებში.
 ნინ იყურება, ნახნავი მიუძღვის.
 უკან მოიხდა, გზები ეშლება.
 (ჩიქოვანი ... 1972: 222-223)

დამოწმებული ვარიანტი მრავალმხრივაა საინტერესო. თეთრ შუნს დადევნებულ ბეთქენს უკანა გზები ეშლება. „მაშინ კლდემ გაზრდა დაიწყო“. ამ ერთ სტრიქონში ძნელად გამოსაცნობ აზრია ჩადებული. საქმე ისაა, რომ ბეთქენს გაზრდილმა კლდემ გადაუკეტა უკან დასაბრუნებელი გზა და ისიც ამ კლდეზე აღმოჩნდა გადმოკიდებული. ეს კი განსაკუთრებული მნიშვნელობის სიახლეა. სწორად შენიშნავს მ. ჩიქოვანი: „ერთი თავისებურება იჩენს თავს: ბეთქენი ანდერძს თვითონვე გამოთქვამს შაირის სახით და დაამდერებს კიდეც. ამით ირკვევა, რომ შესრულებაში გმირის მონაწილეობის მოტივი, რაც გურული ფირალის ეპოსში იჩენს რელიეფურად თავს, საერთო ქართულ მოვლენას ნარმოადგენს მონადირული ეპოსის მონაცემებითაც“ (ჩიქოვანი ... 1972: 222-223).

შემდგომი ვარიანტი საკმარისად ვრცელია და ორიგინალურიც. აქ ბეთქენი აგროვებს ხალხს ფერხულისათვის:

შეგროვილან იანის მოედანზე.
 გადმომხტარა თეთრი შუნი,
 ლაჯებში გაუძვრა ბეთქენს.
 ბეთქენი გამოეყო ფერხულს.
 თოფი და იარალი აიღო,
 მწევრები უკან გაიყოლა,
 ნინ შუნი მიუძღვის,
 უკან ბეთქენი მისდევს.
 ნინ შარაგზა მიუდის (შუნს),
 ბეთქენს კი გზა უფუჭდება.
 შეიტყუილა ჭიუხებში,
 დატოვა კლდის ქიმზე.
 ბეთქენს თოფის სროლა დაუწყია,
 მისი თოფის ხმა
 ლეპა-ლახამულამდე ისმის.

მისი მწევრების წკმუტური
მულაპამდე ისმის.
მუჟალელებს გაუგიათ,
ზოგს კიბეები მოაქს,
ზოგს – თოკები,
ზოგს – ნაბდები,
ქვემოდან კიბეებს უდგამენ,
მაშინ კლდემ ზრდა იწყო.
ზემოდან თოკებს ყრიან,
კლდე ზემოდან ეფარება,
თოკებს ბეთქილი ვერ წვდება.
– ტყვილა ნუ ირჯებით,
ჩემი ცოდვა არ დაელიოს
თამარს, ჩემს რძალს,
უნმინდური გამიშვა სანადიროდ.
დაუარეთ სამთის ფერხული,
თამარი, ჩემი რძალი
თავში დაიყენეთ.
მისი ხელსახოცის ტრიალი
თვალს მომტაცებს
და გადმოვხტები კიდეც კლდიდან.
თამარმა ხელსახოცი დაატრიალა,
ბეთქილს თვალი ამან მოსტაცა.
გადმომხტარა კიდეც კლდიდან!
(ჩიქოვანი ... 1972: 224-225)

ამონარიდი ძალიან ვრცელია, მაგრამ იგი იმდენ საინტერესო,
ძნელად გამოსაცნობ გმოთქმებს, სიტყვებს და ტევადი შინაარ-
სის ცალკეულ პოეტურ სტრიქონებს შეიცავს, რომ მისი ამგვარი
სისრულით დამოწმება საჭიროდ ვცანით. დავაკვირდეთ თუნდაც
დასაწყისს: „ბეთქენი ხალხს ფერხულისთვის აგროვებს. არცერთ
ვარიანტში მსგავსი რამ არ დასტურდება, უმეტეს შემთხვევაში იგი
ფერხულის მონაწილეა. ერთ-ერთი ვარიანტით კი, როცა თეთრი
შუნი გამოჩნდება სოფელში, ბეთქენი შინ არის, კალოს ლენავს.
ჩანაწერთა უმეტეს ნაწილში შუნს დადევნებული ბეთქის წინ გზა
გაკვალულია, უკან კი იშლება, საანალიზო ვარიანტში კი წინ მიმა-

ვალი შუნი უფუჭებს გზას ბეთქის და მის მწევრებს. ბალადის უმ-თავრესი ნაწილით ბეთქი კლდეზეა გადმოვიდებული, აქ კი მწვერ-ვალზეა დასმული. მოტანილ ტექსტში თამარის, რძლის სახე უფრო სრულადაა წარმოჩენილი და სხვა. კლდის მწვერვალზე დარჩენილი მონადირე ბეთქენი და მწევრები განწირულები არიან. ესეც იცის ბეთქიმ, ამიტომ დასახმარებლად მოსულ მუჟალელებს ასე მიმარ-თავს: „ტყვილა ნუ ირჯებით, დაუარეთ სამთის ფერხული, თამარი, ჩემი რძალი, თავში დაიყენეთ, მისი ხელსახოცის ტრიალი თვალს მომტაცებს და გადმოვხტები კლდიდან – ასეც აღესრულა. განიხი-ლავენ ბოლო ვარიანტში, მართლაც, „შეკუმშული“ სახითაა გადმო-ცემული მონადირე ბეთქენის მთელი თავგადასავალი:

ბეთქენი საბრალო, ბეთქენი საცოდავი!
 დალის კლდიდან გადმოვარდნილა.
 ბეთქენს თურმე დალი ჰყვარებია,
 საბრალო ბეთქილი, საცოდავი ბეთქილი,
 ზემოთ კლდე ქანაობს,
 ქემოთ ნაპრალი ელოდება,
 – ჩემი ცოდვა ჩემს ცოლს ექნება,
 უნმინდური გამიშვა საჯიხვედ.
 ზემოდან კლდე ინგრევა,
 ქვემოთ მე მივებარე (გავინაბე),
 გადმოინგრა კლდე.
 იქიდან დალმა დაიძახა:
 – ეს მე ვქენი.
 (ჩიქოვანი ... 1972: 226)

როგორც ვხედავთ, საანალიზო ჩანაწერში ცვლილებაა: ბეთქე-ნი უკვე ცოლს სდებს ბრალს, რომ უნმინდური გაუშვა საჯიხვედ. პირდაპირაა მითითებული, რომ ბეთქენს დალი ჰყვარებია. აქაც კლდე მოქანავეა, ირყევა, ზემოდან ინგრევა და ბეთქენი იღუპება. დავძენთ, რომ სამეცნიერო ლიტერატურისათვის ბეთქილის შვიდი ვარიანტია ცნობილი. სვანური ენის ქრესტომათიაში, კიდევ ერთი, მერვე ვარიანტი აღმოჩნდა, მასში ბეთქენი მუჟალელია, კარგი მონადირე და ჰყვარებია დალი. დალს სვანები გარეთ მყოფად მოხ-სენიებენ. იგი არც ანგელოზებშია გარეული და არც ქაჯებში. ასე-

თია პროზაულად გადმოცემული შინაარსი და კომენტარები, რომელიც ბალადას უძღვის წინ, რაც იმ აზრითაა საინტერესო, რომ მასში პირდაპირაა ნათქვაში: ბეთქილმა დალს უღალატა, სხვა ქალი შეირთო ცოლად. ამიტომ ნადირობას თავი დაანება, მაგრამ დალმა მაინც დაღუპა. აქ გადმოცემულია თუ როგორ დასტირის ბეთქილი თავის თავს. მთქმელის შენიშვნით, ბალადას ჭიანურზე მღერიან სვანები, ფერხულის დროსაც. საინტერესო ისაა, რომ თვითონ ბალადაში ბეთქილის მიერ სხვა ქალის ცოლად შერთვაზე არაფერია თქმული, მხოლოდ ქალლმერთი დალის მიერ ბოძებულ მძივზეა საუბარი, რა უყავიო. ეს ვარიანტი ჩვენ საგანგებოდ შევისწავლეთ (ონიანი 2011: 77-82).

ტექსტოლოგიურმა კვლევამ საქმარისი სისრულითა და მრავალფეროვნებით წარმოაჩინა მონადირე ბეთქილის ბუნება, რომ იგი ერთ-ერთი ურთულესი მითოლოგიური გმირია, მრავალმხრივ საინტერესო, ძნელად ამოსაცნობი. ცალკეული ვარიანტების მიხედვით გაირკვა, რომ იგი მთელი სამონადირეო გარემოსაგანაც შერისხული და განწირულია. კლდესთან ერთად საინტერესოა მოძრავი ციხე-კოშკი, რომელიც ტექსტის მიხედვით ჭიუხებშია. ცალკეული ჩანაწერებიდან ვიცით, რომ თეთრ შუნს დადევნებულ ბეთქენს, მოულოდნელად უკან წამოზრდილმა კლდემ გადაუკეტა შინ დასაბრუნებელი გზა. ერთ-ერთი ვარიანტით, წინ მიმავალი თეთრი შუნი უფუჭებს ბეთქენს გზას. რასაკვირველია, კლდისა და კოშკების ამგვარი რეაგირება ავსა და კარგზე არ არის შემთხვევეოთი. იგი სრულ თანახმიერებაშია სულიერ ძალებთან. სამონადირეო გარემო ამ ძალთა სურვილებისა და გადაწყვეტილებების აღმსურელებულია, კონკრეტულად კი – ქალლმერთი დალისა. საანალიზო ტექსტში პირდაპირაა თქმული, რომ კლდე მოქანავეა. სხვა ჩანაწერებით, ასეთივეა კოშკიც. უნდა დავძინოთ, რომ თითოეული დამოუკიდებელი თავისთავადობაა. კლდე წმინდათა-წმინდა საუფლოა, ღვთაებათა საბრძანისი. ამ საუფლოს ბინადარი ჯიხვებიც ღვთაებრივად იწოდებიან. მათზე სანადიროდ წასვლას წინ უნდა უძღვიდეს მთელი რიგი აკრძალვების დაცვა მონადირის მხრიდან, მცირე საეჭვო ქმედებაც ტრაგიკულად შეიძლება დასრულდეს. გამონაკლისი არ არსებობს. მხოლოდ ყოველნაირად განწმენდილ მონადირეს ხელენიფება ჯიხვთა საბინადრო ადგილებში ფეხის დადგმა, ვინაიდან თავად კლდეა სულიერი არსება. კლდეს აქვს შუა გული, იდუმალე-

ბით მოცული. მთქმელი ელენე ჭელიძის გადმოცემით, ჭუთხაროს კლდის შუაგულში (ჭუთხარო კლდეა რაჭასა და სვანეთს, კერძოდ, ლაშეთის თემის საზღვარზე აღმარტული), ბალხეთის თვადუ-წვდენელი მინდორია გამლილი, შიგ წელამდე ბალახია. იქ ზამთარი არ იცის, მარადიული ზაფხულია. აქ ჯიხების ჯოვი ბინადრობს. „ერთ ბედნიერ მონადირეს გაეხსნა ბალხეთის კარი, შეიხება თუ არა, ჯიხვთა ჯოვი სტვენით გადმოეშვა კარებისკენ, უნდოდათ, რომ კლდეზე გადაევდოთ მონადირე, მაგრამ კარი სხრაფად დაიკეტა. ე.ი. მონადირეს წამიერად გაეხსნა სამოთხის კარი და იხილა მარა-დიული ზაფხული. გადმოცემა იმის უტყუარი დასტურია, რომ კლდე საიდუმლო ძალებისგანაა მართული, მის სიწმინდეებში უწმინდუ-რობამ ვერ უნდა იპოვოს ადგილი. დავძენთ, რომ იმავე მთქმელის რწმენით ჭუთხაროს კლდის შუაგული, ბალხეთი, ამირანის აღზ-რდისა და დავაუკაცების მინდორია, მისი საკუთრება – სანავარდო“ (მთქმელი ელენე კვირიას ასული ჭელიძე, მცხ. ლენტეხის რაიონის სოფელ სასაში, 85 ჰლის, ჩამნერი ო. ონიანი, 1975 წ.). კლდის სიწ-მინდესა და იდუმალებაზე ცალკე ნაშრომში გვექნება საუბარი, მათ შორის გამოქვაბულთა სპეციფიკურობებზე, ფუნქციურ თავისე-ბურებზე და სხვა.

ამჯერად კი სვანური და ფშავ-ხევსურული სამონადირეო ბა-ლადების ურთიერთმიმართებისა და სპეციფიკურობების წარმო-ჩენის და საერთო საფუძვლების თვალსაზრისით საინტერესოდ მიგვაჩნია დ. გოგოჭურის მოსაზრება: „ბალადების უმეტესობა უძველესი ტოტემურ-წარმართული რწმენების მატარებელია და მონადირის ფათერაკებს ასახავს. ასეთ ბალადებს ცხადია თავ-თა-ვისი სიუჟეტი გააჩნია და კონკრეტულ ამბებთან არის დაკავშირე-ბული მოქმედების დასაწყისი და დასასრულიც. ფათერაკებიც სხვა-დასხვანაირი სახით ვლინდება. ერთ შემთხვევაში, რომ მონადირე მოცურდება და კლდეზე თავდაყირად დაეკიდება თასმით, მეორე შემთხვევაში მას თვითონ დალები მიაბამენ მიუვალ კლდეზე; ანდა ცოდვების გამო ჭიუხებიდან ჩამოსვლა შეუძლებელი ხდება და მონადირე ამ შემთხვევაშიც იღუპება“. ამასთანავე შენიშნავს მკვ-ლევარი: „ბალადებში ასახული მონადირის ფათერაკი ყოველთვის სამონადირეო წესების დარღვევით არის გამოწვეული. მიუხედავად იმისა, რომ საქმე გვაქვს სრულიად სხვადასხვა ამბავთან, უდავოდ შეინიშნება საერთო მოტივები. მაგალითად, მონადირემ დაარღვია

წესი და დალის საყვარელ ნადირზე ინადირა ან დახოცა ნუკრები, ან ნადირთპატრონის ნაკრძალში შეჰყვა ჯიხვებს და მოკლა წესით გათვალისწინებულზე გაცილებით მეტი ნადირი, ანდა სულაც დალით საიდუმლო გასცა და ამის გამო დაიმსახურა ნადირთა მეუფის რი სხვა“.

განურჩევლად იმისა, ბალადა რომელ კუთხეშია შექმნილი, ჩანს, რომ ნადირობასთან დაკავშირებულში რწმენები და წეს-ჩვეულებები საქართველოს ყველა კუთხეში ერთნაირია (გოგოჭური 1990: 105-106). მკვლევრის სამართლიანი შენიშვნით: „ბალადის ის-ტორიულობაზე მიუთითებს ის ფაქტიც, რომ ისინი რელიგიური რიტუალის დროს სიმღერით სრულდებოდა“. ყურადებას იქცეს ძველი სამონადირეო ნანარმოებთა ის ჯგუფი, რომელთაც პირობითაც შეიძლება სამონადირო, სამღლოვიარო ვუწოდოთ, სადაც მონადირის ამტანობასა და მამაცობაზეა საუბარი. მათი როგორც გალექსილი, ასევე პროზაული გადმოცემები მოგვეპოვება. აქ მნიშვნელოვნად საინტერესო ფაქტზეა ყურადღება შეჩერებული: „თვითონ მთქმელები პროზაულსა და გალექსილ ნანილს ერთ სიუჟეტში აქცევენ და მონაცვლეობით ისე გადმოსცემენ, რომ დასრულებული ნანარმოების შინაარსს ვდებულობთ“ (ჭინჭარაული 1961: 343).

ჩვენთვის საინტერესო აღმოჩნდა, კონკრეტულ კლდესთან და-კავშირებული მონადირე სინდაურიძეების ციკლის პროზაული გადმოცემა. მასში კარგადა წარმოჩენილი კლდის ფუნქციათა მრავალფეროვნება: „როშკის მახლობლად ჭიუხვებში გამოირჩევა ვეებერთელა სვეტივით აღმართული შვეული კლდე, რომელსაც ადგილობრივი მცხოვრები „სინდაურების“ მაღალს უნდებენ. თქმულების მიხედვით ამ კლდეებში აუარებელი ჯიხვი ყოფილა. მონადირე სინდაურიძეს მოუხერხებია იქ ასვლა, მას არ გაუაზრებია განმტკიცებული რწმენა, რომ ეს სიმაღლე ჯიხვებს ღვთის შვილთაგან ჰქონდათ თაეშესაფრად ნაბოძები. იქ, მართლაც, ჯიხვების მთელი ხორო დახვედრია სინდაურიძეს. მეთორმეტე ჯიხვი რომ მოკლავს, ჭიუხები დაძრულა, რის გამოც კლდიდან ჩამოსვლა შეუძლებელი გამხდარა. ნადირობით გატაცებულ მონადირეს ჯიხვებისთვის მუსრი გაუვლია. თექვსმეტი მოკლავს და როდესაც კლდიდან ჩამოსვლა დაუპირებია, დარწმუნებულა, რომ შეცოდებისათვის ნადირთმფარველს სასტიკად დაუსვეია, მისთვის ჩამოსასვ-

ლელი საფეხურები მოუსპია, სინდაურიძე დაღუპულა“ (გოგოჭური 1990: 106-107).

დამოწმებული თქმულება მრავალმხრივაა საინტერესო. სინდაურიძემ ლვთიურ ნაკრძალში ასვლა შეძლო და იქ მიუტევებელი თვითხებობა გამოიჩინა. რაც ყველაზე უფრო დამაფიქრებელია, ხალხში განმტკიცებული რწმენაც არ გაუზიარებია, რომ იგი წმინდათანმინდა ადგილია, ლვთიურ ჯიხვთა საბინადრო. მოულოდნელია, რომ თორმეტი ჯიხვის მოკვლასაც არ დასჯერდა და თექვსმეტი ჯიხვი მოკლა, ხოლო კლდის დაძრა მეთორმეტე ჯიხვის მოკლის შემდეგ მოხდა. კლდიდან ჩამოსასვლელი საფეხურები სინდაურიძეს ნადირთმფარველმა მოუსპო. აქ ბალადა ბეთქილთან, ჩაორლასთან მსგავსი და გენეზისური საფუძლები აშკარაა. მკვლევარი დ. გოგოჭური შენიშნავს, რომ „იქნებ სწორედ ამ ჩადენილი ცოდვის მონანიება უნდა დავინახოთ ბალადის ბოლო სტრიქონებში, სადაც სინდაურიძე მხოლოდ ერთი, თექვსმეტიდან ამორჩეული ჯიხვის წამოდებას აპირებს და არა თექვსმეტივე ჯიხვისა“.

კაცს იკვლევს სინდაურისძე
ნახოცის ჩამამთვლელსაო,
თექვსმეტ ჯიხვშიით ნარჩევსა
კლდეზევით ჩამომწვდელსაო.

ინატრის სინდაურაი,
ნახოცის ჩამამთვლელსაო,
თექვსმეტშიგითა ამრჩევსა,
კლდის თავზე ჩამამწვდელსაო.
(გოგოჭური 1990: 107-108)

მონადირე სინდაურიძისა და ბეთქილის სხვა მსგავსებაზე საუბრისაგან თავს ვიკავებთ, მხოლოდ დავძენთ, რომ კლდეზე გადმოკიდებული ბეთქილის გოდებაში, რომელიც ერთგვარ აღსარებად ჟღერს, მთლიანად იხსნება მისი შინაგანი ბუნება, რომ მასში მხოლოდ გრძნობიერებაზე დამყარებული ქმედებაა წამყვანი. ამგვარი თვისება კი, ყველაზე დიდი დაბრკოლებაა სულიერი ამაღლების გზაზე. თქმულიდან გამომდინარე, ალბათ, გაჭირდება სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმული მოსაზრების გაზიარება, რომ „დალი

და ბეთქილი არის ღვთიური წყვილი, დაკავშირებული ბუნების განახლების, გაზაფხულის დღესასწაულთან, მსგავსად შუმერულ-ბაბილონური იშტარისა და თამზებისა, ფრიგიის კიბულასი და ატი-სისა, ბერძნული აფროდიტესა და ადონისისა, არტემიდესა და აქ-ტიონისა, ფინიკიელთა აშტარტასა და ეშმუნისა, კართაგენის ტანი-ტისა და მელკარტესა” (ვირსალაძე 1964: 91). მკვლევარი თავის მო-საზრებას იმით ამართლებს, რომ მონადირის ტრაგიკული სიკვდი-ლი, ნადირთ პატრონის დაჯილდოება, შემდეგ კლდეზე მომწყვდევა, ბოლოს კი შერისძიება, სხვა სიმღერებშიც დასტურდება. „ამას მოწ-მობს ბეთქილის დატირების შესრულება ფერხულში, გაზაფხულისა და ნაყოფიერების დღესასწაულზე, იმ ცილკში, სადაც სრულდებო-და მელია, ტულეფია, ცნობილი რიტუალი შედიოდა, ე. წ. „ჭიშხაში“, ფერხულში, რომელიც ბეთქილის სახელს უკავშირდებოდა“. ამის შემდეგ საუბარია იმაზე, რომ „სამთა-ჭოშხახი, ანუ წმინდა ფერხუ-ლი უძველესი სამონადირეო რიტუალის ნაშთი უნდა იყოს“. დამოწ-მებულია ვასილევიჩის ნაშრომით, სადაც აღწერილია ტუნგუსების სამონადირეო წეს-ჩვეულება, რომ ყოველწლიურად გაზაფხულზე კეთდებოდა ადამიანის მსგავსი ფიტულა, რომელიც განასახიერებ-და ნადირთპატრონს. ნადირობის სეზონის დაწყების წინ გამართულ დღესასწაულზე ამ ფიტულის ლაჯებში გაივლის ყველა მონადირე და იარაღს გაატარებს. ეს არის მონადირის და მისი იარაღის გან-წმენდის რიტუალი. „სამთა-ჭიშხაშიც ასეთი რიტუალის ნამთს წარმოადგენს და იგი შემორჩენილია ბეთქილის სიმღერაში, ხოლო ბეთქილი, ქართული წარმართული პანთეონის გმირია“ (ვირსალა-ძე 1964: 75). ... როგორც უხედავთ ტუნგუსების წეს-ჩვეულებების მიხედვით მონადირეები იწმინდებიან. ხოლო ბეთქილის სიმღერაში კი პირიქითაა, თვით ბეთქილს გაუხტება ლაჯებს შუა თეთრი შუნი, რომელიც მისი ბედისწერაა. ამას გრძნობს ბეთქილი, მან იცის, რომ მიუტევებული შეცდომები აქვს ჩადენილი, როგორც დალთან, ასევე ადამიანებთან ურთიერთობაშიც. იგი არ იცავს სამონად-ირო წმინდათანმინდა წესებს, ასე რომ განწმენდაზე საუბარი არაა გამართლებული. ამიტომა, რომ ბეთქილი იღუპება. ამდენად, ტუნ-გუსების სამონადირო ზნე-ჩვეულებებთან ანალოგიებისა და პარა-ლელების ძიება ისევ გადასახედია. დავძენთ, რომ ზემოთ ჩამოთ-ვლილი ღვთაებრივი წყვილებიდან ქალღვთაებები ძალზე პოპუ-ლარულები არიან დასახელებულ ქვეყნებსა და მის ფარგლებს გარეთაც,

რასაც ვერ ვიტყვით ქალღმერთ დალიზე. დალის ციკლის მასალები მხოლოდ სვანეთშია შემონახული და გავრცელებული. ბოლო პერიოდის კვლევაშ დაადასტურა, რომ დალი ამირანის დასავლეთ საქართველოს ბარის კუთხეთა ვარიანტებში (იმერეთი, გურია, აჭარა, აფხაზეთი) ამირანის დედაა, ხოლო აღმოსავლეთ საქართველოს მთის კუთხეთა ფოლკლორულსა და ეთნოგრაფიულ მასალაში დალის კულტი ადრე ძლიერი ყოფილა, ამჯერად კი არ ჩანს. იმასაც დავძენთ, რომ დალი მხოლოდ ნადირთა პატრონია და როგორც ქალღმერთს შეუძლია კონკრეტულ მონადირეს და მისი ოჯახის წევრებსაც გაუწიოს დახმარება. თუ მონადირის მხრიდან დალის ყველა პირობა დაცულია, მასზე დაშვებული მადლი მეტკვიდრეობითაც გადადის, ცალკეული გადმოცემების მიხედვით, სიმდიდრეს არ უჩანს თავი და ბოლო, ოჯახი მრავლდება და სხვა. დალს შეუძლია მიკრო ობიექტზე ამინდის შეცვლა – ქარიშხლის გამოწვევა, მეწყერისაც, ეს ჩანს ბეთქილის ვარიანტებიდან, მაგრამ იგი ამინდის გამგებლად ვერ ჩაი თვლება. ეს საკითხი ჩვენ ვრცლად გვაქვს დამუშავებული მონოგრაფიაში „კულტურული გმირის პრობლემა ქართულ ფოლკლორში“, დასახელებული ნიშან-თვისებები არ იძლევა იმის საფუძველს, რომ დალი და ბეთქილი ღვთიურ წყვილად აღვიქვათ. ბეთქილი გამითიურებული ტაგიკული გმირია (ონიანი 2009: 282-285). დავამატებთ, რომ დალი დამოკუიდებელი თავისთავადობაა. დასახელებულ ნაშრომში ვრცლადაა საუბარი ამ საკითხზე, ოღონდ პრობლემის კიდევ უფრო გარკვევისა და სიზუსტისათვის უნდა გავიხსენოთ ჩვენ მიერ შესწავლილი ბეთქილის ბოლო – მერვე ვარიანტზე ცალკეული ახსნა-განმარტება. „ბეთქილს ერთი გასათხოვარი ქალიშვილი შეჰყვარებია და ცოლად მოუყვანია, მას შემდეგ ფრთხილად იყო, იცოდა, რომ დალი შურს იძიებდა, ამიტომ ნადირობას თავი დაანება, მაგრამ ქალღმერთის რისხვა გარდაუვალია. დალის ციკლის მასალიდან კარგადაა ცნობილი, რომ მონადირეს სხვა ქალთან შეიძლება უნებლიერ შეცდეს და ნადირობას თავს ანებებს. ე.ი. საკუთარ თავს თვითონ სჯის. დალიც მის მიმართ შედარებით შემწყალეა, დაღუპვით არ ღუპავს, მხოლოდ ავადმყოფობას მოუვლენს, კანკალი დაემართება. ბეთქილის ქმედება კი აშკარად მიუტევებელია, მან იცოდა, რომ ქალღმერთი დალი ღალატს არ აპატიებდა, მაინც შეირთო სხვა ქალი ცოლად. ალბათ, ფიქრობდა, რომ თუ ნადირობაზე ხელს აიღებდა, გადარჩებოდა, მაგრამ გულთ-

მისანმა დალმა ზედმიზევნით კარგად იცის მონადირის სუსტი თვისებები. მან მოხერხებული, მოულოდნელი, მონადიისთვის მაც-თუნებელი სიტყუაცია შეარჩია შურის საძიებლად. დღესასწაულზე ფერხულში ჩაბმულ ბეთქილს თეთრ შუნად გარდასახული გაუძ-ვრება ლაჯებში. რასაკვირველია, დალმა იცოდა, უფრო ზუსტად, ზედმიზევნით კარგად განჭვრიტა, რომ თეთრ შუნს ბეთქილის გარ-და ვერავინ დაედევნებოდა. ასე შეიტყუა ჭიუხებში, აქ კი კლდეზე გადმოკიდებული ბეთქილი დაიღუპა (ონიანი 2011: 77-82). ასე რომ მერვე ვარიანტიც ერთ-ერთი საინტერესოთაგანია, მასში მთელი სისრულითაა წარმოჩენილი ბეთქილის მერყევი, გაორებული ბუნე-ბა, სუსტი ნებელობა და სხვა. ვფიქრობთ, რომ ბეთქილის წინააღ-მდეგობრივი ბუნების გარკვევასა და ამოცნობაში მნიშვნელოვნად დაგვეხმარება ცალკეული ამონარიდები შილერის წერილებიდან ესთეტიკის საკითხებზე. „შილერის სურვილი იყო გადებულიყო ხიდი ყოველდღიურ ადამიანსა და იდეალურ ადამიანს შორის. ორი მისწრაფებაა ადამიანის ბუნებაში, რომლებიც ცალმხრივი განვი-თარების შემთხვევაში აფერხებს მისი იდეალური სრულყოფილების განხორცივლებას. ესენია – გრძნობადი და გონისეული მისწრაფე-ბანი. თუ გრძნობადი მისწრაფებები იმარჯვებს, ადამიანი ინსტინ-ქტებსა და ვნებებს ემორჩილება. საქმიანობაში, რომლებიც მისი ცნობიერებით არის გაშუქებული, ამ ცნობიერების დამბინდველი ძალა ერევა. ადამიანის მოქმედება შინაგანი იძულების შედეგი ხდე-ბა, ხოლო თუ გონისმიერი მისწრაფებები იმარჯვებს, მაშინ ადამი-ანი ცდილობს ჩაიხშოს ინსტიქტები, ვნებები და დაექვემდებაროს აბსტრაქტულ, შინაგანი სითბოსაგან დაცლილ აუცილებლობას. ორივე შემთხვევაში ადამიანზე ბატონობს იძულება. პირველ შემ-თხვევაში მისი გრძნობა, ბუნება იმორჩილებს სულიერს, მეორეში – სულიერი გრძნობადს. არც ერთი, არც მეორე არ აძლევს ადამი-ანს თავისუფლებას. თავისუფლების განხორციელება შესაძლებე-ლია ორივე მისწრაფების ჰარმონიულობის გზით. გრძნობადი კი არ უნდა ჩაიხშოს, არამედ – გაკეთიშობილდეს. ინსტინქტები და ვნებები სულიერებით უნდა განიმსჭვალოს, გარდაიქმნას მათში შესული სულიერების განმახორციელებლად. ადამიანი, რომელიც გრძნობადში გამოავლენდა გონების სულიერებას, გონიერებაში კი ვნებათა ელემენტარულ ძალას, იქნებოდა თავისუფალი პიროვნე-ბა... ძალუძს თუ არა ადამიანის სამშვინველს ოდენ გრძნობათა

ტყვეობიდან გათავისუფლება და წმინდა სულიერი ხედვით გრძნობადი სამყაროს წვდომა, ამგვარი შემოქმედებითი აქტივობისაკენ მისწრაფებას ხომ ბუნებრივი ადამიანური მისწრაფება უნდა წარმოადგენდეს, დამყარებულს იმ ფარულ კავშირებზე, რომლებსაც ვერ ხედავს ოდენ გრძნობის ორგანოებზე დამყარებული გონება? ძალიან საინტერესოა აზრთა მეორე წრე, რომელიც ეხება ადამიანის ზნეობრივ ცხოვრებას, რომლისთვისაც მამოძრავებელ ძალას წარმოადგენს იმპულსები, რომელიც მას გრძნობადობაზე აამაღლებს. ამ სფეროში ხომ გრძნობად ძალთა სამყარო იჭრება ადამიანის მშვინვიერ ცხოვრებაში“. ამის შემდეგ კი მონიდებულია ძალზე საინტერესო მოსაზრება, რომ აზრთა ამ ორი წრიდან გამოდის სხივები, რომელთაც დაბოლოება ზეგრძნობადში უნდა ჰპოვონ. მათგან მომდინარეობს კითხვები ადამიანის შინაგანი არსის შესახებ, ადამიანის სამშვინველის ორმხრივი კავშირის შესახებ: ერთი მხრივ – გრძნობადი, მეორე მხრივ – ზეგრძნობად სამყაროსთან. თავის ესთეტიკურ წერილებში შილერი ფილოსოფიური თვალსაზრისით მიუდგა ამ კითხვას: „ზეგრძნობადი სფერო ისეთივე სიცოცხლით სავსეა, როგორც გრძნობადი“; „ადამიანის სამშვინველი მიმართულია ორი სამყაროსკენ, რომელთა შორისაც დგას ადამიანი თავისი ცხოვრების მანძილზე. ეს არის გრძნობადი და ზეგრძნობადი სამყაროები“.

იმ ადამიანში, რომელიც თავისუფალ პიროვნებად ჩამოყალიბების გზაზე დგას, სამი ძალა შერეულად მოქმედებს: ნება (სპილენძი), გრძნობა (ვერცხლი), შემეცნება (ოქრო)... სამშვინველმა უნდა აითვისოს სამივე: ძალა, რომლითაც მოქმედებს სიქველე, ცხადდება ნებაში; სილამაზე (მშვენიერება, ბრწყინვალება) ცხადდება გრძნობაში; სიბრძნე ცხადდება შემეცნებაში. ადამიანს თავისუფალი პიროვნებისგან თიშავს ის, რომ ეს სამი ძალა მის სამშვინველში შერეულად მოქმედებს. იგი იმდენად მიაღწევს თავისუფალ პიროვნებას, რამდენადაც სრულად ცნობიერად მიიღებს ამ სამნიჭს თვითმყოფადად, თვითოულს თავისთავად და შემდგომ თავისუფალი, ცნობიერი ქმედებით თვითონ გააერთიანებს მათ საკუთარ სამშვინველოში“ (შტაინერი 1999). მწვანე გველისა და მშვენიერი შროშანის ზღაპრის მონიდებული თვალსაზრისები თანაბრად საინტერესოა და საჭირო ყველა პერიოდის და საფეხურისთვის უძველე-

სი დროიდან დღემდე, განსაკუთრებით კი საანალიზოდ წარმოდგენილი მასალის სწორად გააზრებისათვის.

ცხადია, ბეთქილის, როგორც შუნაგანად გაუწონასწორებელი მონადირის ბუნების ამოცნობისათვის, გრძნობა-გონებას შორის გადებულ ხიდსა და ჰარმონიულობაზე საუბარი გაჭირდებოდა, პირიქით, იგი ცალმხრივად განვითარებული ინდივიდუალობაა, გრძნობებს დატანებული, დაბალი ზნეობის. სწორედ ამ ნაწილში იკვეთება ქართული სულის სპეციფიკურობა, ფაქიზი, მორალური დამოკიდებულება ყოველგვარი ეროვნული ლირებულებებისადმი, ზოგადად ადამიანურობის და ოჯახური ტრადიციებისადმი, რომელიც ყოველთვის იყო ჭეშმარიტი ქართვლობის საფუძველთა-საფუძველი, სიმტკიცე და ძლიერება, ერის გადამრჩენი, „მშვენება და სიამაყე“, ღვთით დაშვებული მადლი და მასაზრდოებელი წყარო. მისდამი ერთგულება კი ერის ერთგულებაა, რამეთუ ძლიერი ოჯახი, ძლიერი საქართველოა, სწორედ ამგვარი რწმენები, პრინციპები და სიწმინდეებია მართიანებელი ხიდი გრძნობებსა და ზეგრძნობად საუფლოებს შორის. ამიტომაცაა, რომ ქართველი ხალხის კულტურის ისტორიაში მორალურ ლირებულებებს წამყვანი ადგილი ეკავა. პიროვნების ლირსებასაც მისი მორალი განსაზღვრავდა. ამ აზრით, თუ ღრმად დავაკვირდებით ბეთქილის ვარიანტებს, ტრადიციული თვალსაზრისები ისევ გადასახედია. საქმე ისაა, რომ ნამდვილი, ჭეშმარიტი მონადირე სულ სხვაგვარი მოვლინებაა ადამიანთა საცხოვრისში, ყოველნაირად გამორჩეული, ზნეობრივი, ღვთით ხელდებული. სწორედ ასეთი მონადირე შეიძლება იყოს დალის რჩეული და ბოლომდე მისი ერთგული. სამეცნიერო ლიტერატურაში არაა კარგად გააზრებული დალისა და მონადირის ურთიერთობა, თითქოს იგი ყოველთვის ტრაგედიით მთავრდებოდეს. სანურ ფოლკლორში აღმოჩნდა ახალი გადმოცემები, მათში მონადირეები უშუალოდ ქალმერთი დალის აღზრდილები არიან, ოლონდ დალი მათთან არაა ინტიმურ ურთიერთობაში და თუ არის, ასეთი ტექსტები საკმარისადაა, როგორც პროზაული, ასევე პოეტური. აქ მკაცრადაა განსაზღვრული დალის პირობები. დალატის შემთხვევეში მონადირის დალუპვა გარდაუვალია. ნაწილი მოხადირეებისა იცავს ამ პირობებს, ნაწილი – ვერა. ბეთქილის შემთხვევაში საბედისწერო ვითარებასთან გვაქვს საქმე. მას არ შეუბლია საკუთარ ქმედებათა გონივრული კონტროლი. იგი ისე ძლიერად და ღრმადაა მიჯაჭვული ფიზიკური სამყაროს ძალებთან და ისეა მართული ამ ძალების მიერ,

რომ მისი ქმედება მხოლოდ წარმავალის პოზიციებიდან შეიძლება შეფასდეს. ბეთქილის შინაგანი ბუნება, სწრაფვა მთლიანად გრძნობადისაკენ მიმავალი აზრებითაა ნასაზრდოები. მისი ინტერესები უფრო მეტად სხეულებრივი არსებისაკენაა მიპყრობილი. გადაჭრით შეიძლება ითქვას, რომ იგი თავისი ბუნებით წუთიერს ჩაჭიდებული და მარადიულ ღირებულებებს განრიცებულად დარჩა. მასში ამქვეყნიური, წმინდა მატერიალისტური ინტერესები მძლავრობს. ბეთქილი თავისი არსებით გრძნობად-ფიზიკურ სამყაროს პროცესებში მთლიანად მაცდუნებული ძალების მსხვერპლი აღმოჩდება. მისი ტრაგედიის მიზეზიც ეს არის. მონადირე ბეთქილის ბუნებაში რაიმე სულიერ სიმწინდებზე საუბარი აღარ შეიძლება. ამ ნაწილში, მორალის სფეროში, იმდენად ცოდვიანია და აუტანელი, რომ მის წინააღმდეგ მთელი სამონადირეო გარემო, კლდოვან-ყინულოვანი არეალია ამხედრებული, ასევე – ციხე-კოშკები, ადამიანების ყველაზე საიმედო თავშესაფარი. ამაზე უკვე ვისაუბრეთ, მხოლოდ გავისხენოთ, რომ ბეთქილი ქალღმერთ დალისთან ურთიერთობაში ზნეობრივად დაცემულ პიროვნებად წარმოგვიდგა. მისი ტრაგედიაც მისივე უზნეობის პასუხია.

ქართული სამონადირეო ლქსები კლასიკური ფორმითა და შინაარსით შემონახულია აღმოსავლეთ საქართველოს მთაში, კონკრეტულად ფშავსა და ხევსურეთში. პრობლემა საგანგებოდ შეისწავლა ცნობილმა ქართველმა ფოლკლორისტმა დავით გოგ-ჭურმა (გოგოჭური 1990: 95-120). მკლვევარი ემყარება იმ აზრს, რომ ჭეშმარიტი მონადირე კაი ყმის ყველა ნიშან-თვისების მატარებელია, რომ ნადირობა სტუმარ-მასპინძლობასა და გმირობასთან ერთად ვაჟკაცის მესამე ღირსებად იყო აღიარებული (გოგოჭური 1990: 96).

ნეტავ თქვენ ქურაზიშვილნო,
სამი მზე მოვა თქვენზედა:
ერთ მოვას პურადობისა,
შუქ დაგიდგებისთ სკამზედა,
მეორე მამაცობისა,
მტერ ვერ შაგიდგათ ძალზედა,
მესამე თოფოსნობისა,
ჯიხვნ ვერ გაგივლენ მთაზედა
(შანიძე 1931: 108)

დამოწმებული ტექსტი ურთულესი შინაარსისაა. მასში პიეტუ-
რადაა წარმოჩენილი სამი მზის ფიზიკურ საუფლოში მოვლინების
ძნელად გასახსნელი საიდუმლოება. ტექსტის თითოეული სტრიქო-
ნი დამოუკიდებელ დაკვირვებას საჭიროებს. ჩანს, რომ ქურაზიშ-
ვილების მოდგმაზე ღვთიური მადლია გარდმოსული. რასაკვირვე-
ლია, მთქმელი დუმს, არ აკონკრეტებს, არ შიფრავს და სწორედ
ესაა საინტერესო, რატომ, რა დამსახურება მიუძღვით ადამიანთა
წინაშე, რომ მაინცდამაინც მათზეა გადმოსული სამი მზე. ვინ არი-
ან ისინი? ჩანს, რომ ღვთიურ საუფლოებიდან მადლი დაშვებულია
ღვთით ხელდებულ ადამიანებზე. ასეთი ინდივიდების ქმედება იმ-
დენად აღმატებულია და ისე შეესატყვისება კოსმიურ არსებათა ნე-
ბას, რომ იგი მეტყვიდრეობით გადადის შთამომავლობაზე, გვარზე.
აქ ასეთებად არიან წარმოჩენილი ქურაზიშვილები, მათზეა გად-
მოსული სამი მზის ძალმოსილება და არიან ღვთიური ძალით ცხე-
ბულნი. მთქმელი არაფერს გვეუბნება ქურაზიშვილების წინაპარსა
თუ წინაპრებზე, ვინ იყვნენ ისინი. მყითხველი მათ იცნობს აღზევე-
ბულ მდგომარეობაში, როგორც არაჩვეულებრივ საგვარეულოს,
სხვათაგან გამორჩეულს. იმდენად წმინდა და ნათლითმოსილი ჩანს
მათი მოღვაწეობა ადამიანთა საცხოვრისში, რომ ღირსეულად აქვთ
დამსახურებული ღვთიურ ძალთა მხარდაჭერა, მადლის დაშვება.
ზემოთ გვქონდა საუბარი, თუ როგორ ვლებულობთ დასრულებული
ნაწარმოებების შინაარსს, როცა მთქმელი პროზაულ და პოეტურ
ნაწილს ერთ სიუჟეტში აქცევს. სვანურში ბალადა „ბეთქილის“
მერვე ვარიანტი ამ აზრის დადასტურებაა, იმისაც, რომ აღმოსავ-
ლეთ და დასავლეთ საქართველოს მთის სამონადირეო ბალადების
გადმოცემების სათავე საერთო ქართული წარმოდგენებია, ისინი
ერთიმეორეს ავსებენ და გვეხმარებიან პრობლემის გენეზისური
საკითხების გარკვევაში. ასე რომ, ქურაზიშვილებზე დამოწმებუ-
ლი პიეტური ტექსტის ამოცნობაში მნიშვნელოვნად წაგვადგება
სვანური გადმოცემა „დვიდილანთ ბიბუ“. აქ დალი ზედნოდებით
მოიხსენიება „ქაამ მერდე“ – გარეთ მყოფი. იგი ბიბუს მოკეთედაა
წოდებული, ქალღმერთი დალი მას სადგომში სტუმრობს და
არიგებს, რომ დილით ადრე ადგეს „ლალოკაზე“ – სალოკავზე მო-
დიანო და წავიდეს. სიტყვაში მოდიანო, ჯიხვთა მოსვლა იგულისხ-
მება. გადმოცემა წმინდა ნაწარმოებია სამონადირეო ცხოვრები-
სათვის, სიმბოლოებითა და ქვეტექსტებითაა დატვირთული. იგი

ჯერჯერობით ერთადერთია, სადაც დალი ბიბუს მონადირედ აღ-
მზრდელია, დამკალიანებელი. დილით ადრე აღვიძებს, რომ მისთ-
ვის „გორგოდავ“, დიდი რქებდაგრეხილი ჯიხვია გამოგზავნილი
მოსანადირებლად. ბიბუ გადმოცემაში დალის რჩევა-დარიგებების
უსიტყვილ აღმსრულებელია. ამიტომ იყო, რომ ქალღმერთი დალის
მიერ საიდუმლოდ მინიშნებული მადლი „ლედოლ“, ჯიხვის ნეკნში
შეზრდილი, გაასუფთავოსო და შეინახოსო, მემკვიდრეობით დარ-
ჩეს მთელს საგვარეულოს, დვიდიშერების ვაჟებს. ე.ი. მონადირე
წინაპარი ბიბუს სინმინდე, მადლი მთელ საგვარეულოზე დაეშვა.
გადმოცემის მიხედვით დალმა ძევრი საიდუმლო გაანდო
მონადირე ბიბუს. ზოგიერთის დამოწმება საჭიროდ მიგვაჩნია, რომ
ნათლად წარმოვადგინოთ ქურაზიშვილების სულიერი ზეალსვ-
ლის გზები და საფეხურები. სვანურ გადმიცემაში მონადირე ბიბუ
ზედნოდებითაა მოხსენიებული, ანუ სახელდებით „ნაპოლ“ – ჩიტი.
ამგვარ მიმართვაში ფარულად ის აზრია გაცხადებული, რომ ბიბუს
სახით საქმე გვაქვს მაღალი სამონადირეო ხელოვნებით აღჭურ-
ვილ პიროვნებასთან, რომელსაც თავისუფლად შეუძლია ძნელად
სავალი ჯიხვთა ბილიკების დალახვა, რომ იგი კლდის ფრინველი-
ვით მარდი ვაჟუცია. „ლალოკა“ – სალოკი, კლდის ერთ-ერთი მონ-
აკვეთია, სადაც კლდე წვეთავს, გამონაურნი აქვს, ადგილი მოყვი-
თალო ან ყვითელისა და მწვანე ფერის ნაზავს გავს და აქვს მარილის
გემო. თუ ღრმად დავაკვირდებით „გარეთ მყოფის“ სიტყვებს, მთა-
ვარი ისაა, რომ დალი თავად ასწავლის მონადირეს, თუ სად, რომელ
ადგილას იკრიბებიან ჯიხვები დილით, ე.ი. სამონადირეო მიდამოს
საიდუმლოებასაც წადირთპატრონი უცხადებს, უმუღავნებს, რომ
მონადირე ადრე უნდა ადგეს, რომ წავიდეს. ამ მიმართვაში „მო-
დიანო“, რომელიც მკითხველისათვის გაუგებარია, თუ ვის ან რის
მოსვლაზეა საუბარი, მხოლოდ ჯიხვები იგულისხმება, მაგრამ იგი
არაა დაკონკრეტებული. სწორედ ასეთი მეტყველების სტილია ტი-
პური გადმოცემისთვის. ე.ი. საქმე გვაქვს მონადირეთა საიდუმლო
ენასთან „გარეთ მყოფისა“ და მონადირის ამგვარი ურთიერთობა
სიახლეა დალის ციკლის მასალაში. იგი საგანგნებო, დამოუკიდე-
ბელ დაკვირვებას საჭიროებს. აქ მხოლოდ აღვნიშნავთ, რომ ამგვარ
ურთიერთობას პირობითად, ტრადიციამდელი პერიოდი შეიძლება
ვუწოდოთ. აქ ადამიანი და სულიერი არსება დგანან ერთიმეორეს-
თან შეთანახმებული ურთიერთობით, ერთად მოქმედებენ. საინ-

ტერესო ისაა, რომ პიროვნების მხრიდან რაიმე დამოუკიდებელი ქმედება, თუ მიმართება ბუნებისადმი არც კი შეინიშნება. ფაქტია, რომ მონადირე ბიბუ მიმღებია, აღმსრულებელია და არა შემოქმედი. მოკვდავისა და უკვდავის ამგვარი ურთიერთობა ორიგინალურია, მრავალმხრივ დამაფიქრებელი, როგორც ითქვა მას ანალოგი არ დაეძებნება დღემდე ცნობილ სამონადირეო სიტყვიერებაში. დამონმებულ ტექსტში რაღაც წინარე პერიოდის ანარეკლი ჩანს. ჩვენთვის ჯერ კიდევ გამოუცნობი მრავალმხრივ საინეტესოა (ონიანი 2009: 218-219). მართალია, ამონარიდი ვრცელია, მაგრამ იგი გზას გვიხსნის ქურაზიშვილების სახელოვანი მოდგმის სულიერი აღზევების გზების და საფეხურების სწორად გააზრებასა და წარმოჩენაში. ვფიქრობთ, რომ ამ დიდებულ მოდგმაზეც, რომელიდაც უცნობი წინაპრის დიდი ღვთიური სიწმინდეა უმთავრესი მიზეზი სამი მზის მადლმოსილების დაშვებისა.

მკვლევარი დ. გოგოჭურის აზრით, „ნადირობის წარმატების ერთ-ერთი მთავარი პირობა სამონადირეო იარაღია“. მელექსეები სამონადირეო იარაღსა და მოწყობილობას ყურადღებით ეკიდებიან და ისეთ ხოტბას ასხამენ, როგორც მეომრის საჭურველს. ძველ სამონადირეო ნაწარმოებებში მშვილდ-ისარს ვხვდებით. ჯიხვს მისივე რქისგან დამზადებული მშვილდისრით უდებენ ბოლოს (გოგოჭური 1990: 116).

ჯიხვო ბუნებით მძიმეო,
კლდიდამ რამ გამოგიყვანა.
ვაჟკაცმა პირ-შიშველამა
სათავე წამოგიარა,
მშვილდმა მაგ შენი რქისამა
დაგჭექა დაგათხრიალა“
(მანიძე 1931: 201)

„ცნობილი მელექსისა და მონადირის გარჯა ჩანს საკუთარი პრაქტიკული გამოცდილებით და აქედან გამომდინარე მძიმე შთაბეჭდილებაც გამოუყენებია მთქმელს ქვემოთ მოყვანილი სტრიქონების შეთხზვისას“ (გოგოჭური 1990: 114).

საწყალო მენადირეო,
ვის აქვს წვალება შენია
შახდომა გინდა (რასა იქმ?)
საცა ყინვრიან წვერია,
გამათხრა თავის საწოლსა,
ღამე რო იყვის ბნელია,
კლდის ძირში გიძავ ლოგინი,
კლდის ნაწვეთ ჩამაგდენია.
(შანიძე 1931: 114)

მონადირის მარცხთან დაკავშირებით მკვლევარი დ. გოგოჭური ცალკე განიხილავს ლოკალური ხასიათის ნაწარმოებებს, რომელთა ვარიანტები მხოლოდ ერთ რომელიმე კუთხისთვის არის ცნობილი. ასეთ ნაწარმოებთა შორის მონადირე კვირიას დაღუპვაზე შექმნილი სიმღერა იქცევს ყურადღებას. იგი მხოლოდ ფშავ-ხევსურეთშია გავრცელებული. კვირიკა არამარტო განთქმული მონადირეა, არამედ თემის მფარველი გმირიც ყოფილა. ამიტომაა, რომ კვირიკას დაღუპვა ჯიხვებზე ადრე მტრებს გაუხარდებათ (გოგოჭური 1990: 111).

თოფსა ნუ სწირავ, კვირიკავ,
მწყენელსა ბევრის მტრისასა!
ჯერ მტერთა გაუხარდება.
მემრ ჯიხვება ფანდუჩისასა.
გაიგებს მითხოელები,
ბეგარს დაგვდებენ ცხვრისასა.
(კირსალაძე 1964: 205)

კვირიკას დაღუპვის მიზეზად სიმღერის ავტორს ის მიაჩინია, რომ ჯიხვებმა მას ეშმაკი „აუმაღლეს“.

ჯიხვება ნუ მისდევ, კვირიკავ,
კურდელაშვილო კლდისათა!
თორ ჩაგიტყუებს ჯიხვები,
ფხას ჩაგაგლეჯენ კლდისათა,
გაგიმაღლებენ ეშმაკსა,
ნაქარს დაგცემენ მთისასა.
(კირსალაძე 1964: 206)

შრომის ავტორის აზრით, მოტანილი ნაწყეტის ბოლო ტა-ეპი ერთხელ კიდევ მიგვითითებს იმაზე, რომ ნადირთა პატრონს რიგ შემთხვევაში ეშმაკეული და მავნე საქმის ჩადენაც ეხერხება“ (გოგოჭური 1990: 111).

როგორც ვხედავთ, აღმოსავლეთ მთის კუთხეთა სამონადირეო პოეზია მთელი რიგი საეციფიკურობებით ნარმოგვიდგება. იგი სა-განგებო დაკვირვებას საჭიროებს, აქ მოძიებული მასალა თემატუ-რადაც მდიდარი და მრავალფეროვანია. სწორადაა შენიშნული, რომ ბალადებთან შედარებით გაცილებით მეტი გვაქვს ნადირობის თემაზე შექმნილი ლირიკული ლექსები, სამონადირო რწმენები და წეს-ჩვეულებები ლირიკულ ლექსებშიც იჩენს თავს. ნამყვანი ადგილი კი მონადირის განცდებსა და შთაბეჭდილებებს უჭირავს. ნადირობა რთული საქმიანობაა, მძიმე დარგია, თან მოულოდნელობითა და ფათერაკებითაა სავსე:

დუშმანიმც არის, დედაო,
მონადირისა ცოლობა.

წუხს ერთის ცოლი:
„ვაი რა ძნელი ყოფილა
მონადირისა ცოლობა.
(ჩიქოვანი 1979)

მოთქვამს მეორე, ხოლო ქალიშვილი კი მშობლებს ეხვენება:

ნუ მიმცემთ მონადირესა,
გადმოვარდება კლდეთაო.
(ფ. არქ. 6-3, გვ. 14)

საუბარია ნადირობის სირთულეებზე, რომ საჭიროა მაგარი მუხლი, გამჭრიახი თვალი, მოქნილობა, ჭირთა თმენა, ფიზიკური სიძლიერე, ნანადირევის კლდეებიდან გადმოსატანად, რომ კაი მონადირეობა, კაი ყმობას ნიშნავდა. ს მასალა ქება-დიდებას ას-ხამს, მამაც მეომარს. საგანგებოდ აქვს ხაზი გასმული იმას, რომ ცუდას არ შეუძლია მონადირის ჭაპანის გაწევა:

ცუდი ყმა მოხეს ვერ წავა,
ნადირს ვერ მაჰელავს კლდი სასა,
რომ მაჰელას ტყავსა ვერ გაჰედის,
შუნ-ჯიხვსა ბოტობისასა,
რომ მაეზიდას, ვერ მაჰელეჯს
სასულას ჯიხვ-მოზვრისასა.

(შანიძე 1939: 210)

ხალხის შეხედულებით, სანადიროდ და საომარ გასვლას შორის განსხვავება არ არის. ორივე საქმე ძლიერთა ხვედრია... სწორედ ამის გამო სამონადირეო და საგმირო პოეზიის მოტივები ისეა შერწყმული ერთმანეთთან, რომ ზოგჯერ გვიფირს ესა თუ ის ნანარმოები რომელიმე მათგანს მივანიჭოთ” (გოგოჭური 1990: 114-120). ერთი სიტყვით, ძალიან ბევრი სპეციფიკური სირთულეა აღმოსავლეთ საქართველოს მთის სამონადირეო პოეზიაში როგორც მხატვრული, ისე თემატურით თვალსაზრისით. მათი ბოლომდე ჩამოთვლა მორს წაგვიყვანდა. შეიძლება დავისკვნათ, რომ შრომის უძველესმა ფორმამ, კოლექტურმა ნადირობამ, განვითარების რთული გზები და საფეხურები განვლო. იგი მნიშვნელოვანი სპეციფიკურობებით ჩამოყალიბდა აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს სამონადირეო პოეზიაში, ფშაურსა და ხევსურულში შინაარსთან ერთად მხატვრული გამომსახველობითი საშუალებებია წამყვანი, ხოლო სვანურ პოეტურსა თუ პროზაულ ტექსტებში ძირითადად ამბავი იქცევს ყურადღებას.

დამონიშვანი:

გირსალაძე 1964: ვირსალაძე ელ. ქართული სამონადირო ეპოსი. თბილისი: გამომცემლობა „მეცნიერება“, 1964.

გოგოჭური 1990: გოგოჭური დ. ეს უმდერია პაპასა. თბილისი: გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, 1990.

მელიქიშვილი 1999: მელიქიშვილი ი. იოჰაპ ვოლფგანგ გოეთე. მწვანე გველისა და მშვენიერი შროშანის ზღაპარი. 1999.

ონიანი 2009: ონიანი ო. კულტურული გმირის პრობლემა ქართულ ფოლკლორში (სვანური მასალების მიხედვით). თბილისი: გამომცემლობა „უნივერსალი“, 2009.

ონიანი 2011: ონიანი ო. ბალადა. ბეთქილის ახალი ვარიანტი. უურნ. განათლება, 2. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი. თბილისი: 2011.

ფ. არქ: შოთა რუსთაველის სახელობის წართული ლიტერატურის ინსტიტუტის ფოლკლორის განყოფილების აქრივი.

შანიძე 1939: შანიძე ა. ხალხური პოეზია. ტ. I. თბილისი: 1931.

შანიძე ... 1939: შანიძე ა., თოფურია ვ., გუჯეჯიანი . სვანური პოეზია. თბილისი: სტალინის სახელობის თსუ სტამბა, 1939.

შტაინერი 1999: შტაინერი რ. გოთეს სულიერი წყობა, მნვანე გველისა და მშვენიერი შროშანის ზღაპრის მიხედვით (თარგმანი ირნა მელიქიშვილისა). 1999.

ჩიქოვანი ... 1972: ჩიქოვანი მ., შამანაძე ნ. (შემდგენელი). ქართული ხალხური პოეზია. ტ. I. თბილისი: გამომცემლობა „მეცნიერება“, 1972.

ჩიქოვანი 1975: ჩიქოვანი მ. ქართული ხალხური სიტყვიერების ისტორია. თბილისი: თსუ სტამბა, 1975.

ჩიქოვანი 1979: ჩიქოვანი მ. (მთავარი რედაქტორი). ქართული ხალხური პოეზია. ტ. VII. თბილისი: გამომცემლობა „მეცნიერება“, 1979.

ჭინჭარაული 1961: ჭირჭარაული ა. ხევსურულის თავისებურებანი. 1961.

Artistic Images in Hunting Poetry

Summary

Collective hunting is the earliest form of organized labor. It originates from the Paleolithic period and passed through various stages of development. This oldest form of labor had been preserved in Racha and Svaneti until the 20th-30th of the 20th century. Customs and beliefs associated with it with fullness and high artistic skill are presented in the poetry and prose of the mountain regions of Eastern and Western Georgia. Their common ground for beliefs and practices is generally Georgian reality. The ballads discussed in the work also confirm this viewpoint. Specifically, Betkil versions of the Svan ballad... Betkil as a hunter is exceptionally strong, daring, brave warrior, reliable guard of his community but spiritually weak-willed. He does not observe any taboos before going away on a hunt. The unrighteous goes to the sacred places of the mountains. He betrayed all the promises given to the goddess Dali. He preferred her love to the love of another woman and even the beads given to him by Dali, he presented to his daughter-in-law Tamar but hid the truth from the goddess. He lied saying that left them under a pillow, so Betkil's behavior is to be condemned from the viewpoint of family relationships too. Only earthly interests prevail in the hunter Betkyl. He remained a man detached from eternal values. His attitude towards spiritual forces is so heavy and unforgivable that he was abandoned even from the hunting domain. Against Betkil, who was chasing after a white ibex, a cliff was erected which moves in a ballad and blocks the road back. In "Ukhvani" near the vicinities of the impassable cliff, Betkil found himself in a rocking tower which means that even the last refuge turned away from Betkil – this is the will of spiritual forces... The words of goddess Dali resounded from the top of the mountain: "I have done this", say a lot..

თინათინ ბიგანიშვილი

აკვნის სიმღერის ერთი ხალხური ვერსიის კერძო და ზოგადი მნიშვნელობის განმარტებისთვის

წინამდებარე სტატიაში უცვლელად გთავაზობთ ოლღა გიორგაძის*, როგორც მთქმელის ნამღერ საწესჩვეულებო სიმღერის ტექსტს, აკვნის ნანას, ეთნომუსიკოლოგთა ენით, ე.წ. „ბატონების ნანას“ (იხ. გრ. ჩხილების „ქართული ხალხური სიმღერა“, ტ. I, თბილისი, 1960; ზუმბაძე ნ, ქართული ბატონების სიმღერები, polyphony.ge/uploads/symposium/qartulib/zumbadze-batonebi.pdf). ასევე თანმიმდევრულად განვიხილავთ მოცემულ ფოკლორულ ტექსტში წარმოდგენილ სახე-სიმბოლოთა სემანტიკას, ეტიმოლოგიას და ტექსტის არქაულ ფენებში დაშრევებული მითის ბიბლიურ ტექსტთან კავშირს.

„ბატონების ნანა“

დატებით, დატებით, დასიამდით, ნანა, ნანინავ ბატონო.

დატებით, დატებით, დასიამდით, ბატონებო, ნანა, დიდოვ ბატონო.

სახლი დავდგი ვერძისაო, ნანა, ნანინავ ბატონო.

საძირკველი ვერხვისაო, ნანა, ნანინავ ბატონო.

(იმპროვიზებისას: „სახლი დავდგი ვერხვისაო, საძირკველი ვერძისაო)

სახლი დავდგი ვერხვისაო, ნანა, ნანინავ ბატონო.

საძირკველი ვერცხლისაო, ნანა, დიდოვ ბატონო.

შიგ პატარა შვილსა სძინავს, ნანა, ნანინავ ბატონო.

შიგ პატარა (სახელი ჩვილისა) სძინავს, ნანა, დიდოვ ბატონო.

სიამის ძილი მიეცით, ნანა, ნანინავ ბატონო.

სიამის ძილი მიეცით, ბატონებო, ნანა, დიდოვ ბატონო.

* ოლღა გიორგაძე იყო სტატიის ავტორის დიდი ბებია. მისი პირველი მეუღლე იყო სასულიერო პირი, დიაკვანი დომენტი მანკეპლაძე, რომელიც ადრე გარდაიცვალა. თავად ოლღა გიორგაძე კი ეკლესიაში გაღობდა. წინამდებარე სტატიაში განსახილველი ფოლეკლორული ტექსტი არ არის დაფიქსირებული არც ერთ ფოლეკლორულ კრებულში და ამ მხრივ უნიკალურ ნიმუშს წარმოადგენს. ტექსტი აღდგენილია ოლღა გიორგაძის შეილის – თონა უკლებას მიერ შესრულებული ვერსიის მიხედვით. სტატიის ელექტრონულ ვერსიას ახლავს მოცემული აკვნის სიმღერის ვიდეოჩანანერი, ასევე სიმღერის მელოდიის სანოტო სისტემის მიხედვით ჩანერილი ვერსია.

ნანას გეტყვი, გენაცვალე, ბატონებო, ნანა, ნანინავ ბატონო.

სიამის ძილი მიეცით ჩემს შვილსაო, ნანა, დიდოვ ბატონო.

ნანინეი, ნანინეი ჩემს ბატონებს, ნანა, დიდოვ ბატონო.

ნანინეი, ნანინეი ჩემს შვილსაო, ნანა, ნანინავ ბატონო.

დატკბით, დატკბით, დასიამდით, ნანა, ნანინავ ბატონო.

დატკბით, დატკბით, დასიამდით ბატონებო, ნანა, დიდოვ ბატონო.

წინამდებარე ნანა არის აკვნის სიმღერა, რომლის ჰანგიც საკუთრივ ქართული ნანას კილოს ემთხვევა, ეთნომუსიკოლოგიური თვალსაზრისით. ნანა (მისი მელოდია) ერთხმიანია, რაც მის არქაულობაზე მიუთითებს, რადგან სამხმიანობა ბევრად გვიანდელი მოვლენაა ხალხური სიმღერის განვითარების ისტორიაში. გამეორებადი სასიმღერო მუხლის შედარება კი მარტივად არის შესაძლებელი ქართული ერთხმიანი აკვნის სიმღერების ტექსტებთან, რომელთათვისაც ტიპობრივია რეფრენი: „ნანინა, ნანა, ნანინეი“, ასევე საწესჩვეულებო სიმღერისთვის დამახასიათებელი რეფრენი: „ნანა, დიდოვ ბატონო“ (იხ. ქართული ფოლკლორი, 7 (XXIII), შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი, თბ., 2014; ქართული ხალხური პოეზია, ტ. VIII. გამორცემლობა „მეცნიერება“, თბ., 1979). ჩვენ მიერ განსახილველი ტექსტი არის ასევე საწესო ხასიათის სიმღერა, სავსე უძველესი მითური წარმოდგენებით. ამ ხალხური სიმღერის სიტყვებში ყოველი სახე-სამბოლოს ეტიმოლოგიური ძირი უძველეს მითოსთან და არქაულ ისტორიასთან გვაკავშირებს.

ერთ-ერთი მთავარი რეფრენი, რომლის ეტიმოლოგიის გამოკვლევაც საჭიროა, არის „ნანა, ნანინა“. ამ საკითხის შესახებ ვახტანგ კოტეტიშვილი წერს: „რას ნიშნავს „ნანა“? დედას? არ ვიცით. საბა-სულახან ორბელიანი ამ სიტყვას ორგვარად განმარტავს: 1) სანდომი, საამო; 2) დანანა. „ქართლის ცხოვრებიდან“ ჩვენ ვიცით დანანა, როგორც ქართული წარმართული ლვთაება“ (კოტეტიშვილი 2006: 290).

საწესჩვეულებო სიმღერის შემდეგი ნიშანი, რომელიც სტატიაში წარმოდგენილ და განსახილველ ტექსტს ახასიათებს, არის კიდევ ერთი ტიპობრივი ფრაზა: „შიგ პატარა შვილსა სძინავს/ შიგ პატარა (ვაჟის ან ქალწულის სახელი) სძინავს“. სხვა ნანებში ამ ფრაზის ვარიაციებია: „შიგ ჩაწერილ ყმაწვილო“; „შიგა მწოლი მარგალიტის

ტევანი”; „შიგა მწოლი ბროლისაო“ (ქართული ფოლკლორი 2014: 37). ამავე საკითხის შესახებ ვახტანგ კოტეტიშვილი წერს, რომ ჩვენს „იავნანებში“ ბატონიშვილი ხშირად მოიხსენება: „შიგ უწევთ ბატონიშვილი...“ (კოტეტიშვილი 2006: 291).

შემდეგი სახე-სიმბოლო, რომელიც საწესო სიმღერებისთვის და ე.წ. ბატონების ნანასთვის არის დამახასიათებელი, ესაა ოქროსა და ვერცხლის, მნათობებთან და მზესთან დაკავშირებული სახე-სიმბოლოები: „ვერძის სახლი“; „ვერცხლის საძირკველი“, „ვერძის საძირკველი“. ამ საკითხზე ვახტანგ კოტეტიშვილი წერს: „საზოგადოდ უნდა ითქვას, რომ პარტახტიანი და ანთებიანი ავად-მყოფობანი სხვადასხვა მოდგმას განსაკუთრებულად წარმოუდგენია და დაუკავშირებია მნათობებთან ან ცეცხლთან, რაც იმავე მნათობთა ატრიბუტად მიაჩნდათ (აქედან – წითელი და ყვითელი ფერები – ოქრო), ჩვენში ნითელი ფერებით ოთახის მორთვა „ბატონების“ დროს ... „ოქროს საწმისიანი ვერძი“; ფინური კალევალა მოგვითხრობს, თუ ღვთაებრივმა მჭედელმა ილმარინენმა როგორ გამოჰკვერა მზე და მთვარე ოქროსა და ვერცხლისაგან“ (კოტეტიშვილი 2006: 294).

ვერძისა და მნათობის სახე-სიმბოლოთა კავშირი კარგად ჩანს ბერძნულ მითოლოგიაში. მზის ღმერთი ჰელიოსი ხარებსა და ცევრებს მწყემსავდა.

აკვის სიმღერებისა და საწესჩვეულებო (ბატონების სიმღერა ასევე შელოცვის უანრისაა და გარკვეულ საწესჩვეულებო ხასიათსაც ატარებს, რადგან ავადმყოფის განკურნების მცდელობა ძველ დროში აუცილებლად იქნებოდა გარკვეულ რიტუალთან, საკულტო მსახურებასთან დაკავშირებული) სიმღერებისთვის ნიშნეულია შემდეგი ფრაზები: „სახლი დავდგი ვერძისაო, საძირკველი ვერცხისაო“. ნესტან რატიანი თავისი სტატიაში „ზოგიერთი მხატვრული სახის ტრანსფორმაციის რამდენიმე ასპექტი აკვის სიმღერებში“ ბატონების დროს შესასრულებელ იავნანებს ქართული იავნანას ციკლის პირველ ჯგუფს უნიდებს და სახე-სიმბოლოთა განმარტების მიზნით იმოწმებს ქართული ხალხური პოეზიის მერვე ტომიდან ტექსტებს, რომელთა შორის ვკითხულობთ:

„საძირკველი ვერცხლისაო“ (611, 612);
„შიგ უწევს ღამაზი ვაჟი“ (589);

„ძირს ბატონებს გაუშალე, დიდო ბატონო“ (606);
„სახლი დავდგით ვერხვისაო“ (611, 612).

საბოლოოდ კი, „ბატონების ნანებში“, იმავე ქართული იავნანას ციკლის პირველი ჯგუფის სიმღერებში, ნესტან რატიანის კვლევის მიხედვით, ძირითადად ნახსენებია შემდეგი სახე-სიმბოლოები: „მზე, მთვარე, ვარსკვლავი, ცისკრის ვარსკვლავი, მარიხი, ბულბული, შავარდენი, მტრედი, ქედანი, ოქროს ყოჩი (ვერძი), იაგუნდი, ლალი, ოქრო, ვერცხლი, მარგალიტი (ლობიო მარგალიტი), ალმასი, ბროლი, გიშერი, ია, ვარდი (კოკორი, გაშლილი ვარდი), ყაყაჩი, ნარგიზი, ალვა, ვერხვი, ბაზმა, თუთა, ყურძნის მტევანი, წმინდა ხე, ებანოზი, ბჟოლა“ (რატიანი 2014: 42).

ქართულ ფოკლორულ კრებულებში მოიძებნება ჩვენ მიერ განსახილველი ტექსტის თითქმის იდენტური ხალხური ლექსები. მაგალითად, ქართული ხალხური საუნჯის პირველ ტომში ვკითხულობთ „წითელა ბატონების სამღერი ლექსის“ შემდეგ ფრაზას:

თქვენი გზა გახარებულა, დიდო ბატონო!
დატებითა და დასიამდით, დიდო ბატონო!
ეს ყმანვილი გვაპატივე, დიდო ბატონო!
დატებითა და დასიამდით, დიდო ბატონო!
(ქართული ხალხური საუნჯე 1991: 75)

ამავე გამოცემაში ვპოულობთ უსათაურო ლექსს:

სახლი დავდგი ვერხვისა,
საძირკველი ვერცხლისა,
შიგ ბატონები მესტუმრა,
ბედნიერი ფეხისა.
(ქართული ხალხური საუნჯე 1991: 75)

როგორც ვხედავთ, ჩვენ მიერ განსახილველი ტექსტის ზუსტანალოგიას ფოლკლორულ გამოცემებში ვერ ვხვდებით, მაგრამ პარალელური სახისმეტყველებითი ანალიზითა და თითქმის იდენტური ფრაზების სხვა ტექსტებში აღმოჩენით ჩვენ მიერ განსახილველი ტექსტის ავთენტურობა, როგორც თაობიდან თაობაზე ზეპირად გადმოცემული ნანისა, ამითაც დასტურდება.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, ჩვენ მიერ განსახილველი ტექსტის ჟანრული თავისებურებები, ფოლკლორული ხასიათი და ხალხურობის დამადასტურებელი სხვა არსებითი ნიშნები ზემონარმოდგენილი შედარებითი ანალიზის საფუძველზე დასაბუთებულად შეგვიძლია მივიჩნიოთ.

ტექსტის ანალიზის მეორე პლანი წარმოდგენილ სახე-სიმბოლოთა სემანტიკა, ეტიმოლოგია და არქაულ მითოსთან და ისტორიულ წარსულთან, ბიბლიასთან კავშირის წარმოჩენაა.

ფოლკლორულ ტექსტებში სახე-სიმბოლოთა წარგვარობის შესახებ ირმა ყველაშვილი წერს, რომ ფოლკლორული ტექსტები-სთვის სახე-სიმბოლოთა ტრანსფორმაცია არის დამახასიათებელი (ყველაშვილი 2014: 168). ამავე მოვლენას ბეჭან აბაშიძე სიმბოლოთა კონტამინაციას უწოდებს (სწორედ სიმბოლოთა კონტამინაციის შედეგი უნდა იყოს ფრაზის: „სახლი დავდგი ვერხვისა“ ტრანსფორმაცია – „სახლი დავდგი ვერძისა“, რადგან აზრობრივად ეს უკანასკნელი ფრაზა სრულიად დაცლილია, მაგრამ სიმბოლოთა კონტამინაციას თუ გავითვალისწინებთ, შესაძლებელია, აღნიშნული ტრანსფორმაციის ძირს მივაკვლიოთ). ის ქართულ-კავკასიურ ზეპირსიტყვიერებაში ნაყოფიერების ღვთაებათა საკითხის შესახებ მსჯელობის დროს ეყრდნობა არქეოლოგიური კვლევებით შესწავლილ ე.წ. ვეშაპონდების ფენომენის ანალიზს. თავის მხრივ, ბ. აბაშიძე ნიკო მარის, ი. სმირნოვისა და შ. ამირანაშვილის სამეცნიერო კვლევით მასალას იმოწმებს (აბაშიძე 1991: 132, 133), კერძოდ, ქართულ-კავკასიურ სივრცეში აღმოჩენილ ვეშაპის ფორმის საკულტო ქვებს, რომლებზეც საკულტო ზოომორფული სახე-სიმბოლოები იყო გამოკვეთილი. ამასთან დაკავშირებით ის ფოლკლორულ ტექსტებში სახე-სიმბოლოთა მხატვრული ტრანსფორმაციის შესახებ მსჯელობს და, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, იყენებს სპეციფიკურ ტერმინს „სიმბოლოთა კონტამინაცია“, რაც წარმართულ რელიგიათა შერწყმის თუ დაძლევის (ქრისტიანობა), ისტორიულ ეპოქათა ურთიერთგავლენისა და ზეპირსიტყვიერებასა თუ წარმართულ კულტურაში ასახვის ეკვივალენტია. მკვლევარი წერს: „ქართულ-კავკასიურ მითოლოგიაში მოზვერი, კურატი, ხატის კარისა და სოფლის ნათამამები საქონელი არის ძველ რწმენასთან, ე.ი. გველეშაბთან მებრძოლი... მთლიანად კავკასიის მასშტაბით გველი, ვეშაპი (დიდი თევზი)... და საერთოდ წყლის კულტის არეალში მო-

თავსებულ არსებებზე უამრავი არქეოლოგიური მასალა გხევდება. ასეთებია ვეშაპის ქანდაკებები და ვეშაპის კულტთან ახლოს მყოფი სხვა ზოომირფული ძეგლები, რომელთაც ვეშაპონდებად იხსენიებენ. ვეშაპონდთა სიმაღლე ორიდან ხუთ მეტრამდე აღწევს. პირველად ქვის ვებერთელა ვეშაპები ნიკო მარმა სომხეთის ტერიტორიაზე შენიშნა... ვეშაპონდების თევზის (ვეშაპის) ფორმის ქვებს კარგად ეხამება მოხოლითებზე ამოკვეთილი ხარი, ვერძები, რქები და სხვა ფორმები... ვეშაპონდებზე ახალი საკულტო სიმბოლოების გამოკვეთა ახალი რელიგიის გამოჩენაზე მეტყველებს, გრძელდება რელიგიათა შერწყმა, სიმბოლოთა კონტამინაცია“ (აბაშიძე 1991: 130-133).

არქეოლოგიური და ეთნოგრაფიული კვლევების საფუძველზე ვერძის სახე-სიმბოლოს გენეზისის შესახებ შესანიშნავ სამეცნიერო ანალიზს, არქეოლოგიური აღმოჩენების ჩამონათვალს გვთავაზობს რუსუდან ცანაგა. ცხვარი მზის ღმერთის ზოომირფულ ჰიპოსტატასად ითვლებოდა. ცხვარს წირავდნენ ორგვარად: სისხლის დალვრით (დაკვლით) და უსისხლოდ (მატყლის გაკრეჭით). მატყლს მიეწერებოდა საკრალური ფუნქცია. შესაბამისად, კავკასიასა და კერძოდ, საქართველოში ვერძის საკრალური მნიშვნელობის დამადასტურებელი არაერთი არქეოლოგიური მასალა არსებობს. ქართველ ტომთა მეურნეობაში ცხვარს ძვ. წ.-ის II ათასწლეულში მკვიდრად აქვს ფეხი მოკიდებული. საქართველოს ტერიტორიაზე ცხვრის საკულტო გამოსახულებათაგან უძველესად უნდა ჩაითვალოს სოფ. ლებთან ბრილის სამარგვანის ძვ. წ.-ის II ათასწლეულის შუა პერიოდში აღმოჩენილი ცხვრის ბრინჯაოს გამოსახულებანი (ცანაგა 2015: 8). ცხვრის რქებისა და ვერძის თავების გამოსახულებები გვხვდება სტეფანნიშნიდის მცირე პლასტიკის ძეგლებზეც. საყურადღებოა ძვ. წ.-ის II ათასწლეულის ბოლო პერიოდით დათარიღებული ნაჯახი მზის სიმბოლოსა და ცხვრის თავის გამოსახულებით. სამთავროს თიხის რამდენიმე ჭურჭელზე (ძვ. წ.-ის X-VI სს.) სქემატურად გამოსახულია ცხვრის თავი, რაც ჭურჭელში ჩასხმული სითხის, ნამლის „მფარველობას“ გულისხმობს. ცხვრის ოქროს ავგაროზი აღმოჩნდა არმაზისხევის არქეოლოგიური გათხრებისას. ხოვლეგორას სამლოცველოზე გათხრილია „ვერძისთავიანი დარ-

ბაზი“, იქვე მოწყობილი იყო პურის საცხობი ღუმელი; ჩრდილო-დასავლეთ კუთხეში აღმოჩნდა თიხის სამსხვერპლო. იქვე იყო ვერძის თავების ქანდაკებები (ცანავა 2015: 8).

ტექსტის არქაული ფენების კვლევას უშუალოდ უკავშირდება სახე-სიმბოლოთა მხატვრული ტრანსფორმაციის საკითხი. ამ სახე-სიმბოლოთა ერთგვარი დაჯგუფების მცდელობა წარმოდგენილია ნესტან რატიანის სტატიაში. მკვლევარი წერს: „ქართული იავნანას ციკლის პირველი ჯგუფი მდიდარია მხატვრული თვალსაზრისით და გამოირჩევა დახვენილი მხატვრული სახეებით. ხშირია მცენარეული და ფრინველთა, ძვირფასი ქვებისა და ლითონების, ასტრალური სახეების ხსენება. შესაბამისად, მხატვრული სახეების გამოყენების თვალსაზრისით იავნანას სიმღერები ასეთ ჯგუფებში გადანაწილდება:

- ა) ციურ სხეულებთან დაკავშირებული მხატვრული სახეები;
- ბ) ფრინველთა სამყაროსთან დაკავშირებული მხატვრული სახეები;

გ) ძვირფას ქვებთან და ლითონებთან დაკავშირებული მხატვრული სახეები;

დ) მცენარეთა სამყაროსთან დაკავშირებული მხატვრული სახეები (რატიანი 2014: 42).

ზემოჩამოთვლილ სახე-სიმბოლოთაგან ჩვენ მიერ განსახილველ ტექსტში ოთხი სიმბოლო უდავოდ მოცემულია:

ა) ციურ სხეულებთან დაკავშირებული მხატვრული სახეები: „ვერძის სახლი / ვერძის საძირკველი“ იგივე „ვერძის ეტლი“.

ბ) ძვირფას ქვებთან და ლითონებთან დაკავშირებული მხატვრული სახეები: „საძირკველი ვერცხლისაო“.

გ) მცენარეთა სამყაროსთან დაკავშირებული მხატვრული სახეები: „სახლი დავდგი ვერხვისაო“, ან იმპროვიზების დროს ზოგჯერ ითქმის „საძირკველი ვერხვისაო“.

სახე-სიმბოლოებს, ერთი მხრივ, საწესო ტექსტების არქაულ ძირთან, მითოსთან, ისტორიულ წარსულთან კონკრეტული შინაარსი, ამბავი აკავშირებს, მეორე მხრივ კი, სრულიად პრაგმატული, ავადმყოფის მკურნალობასთან დაკავშირებული ჩვევები და ზეპირად შემორჩენილი ტრადიციები.

ნესტან რატიანი ამის შესახებ წერს: „ქართული იავნანას ციკლის სიმღერებში ნახსენები მცენარეების ძირითადი ნაწილი სეზონუ-

რია. ამიტომაც ძნელია იმის დაჯერება, რომ ისინი პრაქტიკიდან გადავიდა პოეზიაში... მოგვიანებით ის, რაც მოიხსენიებოდა სიმ-ლერებში, გადავიდა პრაქტიკაშიც და მიიჩნეოდა, რომ ეს მცენა-რეები უნდა ყოფილიყო სწორი სასამალთან, თუკი ოჯახის წევრებს სურდათ დაავადების კეთილად დასრულება“ (რატიანი 2014: 46, 47).

სახეთა მხატვრული ტრანსფორმაციის შესახებ ქეთევან ელაშ-ვილი წერს: „მითოსურ, ფოლკლორულ თუ მხატვრულ ხედვათა დი-აპაზონი ევოლუციურ დონეზე ახდენს იმგვარ თავისუფალ ინტერ-პრეტაციას, რომ აყალიბებს დამოუკიდებელ სახისმეტყველებით სპექტრს. „სახეთა მწერლობის“ ეს სისტემა კი ყველაზე მეტყველ და გამომსახველობით ადგილს იმკვიდრებს მხოლოდ კონკრეტულ ავტორებთან მიმართებაში. აქ კი უკვე ერთვება არქეტიპთა მიზან-მიმართული ინტეგრირება – ანუ სიმბოლოთექმნადობა და თანაჩარ-თულობის „მხატვრული დინამიკა“, რომელსაც განკარგავს მხო-ლოდ მწერლის „შემოქმედებითი ნება“ (ელაშვილი 2014: 182).

ჩვენ მიერ განსახილველი ტექსტის უანრის საკითხის განმარტებისთვის ერთი მნიშვნელოვანი დეტალი უნდა გავითვალისწინოთ. „ბატონების ნანა“, იგივე საწესჩვეულებო სიმღერა უშუალოდ უკავშირდება შელოცვის, სიტყვიერი მკურნალობის ტექსტებს, რადგან სარიტუალო, საწესჩვეულებო სიმღერა, მათ შორის „ბატონების ნანა“ იმავდროულად ავის დაფრთხობის და სიკეთის მოტანის (შდრ: „სიამის ძილი მიეცით“; „დატკბით, დატკბით, დასიამ-დით, ბატონებო“) მიზნით სრულდებოდა.

„ბატონების ნანას“ რიტუალური, საწესჩვეულებო დატვირთვა კარგად ჩანს ნესტან რატიანის სტატიაში „მხატვრულ სახეთა ტრანსფორმაციის ფორმები ქართულ სამონადირეო ეპოსში“. ავ-ტორი „ბატონების ნანას“ შელოცვების ტექსტებს უკავშირებს: „ფერთა ეს ტრიადა ტიპურია შელოცვებისთვისაც, სადაც დაავა-დებები პერსონიფიცირებულია და ადამიანებთან ე.ნ. ბატონების სახით მოდიან. ეს ბატონები, როგორც წესი, თავიანთ ქვეყნაში ცხოვრობენ და მისი ლოკალიზაციის ადგილი ზღვის იქითაა. ზღვიდან მოსული თეთრი ბატონები კეთილები არიან, მათი მოლმობიერება და უკან გასტუმრება ადვილია, რაც იმას ნიშნავს, რომ ავადმყოფი არასოდეს კვდება. წითელი ბატონების სტუმრობა შედარებით მეტ პრობლემას იწვევს. ამ დაავადებებს გართულებები ახასიათებს და

ზოგჯერ, თუმცა არა ყოველთვის, სიკეთით მთავრდება. წითელ ბატონებს უკავშირდება წითელა და წითურა. აი, შავი ბატონების სტუმრობა კი ყოველთვის არასასურველია და ასოცირდება სიკვდილთან. მისგან თავის დაძვრენა წარმოუდგენელია“ (რატიანი 2016: 107).

შელოცვის უანრთან აკვნის სიმღერების, კერძოდ, „ბატონების ნანას“ კავშირი იმითაც ვლინდება, რომ ამგვარი აკვნისა და საწესჩვეულებო სიმღერები ევფემიზმებითაა სავსე. შელოცვის სიტყვებს, რომლებსაც მთქმელი სიმღერითა თუ რეჩიტატივით წარმოთქმადა, მთქმელისავე რწმენით, განმუშრნებელი ძალა ჰქონდა, ამიტომაც ითქმოდა ის სწორედ დაავადების გამძაფრების დროს. ამის შესახებ ნათელა კაპანაძე ვრცელ გამოკვლევას გვთავაზობს თავის სამეცნიერო ნაშრომში „ქართული საბავშვო ფოლკლორის მითოსური და ქრისტიანული მსოფლმხედველობა“. ავტორი იმოწმებს პეტრე უმიკაშვილის, კრუშევსკის, პოტებნიას, ვ. კოტეტიშვილის, თ. რაზიკაშვილის, მიხეილ ჩიქოვანის, სერგი მაკალათიას და სხვათა სამეცნიერო კვლევებს, ფოლკლორული ექსპედიციების მასალებს და ასეთ დასკვნას გვთავაზობს: „შელოცვის ადრინდელი ტექსტები ნიმუშია იმისა, რომ ისინი საწესო რიტუალს წარმოადგენ... შელოცვა დღესდღეობით მკვდარ უანრად არის მიჩნეული. უწინ მას განსაკუთრებული როლი ჰქონდა საწესჩვეულებო ტრადიციის სარიტუალო კომპლექსში. შელოცვა სიტყვიერი ფორმულაა... შელოცვა იმდენად რთული, არქაული და სპეციფიკური უანრია, რომ მისი ამომწურავი კვალიფიკაცია გარკვეულ სირთულეს წარმოადგენს... ჩვენ მიერ საქართველოს სხვადასხვა კუთხეში ჩატარებული სამეცნიერო მივლინებების დროს მოპოვებულ იქნა შელოცვათა მრავალნაირი ნიმუშები. მათზე დაკვირვებით გამოიკვეთა განსხვავებული სამყარო აზროვნებისა, რომელიც, ვფიქრობთ, ერთობ ახლოს დგას როგორც უძველესი რწმენა-წარმოდგენებისა და მითოსური აზროვნების, ასევე ქრისტიანული სახისშეტყველებისა და რელიგიური საზრისის თავისებურებებთან. ამასთან, იგი დაკავშირებულია ოჯახურ ყოფა-ტრადიციასთან, სამეურნეო-სამინატომქმედო, სამკურნალო და ბავშვთა აღზრდის სფეროსთან და მისგან დამოუკიდებლად არ მოიაზრება... შელოცვაში იგულისხმე-

ბოდა სამკურნალო დარიგება და ვედრება. ადამიანები სიტყვიერი ფორმულებით ებრძოდნენ სხვადასხვა ავადმყოფობას” (კაპანაძე 2006: 5-7).

სწორედ ზემოაღნიშნული სიტყვიერი ფორმულები შელოცვის დროს ევფემიზმებად გვევლინება. ნესტან რატიანის თქმით, ეს ლექსიკა (ბატონების ნანასათვის დამახასიათებელი სახე-სიმბოლოები, მეტაფორები, მეტონიმიები და სხვა), რომელიც სილამაზეს, ხვავსა და ბარაქას აღწერს, რომელიც დადებითი ემოციებით გვაცებს, სწორედაც რომ საპირისპიროს, ულამაზოს (მაგ.: სწორებით დამახინჯებული ავადმყოფის სახის, დამწუხრებული ოჯახის ნეკრების და ა.შ.) შესანიღბადა გამოყენებული. ნესტან რატიანი ევფემიზმებით ტექსტის გაჯერებას შელოცვის ჟანრისთვის დამახასიათებელ ტაბუირების ელემენტს უკავშირებს: „ჩემი აზრით, აქ საქმე გვაქვს ტაბუსთან. როგორც ცნობილია, არაერთ კულტურაში ავადმყოფობების ხსენება ტაბუირებული იყო... ტაბუირებისას ენა მიღრეკილია ევფემიზმების გაჩენისკენ” (რატიანი 2014: 43). მიზანი ტაბუირებისა და ევფემიზმებით მდიდარი ლექსიკით შელოცვათა ტექსტების გაჯერებისა კი, როგორც ზემოთ აღვნიშნე, დადებითი ემოციების გამოწვევა იყო. ეს თვალსაზრისი ნესტან რატიანის სტატიაშიც გვხვდება: „მხატვრული სახეების ხსენებისას მკითხველს/ მსმენელს თვალწინ ულამაზესი სანახაობა გადაეშლება... ეს ლექსიკა, რომელიც სილამაზეს აღწერს, დადებითი ემოციებით გვაცებს“ (რატიანი 2014: 42). დადებითი ემოციების გამოსაწვევად კი სილამაზის აღწერას ხვავისა და ბარაქის (ვ. ბარდაველიძე წერს, რომ ერკემალი/ ვერძი ასოცირდებოდა სიმდიდრესთან, ბარაქიანობასთან, ჯანის სიმრთელესა და ადამიანთა კეთილდღეობასთან – ბარდაველიძე 1939: 1-3), ასევე სიცოცხლის სიკვდილზე გამარჯვების აღმნიშვნელი სიტყვები უნდა მოჰყოლოდა, რასაც ევფემიზმების დატვირთვა პქონდა, რადგან რეალურ ვითარებაში, სწორები სასიკვდილო დაავადების მძვინვარების პირობებში ყველაფერი საპირისპირო იყო. სწორედ ამიტომ სიუხვის აღმნიშვნელი სიტყვები: „სახლი დავდგი ვერძისაო, საძირკველი ვერხვისაო“/ ან იმპროვიზაციის დროს – „სახლი დავდგი ვერხვისაო, საძირკველი ვერცხლისაო/ საძირკველი ვერძისაო“ ხვავისა და ბარაქის აღმნიშვნელი სიტყვებია (იმპროვიზაციის პროცესში განხორციელებული ცვლილებების აღნიშვნის დროს ვითვალისწინებთ ზურაბ კიკნაძის მიერ სახელმძღვანელო წესებად დამოწმებულ ტექსტს,

რომელიც პეტრე უმიკაშვილის (1839-1904) მითითებების ციტატას წარმოადგენს: „ძალიან საჭიროა, რომ დამწერი მარტო ერთს რე-დაქციას არ დასჯერდეს, არამედ ყოველი განსხვავებაც აღნიშნოს სხოლიობში, რომ ზოგში ესა და ეს ცვლილებააო... ეს ცვლილების დაწერა ამიტომ არის საჭირო, რომ ხშირად მრთელს დიდს ლექსში ანუ ზღაპარში ორიოდე სამი სიტყვა, სხვა ცვლილებით ხმარებული, მრთელის თხზულების ფერსა ცცვლის და ზოგჯერ ძვირფასს განძს შეადგენს“ – კინაძე 2008: 36), კერძოდ, პირველ ვერსიაში – „ვერ-ძის სახლი“, მეორე ვერსიაში – „ვერცხლის საძირკველი“. პარა-ლელური სახისმეტყველებითი ანალიზის თვალსაზრისით საყუ-რადლებოა ფოლკლორულ ტექსტებში ამგვარი სახე-სიმბოლოების მოცემულობა: ევფემიზმები (ძვირფასი ლითონი – ვერცხლი/ ოქრო) – „უდგია ოქროს აკვანი დიდსა ბატონსა“ (ქართული ხალხური საუნჯე 1991: 251); ასევე შინაური პირუტყვის, ან მოშინაურებული გარეული ცხოველისა თუ ფრინველის, როგორც ბარაქის აღმნიშ-ვნელი სიმბოლოს (ცხვარი, ძროხა, ყოჩი, ვერძი, ირემი, შავარდენი და ა.შ.) მოცემულობა:

ოქროსი გიდგას სრა-სასახლე,
ზღუდე გავლია ოქროვანი.
ირმები წვანან საძირკველზე.
ქონგურზე სხედან შევარდნები.
(ქართული ხალხური საუნჯე 1991: 10)

როგორც ვხედავთ, „ირმები წვანან საძირკველზე“ პარალელური სახისმეტყველებითი ანალიზით ენათესავება ფრაზას „საძირკველი ვერძისა“. ხვავისა და ბარაქის აღმნიშვნელი უნდა იყოს „ვერძის სახლი/ ვერძის საძირკველი“, რადგან სხვა ტიპის ე.წ. დალოცვათა ტექსტებში (საუბარია ჭონაზე, ალილოზე, მეკვლეთა მიერ წარმო-სათქმელ ტექსტებზე) შინაური ცხოველის სიმრავლე ხვავისა და ბარაქის აღმნიშვნელია. მესტვირულ საახალწლო ლექსში ვკითხუ-ლობთ ამგვარ დალოცვა/დაბედების ტექსტს:

თქვენი კოდები ყოფილა
სავსე და – წმინდა ფქვილითა;
თქვენი ქვევრები ყოფილა
სავსე და წითელ ლვინითა;

თქვენი ფარები ყოფილა
საესე და ცხვრითა, ბინითა;
თქვენი გომური ყოფილა
საესე და ძროხის ბინითა!
(ქართული ხალხური საუნჯე 1991: 75)

წინ დაგუდგამ ოქროს თაბახს,

იავნანინეო,

ზედ დავასვამ ოქროს ყოჩისა,

იავნანინეო!

(რატიანი 2016: 125)

აღსანიშნავია, რომ ბარაქის აღმნიშვნელი სიტყვათა კავშირი „ცხვრის ბინა/ ძროხის ბინა“, ასევე „ოქროს ყოჩი“ ბევრად ახალი ქართულისათვის დამახასიათებელი ლექსიკური ერთეულებია, რადგან ბინა, როგორც სახლის აღმნიშვნელი სიტყვა გვიანდელი ლექსიკური ერთეულია, ბევრად ადრეულია სახლი, თუმცა ცხოველთა სადგომისათვის უფრო ნიშნეული იყო ბაკი (იხ. სიტყვა ბაკის ეტიმოლოგიური განმარტებისათვის ნესტან სულავას „ვეფხისტყაოსანი – მეტაფორა, სიმბოლო, ალუზია, ენიგმა“, გამომცემლობა „წეკერი“, 2009), თუმცა ჩვენ მიერ განსახილველ ტექსტში ვერძის სადგომზეა სუბარი (არქეოლოგიური გათხრებით აღმოჩენილი ვერძისთავიანი დარბაზის შესახებ იხ. ცანავარ., „Opiscula“, გამომც. „ლოგოსი“, თბ., 2015). ამიტომ თუკი ბევრად გვიანდელ ფოლკლორულ ტექსტებში „ცხვრის ბინა/ ძროხის ბინა“ არის ხვავისა და ბარაქის, სიმდიდრის გამომხატველი, გაცილებით არქაული ლექსიკური ერთეულია სიტყვა „ვერძი“, რომლის სახლიც, ისევე როგორც „მესტვირის საახალწლო სიმღერაში“, სიმდიდრის გამომხატველია, ხოლო ევფემიზმებით შელოცვის ტექსტის გაჯერების თვალსაზრისით, სწორედაც რომ ბედნიერების სურათია დახატული: „ვერცხლის საძირკველი/ ვერძის საძირკველი“, „ვერძის სახლი“, „ვერხვის სახლი“. თუმცა არ გამოვრიცხავთ, რომ ჩვენ მიერ განსახილველი ტექსტის ლექსიკური ერთეული „ვერძი“ ბევრად უფრო არქაული ძირის მაჩვენებელია და აღნიშნული „ბატონების ნანას“ როგორც მითოლოგიურ, ისე ბიბლიურ სახე-სიმბოლოებთან კავშირს და ამ სახე სიმბოლოს საკრალურ მნიშვნელობას („ვერძის სახლი“ – შდრ. ვერძისთავიანი დარბაზი ხოვლეგორაზე) გამოხატავს.

ზემოხსენებული ევფემიზმები, სიტყვიერი ფორმულები, რომებიც შელოცვის დერძს წარმოადგენს, უშუალოდ უკავშირდებოდა მისტერიას, რიტუალს, რომელიც რიტუალისთვის საჭირო ადგილს ან რიტუალისთვის (მისტერიისთვის) საჭირო გარემოში უნდა წარმოთქმულიყო. შელოცვის ტექსტი ყველგან არ წარმოითქმოდა. წარმართულ ხანაში შელოცვისათვის წარმოსათქმელ სივრცედ საკულტო ადგილებს ირჩევდნენ, ძირითადად, ქვას, კლდეს და კლდის პირს. საკულტო ადგილებში ლოცვა კი აუცილებლად უკავშირდებოდა წლიურ ციკლს, „ბრუნვას“, მეორე მხრივ, მიწასთან (ბუნების ციკლურ ცვალებადობასთან, ნაყოფიერებასთან, სიცივისა და სითბოს ცვალებადობასთან) და ასევე მისტიკური მნიშვნელობის დღეებთან იყო დაკავშირებული. ამის შესახებ ბეჟუან აბაშიძე წერს: „ჩვენი წინაპრები ქვას, კლდესა და კლდის პირთ სცემდნენ თაყვანს... ფშავ-ხევსურეთში ხომ ქვის გროვას და კლდის პირს „დობილების“ სახელზე უნთებდნენ სანთელს, ბავშვებისა თუ საქონლის ჯანმრთელობას შესთხოვდნენ თუშეთშიც, ძველ სალოცავს, კლდის პირს მიუზიდია მარიამწმინდის სალოცავი. აქაც უძველესი კლდის ქალღვთაება „დობილით“ არის შეცვლილი. სოფელ გერის წმინდა გიორგიც ავადმყოფობის მომვლინებელიც არის და მომრჩენიც, როგორც ხევსურების „დობილები“... ასევეა ხევსურეთის კლდის პირას სალოცავიც, სანთლებს მხოლოდ იმიტომ უნთებენ, რომ ავად არ გახადოს ოჯახის წევრი ან საქონელი“ (აბაშიძე 1991: 75).

ზემოთქმულიდან გამომდინარე, ერთი მხრივ, წარმართული სალოცავები (ქვა, კლდე, კლდის პირი) თუ წარმართული კალენდარი (აბაშიძე 1991), მეორე მხრივ, ქრისტიანული კალენდარი და ქრისტიანული დღესასწაულები ერთმანეთს ხალხურ ტრადიციებშიც შეერწყა, მთქმელთა ცნობიერებაშიც და, შესაბამისად, მთქმელთა მიერ წარმოთქმულ თუ წამლერ ტექსტებშიც, იქნება ეს შელოცვა სარიტუალო, საწესჩვეულებო (აკვნის ნანა/ ე.ნ. „ბატონების ნანა“/ შელოცვა) თუ სხვა უანრის ლექსები. აქედან გამომდინარე, ტექსტში (შელოცვაში, აკვნის ნანაში, საწესჩვეულებო სიმღერაში) სალოცავი ადგილის, მისტერიის, შელოცვისათვის საჭირო საკულტო ადგილის („გერძის სახლი“) ხაზგასმა მთქმელის ცნობიერებაში დაშრევებული ძირძველი ტრადიციის ნაკვალევია.

წინამდებარე სტატიაში განსახილველ ფოლკლორულ ტექსტში „ვერძის სახლის/ ვერხვის სახლის; ვერცხლის საძირკვლის/ ვერხვის საძირკვლის/ ვერძის საძირკვლის“, როგორც საკულტო ადგილის, სივრცის, ასევე საკულტო მნიშვნელობის პერიოდის (დროის) მნიშვნელობით წარმოთქმას ჩვენ მიერ განსახილველი ტექსტის მითოსურ ძირამდე და ბიბლიურ საფუძვლამდე, ისტორიული წარსულის ხატოვნად გააზრების მოცემულობამდე მივყავართ. სახე-სიმბოლოთა ამგვარი გენეზისის შესახებ ფოლკლორისტი ხათუნა თავდგირიძე წერს: „კოსმოგონიური მითომეტაფორუების ნაწილი, განსაკუთრებით იგავური და იდიომური მითომეტაფორუები, თავისი გენეზისით წინარე ტოტემისტურ (პრეკოსმოგონიურ) მითოწარ-მოდგენებს უკავშირდება“ (თავდგირიძე 2016: 116).

ასტრალური სიმბოლოებისა და ხე-მცენარეთა, ასევე ტოტემთა ერთ კონტექსტში მოხსენიება, როგორც ეს ჩვენ მიერ განსახილ-ველ ტექსტში გვხვდება, წარმართობის ეპოქისთვის იყო დამა-ხასიათებელი. ამის შესახებ ქეთევან დეკანოზიშვილი წერს: „წარმართობის ეპოქაში ე.ნ. დაბალი მითოლოგის ხანაში, „პოლი-თემატურობით ალბეჭდილი ქართული მითოლოგის საზღვრულ სამყაროში“ (ა. არაბული) კოსმიურ სხეულებთან ერთად დადასტურებულია ხე-მცენარეთა, ცხოველთა და ფრინველთა ტოტემური კულტი“ (დეკანოზიშვილი 2014: 50).

ზემოთქმულიდან გამომდინარე, ჩვენ მიერ განსახილველ ტექსტში „ვერძის სახლი“, „ვერხვის სახლი“, „ვერცხლის საძირკველი“, „ვერხვის საძირკველი“, „ვერძის საძირკველი“ – ამ მხატვრულ სახე-სიმბოლოთა საკულტო ადგილის, რიტუალური ტრადიციის მნიშვნელობით განხილვის შემთხვევაში აუცილებელია გავითვალისწინოთ, ერთი მხრივ, წარმართული ტრადიცია სარიტუალო ტექსტისა თუ შელოცვათა საკულტო ადგილზე წარმოთქმისა (საკულტო მნიშვნელობის ვითარებასა თუ გარემოში წარმოთქმისა, მაგალითად, საკრალური მნიშვნელობის ხესთან... ბერმუხა-ლაშარის მუხა დღე-საც დგას ფშავში ხმელვორზე, სადაც დაარსებულია ლაშარის სალოცავი, ლაშარის ხატი წმიდა გიორგის სახელზე, რომელსაც ვა-ჟას ლექსებიდან და პოემებიდან ვიცნობთ – კიკნაძე 2008: 57), ასევე კავკასიური ფოლკლორის, ადგილობრივი სამეურნეო ტრადიციიდან გამომდინარე, ერთგვარი სიმდიდრე ზოომორფული სიმბოლოების თვალსაზრისით. მეორე მხრივ, „ვერძის სახლი/ ვერძის

საძირკველი“ უშუალოდ უკავშირდება ქართული წარმართული პერიოდის სიტყვიერების უძველეს შრეს, რომელიც მზის კულტსა და მზის კალენდარს უკავშირდება, კერძოდ, მიხეილ ჩიქოვანის მიერ რედაქტირებულ ქართული ფოლკლორის ლექსიკონში ვკითხულობთ, რომ ქართველები წარმართობის ხანაში სხვადასხვა ასტრალურ ღვთაებას სცემდნენ თაყვანს, მათ შორის – მზეს. საქართველოში მზეს სხვადასხვა საგალობელი ეძღვნებოდა: მზე და მთვარე, ლილე, დელა, ადილე. შესაბამისად, ჩვენ მიერ განსახილველი ტექსტის შრეების სიდევლის გამოსაკვლევად საუკეთესო საშუალებაა სწორედ მზის სახე-სიმბოლოს რთული მეტაფორული ჯაჭვის არქეტიპული სიღრმისა და გენეზისის განხილვა.

მთვარის კულტის წარმოჩენა ქართული ხალხური პოეზიის განვითარების გვიან საფეხურზე მოხდა (ქართული ფოლკლორის ლექსიკონი 1975). „ვერძის სახლი/ ვერძის საძირკველი“, ზემოაღნიშნულ მნიშვნელობებთან ერთად, მზის კალენდრის კონკრეტული დროის (მონაკვეთი მარტსა და აპრილს შორის) – ვერძის ეტლში მზის დავანების აღმნიშვნელი ფაზის ფოლკლორული ეკვივალენტია. თავის მხრივ, მზის სახე-სიმბოლოთა, მეტაფორების მხატვრულ ტრანსფორმაციათა ძირი ისევ მითს და ისტორიულ წარსულს უკავშირდება. მზის კულტის სანესტერეულებო სიმღერებთან კავშირი მიხეილ ჩიქოვანს ასე აქვს განმარტებული ერთი ფოლკლორული ტექსტის მიხედვით: „მზე შინა და მზე გარეთა – უძველესი საწესო საძეობო სიმღერა სრულდებოდა ბავშვის დაბადების აღსანიშნავ წვეულებაში. საძეობო სიმღერად მოიხსენიებს მას იოანე ბატონიშვილი („კალმასობა“) და ალ. ჯამბაკურ-ორბელიანი („ივერიანელთა გალობა, სიმღერა და ღიღინი“). ლექსი წარმართობის დროინდელია და გამოხატავს მზის თაყვანისცემას. „მზე შინა“ ადამიანის დაბადებით გამოწვეული სიხარულის გადმოცემაა... საგალობელი ნათლად ასახავს ხალხის სიხარულს ვაჟის შეძენით გამოწვეულს. ქართული საძეობო სიმღერის მრავალი ვარიანტია ცნობილი. მათში მეტ-ნაკლებად დაცულია ძველი სარიტუალო წესის ელემენტები. მაგალითად, ცხვრის მსხვერპლად შენირვა“ (ქართული ფოლკლორის ლექსიკონი 1975: 25).

უძველესი სარიტუალო წესების ელემენტები, როგორც აღვნიშნეთ, შემორჩენილია საწესო, საძეობო, შელოცვის, აკვნის სიმღერათა და სხვა საწესტერეულებო ტექსტებში. შესაბამისად, სარიტუ-

ალო წესი აუცილებლად გულისხმობდა მთავარი სათაყვანებელი კულტის – მზის უშუალოდ ან სხვადასხვა მეტაფორით ხსენებას, თუმცა, ჩვენ მიერ გახსახილველი ტექსტის წარმართული შრის მიუხედავად, შესაძლებელია არქეტიპების ეტიმოლოგიური ჯაჭვის არა მარტო მითოლოგიური, არამედ ბიბლიური საფუძვლის პოვნაც, რადგან, ბიბლიის მიხედვით, წლის კალენდარული დაყოფა მზის მოძრაობისა და თანავარსკვლავედთა (მზის ეტლთა) მოძრაობის მიხედვით ბიბლიურ პატრიარქს, წარლვნის დროის მამამთავარს ნოეს უკავშირდება.

სამეცნიერო კვლევებით აღმოჩენილია წარლვნის, როგორც ისტორიული ფაქტის დამადასტურებელი არქეოლოგიური ფენები ევროპის, აზიის, ბრიტანეთის კუნძულებზე, ციმბირსა და ალასკაში. ეს კვლევები ეფუძნება პალეონტოლოგთა მიერ ცხოველთა ნამარხების აღმოჩენას ზემოდასახელებულ ტერიტორიებზე. ნოე წელინადს თორმეტ თვედ ყოფდა. თითოეულ თვეში 30 დღე შედიოდა. წელინადის ამგვარი დაყოფა კარგად ჩანს შესაქმის მერვე თავში, სადაც წარლვნის ამბავია მოთხოვნილი. ამ საკითხის შესახებ ბიბლიის განმარტებანში ვკითხულობთ: „არარატის მთაზე კიდობნის შეჩერების რიცხვად უნდა მივიჩნიოთ ნისანის თვის მე-17 დღე, რაც შეესაბამება ჩვენებური აპრილის დასაწყისს. ხოლო ვინაიდან დაბადების აღმნერის ორ ზემოთ აღნიშნულ ქრონოლოგიურ ტერმინს შორის ჩაიარა 150-ზა დღემ (შესაქმე VII, 24), ამიტომ ამ თვიდან თითოეულზე მოდის 30 დღე, საიდანაც ბევრი ასკვნის, რომ პირველყოფილ ეპოქაში მზის წელინადი არსებობდა და არა მთვარის“ (ლოპუხინა 2000: 110). ძველ დროში პირველი თვე, ახალი კალენდრის მიხედვით, სექტემბრის მეორე ნახევრიდან იწყებოდა. კოკისპირული წვიმა კი წამოვიდა „მეორე თვის მეჩვიდმეტე დღეს“, ძვ. წ. 2370 წელს, ნოემბერსა და დეკემბერში 40 დღე-ლამე გადაუდებლივ წვიმდა (ინტერნეტცნუარო: <http://ka.Wikipedia.Org/> წარლვნა).

საქართველოს ისტორიულ წარსულში წლის კალენდარული დაყოფა ისევე ძველი მოვლენაა, როგორც სხვა ძირძველ, კულტურულ ერებში, თუმცა, ბიბლიის მიხედვით, განხილული კალენდრისგან განსხვავებით, საქართველოში ძველად წელინადის ათვლა გაზაფხულიდან იწყებოდა. ამ საკითხის შესახებ ვახტანგ კოტეტიშვილი თავის ფოლკლორულ ძიებანში წერს: „უნინ, ჩვენშიც ახალი წელი გაზაფხულზე იწყებოდა, ამისი ისტორიული საბუთებიც არსებობს.

სახელდობრ, აპრილში. ამის საბუთს იძლევა „ცხოვრებაი წმიდისა ნინოისი“ (კოტეტიშვილი 2006: 170). თავის მხრივ, ვახტანგ კოტეტიშვილი იმოწმებს სხვა მკვლევარს, ვინკლერს და აღნიშნავს, რომ „თანავარსკვლავედთა მოძრაობის გზათა კრიტიკული პუნქტები, რისი დადგენაც კალენდრის მიზანს წარმოადგენს, დღეობები იყო“ (კოტეტიშვილი 2006: 171).

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, „ბატონების ნანა“, როგორც შელოცვის უანრის ტექსტი, სიტყვიერ ფორმულებს შეიცავდა, რომელთაგან ერთ-ერთი, ხვავისა და ბარაქის აღმნიშვნელი მეტაფორები, ზემოთ განვიხილეთ, თუმცა ამასთანავე უნდა აღინიშნოს, რომ ავადმყოფის განკურნების სურვილით წარმოთქმული სიტყვიერი ფორმულები სიცოცხლის სიკვდილზე გამარჯვების მთავარი არქეტიპების, მითოლოგება-იდიომებისა და ხალხის კოლექტიურ ცნობიერებაში დალექილი საკრალური მნიშვნელობის ლექსიკური ერთეულების სახით უნდა შემოჩენილიყო (აღსანიშნავია, რომ წარლგნის შრეების არქეოლოგიურად დამოწმებული ფაქტი კავკასიისა და შუამდინარეთის ფოლკლორში ასახულ შინაარსთან ერთად სამეცნიერო მასალას წარმოადგენს). შესაბამისად, „ვერდ“, როგორც ბევრად ძველი ლექსიკური ერთეული, ვიდრე „ვერხვი“ (იხ. სარჯველაძე ზ., ძველი ქართული ენის სიტყვის კონა, თბ., 2001), მოცემულ კონტექსტში (სიცოცხლის სიკვდილზე გამარჯვების აღმნიშვნელი სიტყვიერი ფორმულა) წარლგნის ისტორიული შრის დამადასტურებელი არქეოლოგიური ფენების ფოლკლორული ეკვივალენტი უნდა იყოს, რადგან არარატის მთაზე ნოეს კიდობანი სწორედ ვერძის ზოდიაქოს პერიოდში, ნისანის თვეში შედგა/დადგა/შეჩერდა.

მაშასადამე, „ვერძის სახლი/ ვერძის საძირკველი“ თორმეტი ზოდიაქოს თორმეტ ციკლს უნდა უკავშირდებოდეს და თუ, ერთი მხრივ, ვერძი, როგორც ზემოთ დავასაბუთეთ, ზოომორფული სიმბოლოებით უხვი კულტურებისთვის, მესაქონლეობის, როგორც წამყვანი სამეურნეო დარგის მქონე ერების ცნობიერების ღრმა ფენებისთვის დამახასიათებელი არქეტიპია (შდრ. ვეშაპოიდების არქეოლოგიური კვლევის მასალები, ვერძისთავიანი დარბაზი, ვერძის საკულტო გამოსახულებები), მეორე მხრივ, ტექსტის ბევრად ღრმა შრეებში სიტყვათა კავშირი „ვერძის სახლი/ ვერძის საძირკველი“ თორმეტი ზოდიაქოდან ერთ-ერთის, ვერძის ეტლის

იდენტური სახე-სიმბოლო და მითომეტაფორა (ხ. თავდგირიძე) უნდა იყოს.

რუსთველური სიბრძნისმეტყველება იცნობს მზის ეტლის ცვლას თორმეტი თანავარსკვლავედის/ თორმეტი ზოდიაქოს ნიშნის მიხედვით. ტერმინი „მზის ეტლი“ რუსთველური სახე-სიმბოლოა და იმავე ზოდიაქოს სახლს ნიშნავს. „ვეფხისტყაოსნის“ ერთ-ერთ სტროფში კირჩხიბის თანავარსკვლავედის ეტლზე – სარატანის ეტლზე, კირჩხიბის სახლზეა საუბარი, რაც „ვერძის სახლის/ ვერძის საძირკვლის“, როგორც „ვერძის ეტლის“ განმარტებისთვის ნიშნეულ მაგალითად შეგვიძლია მივიჩნიოთ:

მოწურვილ იყო ზაფხული, ქვეყნით ამოსლვა მწვანისა,
ვარდის ფურცლობის ნიშანი, დრო მათის პაემანისა,
ეტლის ცვალება მზისაგან, შეჯდომა სარატანისა,
სულთევნა, რა ნახა ყვავილი მან, უნახავმან ხანისა (1337).

„ვეფხისტყაოსნის“ პწკარედულ განმარტებაში ამ სტროფის შინაარსი ასეა გადმოცემული: „მოახლოებული იყო ზაფხული, ბუნება მწვანედ იმოსებოდა, ვარდი იშლებოდა, რაც მათი (ავთანდილისა და ტარიელის) შეხვედრის დროზე მიანიშნებდა; მზე კირჩხიბის ზოდიაქოში შესასვლელად ემზადებოდა; ავთანდილმა ამოიოხრა, როდე-საც დიდი ხნის უნახავმა ვარდი დაინახა“ (რუსთაველი 2013: 357).

ამავე კონტექსტს ადასტურებს სიტყვათა კავშირი „ვერხვის სახლი/ ვერხვის საძირკველი“, რადგან ნოემ კიდობანი ულპობელ ხეთაგან, ურთხელის ძელთაგან ააგო (შესაქმე VI, 14-20). შელოცვათა უანრისა და აკვნის სიმღერათა ტექსტებში კი, ზემოდასახელებული სიტყვიერი ფორმულების, საკრალური მნიშვნელობის სახე-სიმბოლოთა გამოყენების თვალსაზრისით, სავარაუდოდ, კიდობნის ბიბლიურ სახე-სიმბოლოს განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა. სამეცნიერო ნაშრომში „ქართული საბავშვო ფოლკლორის მითოსური და ქრისტიანული მსოფლმხედველობა“ შელოცვათა უანრის ტექსტებთან დაკავშირებით აღნიშნულია: „კიდობანს განსაკუთრებული ფუნქცია ენიჭება როგორც ყოფაში, ისე შელოცვაში. იგი დიდი ძალის აღმნიშვნელია. კიდობანი განასახიერებს საუნჯეს, განძს, სულიერ მადლს... კიდობანი ქრისტიანულ სიმბოლიკაში ღვთისმშობლის გამომსახველია და ასევე შელოცვებში

ფეხმძიმობის აღმნიშვნელი „კიდობანი“ – ორსულობის განუყოფელი საზრისია და ცხრა თვეს – ცხრა რიცხვის სიბოლოებას ერწყმის: „მე – არა, ძემ და მამა-სულმა წმიდამ, ცხრა მულმა და მულის წულმა კიდობანი შეკრა, შეპეჭდა, დრომდე ჩემი ფეხმძიმობა, ჩემ მუცელში ბავშვი ამყოფე“... „მე და მამიდა ძმისშვილმა კიდობანი შევკარით“ (კაპანაძე 2006: 10, 11).

ჩვენი მსჯელობის განვრცობითი ფორმა, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, არა მარტო კონკრეტული ფოლკლორული ტექსტის, ამ შემთხვევაში კონკრეტული „ბატონების ნანას“ განხილვას ემსახურება, არამედ ზოგადად, შელოცვათა, საწესჩვეულებო სიმღერებისა თუ ფოლკლორული ტექსტების მითოლოგიური და არქაული ძირების კვლევის სქემის კერძოობითი ფორმის პრეზენტაციას ისახავს მიზნად. შესაბამისად, შელოცვისა თუ საწესჩვეულებო ჟანრის ლექსის/ სიმღერის მითოლოგიური ძირის გამოსახვა ე.წ. მითოლოგება-იდიომებით (ზ. კიკანაძე) ტექსტის არქაული საწყისის საკვანძო მოცემულობას, ეტიმოლოგიური ჯაჭვის სათავე როგოლს წარმოადგენს. შესაბამისად, „ვერძის სახლის, ვერხვის საძირკვლის“/„ვერხვის სახლის, ვერძის საძირკვლის“ სახე-სიმპოლოთა გენეზისის, ეტიმოლოგიური ძირის დაკავშირება წარღვნის ზეპირსიტყვიერებაში ასახვასთან (შდრ. წარღვნის შესახებ მითს იცნობს მსოფლიოს თითქმის ყველა ძირძველი ერის მითოლოგია) შესაქმის წიგნში ნოეს შესახებ გადმოცემული ამბის დეტალებისა და განმარტებების გათვალისწინებას მოითხოვს. კერძოდ, ნოეს დროს დამწერლობის ანბანური სისტემა არ არსებობდა, თუმცა პიქტოგრამული დამწერლობა აუცილებლად უნდა ყოფილიყო, რადგან, ფაქტია, ნოემ კიდობის მშენებლობის დროს ზუსტი საზომები გამოიყენა – „წყრთა“ (შესაქმე VII). აქედან გამომდინარე, დროის აღრიცხვის მიზნით თვეების არა მარტო სახელწოდებებით, არამედ ზოომორფული (მაგ.: ვერძი, კურო, ლომი, კირჩიბი, ღრიანკალი) თუ ანთროპომორფული (მარჩბივი, მერწყული) სიმბოლოებით გამოსახვა წმინდად პრაგმატული საფუძვლისა უნდა იყოს, თუკი გავითვალისწინებთ, რომ დამწერლობის სახეობა პიქტოგრამული იყო, ხოლო თანავარსკვლავედთა ფორმები (მაგ.: ვერძის თანავარსკვლავედი, კირჩიბის თანავარსკვლავედი) მზის კალენდრის ასახვის მიზნით/ მზის ეტლის შეცვლის ასახვის მიზ-

ნით სწორედ ზოომორფული და ანთროპომორფული სახე-სიმბოლოებით გამოისახებოდა.

სულხან-საბა ორბელიანის „ლექსიკონი ქართული“ ეტლს ასე განმარტავს: „ესე არს ურმის მსგავსი კამაროსანი დიდებულთ საჯდომელად. გარეშეთა წიგნთა ეტლად აღუწერიათ 12 ზოდიანი და შვიდინი ცოტომილი ვარსკვლავნიცა“ (ორბელიანი 1991: 288). უშუალოდ ზოდიაქოს სულხან-საბა ასე განმარტავს: „ესენი არიან სახელნი და ნიმანნი სახეთა მათთანი და რომელთა თთვესა მიითვალავს მზე მათ: ვერძი თოვესა მარტია 20 მიითვალავს მზესა, კურო – აპრილსა 20, მარჩბივი – მაისსა 21...“ (ორბელიანი 1991: 284).

საგულისხმოა, რომ ვერძის ზოდიაქოს მნიშვნელობას, მის წარმოქმნას ბერძნული მითოლოგია კავკასიას, კერძოდ კი კოლხეთსა და აიეტის ქალაქს უკავშირებს. დედინაცვლისგან დევნილი ჰელე და ფრიქსე მფრინავმა ვერძმა გადაარჩინა. ჰელე ზღვაში ჩავარდა, ხოლო ფრიქსე მფრინავმა ვერძმა მზის ღმერთის, ჰელიოსის შეილთან – აიეტთან მიიყვანა. ვერძის ნებით, ის ზევსს შესწირეს და მისი საწმისი ყველაზე მაღალ მუხაზე დაკიდეს (ინტერნეტზე: www.astrology.com, იხ. ვერძის, ოქროს საწმისის სახე-სიმბოლოს მითოლოგიური ძირების განმარტებისთვის ცანავარ., „Opuscula“, გამომც. „ლოგოსი“ 2015: 8-32).

ვერძის მითომეტაფორისა და წარლვინის ურთიერთკავშირზე უნდა ითქვას, რომ ნოემ კიდობნიდან გადმოსვლის შემდეგ მაშინვე სამსხვერპლო აღმართა და მსხვერპლი შესწირა უფალს. ამ ნესის ტრადიციად შემონახვის კვალი წარმართულ რიტუალებშიც იკითხება. ამის შესახებ თ. ოჩიაური ნერს: „ჩვეულებრივ, საკლავის დაკვლის დროს, ჯვარში უნდა დარჩენილიყო საკლავის მცირე ნანილი: ბეჭი, თავი ან ტყავი“ (ოჩიაური 1967: 92). მაშასადამე, ცხვრის ტყავი უძველესი დროიდან მოყოლებული საწესო, რიტუალურ, ტრადიციულ მოქმედებას შემორჩა, როგორც საკრალური მნიშვნელობის ნივთი. სწორედ ამით აიხსნება ვერძის, ცხვრის, ცხვრის ტყავის და მასთან დაკავშირებულ სახე-სიმბოლოთა დომინირება საწესრვეულებო ტექსტებში.

როგორც ვიცით, მითებისა და ისტორიულ ფაქტებზე დაფუძნებული თქმულებების სახისმეტყველებითად, მითოლოგება-იდიომებითა და მითომეტაფორებით განტოტვა სხვადასხვა ფოლკლორულ ტექსტში ზეპირსიტყვიერებისთვის ბუნებრივი მოვლენაა.

სწორედ ეს გვაძლევს საფუძველს ამ მცირე რიტუალური ტექსტის, სანესჩვეულებო სიმღერის – „ბატონების ნანას“ მითოლოგება-იდ-იომები შესაბამის სახისმეტყველებით და მითოლოგიურ ანალიზს დავუკვემდებაროთ. ამ მხრივ ნიშნეულია, რომ ფოლკლორისტები იცნობენ ამირანის მითის იმ ვერსიას, რომელშიც „უკარო კოშკზეა“, საუბარი, „უკარო კოშკზე“, რომელიც სიცოცხლის დასრულებისა და კვლავ დაბრუნების ასტრალურ ციკლს უკავშირდება. ამის შესახებ მერი ხუხუნაიშვილი-წიკლაური წერს: „სოლომონი ამირანის გაჩენამდე აღმოსავლეთით მიდის, უკარო კოშკს იშენებს და შიგ კვდება. სხვა კახურ ტექსტში ამირანის მამა უადალია. იგი ამირანთან ერთად ქვეყნის ბატონ-პატრონია. მეგრულ ფოლკლორში „უადალი“ დასავლეთია, „ბჟაიოლი“ – აღმოსავლეთი. ამირანი მამის საძებნელად მიდის, უკარო კოშკს პოულობს, კოშკს შეამტკრევს, შიგ დასვენებულ მამას ასაფლავებს და მამის დაუძინებელ მტერს, ბაყბაყ დევს კლავს“ (ხუხუნაიშვილი-წიკლაური 2014: 29).

„უკარო კოშკი“ ნახევნებია ამირანის მითის სხვა ვერსიებშიც: „ამირანის თქმულების ზოგიერთ ვარიანტში ძმებთან, ბადრისთან და უსუბთან ერთად სანადიროდ ნასულ ამირანს ოქროსრქიანი ირემი წამოუხტება. მის ნაკვალევს სამივე უკარო კოშკთან მიჰყავს, რომელსაც მზე სხივს სტყორცნის და მზის სხივის ნატყორცნზე კოშკს კარი შეებმება. კარს ამირანი შეხსნის. კოშკში ლომი ასვენია, რომელიც სანადიროდ წამოსულთა ნათესავია“ (ხუხუნაიშვილი-წიკლაური 2014: 29).

გავიხსენოთ, რომ წარღვნის დაწყებამდე კიდობნის კარი „უფალ-მა დახხმა“. „შესაქმის“ მეშვიდე თავში ვეკითხულობთ: „და დაპეხმა უფალმან ღმერთმან გარეგანით მისა კიდობანი და იქმნა რღუნა ორმეოც დღე და ორმეოც დამე ქუეყანასა ზედა“ (შესაქმე VII, 17). შესაბამისად, ნოეს კიდობანს კარი კიდეც ჰქონდა და კიდეც არ ჰქონდა, რადგან ნოეს კიდობანი ლოთის კარნახით აშენდა, ღმერთმა დაგმანა – ნოეს კიდობანი, ფაქტობრივად, ხელთუქმნელი იყო.

მაშასადამე, შელოცვის, სანესჩვეულებო და აკვნის სიმღერათა საკრალურ-რიტუალური დანიშნულებიდან გამომდინარე, ამგვარი ფოლკლორული ტექსტები, რომლებიც სახე-სიმბოლოების სიუხვით გამოირჩევიან, მითოლოგებს შეიცავენ. ზურაბ კიკნაძე ამის ნიმუშად ერთ ფშაურ ლექსს განიხილავს და მასში ექვსი ძირითადი მითოლოგების მნიშვნელობაზე საუბრობს, ესენია: მთა; ჯაჭვი,

რომელიც ოქროსია და მასზე მიბმულია წმიდა გიორგი; ხე, როგორც კოსმიური ხე (იხ. ფოლკლორულ ტექსტებში სიცოცხლის ხის განმარტებისთვის – ცანავარ., „Opuscula”, გამომც. „ლოგოსი” 2015: 8-32); კიბე, როგორც ორი სკნელის კავშირი; მსხვერპლი, როგორც რიტუალის მთავარი ატრიბუტი და ღმერთთან ურთიერთობის წინდი; და ბოლოს, წმიდა გიორგი, რომელიც სიწმინდეს განასახიერებს. საბოლოოდ კი ზურაბ კიკნაძე დაასკვნის: „ცისა და მიწის კავშირის სიმბოლოები, ძირითადად, სამყაროს შუაგულის გამომხატველია. დამატებით, ბერძნებთან დელფოს ტაძრის თეთრი ქვა – ომფალოს, სამყაროს ჭიპი; ასევე აგნის ცეცხლი, ანუ სამსხვერპლო ცეცხლი, როგორც ინდურ წარმოდგენებში; და საზოგადოდ, ყოველი კერა, სადაც ცეცხლი ანთია; ბერძნული ჰესტია. კერა სამყაროს ცენტრიც არის და სახლისაც. შუაგული შეიძლება წარმოვიდგინოთ კონცენტრიული წრეების სახით: სამყარო-ქვეყანა-ქალაქი-სახლი-კერა” (კიკნაძე 2008:59).

ზემოთქმულიდან გამომდინარე, როგორც წინამდებარე მსჯელობის დასკვნა, ჩვენ მიერ განსახილველი „ბატონების ნანას“ მითოლოგემა-იდიომები („სახლი დავდგი ვერხვისა, საძირკველი ვერძისა“/ „სახლი დავდგი ვერძისა, საძირკველი ვერცხლისა“) და მითომეტაფორები ასე შეიძლება განვმარტოთ: „ვერძის სახლი/ ვერძის საძირკველი“, როგორც ტექსტის პირველსაწყისის ასტრალურ-მითოსური ციკლის აღმნიშვნელი ლექსიკური ერთეულები ბიბლიურ პატრიარქ ნოეს უკავშირდება. ნოე, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, კალენდარულ დროს ცაზე თანავარსკვლავედთა განლაგების მიხედვით აღრიცხავდა. ნოეს ეპოქაში, როგორც ვთქვით, დამწერლობა პიქტოგრამული უნდა ყოფილიყო. შესაბამისად, შესაძლოა, ნოე კალენდარს პიქტოგრამული სიმბოლოებით გამოსახავდა, რომლებიც წარმოდგენილია, როგორც ზოომორფული, ისე ანთოპომორფული ფორმებით. ნოეს ეპოქაში ჯერ მზის კალენდარული სისტემა მოქმედებდა. ჩვენ მიერ განსახილველი „ბატონების ნანას“ ლექსიკური ერთეულები: „ვერძი“, „ვერხვი“ (მდრ. ურთხელი, ულპობელი ვარჯის სხვადასხვა სახეობის ხები, რომელთა ძელებითაც ნოემ კიდობანი ააგო — შესაქმე VII), „სახლი“, „ვერცხლი“ და მითოლოგემა-იდიომები: „სახლი დავდგი ვერძისა“/ „სახლი დავდგი ვერხვისა“; „საძირკველი ვერხვისა“/ „საძირკველი ვერძისა“ ვერძის ეტლს და ამ თანავარსკვლავედში მზის დავანებას გულისხმობს.

ვერძის ეტლი კი, ბიბლიური წლის მიხედვით, იმ თვის გამომხატველია, რომელიც არარატის მთაზე კიდობნის დადგომას/შეჩერბას/ შედგომას უკავშირდება, რაც სიკედილზე სიცოცხლის გამარჯვების, წარღვნის დასრულების, სიცოცხლის მარადიულობის სიმბოლოა და ეს არქეტიპი შუამდინარეთისა და კავკასიის ცივილიზაციის ხალხთა ცნობიერებაში (შდრ. კავკასიისა და შუამდინარეთის ხალხთა ტრადიციით წელიწადი გაზაფხულზე, კერძოდ, აპრილში იწყებოდა – კოტეტიშვილი 2006: 170, 171) საკრალური მნიშვნელობის რიტუალური ტექსტების წარმოთქმისას, რაც თაობიდან თაობას ზეპირად გადაეცემოდა, წარღვნის დასრულების აღმნიშვნელი სახე-სიმბოლოს ფორმით უნდა შემორჩენილიყო.

ამრიგად, ჩვენ მიერ განსახილველი „ბატონების ნანას“ ტექსტი საინტერესო არქეტიპულ ცნებათა ჯაჭვს და მითოლოგიურ თუ ბიბლიურ ეტიმოლოგიურ ფუძეს შეიცავს, რაც მცირე, მაგრამ სტატიის ავტორისთვის სუბიექტურად მნიშვნელოვანი წვლილია ქართული ფოლკლორის საგანძურში.

დამონვებანი:

აპაშიძე 1991: აპაშიძე პ. ქართული მითოლოგიის საკითხები. თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1991.

ბარდაველიძე 1939: ბარდაველიძე ვ. სვანურ ხალხურ დღეობათა კალენდარი. I. თბილისი: 1939.

დეკანოზიშვილი 2014: დეკანოზიშვილი ქ. „მამლის სიმბოლიზაცია ფოლკლორული და ეთნოლოგიური მასალების მიხედვით“. ქართული ფოლკლორი, 7(XXIII). თბილისი: შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი, 2014.

ელაშვილი 2014: ელაშვილი ქ. „ერთი ფოლკლორული არქეტიპის „ლიტერატურული ველი“. ქართული ფოლკლორი, 7(XXIII). თბილისი: შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი, 2014.

თავდგირიძე 2016: თავდგირიძე ხ. „მითის ენა თანამედროვე პოლიტიკურ დისკურსში (პოლიტიკური მითომეტაფორა)“. ქართული ფოლკლორი, 8 (XXIV). თბილისი: შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი, 2016.

კაპანაძე 2006: კაპანაძე ნ. ქართული საბავშვო ფოლკლორის მითოსური და ქრისტიანული მსოფლმხედველობა. თბილისი: გამომცემლობა „მეცნიერება“, 2006.

კიკნაძე 2008: კიკნაძე ზ. ქართული ფოლკლორი. თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2008.

კოტეტიშვილი 2006: კოტეტიშვილი ვ. ფოლკლორული ძიებანი. თბილისი: გამომცემლობა „მერანი“, 2006.

ლოპუხინა 2000: ლოპუხინა ა. პ. ბიბლიის განმარტებანი. წიგნი I. თბილისი: გამომცემლობა „მერმისი“, 2000.

ოჩიაური 1967: ოჩიაური თ. მითოლოგიური გადმოცემები აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში. თბილისი: გამომცემლობა „მეცნიერება“, 1967.

ორბელიანი 1991: ორბელიანი ს. ს. ლექსიკონი ქართული (რედ. ე. მეტრეველი). თბილისი: გამომცემლობა „მერანი“, 1991.

რატიანი 2014: რატიანი ნ. „ზოგიერთი მხატვრული სახის ტრანსფორმაციის რამდენიმე ასპექტი აკვის სიმღერებში“. ქართული ფოლკლორი, 7(XXIII). თბილისი: შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი, 2014.

რატიანი 2016: რატიანი ნ. „მხატვრულ სახეთა ტრანსფორმაციის ფორმები ქართულ სამონადირეო ეპოსში“. კრებული: მხატვრული აზროვნების ტრანსფორმაციის ფორმები ქართულ ფოლკლორში. თბილისი: შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი, 2016.

რუსთაველი 2013: რუსთაველი შოთა. ვეფხისტყაოსანი (ტექსტის პწკარედული განმარტება). თბილისი: გამომცემლობა „მერიდიანი“, 2013.

ქართული ფოლკლორი 2014: ქართული ფოლკლორი, 7 (XXIII). თბილისი: შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი, 2014.

ქართული ფოლკლორის ლექსიკონი 1975: ქართული ფოლკლორის ლექსიკონი (რედ. მ. ჩიქოვანი). თბილისი: გამომცემლობა „მეცნიერება“, 1975.

ქართული ხალხური საუნჯე 1991: ქართული ხალხური საუნჯე (რედ. ა. ცანავა). თბილისი: გამომცემლობა „დიდოსტატი“, 1991.

შესაქმე 1989: ნიგნი ძუელისა აღთქმისანი შესაქმისაი, გამოსლვათაი. თბილისი: გამომცემლობა „მეცნიერება“, 1989.

ცანავა 2015: ცანავა რ. 'Opiscula'. თბილისი: გამომცემლობა „ლოგოსი“, 2015.

ხუხუნაიშვილი 2014: ხუხუნაიშვილი-წიკლაური მ. „ასტრალური მითოსური აზროვნების კვალი ამირანის თქმულებაში“. ქართული ფოლკლორი, 7(XXIII). თბილისი: შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი, 2014.

ინტერნეტწყარო: www.astrology.com

ინტერნეტწყარო: <http://ka.Wikipedia.Org/> წარდგნა//

One Version of Lullaby – Specific and General Meaning

Summary

The present article contains one original version of folk-song, lullaby, which is also reminding spiritual folk-song of specific genre – prayer against infectious illnesses. The lyric contains sacral meaning and verbal formulas of prayer: idioms and metaphors. This symbols have specific etymology and the present article contains detailed analysis of following symbols, metaphors and idioms. They are: 'sheep's house'; 'sheep's basis'; 'house of wood'; 'basis of wood'; 'silver basis'. As scientific analysis revealed, the mythological meaning of following symbols are connected with myth of Noah and the Flood, as Noah and his sons and his wife and his sons wives entered the ark to escape the waters of Flood. The ark was stopped on Mount Ararat in April, which is The Ram's zodiac period. The Ram is the same as sheep – that's why the symbol of the sheep was connected with symbols of victory of life and it's sacral meaning was used by singers of specific genre of prayers.

სიკვდილის გამოხმობის ფოლკლორული ილუსტრაციები

უძველეს ცივილიზაციათა უმეტესობაში თვითმკვლელობის მოწოდების ინტერპრეტაცია ძირითადად ზნეობრივი დისკურსის სახით ხდებოდა. სწორედ ამიტომაც იმ ხანად, საკუთარი სიკვდილის ნებაყოფლობითი გამოხმობა წარმოადგენდა თავისუფლების ერთობ დამაფიქრებელ ქცევის ნორმას. სავარაუდოდ, ამ მხრივ არც წარმართული საქართველო უნდა ყოფილიყო გამონაკლისი, ერთი შეხედვით, ეს სპექტრი ათასწლეულების მიღმა ჩაიკარგა, თუმცალა ამ თავსატეხის გასაღები მაინც იძებნება ფოლკლორულ სახეთა უჩვეულო გამომსახველობისა თუ არქეტიპულ ქვეტექსტებში. აქვე ისიცაა გასათვალისწინებელი, რომ სწორედ ფოლკლორის მეშვეობით ხდება ერის „კულტურული მეხსიერების“ შენარჩუნება, რაც გვაძლევს საშუალებას ჩვენს ეთნოკულტურაში არსებული „გამოტოვებული ფურცლები“ შევავსოთ.

ათვლის ამ წერტილიდან უნდა აღვიქვათ სიკვდილის გამოხმობის ფოლკლორული ილუსტრაციებიც. ამ მხრივ განსაკუთრებით მეტყველი მთის ფოლკლორია, სადაც სუიციდის ქართული საზრისი სულისრყევის იდუმალი ბიძგებით უნდა შევიცნოთ და შესაბამისად, მთის ყოვლისმომცველი თავისუფლებით წავიკითხოთ ცდომილ სულთა უჩვეულო ბედისთქმა.

აქ, მთაში – ღირსების საცალფეხო ბილიკით მიუყვებოდნენ ხოლმე გრძნობის თვითდინებას,* რომელიც მწვერვალთა უსასრულობაში თითქოსდა უკვალოდ ქრებოდა. ეგებ იმიტომ, რომ ისინი უმეტესწილად აუხდენელი სიყვარულის ვერმწვდომნი იყვნენ, თუმცალა სულის მგრძნობელობით ეგზომ ამაღლებულნი თავადვე მიმართავდნენ საკუთარი „ბედის ქცევას“ – წინმსწრებად სიკვდილის გამოხმობით. ამ „გზას“ მით უფრო ქალები ადგებოდნენ; ისინი არც ქალური ღირსების შელახვას პატიობდნენ საკუთარ თავს და არც გრძნობის სიკვდილით დაჩრდილვის ცქერა შეეძლოთ აუმღ-

* აქ, უპირველესად იგულისხმება წარმომადა და სწორფრობა – ვნებათალელვის ფრიად უჩვეულო ტრადიცია, რომელიც ზოგჯერ მსხვერპლსაც ითხოვდა.

ვრევლად. ეს იყო მთაში საკმაოდ გავრცელებული „ზნე-ლირსება“, რომელიც „ტრაგიზმის კეთილშობილების“ ნისლით იბურებოდა და გარკვეულწილად ამსხვრევდა კიდეც სუიციდის სტიგმას.

სხვათა შორის, მთაში ამოზრდილი ქალი, სიკვდილის გამოხმობის ჟამსაც კი, ძლიერ ნებელობას ავლენდა; იქნებოდა ეს „ძმობილის დამბაჩა“ თუ „პირბასრი ხანჯალი თუ ხმალი“, ანდა მთის მდინარის თვითდინებაში ჩაკარგული ქალური მშვენიერება.... სწორედ ამგვარი ფოლკლორული ილუსტრაციები წარმოადგენდა წინარესახეს ეთნოკულტურისა თუ ეთნოფსიქოლოგისა, რომელ-ნიც უძველეს წეს-ჩვეულებებში საგულდაგულოდ იყო ჩაკარ-გული. იქ – სადაც განუზომელი თავისუფლება სუფევდა და სადაც მისი „უზენაესობა“, თავად ადამიანი, იყო არა მარტო ცხოვრების „მწერალი“, არამედ ზოგჯერ საკუთარი სიკვდილის განმკარგა-ვიც. ეგებ ამან განაპირობა მთაში თვითმკვლელობის ფენომენის დანერვგა – ლირსების სახელთან* წილნაყარობით, რაც საკუთა-რი სრულყოფილებისა თუ განუზომელი თავისუფლების შეცნო-ბის ერთგვარი გზაც იყო. ამიტომაც, „წუთისოფლის სანთლის“ ჩამქრობთ „საიქიო სამზადისში“ არ აბრკოლებდნენ... სუიციდის მთის მიზანსცენებს (ფოლკლორულსა თუ ლიტერატურულს) თავად მთა განკარგავდა თავისი ზნითა თუ არსით: მთასთან წილნაყარ პიროვნებას „მშვენიერ სიცოცხლისა“ (ვაჟასეული პერიორაზი) და „კეთილშობილი სიკვდილის“ ქიმზე უწევდა სი-არული, მისთვის სიკვდილზე „დიდი ტკივილი“ გადათელილი ლირსება იყო – ღალატის განსაცდელითა თუ გრძნობის მარტო-შთენილობით დამძიმებული. ასეთ დროს სრულიად ქრებოდა ხოლმე თვითმკვლელობის სტიქიური ენერგია და თვითმკვლელიც სულისრყევის დაამებას სიკვდილთან „შეთამაშებაში“ ეძიებდა, რათა უსასრულობის შეუცნობლობაში ჩაეკარგა თვითიერ თავი.

რაც მთავარია, გარშემომყოფთათვის „ისინი“ მსხვერპლად თუ სუსტ პიროვნებებად როდი მიიჩნეოდნენ, პირიქით – მათში ცხოვრებასთან შერკინების მსურველთ ხედავდნენ; ამგვარი იყო სწორედ აღათო – „ჭორის აბლაბუდაში გაბმული“ ცით მოწყვეტილი მნათობი, რომელიც „დაბადებით ყოფილა ისეთი ბედისა, ძალიანაც რომ ჰყვარებოდა ეს ცხოვრება და ბევრსაც ცდილიყო,

* ზოგი კი – უსახელო, „სირცხვილიან სუიციდის“ მიმართავდა (წიწოლას მსგავსად), რასაც მთა უჩინრად შთანთქავდა....

დიდხანს მაინც ვერ იცოცხლებდა, დიდი და ბედნიერი სააქაო არ ექნებოდა...“ მაგრამ ყველაზე გულისშემძვრელი მაინც ისაა, რომ სიყვარულისთვის შექმნილმა, მხოლოდ ალაზნის წყლით შეძლო „აგორებული ჭუჭყის“ ჩამორეცხვა. – არადა, თვითმკვლელობის უამსაც კი – მისმა სათუთმა და უმწეო სულმა ქალური რიდის ერთი შტრიხიც გაითვალისწინა, „კაბის ბოლო მანდილით ჰქონდა შეკრული წყალმა არ წამყაროსო...“ (თათარაიძე ... 2009: 3-22). ეს ჩვეულებრივი სიცოცხლის მოსწრაფვა როდი იყო მარტოოდენ, ამით ხომ მთას უჩვეულო სინათლე შეემატა. სამწუხაროდ, მსგავსი არაერთი „ბედისთქმა“ ჯერაც წაუკითხავია...“ (ელაშვილი 2016: 85).

განსაუთრებულად დრამატულ სიტუაციებს წარმოშობდა ფშავური წანლობისა თუ ხევსურული სწორფრობის ტრადიცია. ვაჟა-ფშველა თავის ეთნოგრაფიულ წარკვევში „ფშაველები“ წერდა: „წანლობა წმინდა მოვალეობად მიაჩნია ფშაველს, ის ამბობს: „წანლობა ლაშარის ჯვრის ყმას მოუდისო“. ფშაველებში არსებობს ზეპირადმოცემა, რომ ვითომც ეს ჩვეულება ლაშა გიორგის შემოეღოს...“. თუმცა ამ უღრუბლო პასაქს წინ უსწრებს ერთობ დრამატული ჩანართი „დანაშაულისა და სასჯელის“ შესახებ: „ძველს დროში თუ წაბუშარს გააჩინდნენ, ორივეს – კაცსა და ქალს სახალხო ხიდისყურზე ჩაქოლავდნენ, რომ გამვლელ-გამომვლელს ყველას ენახა“ (ვაჟა-ფშაველა 1961: 16). ერთობ მნირ ინფორმაციაში ამ უცნაური ადათის თაობაზე, გამოირჩევა გამოჩენილი ქართველი ეთნოგრაფის, სერგი მაკალათიას მიერ 1925 წელს გამოცემული ბრიშურა – „ფშავური წანლობა და ხევსურული სწორფრობა“, რომელშიც ვკითხულობთ: „ძმობილის შერთვა სირცხვილია და სასტიკად აკრძალულია, დამნაშავენი თემიდან იდევნებიან, მაგრამ ზოგჯერ მათ შორის ისეთი ძლიერი სიყვარულია, რომ სხვებთან შეუღლებაზე უარს ამბობენ და თავს იკლავენ“ (მაკალათია 1925: 14).

ცდომილ სულთა ბედისწერით ატანილი ხევსური ქალები თავდაჯერებულნი მიუყვებოდნენ ხოლმე სწორფრობის მისტიკურ ნისლში ჩაკარგულ სუიციდის საცალფეხო ბილიკს: „ბევრი ხევსური ქალი თავს იკლავს ძმობილის* სიკვდილზე. თავის მოკვლის წინ ის იმზადებს ტანისამოსს, რადგანაც ხევსურეთში ტანისამოსს დასტირიან. იმზადებს იმას, რაც მინაში ჩასაყოლებლად უნდა...“

* სწორფრობისას ქალი ვაჟისთვის „დობილადა“ სახელდებული, ხოლო ქალისათვის კი ვაჟი – „ძმობილია“, გარდაცვლილი დობილის ხსოვნის გამო, ვაჟი სრულებით თავს ანებებდა სწორფრობას...“ (ბ. ბალიაშვილი, „სწორფრობა ხევსურეთში“).

სოფელ დათვისში მოხდა ასეთი ამბავი: ახალგაზრდა 20 წლის ქალს ძმობილი მოუკვდა. დედამ შეატყო ქალს ხასიათის გამოცვლა. ძმობილის თვენახევრის სიკვდილის შემდეგ მოიკლა თავი. იგი დიდი ტირილითა და პატივისცემით თავისი ძმობილის გვერდით და-ასაფლავეს”; კიდევ ერთი ანალოგიური ისტორია; „ქალი (სოფელი ჯუთა) ჩვიდმეტი წლისა იქნებოდა, როდესაც ძმობილი მოუკვდა. ობოლი იყო (ძმა და რძალი ჰყავდა მხოლოდ). ძმობილის სიკვდილის მესამე დღეს მოიკლა თავი მისივე რევოლვერით... ასევე ბევრმა ქალმა მოიკლა თავი* ქმრის დაწუნებით გამწარებულმა...“ (ბალიაური 1991: 55-109).

ზემომოხმობილ ფოლკლორულ წყაროებში კიდევ ერთხელაა გაცხადებული, რომ მთისმეტყველება მთისავე შვილებს უსაზღვრო თავისუფლებას ანიჭებდა, როგორც სიცოცხლით ტკბობის უამს, ასევე სიკვდილთან პირისპირ აღმოჩენისას. სწორედ მთის ზნეობრივი დისკურსი განაპირობებდა, რომ წეს-ჩვეულებათა რიტორიკით სააქაო ცხოვრებაში წრთობილთ, საიქაო სწორებაც ხელენიფებოდათ. შესაბამისად, იკვეთებოდა გარკვეული „ხელწერა“, სადაც თავისუფლების ტრაგიკული ელფერის მიუხედვად, მთის შვილთათვის „სიცოცხლის თვითჩაქრობა“** პიროვნული ზეობის და არა ცხოვრებისეული მარცხის მანიფესტაციას წარმოადგენდა.

სუიციდის ერთგვარ „ისტორიულ ევოლუციას“ თუ მივადევნებთ თვალს, ბუნებრივია, ამ ტრაგი-მსტიკური ფენომენის რაობის ძიებისას, ლიტერატურის კარიბჭესთან რომ აღმოვჩნდეთ. არც ისაა გასაკვირი, რომ ყველაზე უფრო აქ გვეხმარება „მთის შვილთა“ შემოქმედებითი მემკვიდრეობა, სადაც ტრაგიკული არსის პოეტურ ბუნებასთან თანაწყობისას, თვითმკვლელობა ესთეტიკურ ფენომენად გარდაისახება: ვაჟასთან ამ ზეგანცდის ირაციონალური აქცენტები იჩენს თავს, ხოლო რაც შეეხება ყაზბეგს (რომელ-თანაც ესოდენ ხშირად ვაწყდებით სუიციდს), აქ თავად ავტორი***,

* თვითმკვლელობის შესახებ მნიშვნელოვანი ფოლკლორული წყაროებია ნაშრომებში: ა. არაბული, „სამგლოვიარო პოეზია“, 2006; ბ. აზიკური, „მგოსანი გლოვისანი“, 1986.

** ქ. ელაშვილი, „სიცოცხლის თვითჩაქრობის ესთეტიკა“, ლიტერატურული ძიებანი, XXXVII, 2016: 85-90.

*** ზ. აბზიანძე, „უცნობი ყაზბეგი“, 2014: 50. „ძნელია სიცოცხლეზე ხელჩაქნეული ადგიანის ყურება და კიდევ უფრო ძნელია, როდესაც ერთ რომელსამე ჟესტი ან ქმედებაში თვითმკვლელობის ნაირსახეობას ხედავ. ასე მგონია ყაზბეგისათვის ეს ჟაკოს გაყიდვა იყო...“.

როგორც უშუალი თანამონაწილე ისეა ჩართული ტრაგიკულ მიზანსცენებში. ამით თუ აისხება ფოლკლორულ ნიმუშებთან ყაზბეგისეული ინტერპრეტაციების ემოციური თუ ზნეობრივი თანხვედრა: გავიხსენოთ გუგუას* („ხევისბერი გოჩა“) „ზნელირსებით“ აღსავს თვითმკვლელობა; ანალოგიურ ქმედებას ჩადის აბრაგთა მასპინძელი შაბურა ჭინჭარაულიც**: ამიტომაც იყო, რომ ის „გულით დაეყრდნო ლულას და ამოხოცილი სტუმრების გზას დაადგა თავადვე...“. რადგან მთაში ვაჟაცის ლირსების თუნდაც წამიერ ეჭვებეშ დაყენება სახელის ხელყოფას ნიშნავდა, სრულიად წარმოუდგენლად ითვლებოდა თვითგამართლების ნებისმიერი ფორმა. ასეთ ვითარებაში თვითმკვლელების არსი მამაკაცური ნებელობის პათოსით იმგვარად იმუხტებოდა, რომ ბანალური სუიციდისგან თითქმის აღარაფერი რჩებოდა და პიროვნების თვითგამოხატვის უიშვიათეს სახეს იძენდა.

მთავარი კი მაინც ის იყო, რომ სიკვდილის გამოხმობის ამგვარი, ექსპრესიული ილუსტრაციები კიდევ უფრო ამძაფრებდა ცხოვრების იდუმალი მშვენიერებისა და ფატალური ტრაგიზმის პასრადოქსულ განუყოფელობას.

დამოლექანი:

აპზიანიძე 2014: აპზიანიძე ზ. „უცნობი ყაზბეგი“. ალექსანდრე ყაზბეგი 165. საიუბილეო კრებული. თბილისი: თსუ გამომცემლობა, 2014.

აზიკური 1985: აზიკური ნ. მგოსანი გლობისანი. თბილისი: 1986.

არაბული 2006: არაბული ა. სამგლოვიარო პოეზია. თბილისი: 2006.

ბალიაური 1991: ბალიაური ბ. სწროფრობა ხევსურეთში. თბილისი: 1991.

* „წეოან გითხარი, რომ დამნაშავე არა ვარ-მეთქი... მაგრამ ერთხელ მაგვარის ცილისამების შემდეგ ალარ ვიცოცხლებ-მეთქი... ვაჟაცაცი ერთხელ გადაფურთხებულს ვეღარ ალოვავს... მშვიდობით გოჩავ, მშვიდობით ხალხო! – ამ სიტყვებთან ერთად მნ გუგუა (გუგუა) გაიძორი დამბაჩ, მიიცა ლულა პირში და ტვინი ჰაერში შეასხა...“ (ციტატა „ხევისბერი გოჩადან“, ყაზბეგი 1948: 314).

** შაბურა ჭინჭარაულის ბოსელის სტუმრადმყოფი, შეფარებული სტუმრები (აბრაგები) ამოხოცეს. „–ეახ, დედასა, სირცხვილო! – დაიღრიალა შაბურამ. – ვინ უნდა იყოს მოლალატე, ჩვენ რომ თავზე ცეცხლი წაგვივიდა! – ჩემს სიცოცხლეს ფასი ალარ აქვს! წამოიძახა შაბურამ და წამოიჭრა ფეხზე. მხარზე გადაკიდებული იბის (ერთ-ერთი მოკლულთანი აბრაგი) ნარექარი გერმანული სისტემის თოფი მოიგდო ხელში, ფეხზე შეაყენა და გულით ლულას დაეყრდნო... შაბურამ ლიმბარევი სახე შეატრიალა უფროსი ძმისაკენ – მშვიდობით, ძმაო, წავალ, წამოვენევი ჩემს სტუმრებს, – თქვა და ჩაიკეცა, ხელები დააყრდნო მნაზე და გულადმა დაეცა“ (დ. პანელი, ს. ხანგოვილი, „აბრაგები“, 2012: 293-294).

ვაჟა-ფშაველა 1961: ვაჟა-ფშაველა. თხზულებათა სრული კრებული ხუთ ტომად, ტომი V, თბილისი: გამ-ბა „საბჭოთა საქართველო“, 1961.

ელაშვილი 2016: ელაშვილი ქ. „სიცოცხლის თვითჩაქრობის ესთეტიკა“. ლიტ-ერატურული ძიებანი. XXXVII. თბილისი: თსუ გამომცემლობა, 2016.

თათარაიძე ... 2009: თათარაიძე ე., არაბული ა. აღათო. თბილისი გამომცემლობა, „უნივერსალი“, 2009.

მაკალათია 1925: მაკალათია ს., „ფშავური წანლობა და ხევსურული სწორფრობა“, ტფილისი, 1925.

პანკელი, ხანგოშვილი 2012: პანკელი დ., ხანგოშვილი ხ. აბრაგები. თბილისი: 2012.

ყაზბეგი 1948: ყაზბეგი ა. თხზულებანი. ტ. II. თბილისი: გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, 1948.

Ketevan Elashvili

Folkloric Illustrations of Evoking the Death

Summary

In most ancient civilizations suicide was presented as a moral discourse. That is why, in that period, evoking own death was perceived as the thought-provoking act of liberty.

Supposedly pagan Georgia was no exception from this, but however this spectrum was lost beyond millenniums. The key to this puzzle is mainly found by the folklore expressiveness and in archetype sub-texts. Here is worth mentioning, that exactly folklore makes possible to keep nation's "cultural memory", giving as opportunity to fill in the "missing pages" in ethno culture.

From this reference point folkloric illustrations of evoking the death should be perceived. But most expressive, from this point view, is mountain folklore, where suicide is presented an act of honor and moral phenomena.

ფოლკლორი და ლიტერატურა

ელისაბედ ზარდიაშვილი

ალექსანდრე ყაზბეგის ხალხურ მოტივებზე შექმნილი ლექსები

ალ. ყაზბეგმა თავისი ცხოვრებისა და მოღვაწეობის ძალიან დიდი დრო ხალხურ შემოქმედებაზე ზრუნვას დაუთმო. მწერლის შესახებ არსებული ბევრი მოგონება გვამცნობს, თუ როგორ დადიოდა ის სოფელ-სოფელ, კარდაკარ, კრებდა ხალხური სიტყვიერების მარგალიტებს და დროდადრო აქვეყნებდა კიდეც პერიოდულ პრესაში („ივერია“, 1885, №8; № 12; „თეატრი“, 1886, № 28 და ა.შ.). ალ. ყაზბეგმა თავისი შემოქმედება ფოლკლორული მასალით გააჯერა. ეს საკითხი სპეციალურად შეისწავლა ბ-ნმა ჯემალ ჯაყელმა და ბევრი საინტერესო დასკვნა გააკეთა, მათ შორის ის, რომ ალ. ყაზბეგს თავის შემოქმედებაში „9 ათეულზე მეტი ანდაზა და ხალხური გამოთქმა აქვს გამოყენებული“ (ჯაყელი 1974). მკვლევრის აზრით, ალ. ყაზბეგი ანდაზებს ყველაზე ორიგინალურად იყენებდა თავის პოეზიაში. მაგალითად, ანდაზა „ასჯერ გაზომე და ერთხელ გასჭერი“ „თავისებურად გადააკეთა და აფორიზმამდე აიყვანა სალექსო სტრიქონში „კაცის საქმე გაკიცხვამდე კარგად ასაწონია“. ასევე ორიგინალურად გადააკეთა და გამოიყენა ხალხური ანდაზები საკუთარი ლექსების შემდეგ სტროფებში:

ზოგსა პამპა ძალზე რბილი
ყველგან გაუჩხრიალებსო,
ზოგს კაკალი ხმელს ფიცარზედ
არც კი გაუჩრიალებსო.

გულო, რას დაღონებულხარ,
კაცი თუ გონიერია,
წავა და ყველგან დარჩება,
სოფელი ღონიერია.

ალ. ყაზბეგის ბევრი პროზაული შედევრი, როგორც თვითონ მწერალი გვარმუნებს, აგებულია ხალხურ თქმულებებსა თუ ლეგენდებზე. ამის მაგალითად „ხევისბერი გოჩაც“ იქმარებს, რომლის შესახებ თვით მწერალი აღნიშნავს, რომ ის სიტყვა-სიტყვით მოისმინა სახალხო მთქმელ ღინჯა ხულელისგან. რამდენად სარწმუნოა მწერლის ეს აზრი, ჯერ კიდევ კვლევის საგანია, რადგან სამეცნიერო ლიტერატურაში კარგადაა შესწავლილი „ხევისბერ გოჩასთან“ დაკავშირებული ყველა ხალხური წყარო და არც ერთი მათგანი არც სიტყვა-სიტყვით და არც ზედმინევნითი სიზუსტით არ უახლოვდება მწერლის ტექსტს. ამ თემაზე აქ აღარ შევჩერდებით, რადგან ალ. ყაზბეგის ბიოგრაფიის თანამედროვე კვლევებმა სულ სხვა სურათი მოგვცა: „ხევისბერი გოჩა“ ხალხური თქმულება კი არა, მწერლის ცხოვრების ანარეკლი უფროა...

ალ. ყაზბეგის შემოქმედების ყველაზე რთულ ნაწილს, შესწავლის თვალსაზრისით, მისი პოეზია წარმოადგენს. მაგალითად, მწერლის აკადემიური გამოცემისას ურთულესი პრობლემა იქნება ერთი გარემოება: ალ. ყაზბეგსა და ვაჟა-ფშაველას აქვთ ერთი საერთო ლექსი – „ეს გზაფხულიც მოვიდა“, რომელიც ორივე მწერლის თხზულებათა კრებულებშია შესული. პროფესორმა თამარ ბარბაქაძემ შეისწავლა ამ ლექსის ბეჭდვა-გამოქვეყნების ისტორიები, პირველწყაროები და ამით საფუძველი ჩაუყარა ამ პრობლემის შესწავლის საკითხს, მაგრამ სასურველი შედეგი ჯერ არ ჩანს (ბარბაქაძე 2009: 79). მიღებული დასკვნებით, ლექსი ორივე მწერალს უნდა ეკუთვნოდეს, სასწორი არც ერთის მხარეს არ იხრება. თუმცა აქ მესამე ვერსიაცაა სავარაუდო, იქნებ, სულაც ხალხური შემოქმედების ნიმუშია ამ ორი კლასიკოსის ეს საერთო ლექსი?

ზეპირი გადმოცემებითა და წერილობითი დოკუმენტებით ცნობილია, რომ ალ. ყაზბეგი სცენიდან ხშირად კითხულობდა საკუთარ ლექსებს და მათ ხალხურად ასაღებდა. შესაძლოა, ალ. ყაზბეგის ბევრი ლექსი ხალხური პოეზიის ნიმუშადაც კი იქცა.

1886 წელს მწერალმა პატარა წიგნაკად გამოსცა მის მიერ შეკრებილი ხალხური ლექსების ნაწილი. ამ გამოცემამ საყოველთაო აღტაცება გამოიწვია და „ივერიაში“ დაიბეჭდა დადებითი რეცენზიები („ივერია“, 1886, № 5, № 237). თუმცა აქვე არ შეგვიძლია, არ შევნიშნოთ, რომ არა ეს რეცენზიები და ალ. ყაზბეგის პოლემიკა

აღნიშნულ გაზეთთან ერთი ხალხური ლექსის გადაკეთების გამო („კილო დაუკარგეს ამ გვარის შეცვლით“ – წერდა მწერალი), დღეს ვერავინ გაიგებდა, ვისი შედგენილია ეს მშვენიერი წიგნაკი. სტამბებმა დაარღვიეს საავტორო უფლებები და კრებულზე შემდგენლის, ანუ ალ. ყაზბეგის გვარი არ მიუთითეს.

დღეს საქართველოში ამ პატარა, უნიკალური წიგნაკის მხოლოდ ორი ეგზემპლარია შემონახული. ერთი დაცულია გიორგი ლეონიძის სახელობის ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმში. სწორედ ეს ეგზემპლარი უნდა წარმოადგენდეს, სავარაუდოდ, პირველ გამოცემას, რადგან მასზე მითითებულია მხოლოდ სტ. მელიქიშვილის სტამბა. ხოლო პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის ცალი უნდა იყოს განმეორებითი გამოცემა, გამოცემის ასლი, რადგან მასზეც იგივე წელია მითითებული, თუმცა გარეკანზე ემატება გრ. ჩარკვიანის სტამბა. ძალიან საინტერესოა თვითონ კრებულის შედგენილობა, რომელიც რუბრიკების მიხედვით ასე გამოიყურება: „სარჩევი, მოხევეთა, I საარშიყო, II ნარევი, III სავაჟყაცო, IV რთული, V მოხევის სიმღერები“.

ორივე ამ ეგზემპლარს აქვს ავტორის წარწერა. ლიტერატურის მუზეუმის ცალის მინანერი: „ნიშნად გულითადის პატივისცემისა ლიზა ქართველოვისას მოსაგონებლად მოხევისა 1886-ს ივნისის 3-ს“, ხოლო ეროვნული ბიბლიოთეკის ეგზემპლარის წარწერა ასეთი შინაარსისა: „ხევსურის სამშობლოს ავტორს მოჩეუბარიძის-გან“. გამოცემას ახლავს აგრეთვე ცენზურის ნებართვა: „Дозволено цензурою, 2 Декабря, 1885 г. Тифлисъ“.

გარდა ამ გამოქვეყნებული წიგნაკისა, ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის ალ. ყაზბეგის ფონდში კიდევ ინახება 40-ზე მეტი ავტო-გრაფული კრებული, რომლებშიც შესულია ალ. ყაზბეგის როგორც ორიგინალური, ისე მის მიერ შეკრებილი ხალხური ლექსები. ამ კრებულებზე დაკვირვებამ აჩვენა, რომ მწერალი სხვადასხვა რუბრიკაში აჯგუფებდა ლექსებს. სათაურის ქვეშ – სახალხო ლექსები და მოხევეთა სიმღერები – მას შეჰქონდა ფოლკლორული ნიმუშები, ხოლო რუბრიკაში „მოხევის სიმღერები“, რომელიც ყველა ნაბეჭდ თუ ხელნაწერ კრებულს ბოლოში ერთვის, ათავსებდა საკუთარ ლექსებს. ეს ვარაუდი დიდი ხანია, გვქონდა, რადგან „მო-

ხევე“ და „მოჩხუბარიძე“ ალ. ყაზბეგის თეატრალური და სამწერლო ფსევდონიმებია. ვარაუდი დაადასტურა რამდენიმე ახლად მიკვ-ლეულმა არგუმენტმა.

1886 წლის გაზეთ „თეატრის“ თებერვლისა და ივნისის ნომრებში (№ 8, № 24) განცოფილებაში „ხალხური პოეზია“ მოთავსებულია ს. ღონილაძისგან შეკრებილი ნიმუშები. მას მოსდევს სათაური „მოხევის სიმღერები“ და მასში შესული ლექსების ბოლოს ხელ-მოწერა ა. მოჩხუბარიძე, ანუ ალ. ყაზბეგი. ეს იმის დასტურია, რომ „მოხევის სიმღერები“ მწერალს ეკუთხნის, სხვა შემთხვევაში რედაქცია დააწერდა: შეკრებილი ალ. ყაზბეგის მიერ, როგორც ეს მრავალჯერაა დაფიქსირებული სხვა ნომრებში.

შემდეგ არგუმენტად გამოდგება გაზეთ „ივერიის“ (1886, № 5) რეცენზია, რომელშიც ვკითხულობთ: „სახალხო ლექსები მოხევე-თა და მოხევის სიმღერები. ბევრი ამ პანია წიგნში მოქცეული ეც-ნობება ჟურნალ „ივერიის“ მკითხველს, სადაც შარშან იყვნენ და-ბეჭდილნი, თუმცა ბევრს ახალსაც შეჰვდება. თვითონ ლექსების ღირსებაზე, როგორც ხალხის შეუდარებელ გენის ნაწარმოებზე ჩვენ არაფერს ვიტყვით. ვურჩევთ მხოლოდ ყველას, მოიპოვონ ეს პანია წიგნი (სულ ორი შაური ღირს) და რამდენჯერმე გადაიკითხონ.

აქ არ შემიძლიან, ერთი ორიოდე ლექსი მაინც არ მოვიყვანო ნიმუშად; არ ვიცი კი, რომელი ვამჯობინო: ერთი ერთმანეთზე უმ-ჯობესი არიან. ალალბედზე ვხსნი წიგნსა და მე-7 გვერდიდამ შემდეგი ლექსი მომყავს:

ქალავ, მაგ შენმა თოლებმა
გულს მზისა შუქი ახარა;
გამსხლტი და სხოზედ გასთხოვდი,
ჯავრმა შვილდ-სავით მომხარა.

აი, ან კიდევ მე-15 გვერდზედ:

ქალავ, მითხარი, შენი ვარ,
გულს რაღად დამეხურება?..
მთას თუ მზის შუქი ათბუნებს,
ნისლით არ დაიბურება.

რომელი ნაფიცი პოეტი არ ინატრებს, რომ ოდესმე მისმა მუზამ აღირსოს მას ესეთი უებარი და მოსწრებული შედარება! ამ წიგნის ბოლოს ჩართულია ორი ლექსი, რომელიც, როგორც გვითხრეს, ამ ლექსების შემკრებელს, ბ. მოხევეს ეკუთვნისო. თუ ეს მართალია, მაშ, მივულოცამთ ბ. მოხევეს და გულით ვისურვებთ, რომ ავტორი ამ ორ ლექსზე არ დადგეს და არ აუქციოს ეროვნულ კილოს, რომელიც ესე მშვენივრად და ხელოვნურად გამოჰკრთის ნათქვამ ლექსებში“ („ივერია“, 1886, №5, გვ. 4).

როგორც მკითხველი უკვე მიხვდა, რეცენზიაში საუბარია ალ. ყაზბეგის მიერ 1886 წელს გამოცემულ კრებულზე, რომლის ბოლო განყოფილება არის „მოხევის სიმღერები“. რეცენზენტი აღნიშნავს, რომ ბოლო ორი ლექსი „ქალს სილამაზე ხილადა“ და „ქვეშ-ქვეშ შემოგცერს, თოლს შეგყრის“ საკუთრივ ავტორს ეკუთვნისო. ამ განყოფილებაში („მოხევის სიმღერები“) აღნიშნული ორის გარდა, შედის კიდევ ექვსი ლექსი: „მთიელ ვარ, მთურად ნაჩვევი“, „ვაჟყაცო, სტუმრად მოსულო“, „მარტო ვარ, მარტო ვიმღერი“, „ნადირობ-გამოუცდელი“, „დალოცვილი ხარ, მაჟარო“ და „ქალავ, მაგ შენმა მერდინმა“. საკითხავი ახლა ის არის, რატომ მოათავსა მწერალმა ეს ექვსი ლექსი თავისი ორიგინალური ლექსების განყოფილებაში? მათი ანალიზი გვავარაუდებინებს, რომ ისინიც ალ. ყაზბეგს ეკუთვნის.

ხელნაწერი კრებულებიდან ჩვენ ჯერჯერობით გამოვიკვლიეთ მწერლის ერთი კრებულის შავი ვარიანტი სათაურით: „სახალხო და მოხეური ლექსები“ (ხელნაწერი № 99). ნაბეჭდ წიგნაკსა და ხელნაწერ კრებულში მხოლოდ ერთი საერთო ლექსი შედის: „ქალს სილამაზე ხილადა“, დანარჩენი ლექსები განსხვავებულია. როგორც ჩანს, ალ. ყაზბეგმა ავტოგრაფულ კრებულში (№ 99) შემავალი ხალხური ლექსების გამოცემა ვერ მოასწორო, ან ვერ მოახერხა. კრებული უთარიღოა, მასში მოთავსებული მასალა სამ ნაწილად შეიძლება გაიყოს: პირველ ჯგუფში შედიან ლექსები, რომელთათვისაც მწერალს ბოლოში მიუწერია (ხ), (სახ.), ან (სხ.), რაც ყველა შემთხვევაში სალხურსა და სახალხოს ნიშნავს.

მეორე რიგს მიეკუთვნება ლექსები, რომლებიც ყოველგვარი აღნიშვნის გარეშეა კრებულში შეტანილი და მესამე რიგისაა კრე-

ბულის მე-15 გვერდიდან „მოხევის სიმღერებში“ შესული ლექსები, რომელთა გადაკეთება-დახვენაზე მწერალს ძალიან დიდი სამუშაო ჩაუტარებია, მაგალითად:

იყო

ჩასწორდა

ზეცის ძალამ, ის ვერა ქნას
რასაცა იქს-ვაცის-უნა
ბულუკულ-ხახამ-იმის-გან
გულში ცეცხლსა ვერ ჩააქროს
ნიაღვარად ცრემლის დენამა.

ზეცის ძალამ, ის ვერა ქნას
რასაც შესძლებს კაცის ენა
გულში ცეცხლსა ვერ ჩააქროს
ნიაღვარად ცრემლის დენა.

მსგავსი მაგალითები ძალიან ბევრია კრებულში.
„მოხევის სიმღერებში“ მე-4 ნომრით ჩანერილია ლექსი:

ნეტავი, ქალო, მე და შენ,
ყანა ვინ მოქვცა ზი(ა)რი,
ერთგა მოვმკიდით, პურს ვჭამდით
რო აღარ მევლო მშიარი.

ეს სტროფი ცნობილი ხალხური ლექსის ალ. ყაზბეგისეული ინ-ტერპეტაციაა, ხალხურ მოტივზეა შექმნილი, რაც, შეიძლება ით-ქვას, ურიგოდ არ გამოუვიდა მწერალს.

საინტერესოა ასევე ალ. ყაზბეგის „შეიყრებიან ყორ-ნების“ შექმნის ისტორია, რომელიც ასევე ხალხურ მოტივზეა დაწერილი. თხზულება იწყება ხალხური ლექსის პირველი სტროფით, ხოლო მომდევნო ორი სტროფი და ორი ტაქპი ავტორს ეკუთ-ვნის. თხზულებაზე მწერალს ბევრი უმუშავია მისი დახვენის მიზნით, მაგალითად, „მაშ რაღად მოვშლი ვკვდებოდე“ -ს ნაცვლად დაუწერია: „ვკვდებოდე, მაინც არ მოვშლი“; სტრიქონი „სანამდი პირში სულია“ შეუცვლია ფრაზით „თუ ძარღვში სისხლი მოძრაობს“ და ა. შ. მკითხველს მაგალითების მოტანით თავს არ შევაწყენთ, იმას კი აღვნიშნავთ, რომ ყველა გადახაზული ადგილის ნაცვლად ჩას-მული სიტყვისა თუ სტრიქონის მხატვრული ღირებულება ბევრად მაღალია. ასევე დიდი სამუშაო ჩაუტარებია ალ. ყაზბეგს ლექსის – „ქალს სილამაზე ხილადა“ – დასახვენად. ხელნაწერ კრებულში მი-სი ორი ვარიანტია შეტანილი. პირველი ვარიანტი დამუშავებულია:

სტრიქონები მონიშნულია რიცხვებით, თუ სად რომელმა ხაზმა უნდა გადაინაცვლოს. ამ ლექსის ნაბეჭდი ტექსტისა და ხელნაწერის ორ ვარიანტს პირველი სტროფი საერთო აქვს, ხალხური, დანარჩენი სამი სტროფი კი ერთმანეთისგან ნიუანსურად, მაგრამ მაინც განსხვავდება. ამიტომ ძნელი სათქმელია, რომელია პირველი ან ბოლო ვარიანტი. სწორედ ეს ლექსი შეაქო „ივერიის“ რეცენზირება და ის ალ. ყაზბეგის ორიგინალურ თხზულებად მიიჩნია. ამ აზრს ლექსის დახვენაზე ჩატარებული სამუშაოც ადასტურებს. მოგვაქვს ლექსის გადამუშავებული გამოუქვეყნებელი ვარიანტი:

* * *

ქალს სილამაზე ხილადა
ვსთხვე, არ დამაძლევინა!
შევწუხდი, წყალი მომწყურდა,
წვეთი არ დამალევინა.
ვცადე მიხდომა, ნაბიჯი
ერთი არ წამადგმევინა,
მომხედა, თოლნი შემყარა
ნაწინწკლებ წამაყრევინა,
დამრცხვა, ავინთე, გავწითლდი,
თავი ძირს დამახრევინა,
სიტყვები გადამავიწყა,
ენა სულ ამარევინა.
არც „მოდი“ მითხრა, არც „წადი“,
არც თავი დამახსნევინა, —
გალალებულსა ვაჟეაცსა
ბედ-ილბალ დამაწყევინა.

მიმოხილული მასალიდან შეიძლება დავასკვნათ, რომ ალ. ყაზბეგმა ფასდაუდებელი სამსახური გაუნია ქართული ხალხური სიტყვიერების შეკრებისა და პოპულარიზაციის საქმეს. ის არა მარტო აგროვებდა ხევსა და მის შემოგარენში გაბნეულ მარგალიტებს და განადგურებისგან იცავდა მათ, არამედ თვითონაც ქმნიდა ხალხურ მოტივებზე ლექსებს, ურთავდა მათში სტროფებსა და სტრიქონებს ფოლკლორული ნიმუშებიდან, რაც მის თხზულებებს მეტ დამაჯერებლობასა და ექსპრესიულობას ანიჭებს.

დამოღვებანი:

ბარბაქაძე 2009: ბარბაქაძე თ. ალექსანდრე ყაზბეგის პოეზია (ტექსტური კითხვები). თბილისი: 2009.

სახალხო ლექსები 1886: სახალხო ლექსები, მოხევეთა და მოხევის სიმღერები. თბილისი: 1886.

ხელნაწერი № 99: ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ალექსანდრე ყაზბეგის ფონდი. ავტოგრაფი № 99.

ჯაყელი 1974: ჯაყელი ჯ. „ხალხური ანდაზები და გამოთქმები აღ. ყაზბეგის თხზულებებში“. ქართული ენა და ლიტერატურა სკოლაში, № 2. თბილისი: 1974.

Elisabed Zardiašhvili

Poems Created by Folk Motives of Alexander Kazbegi

Summary

Alexander Kazbegi devoted most of his life and creative activity to folk motives. The work provides a detailed study of those verses that the writer created on folk motifs. It was concluded that Kazbegi often made his own interpretation of his own poems, using verses and lines from the pearls of folklore that adds to his poetry more reliability and expressiveness.

Over 40 autographic collections which include A.Kazbegi's both original and folk verses collected by him are kept at the National Centre of Manuscripts. At the end of each collection there is a section "The songs of a Mokhevian". The question whom the verses included in "The songs of a Mokhevian" belong to has remained controversial until now. One of the merits of our work lies precisely in the fact that on the basis of several documents found as a result of our research work it was confirmed that "The songs of a Mokhevian" included in the collection of the "Folk Poems" represent Kazbegi's own original poetry, which is very important in the academic edition of the writer's creative works.

ნადირობის ქალღმერთის სახე გრიგოლ რობაქიძის
რომანში „ქალღმერთის ძახილი“

XX საუკუნის დასაწყისში ლიტერატურული აზროვნების, კულტურული ცნობიერების გაფართოებისა და მსოფლმხედველობრივ-ესთეტიკური განახლების სურვილით ქართულ ლიტერატურაში დაიწყო მოდერნისტული ტენდენციების დამკვიდრების პროცესი. გასული საუკუნის 20-იან წლებში დასავლური მოდერნისტული მსოფლადქმის კვალდაკვალ ქართულ მოდერნისტულ დისკურსში ჩნდება მძლავრი მითოლოგიური ნაკადის მქონე რომანები – ე. წ. მითოგრაფიული ტექსტები, რომელთა მხატვრული სტრუქტურა, პოეტური სამყარო, აზრობრივ-ემოციური დატვირთვა პირველყოფილი მითოსური აზროვნების არქეტიპულ მოდელებს ეფუძნება, მითოსურ-სიმბოლური თხზვის წესი კი შემოქმედებითი მეთოდის ფორმას იძენს. ქართულ სალიტერატურო სივრცეში მითოლოგიური რომანის დამკვიდრების თვალსაზრისით მნიშვნელოვანი როლი შეასრულა გრიგოლ რობაქიძის შემოქმედებამ. სტატიაში განვიხილავთ ქართველი მოდერნისტი მწერლის ნანარმოებს „ქალღმერთის ძახილი“ („Der Ruf der Götter“), რომელიც მითოგრაფიული რომანის კლასიკურ ნიმუშს წარმოადგენს.

„ქალღმერთის ძახილი“ პირველად 1934 წელს გერმანულ ენაზე იქნაში, დიდერიხის გამომცემლობაში დაიბეჭდა. ქართულ ენაზე ტექსტის მხოლოდ ორი ფრაგმენტი გამოქვეყნდა სათაურებით – „ორი ფოთოლი“ და „დიდი დედა“ ემიგრანტულ ჟურნალში „ბედი ქართლისა“^{*} ნანარმოების ქართულ ორიგინალს „დალი“ ერქვა. ის დაკარგულად ითვლება. როგორც ჩანს, არსებობდა რომანის ფრანგული თარგმანიც, რომელიც მათე კერძესელიძეს შეუსრულებია და მისი ადგილსამყოფელიც უცნობია^{**} რომანს გამოქვეყნებისთანავე

* „ორი ფოთოლი“ – „დალის დობილი“. ჟ. „ბედი ქართლისა“. 1952 წ. ნოემბერი, №13; „დიდი დედა“. ჟ. „ბედი ქართლისა“ 1955 წ. სექტემბერი, № 20.

** რომანის ფრანგული თარგმანის არსებობის ფაქტს ადასტურებს ნანარმოების ერთ-ერთ ფრაგმენტზე თავად გრიგოლ რობაქიძის მიერ შესრულებული მინანერი: „რომანი დალი“ გამოვიდა გერმანულად 1934 წელს, სხვა სათაურით. ფრანგულათ თარგმანი მათე კერძესელიძემ. დამუშავებული ტექსტი თარგმანისა დაკარგულათ. ჩემი პარიზში ყოფნის დროს 1943 წელს ხმა მომესმა: თარგმანი ერთს პარიზში მცხოვრებ

გამოეხმაურა გერმანულენოვანი კრიტიკა.* რეცენზენტთა შორის იყო ცნობილი შვეიცარიელი დრამატურგი და რომანისტი მაქს ფრიში. ტექსტი ქართულ ენაზე მხოლოდ 2012 წელს ითარგმნა.** მართალია გრიგოლ რობაქიძის, როგორც შემოქმედისა და მოაზროვნის, სახელის რეაბილიტაციის შემდეგ*** მისი შემოქმედება ჯეროვნად შეფასდა, თუმცა, მნერლის ლიტერატურული მემკვიდრეობის ნაწილი, რომელიც ქართველი მკითხველისთვის ბოლო რამდენიმე წელია, ხელმისაწვდომი გახდა (რომანები: „ქალლმერთის ძახილი“****, „მევი ქართველი გოგონა“ და სხვ.), ჯერაც თითქმის შეუსწავლელია.

ნანარმოების მთავრ გმირად ნადირობის ქალლმერთი დალის არქეტიპი, ივლიტე, გვევლინება. ავტორი რომანის სიუჟეტური ქარგის აგებისას, პერსონაჟთა სახეების შექმნისას ეყრდნობა როგორც ნადირობის ქალლმერთის დალის შესახებ არსებულ მითოსურ და ფოლკლორულ ტრადიციას, ისე სვანურ ეთნოგრაფიულ მონაცემებს, რასაც ადასტურებს „ბედი ქართლისას“ პუბლიკაციის

ქალს აქვსო - გვარი არ მახსოვს. ეგებ მონახოს“ (ჟ. „ბედი ქართლისა“. „ორი ფოთოლი“ – „დალის დობილი“. 1952 წ. ნოემბერი, № 13. გვ. 12).

* ბაზი, რუდოლფ „გრიგოლ რობაქიძე, ამისთვის და ნინააღმდეგ!“. გერმანული სიტყვა: ლიტერატურული სამყაროს ახალი გიზონოდ და დიდი კვლევა. 11 ჯგ. ნოემბრი 3. ჩანართი „ცოცხალი წიგნი“ (1935) [იხილეთ შეფლერის აზრი]; ფრენკლი, ოთთო, გოეთეანუმ: ყოველკვირეული უურნალი ანთროპოსოფია და სამფრთხოანი სკრიპტი 14 ჯგ. ნოემბრი 6 (10.2.1935): 47; ფრიში, მაქს: ახალი ციურისტული უურნალი, 4.12.1934, გვერდი 6; გუნთერი, ჰერბერტი: ლიტერატურა 37 (1934): 219; მარტინსი, კურთი: ახალი ლიტერატურა 38. ჯგ. (1937): 415; ნოთცელი, კარლი, ეცვარტი: სულიერი ევანგელისტური კულტურის ფურცლები 11 (1935); 184; ერთჩმარი, ებერჰარდი: „სიყვარულის მითი“ [ნაბეჭდი გერმანიის მომავლიდან:] გარდაცვლილი ლომი 5. შედეგი h 8 (1934): 230 წ. გერმანულ უურნალში „დოიტჩ ცუკუნფტ“ (1934) გამოქვეწებულ რეცეზიაში ერეპარდ კრეჩენი წერდა: „ეს წიგნი არის არა ლიტერატურა, არამედ ბუნება, კლდება და ველი, ცეცხლი და თესლი. ეს არის იმ იშვიათ წიგნთაგანი, რომელიც ყოველთა არსებობაშიც და მეტყობ, მისნობამდე მიიკვლევს... ეს წიგნი არის დიდი და სადა, როგორც ყოველი, რასაც წიადაგად ღვთის რწმენა და ბედის სიყვარული აქვთ: და როგორც უუშმი ყოველი, რობაქიძის შემოქმედება იქმნება მარად აზეყვა და უკვდავი“ (შარაძე 1991: 180).

** რომანი გერმანული ენიდან დალი ფანჯიკიძემ თარგმნა და გამოსცა გამომცემლობა „არტანუჯმა“.

*** მნერლის რეაბილიტაცია ინყება 80-იანი წლებიდან. სწორედ 80-იან წლებში გადასცეს ნინო და კალისტრატე სალიებმა ხელნაწერთა ინსტიტუტს გრიგოლ რობაქიძის არქივის დიდი ნაწილი. ამ მასალას შეუერთდა ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცული მწერალთან დაკავშირებული ერთეულები და ცალკე გამოიყო 378 ერთეულისგან შემდგარი გრიგოლ რობაქიძის პირადი არქივი.

**** რომანის შესახებ სტატია გამოაქვეყნა ეკაციადაქტებურნალში „ლიტერატურული პალიტრა“. „ქალლმერთის ძახილი“ – სვანურ მისტიკა“. „ლიტერატურული პალიტრა“. თბ. 2013 წ. ივლისი, № 7 გვ. 155-158.

ავტორისეული მინაწერიც: „მეხმარებოდა სვანური ყოფა, რომლითაგანაც ეს მითოსი ამოცენებულია: ვშლიდი ამ ყოფას, ცენდებოდა მითოსი“ (რობაქიძე 1952: 12). სტატიაში შევეცდებით, განვსაზღვროთ რა მიმართება არსებობს ტექსტში რეალურ ქალს ივლიტესა და მითოსურ დალის შორის, გამოვკვეთოთ, მითოსის მხატვრული ტრანსფორმაციის რა ფორმებს მიმართავს გრიგოლ რობაქიძე ნაწარმოებში და რა დამატებითი შტრიხებით ამდიდრებს მას.

რომანი „ქალლმერთის ძახილი“ ნადირობის სამზადისის სცენით იწყება. სვანების თემის რჩეული მონადირე თანბი და მოხუცი ბექუზა სანადიროდ მიემგზავრებიან. ნადირობა როგორც ერთი დრო-სივრცული მოდელიდან (რეალური სოფლური ყოფიდან) მეორე ქრონოგრამულ მოდელში (მითოსური, ტყე, კლდე, გამოქვაბული), ნადირთპატრონთა სამფლობელოში გადანაცვლების საკრალური რიტუალი, მონადრისგან ტაბუირების რთული სისტემის შესრულებას მოითხოვდა, რასაც გრიგოლ რობაქიძე ტექსტში ზედმინევნით იცავს. წესების თანახმად, მონადირეს სანადიროდ ნასვლამდე ეკრძალებოდა როგორც უცხო ქალთან, ისე საკუთარ ცოლთან სასიყვარულო ურთიერთობა. უნდა მორიდებოდა ასევე ფეხმძიმე ან დედათა წესში მყოფ ქალს (ვირსალაძე 1964; სიხარულიძე 2006; ონიანი 2009), ამ ტრადიციის კვალად, რომანში მონადირე გიორგი სანადიროდ ნასვლას იმიტომ ვერ ახერხებს, რომ „ცოლს დედათა წესის დღეები უდგას“ (რობაქიძე 2012: 4), ხოლო „ივანეს რძალი ჯერაც მელოგინეა“ (რობაქიძე 2012: 4). ტაბუირების სისტემის მიხედვით, მონადირე სახლიდან უბრად გამთენისას უნდა გასულყოყო, ადამიანებთან შეხვედრასა და გამოლაპარაკებას მორიდებოდა. გრიგოლ რობაქიძის გმირებიც – ბექუზა და თანბი – ადამიანებთან შეხვედრას გაურბიან: „შორს ვინმეს თუ დალანდავდნენ, მყისვე ძეძვნარში იმალებოდნენ ხოლმე“ (რობაქიძე 2012: 5), „სიტყვაძვირობდნენ, რადგან იცოდნენ, რომ ნადირობისას ჯობდა ხმა არ ამოელოთ. ერთმანეთს სახელითაც არ მიმართავდნენ“ (რობაქიძე 2012: 5).

მონადირეთა საზოგადოებისთვის, როგორც საკრალური საძმოსთვის, ნადირობისას ასევე დამახასიათებელი იყო როგორც საიდუმლო ენის გამოყენება, ისე ბედნიერ თუ უბედურ ნიშანთა სიმბოლიკის გათვალისწინება. ეს უკანასკნელი ხშირად ნადირობის ბედის განმსაზღვრული ხდებოდა. როგორც ჩანს, გრიგოლ

რობაქიძე სვანური სამონადირეო ყოფის ამ ტრადიციებსაც ითვალისწინებს. საინტერესოა, რომ ნადირობისას თანბი და ბექუზა ერთმანეთს სიტყვა „ნაპოლით“ ანუ ჩიტით მიმართავენ, თოფს კი „თარხნს“ ანუ ჭოქს არქმევენ. ასევე მონადირების მიერ გომბეშოს დანახვა კარგის, ჩხიკვის ჩხავილი ცუდის ნიშნად აღიქმება; გამოქვაბულში ცხვრის ლეშის პოვნა კი ბოროტ ჯადოდ მოიაზრება. ნადირობასთან დაკავშირებული სვანური ეთნოგრაფიული მონაცემების მიხედვით, მონადირეს წარმატებული ნადირობისთვის განწმენდის რიგი რიტუალებიც უნდა შეესრულებინა: მთაზე ასულიყო, „ხმელგანატეხი“ გაეტეხა, სანთელი დაენთო, ელოცა. ტრადიციის კვალად, რომანის გმირებმაც „ერთი მთის მწვერვალზე შეისვენეს, ხელ-პირი წყაროს წყლით დაიბანეს, სანთლები აანთეს, სამ-სამი კვერი ხელში დაიჭირეს, პირი აღმოსავლეთისკენ ქნეს და ქალღმერთ დალის შეევედრნენ.“ ტაბუირების რთული წესების დაცვის შემდეგ რიტუალურად განწმენდილი მონადირე უფლებამოსილი ხდებოდა დაეტოვებინა „შინა“, სოფელი, თემი და გამგზავრებულიყო სხვა სამყაროს აღმოსაჩენად. სრულდებოდა მეტამორფოზის სიმბოლური აქტი. მონადირე დროებით ემშვიდობებოდა მშვიდობიანი მეთემის ყოფას და იძენდა ახალ სტატუსს. როგორც ზურაბ კიკნაძე მიუთითებს: „ნადირობასთან დაკავშირებულია განსაცდელი, უცნობი სამყაროს ხილვა, ჩვეულებრიობის საზღვრების გადალახვა, ან იმ ზღურბლის მიღწევა, საიდანაც იწყება სხვა, აქამდე განუცდელი და უნახავი სამყარო... ყოფიერებაში შემოდის სიახლე, რომელიც კარდინალურად ცვლის სტატუს ქულს. “ (კიკნაძე 2016: 153) რომანის ერთ-ერთი მთავარი გმირის – თანბის ცხოვრებაშიც სანადიროდ წასვლა საკრალური მიჯნის ფუნქციას ასრულებს. მისი ცხოვრება თითქოს ორ ნაწილად იხლიჩება: ნადირობამდე და ნადირობის შემდეგ.

„სვანთა წარმოდგენით, მონადირე კაი ყმის ყველა თვისებას განასახიერებდა. ჭეშმარიტი მონადირე სიტყვაძვირი იყო და ძალზე თავშეკავებულიც, ამასთანავე, წმინდა ცხოვრებით ცხოვრობდა.

* „ხმელგანატეხი“ წარმოადგენდა რიტუალურ პურს, რომლის ზედაპირი მზის დაფანტული სხივების მსგავსად იყო დაჭრელებული. ამ პურების გამოცხობისას დედა ან ცოლი ლოცულობდა“ (ვირსალაძე 1964: 27).

ამიტომ მას იოლად ვერც რამეს ჰკითხავდნენ და ვერც განიკითხავდნენ, ყველა კრძალვით ეპყრობოდა, გამოირჩეოდა ფიზიკური სიძლიერითა და ამტანობით. მის სიტყვას კანონის ძალა ჰქონდა სოფელში. ჭეშმარიტი მონადირეები ნათელმხილველები იყვნენ. მათი გაკულტების მიზეზიც ამგვარი გამორჩეულობა იყო“ (ონიანი 2009: 204). აღსანიშნავია, რომ რომანის მთავარი გმირი თანბი „ყაი ყმის“ ყველა ნიშან-თვისების მატარებელია. თემის რჩეული მონადირეა, ხელდასმულია, სვანთა ადათ-წესების ერთგული დამცველი და პატივისმცემელია, ამავე დროს ის უცხოა თანატომელთა შორის, ბუნებასთან და ცხოველებთან უჩვეულო სიახლოვე გამოარჩევს, მისი გამჭოლი მზერა დამთრგუნველია, ჭროლა თვალები კი, სვანების აზრით, ბოროტებას ასხივებენ და „თვით სალამანდრის მსგავს დიდრონ ხვლიკებს ააწრიალებდნენ“ (რობაქიძე 2012: 17), „დედაკაცებს მისი ემინოდათ. სადმე თუ გადაეყრებოდნენ, ისე ფითრდებოდნენ, თითქოს მათში ბნელი და ღმა ქალური საწყისები აბობოქებულანონ“ (რობაქიძე 2012: 18). თანბი საკრალური ცოდნის მფლობელია, ის ერთგავრი მედიატორია თემსა და ნადირთპატრონის სამფლობელოს შორის. თითქოს ორივე სამყაროს წესრიგს ემორჩილება და ისევე ეკუთვნის „შინას“, როგორც „გარეს“. თანბის ცნობიერებაში თემს, დედას მოხუც მონადირე ბექუზას უპირის-პირდება ტყე, ჯიხვი და ივლიტე.

„მონადირის რჩეულობა, თუ, ერთი მხრივ, მისი წარმატებული საქმიანობის საწინდარია, მეორე მხრივ, საბედისწერო საფრთხის შემცველია, რამდენადაც რჩეულობა მას პასუხისმგებლობას ანიჭებს იმ არსების წინაშე, რომელმაც თავის ფავორიტად აირჩია“ (კიკნაძე 2016: 146). სწორედ ამგვარი საბედისწერო საფრთხის მოლოდინითაა განსაზღვრული თანბის გასვლა თემიდან. სოფლის უწყინარი ტოპოსის დატოვების შემდეგ თანბი ჯერ მთაში, შემდეგ გამოქვაბულსა და ბოლოს ტყეში ხვდება, ეს ადგილები არა მხოლოდ სოფლიდანაა შორს, არამედ თვისებრივად სხვა სამყაროს წარმოადგენს – ნადირთპატრონის სამფლობელოს განსხვავებული წესრიგით. ტექსტში ჩნდება კიდევ რამდენიმე მითოსური მოტივი, რომელიც სამონადირეო ეპოსსა თუ მითოსურ წარმოდგენებში (გადმოცემებში) მიჩნეულია დალისთან შეხვდერის წინაპირობად. თეთრნიშნიანი ჯიხვის ხილვის შემდეგ გზააბნეული თანბი გამოქვაბულთან ჯერ მდინარეს წააწყდება, სამი დღის შემდეგ კი ტყე-

ში ტყისმჭრელებთან დაიდებს ბინას. მითოსური წარმოდგენით:

- 1) თეთრნიშნიანი ჯიხვის დანახვა* დალისთან შეხვედრის ყველაზე გავრცელებულ ნიშანს წარმოადგენს; 2) გზის დაპნევა/კვალის არევა ძველ სამყაროსთან გაუცხოებისა და ახალი სამყაროს აღმოჩენის წინაპირობადაა გააზრებული. ზურაბ კიკნაძე წაშრომში „ქართული მითოლოგია – ფარნავაზის სიზმარი“ მონადირის სამყაროზე მსჯელობისას მიუთითებს: „გზის დაპნევა იმის ნიშანია, რომ შენ არა მხოლოდ შინას ხარ მოცილებული, არამედ სხვაგან იმყოფები. როცა სოფლისაკენ მიმავალი გზები იკარგება, რჩება ერთი გზა, რომელიც დალის გამოქვაბულისკენ მიდის, სადაც მონადირემ უნდა გადაიღამოს. ირკვევა, რომ მონადირე აკრძალულ სივრცეშია შეჭრილი“ (კიკნაძე 2016: 186); 3) მდინარის გადალახვა – საკრალური ზღურბლის ფუნქციას ასრულებს და საიდუმლოსთან ზიარების წინაპირობად აღიქმება „მდინარე არა მხოლოდ სივრცული მიჯნაა, არამედ განსაცდელის სახით ადამიანების ცხოვრებაში ახალ ჰორიზონტებს შლის (კიკნაძე 2016: 154). 4) ახალი საცხოვრებელი/ახალი სახლი – ტყე – „„შინასთან“ დაპირისპირებულ უკაცრიელ და უდაბურ ტოპოსად შეგვიძლია წარმოვიდგინოთ.

დალის რჩეულ წადირთან – თეთრნიშნიან ჯიხვთან – შეხვედრისა და წადირობის ქალღმერთის სიზმრისეული ჩვენების შემდეგ თანბის არსებობას ქალთან საბედისწერო შეხვედრის მოლოდინი განსაზღვრავს „[თანბის] გული გაეპობოდა, უსიერ ტყეში დალის ყოფნა რომ არ მოეყნოსა“ (რობაქიძე 2012: 27). ქალღმერთი მასში ამბივალენტურ განცდებს აღძრავს: ერთი მხრივ, იზიდავს სიზმარში წანახი „გასხივოსნებული“ ქალი: „გამთანგველი, საამური ცეცხლი იგრძნო“ (რობაქიძე 2012: 7), მეორე მხრივ, აფიქრებს ბექუზას მრავლისმეტყველი გაფრთხილება: „ოქროსთმიანის ხილვა ძირიად დაუჯდა შენს დიდ წინაპარს!“ (რობაქიძე 2012: 13). დალის არქეტიპის – ივლიტეს - გამოჩენა რადიკალურად ცვლის თანბის შინაგან

* „ირემს მიჰყავს მონადირე საკრალურ ადგილთან, რასაც აუცილებლად მოჰყვება არსებითი გარდატეხა არა მარტო მონადირის, არამედ საზოგადოების ცხოვრება-შიც. მაღალმთან რაიონებში ამგვარი თემულებები ჯიხვს უკავშირდება. ნიშნიანი ჯიხვი წადირობისა და ნაყოფიერების ღვთაების კუთხით გამოიყენებაა ან თავად ქალღმერთი იღებს მის სახეს და დამსახურებისამებრ სჯის ან ასაჩუქრებს მონადირეს“ (სიხარულიძე 2006: 36-37).

მდგომარეობას, მის „შინასთან“ მიმართებას: „თემის რჩეულის“ სტატუსს „დალელუკდუნე“, ანუ დალით შეპყრობილობის, „გაშ-მაგებულობის“ მდგომარება, ცვლის, რაც მითოსური ტრადიციის მსგავსად, გმირის საბედისწერო აღსასრულს განაპირობებს.

მართალია, გრიგოლ რობაქიძე რომანის სიუჟეტური ქარ-გის აგებისას უმთავრესად სვანურ წარმართულ საწესჩვეულებო ტრადიციებს ეყრდნობა, თუმცა მითოსის მხატვრული ტრანსფორ-მაციისას ჩნდება ახალი, ქრისტიანული ნაკადიც. ტექსტში წარ-მართული და ქრისტიანული რიტუალები, სიმბოლოები თითქოს თანაარსებობენ, რაც ნაზარმოების საინტერესო სიახლეს წარმოად-გენს. რომანის პერსონაჟებიც ორივე ტრადიციის მატარებელნი არიან: თანბი, ერთი მხრივ, დალის რჩეული მონადირე, წარმარ-თული კულტურის ნაწილი და მისი დამცველია, მეორე მხრივ, კი სწორედ მის დაბადებას უკავშირდება რომანში ღვთისმშობლის ხატის გადარჩენა.*

ნადირობის ქალღმერთის დალის მითოსის რობაქიძისეულ ინ-ტერპრეტაციაში კიდევ ერთ სიახლედ გვესახება გარე კონფლიქტის შინა სივრცეში გადატანა. ავტორი სვანურ ეთნოგრაფიულ მონა-ცემებსა თუ ფოლკლორულ ტრადიციაში (სამონადირეო ეპოში) დაცულ სასიყვარულო ტრიადულ მოდელს – მონადირე, მინიერი ქალი – ცოლი და დალი ცვლის: თუ მითოსში ორ განსხვავებულ საწყის – ყოფითსა და მითოსურს ორი ქალი განასახიერებს, ტექ-სტში რეალურსა და მითოსურ სამყაროებს შორის კონფლიქტი უკვე ერთ ქალში – ივლიტები ინაცვლებს. როგორც „ბედი ქართლი-სას“ პუბლიკაციის მინაწერიდან ირკვევა, ივლიტეს სახის სწორედ ამ ორსახოვნებაში ხედავდა თავად ავტორიც ამბის დრამატულო-ბასთან ერთად მის უმთავრეს გამოწვევასაც: „დრამატიზმი: ქალი ვაჟის ტრფობაში ხან რეალური ივლიტეა, ხან მითოური დალი: იშ-ვიათად ორივე ერთად. მკითხველი წარმოიდგენს, თუ რა სიძნელე მქონდა დასაძლევი“. – მიუთითებს გრიგოლ რობაქიძე (რობაქიძე 1952: 12). ივლიტე, ერთი მხრივ, ნადირობის ქალღმერთის დალის

* ტექსტის მიხედვით, წმინდა კვირიკეს ხატის დაუფლებისთვის არაერთხელ გამარ-თულა ბრძოლა. ერთ-ერთი მორიგი შემთხვევისას ხატი ლაგურკადან თავად დადეშ-ქელიანებს მოუპარავთ, ეს უკანასკნელი ერთ-ერთ სვანს დადშექელიანებს სგან მოუპ-არავს და თაბის ოჯახში მელოგინეს საწოლის ქვეშ დაუმალავს. მშიბიარე თანბის დედა ყოფილა და სწორედ სვანთა რჩეული მონადირის ამქვეყნად მოვლინებას გად-აურჩენია ხატი.

არქეტიპია, მეორე მხრივ, რეალური ქალია - თავად იულონ გელ-ოვანის მეუღლეა, რომელიც ღამით, მითოსურ დალად გარდა-ისახება. მეტამორფოზა ივლიტესთვის გაუცნობიერებელი აქტია. სავსემთვარეობისას თითქოს მას ნადირთპატრონი ეუფლება და უცხო, მითოსური სამყაროსკენ, ტყისკენ, მდინარისკენ მიჰყავს. ის ერთსა და იმავე დროს ღვთიური იმპულსის მატარებელიც არის და ადამიანურისაც, თუმცა არც ერთს ეკუთვნის ბოლომდე. სწორედ ამ ორ საწყისს შორის წინააღმდეგობა ქმნის ტექსტში კოლიზიას. პერსონაჟთა ტრაგიკული ბედის განმსაზღვრელი და მოვლენების დრამატული განვითარების მიზეზი ხდება.

ამდენად, გრიგოლ რობაქიძე რომანში „ქალლმერთის ძახილი“ ნადირობის ქალლმერთის დალის მითოსური სახის მხატვრული ტრანსფორმაციისას უმთავრესად ეყრდნობა მითოსურ და ფოლკლორულ ტრადიციას, სვანურ ეთნოგრაფიულ მონაცემებს, თუმცა შემოაქვს დამატებითი შტრიხები: მითოსურ და რეალურ საწყისებს შორის კონფლიქტს ერთ ქალში ანაცვლებს, ამავე დროს ავტორი წარმართულ თუ ქრისტიანულ რიტუალებსა და სიმბოლოებს ერთ სივრცეში განაფენს, გვთავაზობს ამ ორი სამყაროს „საკრალურ ქორწინებას“.

დამონვებანი:

კიკნაძე 2016: კიკნაძე ზ. ქართული მითოლოგია - ფარნაგაზის სიზმარი. 2. თბილისი: ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2016.

ვირსალაძე 1964: ვირსალაძე ე. ქართული სამონადირეო ეპოსი (დალუპული მონადირის ციკლი). თბილისი: გამომცემლობა „მეცნიერება“, 1964.

ონიანი 2009: ონიანი ო. კულტურული გმირის პრობლემა ქართულ ფოლკლორში. თბილისი: გამომცემლობა „უნივერსალი“, 2009.

რობაქიძე 2012: რობაქიძე გ. ქალლმერთის ძახილი. თბილისი: გამომცემლობა „არტანუეი“, 2012.

რობაქიძე 1952: რობაქიძე გ. ორი ფოთოლი - დალის დობილი. ჟურნ. „ბედი ქართლისა“. ნოემბერი. № 13. 1952.

რობაქიძე 1955: რობაქიძე გ. დიდი დედა. ჟურნ. „ბედი ქართლისა“. სექტემბერი. № 20. 1955.

სიხარულიძე 2006: სიხარულიძე ქ. კავკასიური მითოლოგია. თბილისი: გამომცემლობა „კავკასიური სახლი“. 2006.

სურგულიძე 1986: სურგულიძე ი. ქართული ხალხური ორნამენტის სიმბოლიკა. თბილისი: 1986.

შარაძე 1991: შარაძე გ. გრიგოლ რობაქიძე. „უცხოეთის ცის ქვეშ“. წ. 1. თბილისი: გამომცემლობა „მერანი“. 1991.

Lili Metreveli

Image of the Goddess of Hunting in Grigol Robakidze's Novel "The Call of the Goddess"

Summary

Article „Image of the Goddess of Hunting in Grigol Robakidze's Novel „The Call of the Goddess“ offers discussion of the mythographic novel of Georgian modernist writer Grigol Robakidze. The main character of this work is Ivlite, archetype of Dali, goddess of hunting. When creating the novel plot and the characters the author relied on the mythos and folklore traditions dealing with Dali, goddess of hunting, as well as Svanetian ethnographic data.

The article underlines forms of creative transformation of mythos characteristic for Grigol Robakidze, identifies relations between real woman Ivlite and mythical Dali and in the conclusion it states: Grigol Robakidze, in his novel „The Call of the Goddess“, in artistic transformation of mythical image of Dali, goddess of hunting, mostly relies upon mythical and folklore traditions, Svanetian ethnographic data. The author introduces also some additional features: he changed love triangle model – hunter, worldly woman – wife and Dali in Svanetian ethnographic data and folklore tradition (hunting epos): while in the myths two women embody two different worlds – the live and mythical ones, here, in the text, the conflict between real and mythical worlds takes place in one woman – Ivlite. At the same time, in the text it seems

that the heathen and Christian rituals, symbols coexist and this is a very interesting innovation in this piece of work. The characters in the novel are the carriers of both traditions: on one hand, Tanbi, hunter chosen by Dali is part of heathen culture and its protector and on the other hand, saving of the Godmother's icon is associated with his birth – on the other. Thus, the writer places heathen and Christian rituals and symbols in single space and offers „sacral marriage“ of these two worlds.

საარქივო მონაცემები

მერი ხუხუნაიშვილი-წიკლაური

ფოლკლორის არქივში დაცული ზეპირი ისტორიები ნიკო (ბაჩანა) რაზიკაშვილზე

ფოლკლორის არქივი შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის უმნიშვნელოვანესი შემადგენელი ნაწილია, სადაც დაცულია საქართველოს სხვადასხვა კუთხეში შეკრებილი მასალა: ხელნაწერების, აუდიო ჩანაწერების, ფოტო- კინო დოკუმენტების სახით. ყველაზე ძველი ხელნაწერები მე-19 საუკუნის 70-იანი წლებით თარიღდება. აქ თავმოყრილი დოკუმენტები არა მარტო ფოლკლორისტებისთვის არის მნიშვნელოვანი, არამედ ლიტერატურათმცოდნების, ლინგვისტებისა და ისტორიკოსები-სათვისაც. ფოლკლორის არქივმა მეორე სიცოცხლე ქვეყნის და-მოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ (1991) შეიძინა, როცა გაჩნდა ფინანსური დახმარება სახელმწიფოსა და არასამთავრობო ორგანიზაციების მხრიდან. საქართველოს მიერ არჩეულმა დასავლურმა კურსმა ფოლკლორის განყოფილება აზიარა ევროკავშირის ქვეყნებში დაგროვილ საარქივო მუშაობის გამოცდილებას, რამაც შესაძლებელი გახადა საარქივო მასალის თანამედროვე მოთხოვნათა დონეზე დამუშავება და დიგიტალიზაცია მათი ფართო ხელმისაწვდომობის მიზნით.

ფასდაუდებელია არქივში დაცული აუდიო ჩანაწერების მნიშვნელობაც, რომლბიც გასული საუკუნის 50-80-იან წლებში განხორციელდა და არა მარტო ვერბალურ და მუსიკალურ ფოლკლორულ მასალას შეიცავს, არამედ ქართველ მოლვანეთა ცხოვრების ამსახველ ისტორიებსაც გადმოგვცემს. მთემელთა უმეტესობა გამოცდილი მთხოვნელია და მათი თხრობის ხელოვნება დამოუკიდებელ კვლევას საჭიროებს.

თხრობის ამგვარი ოსტატობით გამოირჩევა ნიკო (ბაჩანა) რაზიკაშვილის ქალიშვილის, ნინო რაზიკაშვილის, ნარატივები, რომლე-

ბიც გასული საუკუნის 60-იან წლებშია დაფიქსირებული დედოფლისწყაროს რაიონის სოფელ ქვემო ქედში ფოლკლორისტების დავით გოგოჭურისა და ვარლამ მაცაბერიძის მიერ (ID 35927). აღნიშული აუდიო ჩანაწერები ორ ნაწილად იყოფა: ბაჩანას ოჯახის ისტორია და ამ ისტორიის ფონზე გადმოცემული ფშაველთა იმდრო-ინდელი ყოფა-ცხოვრება და ადათ-წესები.

ნინო მოგვითხრობს მშობლების შეულლების ისტორიას, რომ-ლებმაც დაარღვიეს თემის კანონი, თემის შიგნით ქორწინების დაუშვებლობა. „თემმა ცუდი თვალით დაუწყო ყურება მამაჩემსო“, ყვება ნინო, რის გამოც ცოლ-ქმარი ჩარგალიდან მაღაროსკარში გადასახლდა. მალე მათ ახალშობილი დაეღუპათ. ჩარგალებს გონიერება ეყოთ და სამძიმარზე მივიდნენ. გამწარებულმა ბაჩანამ შვილი ასე დაიტირა:

თქვენი ჭირიმეთ ჩარგალებო, ჩემო ძმებო და ბიძებო,
განა რომ შამინირა ღმერთმა, არ მაპატია, მაზღვეინა
გადამდეგობა თემთა ფიცისა, გადამდეგობა თემთა პირისა.

ნინოს ზეპირი ისტორიები გვაცნობს ბაჩანას, როგორც დიდ ქველმოქმედს, ლარიბთა და გაჭირვებულთა შემწეს, გზაზე თუ დუქანში, არაგვის ორივე ნაპირიდან როგორ მოწინებით ესალმებოდნენ მას – ქუდის მოხდითა და ფეხზე ნამოდგომით. ნინოს ნაამბობიდან საყურადღებოა ბაჩანას მიერ ობოლი გოგონას აღზრდა, ლარიბი ბიჭის მფარველობა და პატარა მწყემსის ტრაგიკული ისტორია. მოთხოვთ ვაუ ფშაველას ბაჩანასთან სტუმრობის უცნობი ეპიზოდები. ბაჩანას სტუმრად ძმები: ვაუა, თედო და სანდრო ჰენევიან. ბაჩანას ტიკებით ღვინო შემოჰქონდა, როცა ვაუა მისულა. „შამოდგა კარებში თავისებურად და მამაჩემს ეუბნება: „გაიქც ცხვარო, ნადირი მოდისო“. მამამ უთხრა: „გაიქცა, მაგრამ დუმაში ვწვდიო“. ამ სხარტ გაპაექრებაში კარგად ჩანს ნიკო რაზიკაშვილის ფარული იუმორის ნიჭი.

ბაჩანას მეულლესთან (მარიამ გურასპაული) ობოლი გოგონა მისულიყო, რომელსაც დეიდა ცუდ პირობებში ზრდიდა და თავშესაფარი ეთხოვა. მარიამს გადაწყვეტილება მეულლის გარეშე არ მიუღია. ბაჩანას იმ პირობით მიუცია თანხმობა თუ მარიამი როგორც საკუთარ შვილს ისე გაზრდიდა. „ისე იზრდებოდა ეს

ქალი, ჩვენ იმის ნახევრად კი არა, იმის მეათედაც არ დავზრდილ-ვათო”, მოგვითხრობს ნინო.მერე კარგადაც გაუთხოვებიათ და კარგი მზითევიც გაუტანებიათ. „ერთხელ საბაურთას მივდიოდით, ხომისძირს რომ მივედით, იქ დუქანი იყო, იანვარას პეტრეს დუქანი და იმის წინ დაგვხვდა ეს ბალღი, ქუდი ჩამოგლეჯილი ჰქონდა, ქალ-მებიც ჩამოგლეჯილი, ტყლაბები რაღაც ეცვა“. ბაჩანას ეკითხა: „შვილო, რადა ხარ ფეხშველიო, რადა გაქ ქუდი დაგლეჯილიო?“. – „დედა მყავო, მამა არა მყავო და დედაცაო, ბედმავი დედა მყავო და ვერ მინახავსო და არც პური გვაქვს, არც არანაირი საზრდო გვაქვსო, ხან ვის ჩავხედავ ხელში და ხან ვისაო, რომ დამიყენონ მოჯამაგირედაო, არავინ არ მიყენებსო“. მოზრდილი იყო ეგრე 9-10 წლის იქნებოდა. ადგა მამაჩემმა და ფული მისცა: – „მიდი პეტრეს დუქანში, ქუდიც იყიდეო, ახალუხიც იყიდეო, სუყველაფერი – რაცა გჭირდება, ერთი ხელი ტანისამოსი იყიდეო და თუ გინდა ჩემთან წამოდიო, რაც ჩემს შვილებს ექნება, შენც ის გექნებაო“. – „არა, დედას თავს ვერ დავანებებო“ – თქვა, ადგა ტანისამოსი იყიდა და წავიდაო“, – ჰყვება ნინო.

ნინო როცა პატარა ყოფილა, ფეხი დასწრია. მამა ამ დროს მაღა-როსკარში ყოფილა. დედას მეზობელი გაუგზავნია ბაჩანასთან, რომ წამლები მოეტანა. მამა ლამით დაბრუნებულა და თან შვიდი-ექვსი წლის ბიჭი მოეყვანა, ჩამოგლეჯილი, ჩამონენილი, თავზე ქუდის ნაგლეჯი ეხურა, ფეხებზე კი გაცვეთილი ქალამნები. ზამთარი იყო. არავის ჭალაში შეხვედროდა ეს ბიჭი, მწყემსი იყო, დედინაცვალი ცუდად ექცეოდა, მამაც მკაცრი ყავდა. ბაჩანამ გადაწყვიტა თა-ვის შვილებთან ერთად გაეზარდა. ახალი ტანსაცმლით შემოსეს და მათთან იზრდებოდა. რამოდენიმე ხნის შემდეგ ბიჭის მამამ მიაგნო მის სამყოფელს და წასაყვანად მივიდა. ბიჭი ტყეში გაიქცა და მა-მის წასვლის შემდეგ დაბრუნდა, ტიროდა, მოკვედები და მაგასთან არ წავალო. რამოდენიმე ხნის შემდეგ ბიჭის მამა „სტრაუნიკებთან“ ერთად დაბრუნდა და პატარა მწყემსი ძალით წაიყვანეს, ბაჩანა ვე-რაფერს გახდა. ბიჭი მამას გაექცა და არაგვში დაიხრიო თავი. უს-ამართლობის წინაშე ამჯერად ბაჩანა უძლური აღმოჩნდა.

ნინო უკანა ფშავის ყოფის კარგი მცოდნეა. იგი ყვება თუ რო-გორ დადიოდნენ ხოშარელი აკვნიანი ქალები „გვერდალ ადგილ-ზე“ მოყვანილი ყანის სამკელად და აკვნებს ბრანის (გრაკლას) ხეზე კიდებდნენ, როგორ ჩამოუგორდა დედას აკვანი და შვილი დაელუ-

პა. ნინო თავად ასრულებს ბედკრული დედის დატირებას, რომელიც ფშავში დედის მიერ შვილის დატირების ნიმუში ყოფილა.

აღსანიშავია, რომ ბაჩანას შესახებ მნიშვნელოვანი მასალაა, აგრეთვე, თავმოყრილი გიორგი ლეონიძის სახელობის ქართული ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმის მიერ 2011 წელს გამოცემულ „რაზიკაშვილების მიმოწერაშიც“, რომელიც მოიცავს პერიოდს მეცხრამეტე საუკუნის 80-იანი წლებიდან გასული საუკუნის 40-იან წლებამდე. კრებული მრავალი კუთხით არის საინტერესო: წერილებში რაზიკაშვილების დიდი ოჯახის რეალური სურათი და ძმების ურთიერთობის დეტალებია აღნერილი, რომელშიც ჩანს მათი ხასიათი, გასაჭირო. ასევე – იმდროინდელი საქართველოს, კერძოდ, ფშავის, ქართლისა და კახეთის ისტორია, ყოფა. წერილები მდიდარია ხალხური ლექსიკით, ვხვდებით ძმების, მათ შორის ბაჩანას უცნობ, ექსპრომტად შექმნილი ეპისტოლურ ლექსებს. წერილებიდან საყურადღებოა ინფორმაცია ბაჩანას პოემის „დაბადება და და აღზრდა ერეკლე ბატონიშვილის“ შესახებ (რაზიკაშვილების მიმოწერა 2011: 54), რომელიც 1890 წელს გამოიცა „ქართველთა ამხანაგობის“ გამომცემლობის მიერ. აღნიშული პოემა სათანდო ყურადღების მიღმაა დარჩენილი და ბევრამა არც კი იცის მისი არსებობის შესახებ. პოემა ამ ხალხურ ლექსს ემყარება:

ბატონიშვილს ერეკლესა,
ირმის ძუძუ უნოვნია;
საჩალეში გადაეგდოთ,
მონადირეს უპოვნია;
წყალი უსვამს ალგეთისა,
თრიალეთზედ უძოვნია.

ეს ნაწარმოები ორი თვალსაზრისით არის საინტერესო: ერთის მხრივ ბუნების აღნერის არაჩეულებრივი ოსტატობით; მეორეს მხრივ კი ხაზგასმულია ერეკლეს, როგორც ხალხის შვილის, საქართველოს ბუნების ნიაღში აღზრდილის უპირატესობა სხვა მეფეებთან შედარებით:

1. „ბჟუტავს ულურსი ვარსკვლავი,
ზეცა დაუშვენებია,
ცას, რაცა აქვს, სულ ზედა აქვს,
ისე დაუფერებია;
საპატარდლოდ მოკაზმულა;
თავი მოუქალებია; ...
გზასა სძინავს; ხალხი ხვრინავს;
ბუ კივის და ჭოტი წივის;
ჩიტსა სთვლემავს, მელა ჰზვერავს,
მდინარეზედ წყალი შხივის.
მთას და ბარზედ სიბნელესა
შავი ლანდი უფარია; ...
ჭაობებში ბაყაყების
საუცხოო ქორწილია;
ნაკლოვანში ჭრიჭინების
უთავ-ბოლო ძახილია.
ზვარში ვაზი მომწიფული,
ქალი თავს არ ათხუებსა;
ფოთლების ქვეშ მტევნებს ჰმალავს,
როგორც გოგო ძუძუებსა.
სოფლის ახლო ქურდ-ბაცაცა
ღნავის, წენავის ტურის ხროვა;
ვენახების სტუმრობა ჸსურს,
თუ გლეხმა არ დაითხოვა...
ყვავილნი ეშხში არიან,
ჰელიან ქვასა და ქვიშასა,
ძველებს იხდიან, სხვას იცმენ
ახალსა ბიჯი-ბიჯასა.
თან ისე მწყობრად მღერიან
ცისას და ხმელეთისასა;
სულ უცხო-უცხო, სხვა და სხვის
ჰანგის და მიღეთისასა.
ზედაც ჰკოცნიან ერეკლეს,
ულოცვენ დაბადებასა;
ტყე და ბალაზიც იმათთან
იშვებდა, ურიამულობდა;

ცაც სასალუქოდ მორთული
მაღლიდამ მხიარულობდა.
ბავშვს ისევ იგრე ეძინა
დედა ბუნების უბეში,
როგორც მშვენიერს ყვავილსა
თავის პანია ბუდეში.

(ბაჩანა 1890:3-6; 18-19)

2. ღმერთმა ჭაბუკ ერეკლეს გამოუგზავნა „დავით ფერული“
ხმალი და უბრძანა:

... წადი, დაიცევ შენ შენი მიწაწყალია...
ერის მოთავედ დაგნიშნე,
ნუ დაიზარებ შრომასა;
წადი, ბელადად გაუძედ
იმის ბედსა და ნდომასა.
არ დაგავიწყდეს სიმართლე,
თაყვანსა სცემდე სიპრძნესა...
ყველას თანაბრად უყურე
დიდებულსა და გლეხსაო;
მაშინ მეც მეშველად გექნები,
მეც მოგიმართავ ხელსაო.
დაე „ბატონებს“ ეძახდენ
მეფეთ შენს უწინარესსა.
შენ კიდე: „ხალხის მოძმესა,
თანასწორს, უწყინარესა“.

(ბაჩანა 1890: 29-31)

ჩვენს მიერ განხილული ფოლკლორის არქივში დაცული მა-
სალის გარდა გასათვალისწინებელია ის ფაქტიც, რომ 2015 წელს
საქართველოს პარლამენტის ეროვნულმა ბიბლიოთეკამ გამოს-
ცა რაზიკაშვილების შთამომავლების მ. სამაშვილისა და ლ. რა-
ზიკაშვილის რედაქტორობით: „წერილები თედო რაზიკაშვილის
არქივიდან, პავლე რაზიკაშვილის შთამომავლობა, გენეალოგია
და ბიოგრაფიული ცნობები“, სადაც საინტერესო ინფორმაციებია
დაცული ნიკო რაზიკაშვილზე. აქვე უნდა აღვნიშნოთ მწერლისა
და მოღვაწის სიკო ფაშალიშვილის მოგონებები ნიკო რაზიკაშ-
ვილზე, რომელიც მათ პირად ურთიერთობებზე მოგვითხრობს

(ფაშალიშვილი 1966: 91-178). მადლობას მოვახსენებთ მკვლევარ ქეთევან ელაშვილს აღნიშული მასალის მოწოდებისთვის. 2016 წელს კი დაიბეჭდა ცნობილი მეცნიერისა და მწერლის როსტომ ჩხეიძის ნიგნი „ხელთუბანი, ხვედრი თედო რაზიკაშვილისა“. აქ ავტორმა ჩვეული ოსტატობით მოახერხა რაზიკაშვილების მი-მოწერაში გაპნეული ცხოვრებისეული ფაქტების ლოგიკურად აკინძვა და ერთ თავგადასავლად შეკვრა. როგორც ავტორი გვამ-ცნობს, მას განზრახული აქვს რაზიკაშვილების თავგადასავლის აღნერის გაგრძელება და ბაჩანას „დრამატული სულიერი და არა-ნაკლებ დრამატული ყოფითი თავგადასავლის“ მოყოლაც.

პავლე და გულქან (ბაბალე) რაზიკაშვილების, მათი შეიღების ცხოვრების ამსახველი ისტორიები, რომლებიც ნიგნებში, პერი-ოდულ გამოცემებში, აუდიო ჩანაწერებში თუ პირად წერილებშია გაპნეული ერთ დიდ დოკუმენტურ ნიგნად გამოცემას საჭირო-ებს, რათა ჩვენმა საზოგადოებამ მთლიანობაში გაიაზროს ამ დიდი გვარის დამსახურება ერისა და ქვეყნის ნინაშე. ვფიქრობთ, ფოლ-კლორის არქივში დაცული ზეპირი ისტორიების აუდიო ჩანაწერი ნიკო (ბაჩანა) რაზიკაშვილზე ამ კუთხით მნიშვნელოვან როლს შეასრულებს.

დამონვებანი:

ბაჩანა 1890: ბაჩანა. დაბადება და ადზრდა ერეკლე ბატონიშვილისა (ლეგენდა). თბილისი: გამოცემა „ქართველთა ამხანაგობისა“, 1890.

რაზიკაშვილების მიმოწერა 2011: რაზიკაშვილების მიმოწერა. თბილისი: გ. ლეონიძის სახელობის ქართული ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმი, 2011.

სამაშვილი ... 2015: სამაშვილი მ., რაზიკაშვილი ლ. (რედაქტორები). წერილები თედო რაზიკაშვილის არქივიდან, პავლე რაზიკაშვილის შთამომავლობა, გენეალოგია და ბიოგრაფიული ცნობები. თბილისი: საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა, 2015.

ფაშალიშვილი 1966: ფაშალიშვილი ს. დაუვინარი შეხვედრები. თბილისი: გამომცემლობა „ნაკადული“, 1966.

ფოლკლორის არქივი ID 35927: შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერეტურის ინსტიტუტის ფოლკლორის განყოფილების არქივის მეოცე საუკუნის სამოციანი ნლების აუდიო ჩანაწერები, ID 35927.

ჩხეიძე 2016: ჩხეიძე რ. ხელთუბანი. თბილისი: გამომცემლობა „ჩვენი მწერლობა“, 2016.

Mary Khukhunaishvili-Tsiklauri

**Oral Histories about Niko (Bachana) Razikashvili Kept on
Audio Recordings in the Folklore Archive of Shota Rustaveli
Institute of Georgian Literature**

Summary

Folklore archive of Shota Rustaveli Institute of Georgian Literature is one of the important sections of the Institute. At present there are gathered documents from all parts of Georgia: manuscripts , audio recordings, films and photos. Thanks to the financial support of Shota Rustaveli Scientific Foundation was realized the project of digitalization and electronic systematization of the audio materials recorded between the 50s and the 80s of the past century. The audio material contains almost all genres of verbal folklore as well as of musical folklore. There are also unknown histories of life of the well-known Georgian public figures and writers, among them of the Georgian writer Niko Razikashvili (Bachana).

The narrator is his daughter Nino. Her narrative contains valuable information on the writer unknown to the public up to day and about the life of the population of the historical –geographical province Pshavia.

ერთი თქმულების კვალდაკვალ („გოგილაანთ ქალქვა“)

მიწის დროული დამუშავება და მოსავლიანობა ამინდზეა დამოკიდებული. ძველად ფიქრობდნენ, რომ ამინდის მართვა შესაძლებელი იყო. გვალვიანობის ან ხშირი წვიმების შემთხვევაში ქალები აწყობდნენ „დიდებას“, რაც გულისხმობს მოსახლეობაში კარდაკარ ჩამოვლას, კვერცხის, სასმელის, ფულისა და ა. შ. აგროვებას, შემდეგ შეშველი ფეხით უდელში შეგმასა და წყალში შესვლას. აგროვებული ფულით აუცილებელი იყო საკლავის ყიდვა და ადგილის დედისთვის შენირვა, რაც სასურველი ამინდის – გვალვის შემთხვევაში წვიმისა და წვიმების შეგმთხვევაში მზის – გამოხმობის საშუალებად მიაჩნდათ. ამინდის მართვის თემასთან დაკავშირებული თქმულება „ქალქვა“.

თავდაპირველად განვიხილოთ თქმულების ვარიანტები და ისტორია. არსებობს მისი ოთხი ვარიანტი. პირველი ჩანაწერი მოპოვებულია ამბერკი გაჩერჩილაძის მიერ, რომელიც 1944 წელს ყვარლის რაიონის სოფ. გრემში ჩაუწერია ვინმე ნადია დუშმანაშვილისაგან (გაჩერჩილაძე 1976: 218-219).

თქმულების მეორე ვარიანტის ჩამწერია ელენე ვირსალაძე. ტექსტი ფიქსირებულია 1947 წელს ყვარლის რაიონის სოფ. საბუეში ვინმე ქეთევან მათიაშვილისაგან. აღნიშნული თქმულება დაცულია შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის ფოლკლორის არქივში საარქივო კოდით ფა30434 და გამოქვეყნებულია „ხალხური სიბრძნის“ III ტომში (ვირსალაძე 1961: 209).

არსებობს ამ ლეგენდის გამოუქვეყნებელი, ყველაზე სრულყოფილი და ვრცელი ვარიანტი, რომელიც დაცულია შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის ფოლკლორის არქივში საარქივო კოდით ფაკ46 გვ226. იგი 1961 წელს ჩაუწერია მ. ჩიქოვანს ყვარლის რაიონის სოფ. საბუეში 49 წლის მთქმელ ზურაბ ივანეს ძე ჩიტაშვილისაგან (ფაკ46 გვ226). მკვლევარი ქალქვის შესახებ აბსოლუტურად განსხვავებულ ვარიანტს გვთავაზობს,

რომელიც ქვების სანახავად მისულმა ძროხების მწყემსი ნინო ადომლიშვილისგან მოისმინა (ჩიქოვანი 1964: 229).

კახეთის 1961 წლის ფოლკლორული ექსპედიციის ვრცელ ანგარიშში მ. ჩიქოვანი საინტერესო ცნობას იძლევა ყვარლის რაიონის სოფლების: ენისლისა და საბუის – მიდამოებში ჯერ კიდევ შემორჩენილი ამინდის მართვის რიტუალების შესახებ. მკვლევარი ასახელებს შემდეგი სამი სახის რიტუალს: ა) დიდებას, ბ) ქალ-ქვების დატირებასა და გ) წყალში გუთნის გათრევას (ჩიქოვანი 1964: 229). ამავე ანგარიშიდან ვიგებთ თქმულების კიდევ ერთ ვარიანტს.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ქალქვის თქმულების ყველაზე სრულყოფილი მიხეილ ჩიქოვანის მიერ ზურაბ ჩიტაშვილისგან 1961 წელს ჩანერილი ტექსტია. იგი გადმოგვცემს: „ერთხელ, როდესაც სოფელ საბუეს შამეესივნენ ლეკები, ააოხრეს მთელი სოფელი. ამ აოხრების დროს არა სტოვებდნენ თითქმის არც ერთ ოჯახს, რო სათითაოთ არ ეენიოკებინათ, სარჩო-საბადებელი არ წაელოთ და ჯანმაგარი ახალგაზრდები და ლამაზი ქალები არ წაესხათ. საქონელს ხო თვლა აღარ უნდოდა, სუ მუსარს ავლებდნენ და მიერეკებოდნენ თავიანთ საზღვრისაკენ. ერთ ოჯახს მიადგნენ. იმ სახლის ფარული კარებიდან გამაიქცა ქალი თავისი ჩვილი ბავშვით ხელში და ხელმოკიდებული სხვა მეორე ბავშვით. ეს ქალი გვარად გოგილაშვილი იყო. ლეკები შაცვივდნენ ამ ოჯახში, რაც კი ხელწამოსაკრავი იყო, გაზიდეს და ოჯახში კი ვერავინ აღმოაჩინეს. ამ დროს კი ქალი მორბის თავვამეტებით თავის ბავშვებიანათ. სულ პატარას აკვნით მოარბენინებს. უკან თავიანთი ძაღლის ლეკვი მოჰყვებათ. რაც ძალი და ღონე აქვს მირბის, გაცდა სოფლის ბოლოს. ლეკებმა რო დაარბიეს მთელი სოფელი, სხვა სოფლების დასარბევად გაემართნენ იმ გზით, საცა ეს წვრილშვილიანი დედა წავიდა. ქალი მირბის, მირბის ფეხშიშველა, ფეხშიდან სისიხლი დადინის, თანა გრძნობს რო ძალა ეცლება. სწორეთ ამ დროს გზაში წამაენივნენ მარბიელი ლეკები. დაინახეს თუ არა ლეკებმა, მაინადინეს იმი შებყრობა. ქალს გაქცევის უნარი აღარა აქ. სანამ შეიპყრობდნენ უკანასკნელ ღონეს მიმართა – ღმერთ შეეხვენა: ღმერთო დიდებულო, ოღონდ ამ ძაღლების ხელში არ ჩამაგდო და ამ ჩემ მიწაზე ქვათ გვაქციე სუყველანი, ის მირჩევნიაო. ამ სიტყვის თქმა და სუყველასი ერთად ქვად ქცევა ერთი იყო“ (ფაკ46 გვ626).

მ. ჩოქოვანის ვარიანტისაგან განსხვავებით, ა. გაჩეჩილაძისეული თქმულება ძალიან მოკლედ და მშრალად გადმოგვცემს ლეკების შემოსევისა და ქალის გაქვავების ამბავს: „ლეკები შემოესიერ სოფელ საბუეს. გოგილაანთ ქალი ბავშვიანად ტყისკენ გაიქცა დასამალავად, მაგრამ ლეკები დაეწივნენ. მაშინ ქალმა ინატრა: ოღონდ მაგათ ხელში ნუ ჩამაგდებ, და ქვად მაქციეო. ქალს ნატვრა შეუსრულდა და თავის ბავშვიანად ქვად იქცა“ (გაჩეჩილაძე 1976: 217).

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ მხოლოდ ე. ვირსალაძის მიერ ჩანერილი თქმულების ტექსტს შემოუნახავს ლეკების ჯარის წინამძღვრის სახელი. თქმულების მიხედვით: „შაბაშვეინი შემოესია საქართველოს. კახეთი ააოხრა. მოადგა ყვარელსა და სოფელ საბუეს. გოგილაანთ გვარის ქალი გაექცა მტერს. ერთი ბალლი თან მოჰყავდა ხელმოკიდებული, მხარზე კი აკვანი ედგა მეორე ბალლით. მოიხედა და ხედავს, ეს-ეს არის დაეწევიან ურჯულობი. ინატრა: ნეტა გამაქვავა მაინც ჩემი შვილებიანად, ოღონდ მტრის ხელში არ ჩამაგდოო. მართლაც იქცა ეს ქალი ქვად“ (ვირსალაძე 1961: 209, ფაა30434).

მთქმელები დარწმუნებით ამბობენ, რომ ეს ქვა დღემდეა მინდორში: „გდია იქ, წყლის პირს, ეს ჭროლა ქვა და ორი პატარა გვერდს უწყვია, ვერაფრით ვერ დაძრავ ადგილიდან“ (ვირსალაძე 1961: 209-210; ფაა30434).

თქმულებიდან ვიგებთ, რომ იმათი გაქვავების შემდეგ ბუნება-სა და ღმერთს უტირნია. ზ. ჩიტაშვილის ვარიანტში შემონახულია წვიმის ხანგრძლივობაც: „იმათი გაქვავების შემდეგ ღმერთს უტირნია და შვიდი დღე-ლამის განმავლობაში წვიმა დენილა“ (ფაკ46 გვ627).

თქმულების ერთ ვარიანტს ახლავს განმარტება, რომლიდანაც ვიგებთ: „თუ სოფლებში გვალვა დადგა, მაშინ საბუეში მივლენ გოგილაანთ გვარის ქალთან, წაიყვანენ ქალქვასთან და ამ ქალქვას წყალში ჩააგდებინებენ. ხალხის გადმოცემით, მაშინ წვიმა მოვა. თუ ავდარი ძალიან გაგრძელდა, მაშინ ისევ გოგილაშვილის ქალები წავლენ, ქალქვას წყლიდან ამოლებენ და წვიმა შეწყდება (გაჩეჩილაძე 1976: 218).

მეორე ვარიანტის მიხედვით კი: „უდიერი გვალვის დროს შეიკრიბებოდნენ ხოლმე სოფლის ქალები, მათ შორის ერთ-ერთი აუცილებლად გოგილაანთ გვარისა უნდა ყოფილიყო. მოვიდოდნენ ქალქვასთან“ (ვირსალაძე 1961: 210; ფაა30434).

ხოლო 1961 წელს ჩაწერილ თქმულებას ასეთი განმარტება ახლავს: „სოფლის მოხუცები დღესაც დიდი გვალვების დროს გოგილაანთ გვარიდან წაიყვანენ ვინმეს, იმ ქვებ ჩაიყრიან იქვე შორიახლო გამავალ მდინარეში და იმათი რწმენით წვიმა უნდა წამოვიდეს. თუ მოსაბეზრებელი გახდა წვიმა, ისევ მოხუცები, გოგილაანთიც ერთი ვინმე, მივლენ იმ ალაგასა და ისევ უკან ამაიღებენ წყლიდან იმ ქვებ. ქვების ამოღება და წვიმი შანყვეტა ერთი იქნებაო“ (ფაკ46 გვ627).

პროფ. მიხეილ ჩიქოვანი, ზემოთ აღნიშნული ექსპედიციის ანგარიშში, ქალქვების შესახებ აბსოლუტურად განსხვავებულ მთქმელისეულ განმარტებას გვთავაზობს, რომელიც, როგორც უკვე აღვნიშნეთ, მათ სანახავად მისულმა ნინო ადომლიშვილის-გან მოისმინა: „მან სხვაგვარი ახსნა მისცა ქალქვების (სამი ქვაა: ერთი დიდი – ვითომიც დედა და ორი პატარა – თითქო შვილები) წარმოშობას. ეს ქვები წარლვნის დროისაა, თქვა მან, წარლვნისას ვინც შესთხოვდა, გაქვავდებოდა“ (ჩიქოვანი 1964: 230-231).

სწორედ ქალქვას უკავშირდება სოფ. საბუესა და სოფ. ენი-სელს შორის არსებული ტერიტორიის სახელწოდება „ქალქვებიც“: „სოფელ საბუეს ბოლოს ამიტომ ქალქვის მინდორს ეძახიან“ (ვირსალაძე 1961: 209; ფაა30434).

აღსანიშნავია ისიც, რომ ხალხის რწმენა იმდენად დიდი იყო, რომ არაერთხელ უცდიათ აღნიშნული ქვების მოპარვა. მაგალითად, ერთ-ერთი ვარიანტი გადმოგვცემს: „ეს ამბავი გაეგოთ თელავში, როცა გოლვა დაუდგათ. ერთი კაცი ურმით წამოსულიყო ამ ქალქვის წასაღებად, მაგრამ ძვრა ვერ ექნა. მერე ამ კაცს ქარბუქი ასტეხოდა და ცარიელი დაბრუნებულიყო“ (გაჩეჩილაძე 1976: 218).

მეორე, შედარებით გვიანდელი ვარიანტი, კიდევ უფრო ვრცლად გადმოგვცემს ქვების მოპარვის მცდელობას: „ერთხელ ვითომიც ალაზნის გაღმიდან სხვა სოფლები გვალვას შაენუხებინა

და წამოსულან ურმებით ამ ქვების მოსაპარად იმ მიზნით, რომ საცა უნდოდათ და როცა უნდოდათ, მეეყვანათ წვიმა. დაედოთ თურმე ურმებზე ეს ქვები და წაელოთ. თავიანთ სოფლის ბოლოზე რომ მისულიყვნენ ეს ურმები, ამ დროს წამოსულა სუ მუშტი სიმსხო სეტყვა და ცუდი წვიმა, ისეთი და იმდენი, რო იმათი კამეჩები ამეენყვიტნა. მაშინ ეთქვათ მამპარავებს: „ამ ქვების ქურდობამ დაგვმართა ეს ამბავიო“ და ქვები ურმებიდან აქ მეეტანათ და უკან გადმეყეარნათ. ქვების გადმოყრა იმავ ადგილზე და ცუდი ამინდი შეჩერება ერთი ყოფილა“ (ფაკ 46 გვ 229).

თქმულების განმარტების მიხედვით, ქალქვასთან მისულ ქალებში ერთ-ერთი აუცილებლად გვარად გოგილაშვილების ოჯახიდან უნდა ყოფილიყო – გოგილაანთი*: „როდესაც გოგილაანთ ქალი მივა ქალქვასთან, ასე ეტყვის: ამყე მამიდაო!. მაშინ ქალქვას გადააბრუნებს. სხვა გვარის ადამიანი ამას ვერ გააკეთებს“ (გაჩეჩილაძე 1976:218).

მეორე ვარიანტიდან ვიგებთ დატირების ტექსტსაც:

„უდიერი გვალვის დროს შეიკრბებოდნენ ხოლმე სოფლის ქალები, მათ შორის ერთ-ერთი აუცილებლად გოგილაანთ გვარისა უნდა ყოფილიყო. მოვიდოდნენ ქალქვასთან. ერთ პირს იტირებდა გოგილაანთ ქალი:

ჩემო მამიდო, ამ გაჭირვებაში რომ იყავო...

როგორ მენანებაო შენი ქალობაო...

იტირებდა და სთხოვდა შველას. ეტყოდა მერე:

გოგილაანთ ქალი იყავ, ამყე, მამიდაო...

და, მართლაც, აპყვებოდა ქვა. ააგორებდნენ მას ქალები და იქვე, მდინარე წყალში გადაუშვებდნენ, ავდარი მოვაო, გოგილაანთ ქალის მადლი შეგვენევაო“ (ვირსალაძე 1961: 210; ფაკ 30434).

მაშასადამე, ზემოთ ხსენებული ექსპედიის ანგარიშიდან და გაანალიზებული ტექსტებიდან ჩანს, რომ არქივში, ასევე, დაცული უნდა ყოფილიყო აღნიშნული რიტუალის დროს შესასრულებელი დიდებისა და ქალ-ქვების დატირების აუდიოჩანაწერები, ასევე, სავარაუდო იყო რიტუალის შესრულების წესთან დაკავშირე-

* კახეთში დამკვიდრებული ტრადიციის თანახმად, გვარის წევრებს ამავე გვარის შემოკლებული ფორმის ნართანიანი მრავლობითით მოიხსენიებენ, მაგ.: გოგილაშვილი – გოგილაანთი, ტურაშვილი – ტურაანთი, ბანილაშვილი – ბანილაანთი და ა. შ.

ბული ჩანაწერების არსებობაც. ყოველივე ამის ცოდნა, ცხადია, ამძაფრებდა შესაბამისი ხმოვანიჩანაწერების გამოვლენისადმი ინტერესს, რისი საშუალებაც ქართულ ფოლკლორისტიკაში დიგიტალური ჰუმანიტარიის მეთოდების დანერგვამ მოგვცა. ამას კი შედეგად საკუთარი მაღალტექნოლოგიური ელექტრონული რესურსების განვითარება მოჰყვა, რამაც ფოლკლორის არქივში დაცული ფონოჩანაწერების დიგიტალიზაციითა და ელექტრონული პუბლიკაციით მათი საყოველთაო ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის საფუძველი შექმნა*.

უნდა აღინიშნოს, რომ ფონოარქივში „ქალქვაზე“ არსებული ავთენტიკური ვერბალური ტექსტების ნიმუშების კვალდაკვალ აღმოჩნდა მუსიკალური ფოლკლორის ნიმუშებიც. დღეისათვის ჩვენთვის ხელმისაწვდომია ამინდის მართვის რიტუალის დროს შესასრულებელი ოთხი არაჩვეულებრივი სიმღერა: „გოგილაანთ ქალო“ (ID 34559), „დიდება“ (ID 34567), „იავნანა“ (ID 34568), „გონჯაობა“ (ID 34569) და მდინარის გუთნით მოხვნის რიტუალთან დაკავშირებული განმარტებაც (ID 34566).

განსაკუთრებით აღსანიშნავია სიმღერა „გოგილაანთ ქალო“, რომელიც ვრცლად წარმოაჩენს ამბის მთელ სურათს:

„ვაი, შენი ბრალი, გოგილაანთ ქალო, ქვათ იქეც ძალო, შენ გენაცვალე,

შენი შვილებიანათ...

გოგილაანთ ქალო, ჯარი რო შამოიდა, უნდა დამალულიყავ.

ვეღარ დაიმალე ძალო...

ძალო, ტყვეთ იქნებოდი, მეტი ხო არაფერი.

მაგრამ იძულებული გახდი, გოგილაანთ ქალო, სიცოცხლე აღარ გინდოდა, იმათ ხელში ჩავარდნა არა გინდოდა.

თქვი: „ღმერთო ქვათ მაქციე“, შვილებიანად ამოწყვეტილო...

მოვალთ დაო, წყალში ჩაგაგდებთ, ქვეყნიერების წამალი გამდე.

* 2013-2015 ნებში შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის ხელშეწყობით გახორციელდა პროექტი — „ფოლკლორის არქივში დაცული ფონოჩანაწერების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა დიგიტალიზაციისა და ელექტრონული სისტემატიზაციის გზით“, რამაც ელექტრონმაგნიტურ ფირებზე ჩაწერილი და აქამდე ხელმიუნვდომელი მასალის ემპირიული კვლევების ჩატარების საშუალება მოგვცა, ამან კი აღნიშნული ტექსტების მნიშვნელობა კიდევ უფრო გაზარდა (იხ. <http://www.folk-treasury.ge/ARPA/>).

ჩვენ თუ წყალში ჩაგაგდებთ, ის წვიმას მოგვიყვანს და თუ წვიმისგან მოპეზრებულები ვართ, წყლიდან ამოვიღებთ, გავრეცხავთ, გავასუფთავებთ...

[გზაო], შენი ჭირიმე, გოგილაანთ ქალო, სახელიანო, სახელგანთქმულო...

მარტო შენი სახელი ესლა არის, გოგოლაანთ ქალებში, რო თუ გასაჭირო დაგვადგა, დაო, შენ მოგმართავთ და წვიმას მოგვიყვან ხოლმე, დაო“ (ID 34559 – PHN17b-1_164.52_458.68).

ასევე, ძალიან საინტერესოა სიმღერის შემდეგ შემსრულებელისაგან მდინარის გუთნით მოხვნის რიტუალთან დაკავშირებული განმარტება: „მაგალითად, გვალვა რო არის და წვიმა არ მოდის, მოვიყრით რამოდენიმე დედაკაცები თავს და ვიტყვით, რო ებლა გუთანი წავილოთ ალაზანზე. შავაბამთ, უდელებს გავმართავთ დედაკაცები, ხელში დავიჭიროთ უდლებს, დავიჭიროთ ერთ-ორ სანთელს და მივდივართ, გუთან მივათრევთ ალაზნამდე და თანა ვტირივართ, რომ ღმერთო, ცის ნამი გვალირსე, წვიმა მოგვიყვანე, რო დავიწვით გვალვისაგან. წავილებთ იმ გუთანს ალაზანზე. იმ გუთანს მერე დედაკაცები წყალში ჩავაგდებთ. სანთლებს იქ დავანთებთ და ვიწუნავებთ დედაკაცები ალაზანში და წამოვალთ. ეს არის, სხვა არაფერი“ (ID 34566 - PHN17b-1_459.60_496.66).

ამრიგად, ტექსტური და აუდიომასალების ანალიზმა საშუალება მოგვცა მეტ-ნაკლები სიზუტით აღვენერა „ქალქვასთან“ დაკავშირებული რიტუალი, თუმცა სურათის სრულყოფილად წარმოდგენა შეგვეძლება ფოლკლორის არქივში დაცული ფოტო და კინონეგატივების დიგიტალიზაციით, რაც არქივის ელექტრონული დამუშავების სტრატეგიული გეგმის შემდეგ ეტაპზეა ნავარაუდები.

დამოშევანი:

გაჩერილაძე 1979: გაჩერილაძე ა. ქართული ზეპირსიტყვიერება. თბილისი: გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, 1976.

ვირსალაძე 1964: ვირსალაძე ე. ხალხური სიბრძნე. ტ. III. თბილისი: გამომცემლობა „ნაკადული“, 1964.

ჩიქოვანი 1964: ჩიქოვანი მ. „კახეთის 1961 წლის ფოლკლორული ექსპედიცია“. ჩართული ფოლკლორი. I-II. თბილისი: გამომცემლობა „მეცნიერება“, 1964.

საარქივო მასალები

შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის ფოლკლორის არქივი – შიფრები: ფაა30434, ფაკ46 გვ226.

ინტერნეტმასალები

ქართული ფოლკლორის მონაცემთა ბაზა — <http://www.folktreasury.ge/ARPA/>:

ID 34559, ID 34567, ID 34568, ID 34569 da ID 34566.

Marine Turashvili

Following the Oral Tradition

(Gogilaant Stonewoman)

Summary

The weather determines the time of working on the land and its productivity. In ancient times people thought that it was possible to operative the weather. During drought women conducted “glorifying” ritual which included going from door to door for gathering eggs, drink, money and etc. Then they yoked up walked barefoot and entered into the water. On gathered money they bought the cattle for sacrificing them to the protective spirit of a place for getting the desirable weather. The folk-tale “stonewoman” is connected to this tradition. There exist four versions of it. The first one was recorded by Amberki Gachechiladze (Gachechiladze 1976:218-219). The second version was recorded by Elene Virsaladze in the village Grmei, Kvareli region, in 1947, narrator Ketevan Matiashvili. The text is kept in the Folklore Archive of Shota Rustaveli Institute of Georgian Literature, code faa30434. It was published in the 3th volume of “The Folk Wisdom” (Virsaladze 1961:209, faa30434). It must be noted that in the Archive is preserved unpublished version of the text which is wider and more complete recorded by M. Chikovani in the village Sabue, Kvareli region, in 1961, narrator Zurab Chitashvili, aged 49 (fak46, page226).

In the report of the folklore expedition of 1961 from Kakhetian region prof. M. Chikovani gives an interesting information on the ritual of weather operation in the villages Eniseli and Sabue. The scientist names the following

rituals: a) Gloria; b) Mourning of the stonewomen; c) Ploughing in the water. In the report and in the manuscripts there is told about the magic function of the stonewomen causing desired weather. The answer to the origin of the function is found in the oral tradition.

According to the narrative during the attack of Lezgians on the village Sabue a mother took into her arm a new-born child, gripped with the second hand another child and ran away. At the end of the village she felt exhausted herself and asked God to turn them to stone. God heard the plea and turned her, children and their dog to stone. God was crying and it was reaning in the village during seven days. The woman was from the clan by surname Gogilashvili or Gogilaanti. Manuscripts of the expedition tell us that even today during drought villagers take someone from the Gogilaant clan in the river and throw into the water for causing rain. If the rain becomes boring they take out of the river the thrown stones and the rain stops immediately (fak46 gv626).

While working on the project “Accessibility of the Audio Materials Kept in the Folklore Archives by Means of Digitalization and Electronic Systematization” we hoped to find the audio recording of the above mentioned weather ritual and our hopes were realized. There were discovered four folk songs of the ritual of weather operation: Gogilaant woman (ID 34559); Gloria (ID 34567); Iavnana / Violetnana – traditional Georgian Lullaby (ID 34568); Gonjaoba – rain-making ritual (ID 34569) and the commentaries of the performers of the river ploughing (ID 34566).

We hope that the retro digitalization of the visual materials of the Archive which is the part of the future strategic plan will help us to make full restoration of the above mentioned weather ritual.

გამოხაურება

დალილა ბედიანიძე

ეროვნული თვითგამორკვევისათვის ბრძოლის ასახვა „ანტისაბჭოური სიტყვიერების“ ფურცლებზე

საქართველოს თავისი ხანგრძლივი არსებობის მანძილზე არა-ერთგზის უხდებოდა ბრძოლა თავისუფლებისთვის. ქართველი ხალხი საუკუნეების განმავლობაში დამპყრობელთა წინააღმდეგ იბრძოდა არა მხოლოდ იარაღით, არამედ – სიტყვითაც. ეს სიტყვიერი ბრძოლა აისახებოდა როგორც ქართულ მწერლობაში, ასევე ქართულ ზეპირსიტყვიერებაში. XX საუკუნეში გაძლიერდა ეროვნული თვითგამორკვევისათვის ბრძოლა ტოტალიტარული რეჟიმის პირობებში, როცა საბჭოთა რუსეთი არ აძლევდა საშუალებას მოკავშირე რესპუბლიკებს გამოეყენებინათ კონსტიტუციით მინიჭებული უფლება საბჭოთა კავშირიდან გამოსვლისა. რუსეთმა საუკუნის ბოლოს განსაკუთრებულად გააძლიერა მოკავშირე რესპუბლიკების გარუსების პოლიტიკა, ამ მიზნით შეეხო ჩვენს მშობლიურ ქართულ ენასაც. ყოველივე ეს ქართველი ხალხის აღშოთებას და ეროვნული გრძნობების გამძაფრებას იწვევდა. საბჭოთა წყობის განმტკიცების ყოველი პერიოდი ხალხის წინააღმდეგობას ხვდებოდა, რაც აისახებოდა ანტისაბჭოურ გადმოცემებში, მაგრამ საყოველთაო შიშიანობის პირობებში მათი რაიმე ფორმით დაფიქ-სირება ვერ ხერხდებოდა.

ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის ფოლკლორის განყოფილებამ რუსულან ჩოლოყაშვილის ხელმძღვანელობით ამ ხარვეზის გამოსწორების მიზნით მოიძია და გამოაქვეყნა ანტისაბჭოური სიტყვიერების ნიმუშები, რომლებშიც მოთხრობილია საქართველოში ტოტალიტარული, კომუნისტური რეჟიმისათვის ნიშანდობლივი ამბები. სხვადასხვა პირთა მიერ მოთხრობილი გადმოცემები ჩანერილია: რუსუდან ჩოლოყაშვილის, ეკა ჩხეიძის, ნინო ბალანჩივაძის, ნესტან რატიანის და ირმა ყველაშვილის მიერ. რესპონდენტთა შორის არის 212 პიროვნება. წიგნი თემატურად

მეტად მდიდარია. თითოეულ თემაზე არაერთი გადმოცემაა ჩანსრილი. ერის თვითგამორკვევის საკითხთან დაკავშირებული ძირითადი თემებია: როგორ დაკარგა საქართველომ სოჭის ოლქი, მოგვიანებით კი – საინგილო; ბოლშევიკური რუსეთის საქართველოში შემოჭრა, თავადაზნაურობის დარბევის და დახვრეტის ასახვა; საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის გასაბჭოების სისხლიანი ამბები, ომი საბჭოთა რუსეთთან; ქაიხოსრო (ქაქუცა) ჩოლოყაშვილის ანტისაბჭოურ გამოსვლებთან დაკავშირებული გადმოცემები; გადმოცემები II მსოფლიო ომის პერიოდში გერმანიის მხარდამჭერ მოძრაობაში ჩართულთა შესახებ – „სამანი“ (საქართველოს აყვავებისათვის მებრძოლი ახალგაზრდა ნაციონალისტები); 1956 წლის 9 მარტის მშვიდობიან დემონსტრანტთა დახვრეტისათან დაკავშირებული გადმოცემები; 1978 წლის 14 აპრილს ქართული ენის დასაცავად გამართული აქციის ამსახველი გადმოცემები; დისიდენტური მოძრაობის ამსახველი მასალები; 1989 წლის 9 აპრილს მშვიდობიან მომიტინგეთა დარბევისა და სამხედრო ნიჩბებით ხალხის დახოცვასთან, მომწამვლელი გაზის გამოყენებასთან დაკავშირებული ამბები და სხვა.

წიგნში მასალები თავმოყრილი და დალაგებულია ქრონოლოგიური თანმიმდევრობით. თითოეული რესპონდენტი მოგვითხრობს ამა თუ იმ ამბავს. ამბების თხრობა იწყება ბოლშევიკების მიერ თავადაზნაურობის დარბევა-დახვრეტის ამბებით, რასაც კოტე ელიოზიშვილი გვიყვება (ანტისაბჭოური 2010: 16-17). ამავე თემას ეხება კოტე ჩოლოყაშვილი (ანტისაბჭოური 2010: 69).

სოჭის დაკარგვის ამბავს მოგვითხრობს მიხეილ ლაპაძე: „ჯერ კიდევ საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებამდე 1918 წლის მარტში აფხაზეთში ვითარება უკიდურესად დაიძაბა: აფხაზმა ბოლშევიკებმა გუდაუთის მაზრაში საბჭოთა ხელისუფლება გამოაცხადეს... 8 მაისს აფხაზმა ბოლშევიკებმა „ხალხის სახელით“ საბჭოთა რუსეთის შემადგენლობაში შესვლის დადგენილებაც მიიღეს: ამავდროულად, აფხაზეთის მთელ ტერიტორიაზე – სოჭიდან ენგურამდე, ულმობელი ნითელი ტერორი დაიწყო... სოჭი მნიშვნელოვანი პუნქტი იყო, თუკი სოჭში ბოლშევიკები იქნებოდნენ, საქართველოში მათი შემოჭრის საფრთხეც მუდმივად იარსებებდა. ქართველთა არმიამ გენერალ მაზნიაშვილის მეთაურობით სოჭი გაათავისუფლა, მაგრამ კონფლიქტში ბრიტანეთი ჩაერია:

ქართულ მხარეს მოსთხოვეს მდინარე ფსოუ არ გადაელახა მანამ, ვიდრე საქართველოს საზღვრების თაობაზე პარიზში, ანტანტის ქვეყნების საგანგებო კონფერენციაზე არ იმსჯელებდნენ. აღსანიშნავია, რომ თბილისმა ეს მოთხოვნა შეასრულა, რის შედეგადაც, ფაქტობრივად, სოჭი დაკარგა – სულ მალე დენიკინი „წითლებმა“ დაამარცხეს, სოჭიც მათ დაიკავეს და საქართველოს ხელისუფლება აიძულეს ამ ქალაქზე ხელი აელო“. ეს მოხდა 1919 წელს (ანტისაბჭოური 2010: 18-21).

ჯონდო გვასალია ეხება ოსეთის ამბებს: „შიდა ქართლში მცხოვრებ ოსთა შეიარაღებული გამოსვლები დამოუკიდებელი საქართველოს წინააღმდეგ განპირობებული იყო ნაციონალური, კალასობრივ-იდეოლოგიური და სოციალური ფაქტორებით.

საქართველოს ანექსიის შემდეგ, 1922 წლის 20 აპრილს ბოლშევიკებმა მენშევიკური, ანუ დემოკრატიული საქართველოს წინააღმდეგ ბრძოლაში უდიდესი დამსახურებისთვის, იურიდიული და ისტორიული საფუძვლების არარსებობის მიუხედავად, ოსები დააჯილდოვეს სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის შექმნით, რომელშიც შევიდა აგრეთვე მხოლოდ ქართველებით დასახლებული შიდა ქართლისა და რაჭის მრავალი სოფელი“ (ანტისაბჭოური 2010: 22).

მაია გიორგაშვილი-კაცელაშვილი გვიყვება: „ოსებს ყოველთვის ეფერებოდნენ ქართველები. ქართველების ხელშეწყობით მოიკიდეს ფეხი, აუცილებლად თანამდებობაზე უნდა დანიშნულიყვნენ, აუცილებლად უნდა ყოფილიყვნენ პრივილეგირებულნი ყველაფრით. შეიძლებოდა ქართველი უკან დაწეულიყო. კომუნისტური ნომენკლატურა მათ ხელს უწყობდა ყველანაირად: პოლიციის უფროსი აუცილებლად ოსი უნდა ყოფილიყო, ერთ-ერთი რაიკომის მდივანი აუცილებლად ოსი უნდა ყოფილიყო, პოლიციელები აუცილებლად ოსები უნდა ყოფილიყვნენ“ (ანტისაბჭოური 2010: 405).

„ანტისაბჭოური სიტყვიერების“ 25-30 გვერდებზე შეხვდებით საქართველოს დამოუკიდებლობის დაკარგვის ისტორიას, რომელიც დაწერილია 1981 წლის თებერვალში ვლადიმერ ჯაფარიძის მიერ მისი შვილიშვილის დავით მაჭავარიანის თხოვნით. აქ აღწერილია, თუ როგორ იგერიებდა მტრულ ძალებს საქართველო მეშევიკური მთავრობის დროს... ისინი იყვნენ

ოსები, დენიკინელები, სომხები – თუმცა მაზნიაშვილის რაზმმა მტრები წარმატებით მოიგერია, მაგრამ საქმეში ჩაერია ინგლისი და ჩვენს მთავრობას მოსთხოვეს ქართული ჯარის შეჩერება, როგორც ამას ცოტა ზემოთ მიხეილ ლაპაძეც მოგვითხრობს. არსებობდა ასეთი ლექსი: „თვითგამორკვევა ერების ლოზუნგად ჰქონდათ ქცეული, საქმით კი ყველა გასრისეს, ვინც ნახეს გამორკვეული“ (ანტისაბჭოური 2010: 28).

და, მართლაც, მე-11 არმიამ სერგო ორჯონიერიძის სარდლობით ჯერ ბაქო აიღო და შემდეგ თბილისი, გაიმართა ომი კოჯორის მისადგომებთან და ამ ომში, დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში დაეცა არა ერთი პატრიოტი, მათ შორის მარო მაყაშვილი. „რუსის ურდოებმა თბილისს ალა-მაჰმად-ხანი დაავიწყესო“, – ნათქვამია მოგონებაში (ანტისაბჭოური 2010: 29).

20-იანი წლების პერიოდიდან კრებულში მოთხოვილია ქაჯუცა ჩოლოყაშვილის შესახებ. მას იხსენებენ ლექსო არაბულიც (გვ. 35), მარიამ ლორთქიფანიძეც (გვ. 38), კოტე ჩოლოყაშვილიც (გვ. 69) და სხვანი მრავალნი. მათი თქმით, ქაჯუცა ჩოლოყაშვილი არის ეროვნული გმირი, გმირი, რომელმაც საკუთარი თავი, ოჯახის კეთილდღეობა სამშობლოს დამოუკიდებლობისათვის ბრძოლას შესწირა. მედეა აბაშელი იგონებს მამამისის, ალექსანდრე აბაშელის აკრძალულ ლექსს, რომელიც დაიწერა 1926 თუ 1927 წელს:

უბედურების ორი მწვერვალი,
კრწანისის ველი და თებერვალი.
(ანტისაბჭოური 2010: 48)

ბაადურ რაჭველიშვილი გვიყვება 1924 წლის აჯანყების სისხლში ჩახშობის, ჩოლოყაშვილის რაზმელების განადგურების და ხალხის ვაგონებში დახვრეტის შესახებ (ანტისაბჭოური 2010: 53).

„ანტისაბჭოურ სიტყვიერებაში“ შეტანილია ინფორმაცია „კვირის პალიტრიდან“: „1942 წლის დასაწყისში შეიქმნა არალეგალური ანტისაბჭოთა ორგანიზაცია „თეთრი გიორგი“ ლევან აბდუშელიშვილის, შალვა სვანიძის და მუსტაფა (რევაზ) შელიას ინიციატივით, რომლის მიზანიც იყო თავისუფალი და დამოუკიდებელი საქართველოს შექმნა“ – ისინი გასცეს და 1943 წლის ოქტომბერ-ნოემბერში დააპატიმრეს (ანტისაბჭოური 2010: 62).

ვალიკო ცქიფაშვილი იგონებს: „ქაქუცა ჩოლოყაშვილი იყო ძალიან ერთგული ადამიანი საქართველოსი და ამავე დროს ფშავის, იმიტომ, რომ შტაბიდან როცა გამოაქციეს, დაიდო ბინა ფშავში. მიხა ხელაშვილი იყო მისი... მარჯვენა ხელი. მიხა იყო უნიჭიერესი და ფიზიკურად უძლიერესი პიროვნება. დიდი მომავლის მქონე პიროვნება“. ღალატით და მოსყიდვით მოკლეს, თავისივე ძმაკაცებს მოაკვლევინეს 25 წლისა თავისი დაბადების დღეს 25 იანვარს ჩარგალში. მიხა ემიგრაციაში არ გაჰყვა ქაქუცას. იგი წერდა შესანიშნავ ლექსებს. აქ დაბეჭდილია მიხა ხელაშვილის ლექსი „მაღაროს კარში შევვარდი“ და აღნერილია მიხას მოკვლა (ანტი-საბჭოური 2010: 65-66). კრებულის 67-68 გვერდებზე დაბეჭდილია ხალხური ლექსები ქაქუცა ჩოლოყაშვილზე: „ჯერ ისევ არის ზაფხული“, „წინაპართ დროშა აღმართე“, „ველად გაჭრილა ქაქუცა“, „გმირის ხსოვნას“.

გაზეთ „კალმასობის“ ფურცლებიდან „ანტისაბჭოურ სიტყვი-ერებაში“ გადმობეჭდილია კოჯორ-ტაბახმელაზე იუნკერების ბრძოლის და მარო მაყაშვილის სიკვდილის ამბავი, აღნერილია იუნკერების დაკრძალვა (ანტისაბჭოური 2010: 73-74).

შოთა არაბულის მონათხრობი შეეხება 1923-24 წლების ამბებს – ქაქუცას და მიხა ხელაშვილის ბრძოლას ხევსურეთში, ლევან რაზიკაშვილის გმირობას, რომელიც მაშინ კომისარი იყო. არაბული გვაწვდის ინფორმაციას, რომ მიხა ხელაშვილი... იყო სასულიერო პირი, დიაკვანი, ბარისახომი მსახურობდა მაშინ. ასევე შ. არაბული მოგვითხრობს ხევსურეთში 70-80-იან წლებში ეროვნული მოძრაობის შესახებ (ანტისაბჭოური 2010: 74-79).

ნიკო ჯავახიშვილი მოგვითხრობს ქაქუცა ჩოლოყაშვილის ხელმძღვანელობით მოქმედი „შეფიცულთა რაზმის“ ბრძოლაზე და იმის შესახებ, თუ როგორ იბრძოდა ემიგრაციაში მყოფი კავკასიელი პოლიტიკოსების დიდი ნაწილი ბოლშევიკური რეჟიმისაგან თავისი სამშობლოს გასათავისუფლებლად გერმანელთა შხარდამხარ მეორე მსოფლიო ომის დროს. მათგან და სამხედრო ტყვეებისაგან (სსრკ-ის ყოფილი სამხედრო მოსამსახურეთაგან) შეიქმნა საგანგებო სამხედრო შენაერთი „ლეგიონები“, რომლებიც გერმანიის შეიარაღებული ძალების შემადგენლობაში გაერთიანდა, ბრძოლით

მოაღწია ოსეთ-საქართველოს საზღვრამდე და იქ 1943 წლის 3 იანვრამდე, ანუ გერმანიის ჯარის უკან დახევამდე დარჩა (ანტისაბჭოური 2010: 79-81).

ედიშერ გიორგაძე გვიყვება მიხა ხელაშვილის შესახებ – თუ როგორ აიძულეს კომკავშირელმა აქტივისტებმა იგი, დაეტოვებინა ეკლესია და შემდეგ დაუკავშირდა ქაქუცას „შეფიცულთა რაზმს“ – ის იყო ზებუნებრივი პოეტური ნიჭით და უსაზღვრო ვაჟკაცობით დაჯილდოებული პიროვნება. მის შესახებ გამოთქმულია ლექსები (ანტისაბჭოური 2010: 81-83).

სერგო ვარდოსანიძის მოგონებით, 1924 წლის აგვისტოში ქართველი ხალხის ეროვნულ-გამათავისუფლებელ ბრძოლას დაუნდობელი ხოცვა-ულეტით უპასუხა ბოლშევიკურმა ხელისუფლებამ საქართველოს ყველა კუთხეში. მათ გაანადგურეს ინტელიგენცია, საზოგადოების არისტოკრატიული ნაწილი. 1924 წელს საქართველოში დაიკეტა 1000-ზე მეტი ეკლესია (ანტისაბჭოური 2010: 84).

ლელა ჯიყაშვილი 1924 წლის საყოველთაო აჯანყების და ქაქუცა ჩოლოყაშვილის დამარცხებაზე მოგვითხრობს (ანტისაბჭოური 2010: 84-85), ხოლო ანდრე კარბელაშვილი გვიყვება: 1922-24 წლებში საქართველოში ბოლშევიკური ხელისუფლების წინააღმდეგ წარუმატებელ აჯანყებას მოჰყვა მასობრივი რეპრესიები, ტირიფონის ტრაგედია 1924 წლის სექტემბერში (ანტისაბჭოური 2010: 86).

ნანა ღვინევაძე აღწერს მარო მაყაშვილის სიკვდილსა და დაკრძალვას 1921 წლის 23 თებერვალს და ასევე – დაკრძალვას გმირულად დახოცილი სამშობლოს შვილებისას (ანტისაბჭოური 2010: 86-88).

ლევან ურუშაძე იხსენებს, თუ როგორ შეიქმნა თბილისში „თეთრი გიორგის“ კონსპირაციული ჯგუფი სამჯერ – 1926, 1928 და 1942 წლებში. მისი წევრები თითქმის მთლიანად დააპატიმრეს და დახვრიტეს. მათ შორის იყო ცნობილი მწერალი ლევან გოთუა, რომელიც გადაასახლეს. ლევან ურუშაძე ასევე გვიყვება, რომ 1941 წელს ქართველი ასპირანტების და უნივერსიტეტის უმცროს პედაგოგთა თაოსნობით, თბილისში შეიქმნა არალეგალური ახალგაზრდა პატრიოტულ-პოლიტიკური ორგანიზაცია „სამანი“, რომლის ერთადერთი მიზანიც იყო საქართველოს თავისუფლება. 1942 წლის შემოდგომაზე შინსახკომმა „სამანის“ 33 წევრი დააპატიმრა, უმ-

რავლესობა დახვრიტეს, 13 „სამანელი“ შუა აზიაში გადაასახლეს, სასამართლო პროცესამდე მოკლეს დაჯგუფების ლიდერი პოეტი ადამ ბობლიაშვილი (ადამ ალვანელი)“ – (ანტისაბჭოური 2010: 88-89).

ერეკლე საღლიანი ეხება ეროვნულ მოძრაობას სვანეთში, სვანების კავშირს ქაქუცა ჩოლოყაშვილთან, ვინაიდან სვანეთი გახდა თავშესაფარი იმათი, ვინც იდევნებოდნენ ბოლშევკიური ხელისუფლების მიერ, თუმცა 1925 წლიდან სვანეთშიც საბოლოოდ მოიკიდეს ფეხი ბოლშევკიურმა. იგი ასევე მოგვითხრობს თავისი სტუდენტობის წლების – 70-იანი წლების ამბებს, ზვიად გამსახურდიას, მერაბ კოსტავასა და ვიქტორ რცხილაძის დაჭერის ამბავს (ანტისაბჭოური 2010: 96-107).

ია ბაგრატიონ-მუხრანელი მოგვითხრობს რუსეთის მიერ საქართველოს ანექსიის შესახებ. – I ანექსია-ოკუპაცია მოხდა 1801 წელს, მეორე – 1921 წელს, მესამე – 1991 წელს, მეოთხე კი – 2008 წლის აგვისტოში. იგი ამბობს, რომ ჯეროვნად არ იყო შეფასებული კომუნისტების ანტიქართული და ანტიადამიანური პოლიტიკა. ისინი სპობდნენ თავადებს, აზნაურებს, პატრიოტებს, ანგრევდნენ ეკლესიებს. რაც შეეხება ქაქუცა ჩოლოყაშვილს, ბოლშევკიური პროპაგანდით იგი იყო ბანდიტი, ყაჩალი, რომელმაც გაძარცვა კახეთი და წავიდა საფრანგეთში საცხოვრებლად დალხინებული“ (ანტისაბჭოური 2010: 107-111).

თინა ინაშვილი-რაზიკაშვილი გვიყვება ვაჟა-ფშაველას შვილის ლუკა რაზიკაშვილის მეგობრობაზე ქაქუცა ჩოლოყაშვილთან. ლევანი მაზრის უფროსად მუშაობდა მაღაროში. იმის გამო, რომ მან ქაქუცა კი არ დაიჭირა, არამედ გააპარა, ლევანი დახვრიტეს 1924 წელს 25 წლის ასაკში (ანტისაბჭოური 2010: 117).

გიორგი ლიქოკელი იგონებს თავის პაპას დათვია ლიქოკელს, რომელიც ხევსურეთში ანტისაბჭოთა აგიტაცია-პროპაგანდას ეწეოდა და ქაქუცა ჩოლოყაშვილის აჯანყებაში მონაწილეობდა, ანტისოციალისტური მოძრაობის მონაწილე იყო მიხა ხელაშვილთან ერთად (ანტისაბჭოური 2010: 128).

ქაქუცა ჩოლოყაშვილის, მიხა ხელაშვილის და ლევან რაზიკაშვილის ბრძოლის შესახებ გვიყვებიან წანა კოტეტიშვილი, სალომე მოლოდინაშვილი (ანტისაბჭოური 2010: 186, 187-188).

გიორგი ხომერიკი გვაწვდის კიდევ ერთ ისტორიას საბჭოთა რეპრესიების შესახებ, ეს უკვე 70-იანი წლების პერიოდია. 1975 წელს საბჭოთა კავშირმა ხელი მოაწერა ჰელსინკის შეთანხმებას, რომლის მიხედვითაც დისიდენტებისთვის ნაწილობრივი თავი-სუფლება უნდა მიეცათ. მაშინ გამოჩნდნენ გამსახურდია და სხვა დისიდენტები. გამოიცა „საქართველოს მოამბე“, „ოქროს საწმისი“ – გარკვეულწილად გადავიდა პატრიოტული განწყობა საზოგადოებაში (ანტისაბჭოური 2010: 177).

ალექსანდრე ნეკრესელის თხრობით საგარეჯოში ეროვნულ მოძრაობას ქმნიდნენ ძმები გოდერძიშვილები. მათ ელერდაშვილთან ერთად ჩამოაყალიბეს ჰელსინკის კავშირის ორგანიზაცია, პირველი დისიდენტური ორგანიზაცია. 1988 წლის ამბებმა ბიძგი მისცა ეროვნულ მოძრაობას. იპოდრომზე დიდი მიტინგი იყო, ხოლო ნოემბერში – შიმშილობა მთავრობის სასახლესთან. 9 აპრილის შემდეგ კი ლექსები იყო გამოკრული ხეებზე (ანტისაბჭოური 2010: 194-197).

შოთა ჩართოლანი, ბელა წიფურია, ერეკლე საღლიანი, რუსუდან ჩოლოყაშვილი იხსენებენ 1956 წლის 9 მარტის ამბებს, 1978 წლის 14 აპრილს – ქართული ენის ამბებს, 1988 წლის ნოემბრისა და 1989 წლის აპრილის დღეებს (ანტისაბჭოური 2010: 128, 103, 161, 190-193, 202-203).

ვასილ კინაძე მოგვითხრობს თუ როგორ იბრძოდა ქართული თეატრი ეროვნული თვითგამორკვევისათვის საბჭოთა ცენზურის მიუხედავად (ანტისაბჭოური 2010: 244-253).

გოგი მარიდაშვილი ვრცლად გვიამბობს 1956 წლის 9 მარტის ტრაგიკული ამბების შესახებ (ანტისაბჭოური 2010: 339-344). ასევე 9 მარტზე მოგვითხრობს ნოდარ ნათაძე და ამბობს, რომ 1956 წლის 9 მარტს სტიქიური სვლა დაიწყო სტალინის ძეგლისკენ. ეს იყო პროტესტი ეროვნული შეურაცხებულის გამო (ანტისაბჭოური 2010: 387-390). ამავე 9 მარტის შესახებ გვიყვება ბაია კონტრიძე (ანტი-საბჭოური 2010: 128). რევაზ უორდანიაც მოკლედ აღვინერს 9 აპრილის ამბებს (ანტისაბჭოური 2010: 390-396). ასევე ამბობს, რომ ხრუშჩოვს ნებავდა ქართველების დეპორტაცია ჩრდილოეთ ყაზახისტანში და მათ მაგივრად რუსების გადმოსახლება.

მაია გიორგაშვილი-კაცელაშვილი ვრცლად აღწერს ენის დაცვის მოვლენებში თავის მონაწილეობას და 9 აპრილის ამბებს (ან-

ტისაბჭოური 2010: 401-406). გია (გიგი) ქემოკლიძე იგონებს 1978 წლის 14 აპრილის აქციას და იქ მოპოვებულ გამარჯვებას (ანტი-საბჭოური 2010: 423). ლუბა ნიუარაძე იხსენებს 1956 წლის 9 მარტის ტრაგედიას და 1978 წლის 14 აპრილის ამბებს (ანტისაბჭოური 2010: 437-444). ასევე 1956 წლის 9 მარტს იგონებს მანაბა მაგომელივა და ალნირს ჩეხოსლოვაკიაში საბჭოთა ჯარის შესვლას 1968 წლს (ანტისაბჭოური 2010: 244-253), ხოლო მარიკა ლორთქიფანიძე ეხება 1978 წლის 14 აპრილს (ანტისაბჭოური 2010: 41-43).

რევაზ კვერენჩილაძე აანალიზებს ქართველი პოეტების – გალაკტიონ ტაბიძისა და გიორგი ქუჩიშვილის ანტისაბჭოურ ლექსებს, ასევე გვიყვება „სამანის“ შესახებაც: ადამ ბობლიაშვილის, გიორგი ქადაგიძის, გიგო ქააძის, ევა ოულაურის, მიხაკო იმედიძის (ფანცალა), არჩილ კიტოშვილის ბრძოლის ისტორიას – „სამანელები“ ფიქრობდნენ, გერმანიის შემოჭრისას ანარქიისგან საქართველოს დაცვას და დამოუკიდებლობის გამოცხადებას (ანტისაბჭოური 2010: 292-298).

ასევე „სამანის“ და სხვა ჯგუფების შესახებ მოგვითხრობს როსტომ ჩხეიძე: „ქაქუცა ჩოლოყაშვილის შემდეგ პირველი ყველაზე მასტგაბური მოვლენა 1942 წლის შეთქმულება იყო. ამავე პერიოდში მოძრაობა გაიშალა თუშეთშიც, რაც „სამანელთა“ საქმიანობას უკავშირდება. ჯგუფი „საქართველოს ეროვნული თავდაცვის კომიტეტი“ შექმნა ლევან გოთუამ, ჩვენმა დიდებულმა მწერალმა და ტანჯულმა ქვეყნის თავისუფლებისთვის. არსებობდა, აგრეთვე, საიდუმლო ორგანიზაცია „სახთამეევა“ (საქართველოს თავისუფლებისთვის მებრძოლთა კავშირი). პოლიტიკური ჯგუფის შექმნა უკავშირდება მუსტაფა შელიას სახელსაც. რამდენიმე ჯგუფი ჰქონდა შექმნილი სოლომონ (ცუგრი) თევზაძეს... არსებობდა სხვა პატარა ჯგუფებიც – ზოგი მართლა, ზოგიც უშიშროების კომიტეტმა გამოიგონა, რათა დაპატიმრების ტალღა უფრო აგორებულიყო. დამნაშავეები დახვრიტეს. დახვრეტილთა შორის იყო ორი მწერალი: კოტე ჩიმშაშვილი და გიორგი ძიგვაშვილი, რომელთა ნაწერებიც გაანადგურეს, გადარჩა მხოლოდ ის, რისი გამოქვეყნებაც მოასწრეს.

ისევე, როგორც 1942 წლის შეთქმულებასა თუ საქართველოს ეროვნული თავდაცვის კომიტეტს, „სამანელებსაც“ გადაწყვეტილი ჰქონდათ: თუ კავკასიონის კალთებს მომდგარი გერმანელები შემოიქრებოდნენ, დახვედროდნენ არა როგორც იმპერიის განა-

პირთა მხარის, რუსეთის პროვინციის მკვიდრნი, არამედ როგორც სრულუფლებიანი სახელმწიფოს წარმომადგენელი და მოლაპარაკება გაემართა -ქვეყანა როგორმე რომ ეხსნათ ახალი დარბევისგან. თუ არადა, პირველი თვითონ დაცემულიყვნენ მის მიწაზე“ (ანტისაბჭოური 2010: 299-300). ამავე ამბებზე მოგვიოთხრობს დოდო ხიმშიაშვილი-ვადაჭკორია, მწერალ კოტე ხიმშიაშვილის და. ანტისაბჭოური 2010: 301).

მწერალი გურამ დოჩანაშვილი გვიყვება, თუ როგორ დააპატიმრეს 1956 წლის 2 დეკემბერს პროკლამაციების გაკვრისათვის ის და მისი თანამოაზრენი, 16-17 წლის ბიჭები. ის მეორედაც დააპატიმრეს. დაპატიმრებულთა შორის იყვნენ: ზვიად გამსახურდია, მერაბ კოსტავა, ვოვა სიხარულიძე, თამაზ გუნჯუა, ანტონ მიქაელი, თემურ ცერცვაძე, ჯონდო მეტრეველი და თვითონ (ანტისაბჭოური 2010: 313-314).

მანანა სოტკილავა იგონებს, რომ 1988 წელს, როცა რეიგანი ჩამოვიდა საბჭოთა კავშირში, პირისპირ შეხვდა ზვიად გამსახურდიას. ასევე 1990 წლის 7 იანვარზე საქართველოს პატრიარქმა ერს როგორ მიუღოცა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენა. ეკლესიის გათავისუფლება და ლეგიტიმაცია წინ უძლოდა სახელმწიფოებრივობის აღდგენას და მის ლეგიტიმაციას (ანტისაბჭოური 2010: 407-410).

თემურ ჭანტურიშვილის მოგონება შეეხება ჯგუფ „შავ ვარდს“, რომლის წევრებიც იყვნენ: თემურ ჭანტურიშვილი, დათო ლომსაძე, ელგუჯა გლიგვაშვილი, ირაკლი ჩიკვაძე. მათი მთავარი საქმიანობა იყო ანტისაბჭოთა ლიტერატურის მოძიება, გამრავლება და გავრცელება, ასევე პროკლამაციების წერა. 1969 წელს, როცა მესამე კურსზე იყო და ოურიდიულზე სწავლობდა, დააპატიმრეს თანამოაზრებთან ერთად (ანტისაბჭოური 2010: 416-423).

ლია ანდლულაძე ვრცლად გვიამბობს ზვიად გამსახურდიას და მერაბ კოსტავას ბრძოლის შესახებ, 9 აპრილის მოვლენაზე (ანტისაბჭოური 2010: 429-437).

ლუპა ნიჟარაძე, ეთერ მჭედლიანი, ფოთოლა ჯაჯვანი გვიყვებიან სვანეთის ამბებს, თუ როგორ იშიმშილეს 10 ლამე და 11 დღე, რადგან ხუდონპესის წინააღმდეგნი იყვნენ და გაიმარჯვეს (ანტისაბჭოური 2010: 437-444). ასევე ჰუდონპესის მშენებლობის საწინააღმდეგო მოძრაობას აღწერს თამარ (კლარა) შუკვანი: „1988 წელს სვანეთში აპირებდნენ ჰუდონპესის მშენებლობას და ამის წინააღ-

მდეგ გამოვიდა საქართველოს ეროვნული მოძრაობა ზეიად გამ-სახურდიასა და მერაბ კოსტავას ხელმძღვანელობით მაშინ იფეთქა ჩვენში ეროვნულმა სულმა, ჩვენი კუთხის სიყვარულმა და იქიდან გამომდინარე, მთელი საქართველოს სიყვარულმა... ზეიადმა და მერაბმა აიძულეს ნოდარ ჭითანავა, რომ ხელი მოეწერა ჰუდონჰე-სის მშენებლობის „შენყვეტაზე“. იგი ასევე მოგვითხრობს 9 აპრილის ამბებზე (ანტისაბჭოური 2010: 444-447).

ეროვნულმა მოძრაობამ ბოლოსდაბოლოს გაიმარჯვა, საქართ-ველო გათავისუფლდა ტოტალიტარული რეჟიმისაგან კრებულ „ან-ტისაბჭოური სიტყვიერება“. არაერთი საჭირო ინფორმაციის წყა-როა და უთუოდ საჭირო წიგნი, რათა მომავალ თაობებს გადაეცეს XX საუკუნის საქართველოში ეროვნული თვითგამორკვევისთვის ბრძოლას ისტორიის ამსახველი გადმოცემები.

დამოცვებანი:

ანტისაბჭოური 2010: ანტისაბჭოური სიტყვიერება (შემდგენლები: რ. ჩოლოყაშვილი, ე. ჩხეიძე, ნ. ბალანჩივაძე, ნ. რატიანი, ი. ყველაშვილი). თბილი-სი: გამომცემლიბა „ნეკერი“, 2010.

Dalila Bedianidze

Description of the Fight for National Self-determination in Collection “Anti-Soviet Lore”

Summary

Work deals with the materials published in the collection “Anti-Soviet Lore”, they tell the stories characteristic for the totalitarian communist regime in Georgia: how Georgia was lost, District of Sochi and Saingilo; invasion of Bolshevik Russia into Georgia; description of execution of the nobility; war with Soviet Russia; KakutsaCholokashvili’s anti-Soviet actions; “Samani” and Sakhtameka”; stories of 9 March 1956; stories of 14 April 1978; stories of 9 April 1989 etc.

D. Bedianidze’s work states that “Anti-Soviet Lore” is the rich source of soviet information. Work provides detailed study and analysis of the fight for national self-determination in the environment of totalitarian regime.

სარჩევი

ამირანიანი

ოთარ ონიანი

- ახალი მასალები ამირანის
წარმომავლობაზე.....5

Otar Oniani

New Materials on the Origin of Amirani

ნინო საბაძე

- ბეოვულფისა და ამირანის ჰუბრისი.....18

Nino Sabadze

Hubris of Beowulf and Amiran

მითოსური სამყარო

ნესტან რატიანი

- ერთი პოპულარული მეტაფორის
ორი ასპექტისთვის.....44

Nestan Ratiani

Two Interpretations of the Popular Metaphor

ეკა ჩხეიძე

- მგელთან დაკავშირებული
რწმენა-წარმოდგენები.....50

Eka Chkheidze

Beliefs and Views Related to Wolf

ხვთისო მამისიძედიშვილი

- საკრალური სიმბოლოები და ქართული
კულტურის ელემენტები ნართების ეპოსის
ინგუშურ და ჩეჩნურ ვერსიებში.....59

Khvtiso Mamisimedishvili

Sacral Symbols and Elements of
Georgian Culture in Chechen and
Ingush Versions of the Nart Epos

ნინო ბალანჩივაძე
ბედისწერა და განგება
ქართულ ფოლკლორში.....81

Nino Balanchivadze
Fate and Destiny in
Georgian Folklore

ზღაპართმცოდნეობა

რუსუდან ჩოლოკაშვილი
სიბრძნე – იმქვეყნიური ჯილდო
ნოველისტური ზღაპრის გმირისა.....86

Rusudan Cholokashvili
Wisdom – Divine award for
The novelist Fairy Tale Hero

პოეზია

ოთარ ონიანი
მხატვრული სახეები
სამონადირეო პოეზიაში.....95

Otar Oniani
Artistic Images in Hunting Poetry

თინათინ ბიგანიშვილი
აკვნის სიმღერის ერთი ხალხური
ვერსიის კერძო და ზოგადი
მნიშვნელობის განმარტებისთვის.....132

Tinatin Biganishvili
One Version of Lullaby –
Specific and General Meaning

ქეთევან ელაშვილი
სიკვდილის გამოხმობის
ფოლკლორული ილუსტრაციები.....157

Ketevan Elashvili
Folkloric Illustrations of
Evoking the Death

ფოლკლორი და ლიტერატურა

ელისაბედ ზარდაშვილი

ალექსანდრე ყაზბეგის ხალხურ
მოტივებზე შექმნილი ლექსები.....163

Elisabed Zardiašvili

Poems Created by Folk Motives
of Alexander Kazbegi

ლილი მეტრეველი

ნადირობის ქალმერთის სახე
გრიგოლ რობაქიძის რომანში
„ქალმერთის ძახილი“.....171

Lili Metreveli

Image of the Goddess of Hunting
in Grigol Robakidze's Novel
“The Call of the Goddess”

საარქივო მონაცემები

მერი ხუხუნაიშვილი- წიკლაური

ფოლკლორის არქივში დაცული ზეპირი
ისტორიები ნიკო (ბაჩანა) რაზიკაშვილზე.....181

Mary Khukhunaishvili-Tsiklauri

Oral Histories about Niko (Bachana) Razikashvili
Kept on Audio Recordings in the Folklore
Archive of Shota Rustaveli Institute of Georgian Literature

მარინე ტურაშვილი

ერთი თქმულების კვალდაკვალ
(„გოგილაანთ ქალქვა“).....189

Marine Turashvili

Following the Oral Tradition
(Gogilaant Stonewoman)

გამოხაურება

დალილა ბადიანიძე

ეროვნული თვითგამორკვევისათვის
ბრძოლის ასახვა „ანტისაბჭოური
სიტყვიერების“ ფურცლებზე.....198

Dalila Bedianidze

Description of the Fight for
National Self-determination in
Collection “Anti-Soviet Lore”